

1968/3

# ၂၆၂၀၀၁၀



၁၀

1968

# ენათობი

საქართველოს  
ლიტერატურის  
ინსტიტუტი

საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული  
და საზოგადოებრივ-კულტურული შტრენა

წელიწადი 45-ე

№ 10

ოქტომბერი, 1968 წ.

საქართველოს საბავთა მწერლების კავშირის ორგანო

10.846

## შინაარსი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	3
გრიგოლ აბაშიძე — ქართული პულტერის დღესასწაული	4
ირაკლი აბაშიძე — ვიცინიკობის უჩველი ცაცელი	5
კონსტანტინე გამსახურდია — ტფილისურ სახელმწიფო უნივერსიტეტის მამ- ნიფიციანე რამბორის აკადემიკოსს ილია ვეჟუასადმი	6
სერგო კლდიაშვილი — ჩვენი ეროვნული დიდება	7
ბესარიონ ქლდიაშვილი — უჩველი ჩირაღდანი	8
დამანა შინგელაია — ჩვენი დღეა	11
რამაზ ჯაფარიძე — აწყობა და მომავლის გეგმვა	13
ირსა ნუნუაშვილი — საინფორმაციო ლექსი	14
ლევან გოთა — მითრილატი — რომანი. გაგრძელება	15
ოთარ ვილაძე — სივრცის კომპოზიცია	62
გრიგოლ ჩიქოვანი — ტყუილ-მეფე — თეატრული მოთხრობებიდან	70
ნიკოლოზ ჩახავა — ლექსები	95
ვაჰაგან შარაზადიშვილი — ლექსები	96
ვახტანგ — ლექსები. თარგმანი ე. ჯაფარიძისა	98
კონსტანტინე პაუსტოვსკი — ოქროს ვარდი. გაგრძელება. თარგმანი გუგუშვილისა	102
ნიკოლოზ — ჩვენი ძველი ვიქტორი. ბიოგრაფიული რომანი. გაგრძელება	114

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

გიორგი ნატროშვილი — ცხოვრების უზაბუღი	135
ნოდარ რუხაია — „ჯგუფი 47“	146



პახტანა ჯაოშვილი — ხალხთროსახლოება და პროგრესი	156
ფილიპე ბერიძე — ლირიკული თქმობების ეპოქა	165
ქეთევან ბურჯანაძე — ზრიბოლ ორბელიანის თარგმანები	169
ვლადიმერ გავუა — ზრმოლა უმალესი განათლებისათვის რეკომენდაცია	176
დედ სტარტოველი	182
მანანა ასათიანი — იოსებ თბილელის გიოგრაფიკისათვის	188
ღია წიხილი	188

156  
165  
169  
176  
182  
188

მთავარი რედაქტორი ელგუჯა შალრაძე

სარედაქციო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გაშენარდაშვილი, შ. ლებანიძე, ბ. ფლენტი, ა. სულაყური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/შგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, დ. შენგელია, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, რ. ჭაფარიძე, გ. ჭიბლაძე.

ტექნიკური რ. ჩაკვატაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 31/X-68 წ.  
ქალღმის ზომა 70x108. ანაწყობის ზომა 71/4x121/2. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უე 02550. ტირაჟი 9.600. შეკე. № 3296.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ბეღეფონები: რედაქტორის — 98-55-11, პ/შგ. მდივანის — 98-55-18, განყოფილებების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა თბილისი, ლენინის ქ. № 14.



## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს!

ქართული ხალხი დიდი ზეიმით იხდის თავისი სახელოვანი პირშმოს, უმაღლესი განათლების უდიდესი კერისა და ღვაწლმოსილი ვეტერანის—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

მსოფლიოში მწკლად მოიძებნება კულტურისა და განათლების კერა, რომელსაც ისტორიისათვის ასე მოკლე დროის მანძილზე იმდენი დირწეული საქმე გაეკეთებინოს თავისი ვრისათვის, წინამდენც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გააკეთა. მან არამარტო ბრწინვალედ განახორციელა ქართული ხალხის სანგრძლივი გამოცდილება უმაღლესი განათლების, მოულოდულო კოლხეთის, გელათისა და იუალითის აკადემიების, არამედ, იგი მისაბამი შატალითიც შეიქნა თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიოს მრავალი უნივერსიტეტისათვის. ამან განაპირობა თბილისის უნივერსიტეტის ჭეშმარიტად მსოფლიო რეზონანსი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაზრდილი და დაეაყვავებული თბილისის უნივერსიტეტი მშობელი ღედა გახდა თითქმის ეკვლა უმაღლესი სასწავლებლისა, რომლებიც ამჟამად საქართველოს რესპუბლიკას აშშეენებენ და ჩვენს ახალგაზრდობას დრმა მეცნიერულ ცოდნას აძლევენ. თბილისის უნივერსიტეტი რომ არ ვოფილიყო, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ვერ შეიქმნებოდა.

თბილისის უნივერსიტეტი გადაიქცა მთელი ქართული მეცნიერებისა და კულტურის სიმბოლოდ!

ნახევარი საუკუნის მანძილზე უნივერსიტეტის მიერ აღზრდილი ათი ათასობით მაღალკვალიფიციური კადრები უდიდესი წარმატებით მუშაობენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის ეკვლა ღარგში, ბევრი მათგანი სახელოვნად შეთაურობს თანამედროვე მეცნიერების აღიარებულ სკოლებს.

თბილისის უნივერსიტეტმა დიდი როლი შეასრულა ქართული ლიტერატურის განვითარებაში. მის კვლებში აღიზარდა ქართული საბჭოთა მწერლობის მრავალი გამოჩენილი წარმომადგენელი.

დღევანდელი იუბილე მართლაც საოველთაო-სახალხოა, მთელი ერის დიდი ზეიმი!

ღა ამ საზეიმო, სასახარული ღღებში, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, ჩვენ ერთხელ კიდევ დიდი საეიარულითა და პატივისცემით ვიხსენიებთ თბილისის უნივერსიტეტის პირველ დამაარსებლებს, რომლებსაც ივანე ჯავახიშვილი ედგა სათავაში; დიდი საეიარულითა და პატივისცემით ვიხსენიებთ უნივერსიტეტის პირველ რექტორს პეტრე მელიქიშვილს, პროფესორ-მასწავლებელთა პირველ ფორუმს, ეკვლა იმ სახელოვან ადამიანს, ვინც თავისი ნიჭით, შრომით, პარტიოტული თავდადებით ვისახურა უმაღლესი განათლების ამ დიდ კერას ნახევარი საუკუნის მანძილზე.

მთელ ქართველ ხალხთან ერთად ჩვენ მზურვალედ მივუხალმობით თბილისის უნივერსიტეტის კოლექტივს, რომელიც საუნივერსიტეტო განათლებას ასე წარმატებით

ადღევს მოსწავლე ახალგაზრდობას; მივესალმებით უნივერსიტეტის ნიჭიერ სტუდენტობას, რომელიც თანამედროვე რთული მეცნიერების დრამად დაუფლებასთან ერთად მკვლევარულ ენობაზე იმადღებს თავისი იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონეს.

გუნდვებით მას—ქართული მეცნიერებისა და კულტურის სახელოვან პედროშეს—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ახალ დიდ გამარჯვებებს!

ახალი და დიდება ჩვენს საუკავრელ, საამაუო იუბილარს—მშობლიურ უნივერსიტეტს!

უურნალ „მნათობის“ ხარედაქციო  
კოლეგია და რედაქცია

## ქართული კულტურის დღესასწაული

50 წლის წინათ ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით განხორციელდა ჩვენი ხალხის დიდი ხნის ოცნება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება იმდროისათვის ჩვეულებრივი მოვლენის ფარგლებს ცილდებოდა და ჩვენი ხალხის ისტორიის ახალი ეტაპის დასაწყისს მოასწავებდა.

ნახევარი საუკუნე ვავიდა უნივერსიტეტის დაარსების დღიდან. ნახევარი საუკუნე საერთოდ დიდი დრო არ არის და მით უფრო მეცნიერებათაათვის. მეცნიერულ კვლევას, ახალი სკოლების შექმნასა და ჩამოყალიბებას დიდი დრო და ტრადიცია სჭირდება.

მაგრამ ჩვენი უნივერსიტეტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დროის ამ მცირე მანძილზედაც მან მყარი საფუძველი შეუქმნა ქართული მეცნიერების განვითარებას, მხარი გაუსწორა მსოფლიო მეცნიერების საუკეთესო დონეს და თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მეცნიერების მრავალი დარგის ბევრ პილწევაში. ქართველი ხალხის ბუნებრივმა ნიჭიერებამ, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ასპარეზი და გასაქანი არ ჰქონდა, სწორედ თბილისის უნივერსიტეტში ვაშალა მძლავრი ფრთები.

ჩვენი ინსტიტუტები და სამეცნიერო დაწესებულებები, რომლებიც უნივერსიტეტის ღვიძლი შვილები არიან და რომლებითაც მოფენილია ჩვენი რეპუტაცია, თავიანთ მნიშვნელოვან სიტყვას ამბობენ მეცნიერების ყველა დარგში. უნივერსიტეტი არა მარტო სპეციალისტებს უზრდის ჩვენს ქვეყანას. აქ იზრდებიან და ვაყვავდებიან ქართველი ხალხის შემოქმედი ძალებიც. ქართული მწერლობის უკანასკნელი თაობები სწორედ უნივერსიტეტის პირმშობები არიან და ისინი არა მარტო თავიანთი განათლების გამო უმადლიან უნივერსიტეტს, არამედ იმ განსაღი პატრიოტული სულის გამოც, რომლითაც ისინი ქართული მეცნიერების ტიტანმა აღზარდა.

ქართული მწერლობა ამჟამს უნივერსიტეტის მიერ აღზრდილი ათასობით სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მაღალი კვალიფიკაციით. მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია ქართული და მისი მონათესავე ენების, მრავალსაუკუნოვანი მშობლიური ლიტერატურის შესწავლისა და კვლევის მასშტაბი და მაღალი დონე.

თბილისის უნივერსიტეტი დიდხანია ჩვენი სულიერი ცხოვრების განუყრელ ნაწილად იქცა. იგი ქართველი ხალხის სიბრძნისა და გონების, მისი დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობის საუკეთესო გამომხატველია და ქართვე-

ლი მწერლების სურვილია, სულ უფრო მაღლა გაბრწყინდეს ეს დიდი ჩიჩქა-  
დანი ჩვენი ცოდნისა და განათლების, ნიჭისა და შემოქმედებისა.

გრიგოლ ავაშიძე

მწერალი

სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

## მეცნიერების უძრობი ცეცხლი

განუსაზღვრელია ჩვენი სიყვარული ჩვენი მშობლიური უნივერსიტეტისადმი; მისი აღზრდილების სიყვარული ზომ მით უფრო.

იგი სულ რაღაც რვა წლისა იყო, როცა მე მის კარებს მივაღექი, „სიბერძნის მეტყველების ფაქულტეტზე“.

კათედრებსა და საკურსო საგნებს ჯერ კიდევ სათავეში ედგნენ თვით უნივერსიტეტის დამაარსებლები: ივანე ჭავჭავაძე, კორნელი კეკელიძე, დიმიტრი უზნაძე, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, გიორგი ახვლედიანი, გიორგი ჩუბინაშვილი, გრიგოლ წერეთელი... ჯერ კიდევ ჯანდონით, ახალგაზრდული ენერჯით სავსე მეცნიერები. ახლებურად სწავლებას ექსპერიმენტები ჯერ დაწყებული არ იყო და ლექციები ძველებურად, კლასიკურ ფორმაში მიმდინარეობდა.

მეცნიერებაში შედიოდნენ ახალი ძალები. ის-ის იყო თავის პირველ ლექციებს კითხულობდნენ: სიმონ ჯანაშია, არნოლდ ჩიქობავა, კოტე ბაქრაძე, ვარლამ თოფურია, სიმონ ხუნდაძე, ბიძინა რამიშვილი, მოსე გოგიბერაძე...

ყველა დარგის უმაღლესი სწავლება მაშინ მხოლოდ უნივერსიტეტის შენობაში იყო თავმოყრილი და ჩვენც, სტუდენტებიც, ჩვენი საგნების გარდა, სხვა საგნებშიც ვესწრებოდით ლექციებს სურვილისამებრ. ქიმიის, ფიზიკის, მათემატიკის, ეკონომიკის ფაქულტეტებიდან ბევრი სტუდენტი ესწრებოდა ივანე ჭავჭავაძის, დიმიტრი უზნაძის, შალვა ნუცუბიძის ლექციებს.

უნივერსიტეტს მაშინ არ გააჩნდა საერთო საცხოვრებელი და საგნებს ბევრი ჩვენგანი სასაფლაოებზე ვამზადებდით ხოლმე გაზაფხულზე. მე ვერის სასაფლაოზე დავდიოდი, ახლანდელ კიროვის ბაღში. იქ ესვენა დანიელ ჭონქაძე, ლაერენტი არდაზიანი და გიორგი ქუჩიშვილის დედა. ჩვენ მათ მუდროებას არ ვურღვევდით და იქვე, გვერდით, პირველ მსოფლიო ომში დაღუპულ ვიღაც რუსი გენერლის ძეგლთან ვისხედით ხოლმე. სასაფლაოზე სანიმუშო წესრიგი და სიმშვიდე სუფევდა. და მე ამ სამარადისო ძილით დამცხრალი გენერლის საფლაოც მაგონებდა, მგონი, ლესინგის სიტყვებს:

«Вечный мир возможен только на кладбище».

ტრამვაის ხაზი ზედ უნივერსიტეტის წინ მთავრდებოდა. აქვე თავდებოდა ქალაქიც. ახლანდელი ვაკის დასახლება მაშინ ჯერ კიდევ ხსენებაშიც არ იყო. დღეს ვერც კი წარმოიდგენთ, როგორი იყო მაშინ ვარაზისხევი, მთელ მანძილზე, და განსაკუთრებით უნივერსიტეტის წინ. იგი ნამდვილად დიდი სანაგვეე ყუთი იყო, რომელსაც დროდადრო რეცხდა ხოლმე გაზაფხულის წვიმები და ნიაღვრები. მე მაშინ ვარაზისხევი ვცხოვრობდი, იქ, სადაც ახლა დიდი სახლებია წამოქიმული, ახლანდელი მშვენიერი ხიდის ძირას.

მაგრამ ეს მოგონებები სხვა დროს...

სულითა და გულით მივულოცავ ჩვენს სახელოვან იუბილარს ამ დღე-

ბულ დღესასწაულს, დაარსებიდან ორმოცდაათი წლის შესრულებას. ეს მისთვის მხოლოდ სიჭაბუკის წლებია. მსოფლიოს დიდი უნივერსიტეტები არსებობის ასეულ წლებს ითვლიან... მაგრამ ჩვენს უნივერსიტეტს კეთილმოიყვანილი იუბილე, მისი დიდი ეროვნული მნიშვნელობის გამო.

ეს მნიშვნელობა კი განუსაზღვრელია, შეიძლება უფრო დიდიც და მეტიც, ვიდრე შემდეგ მეცნიერებათა აკადემიის დაარსების მნიშვნელობა. მან, უნივერსიტეტმა, პირველმა მოუყარა თავი საქართველოში ჩვენს სამეცნიერო ძალებს და შეიდასი წლის წინ დანგრეულ და ჩამჭრალ ქართული აკადემიების კერაზე კვლავ აღანთო მეცნიერების უქრობი ცეცხლი.

### ირაკლი აბაშიძე

პოეტი-აკადემიკოსი, შოთა რუსთაველის  
პრემიის ლაურეატი

## ტფილისურ სახელმწიფო უნივერსიტეტის გაბნევიცნის რექტორის აკადემიკოსის წილია ვიკუხსადმი

გულმხურვალედ ვულოცავ ჩვენს სახელოვან უნივერსიტეტს, მის რექტორს, პროფესორებს, მთელს პედაგოგიურ პერსონალსა და სტუდენტ ახალთაობას სასახელო იუბილეუმს.

ჩერ კიდევ 1917 წელს უნივერსიტეტის დაარსებამდის აკადემიკოსი ნიკო მარტი მოითხოვდა ტფილისში დაეარსებინათ ისეთი უნივერსიტეტი, რომელშიაც სწავლება უნდა წარმართულიყო რუსულად.

მე დაუყოვნებლივ გავილაშქრე ნიკო მარტის ყოვლად შეუწყნარებელი წინადადების წინააღმდეგ ჩვენს პრესაში.<sup>1</sup>

მერმე ის იყო დიდმა მეცნიერმა და სახელოვანმა მამულიშვილმა პროფესორმა ივანე ჯავახიშვილმა გარს შემოიკრიბა მეცნიერები და ამ დიდ საქმეს საფუძველი ჩაუყარა.

ქართული უნივერსიტეტის დაარსების წინააღმდეგ ვილაშქრა კერენსკიმ და იმჟამინდელმა რეაქციულმა მთავრობამ, მაგრამ პროფესორი ივანე ჯავახიშვილი არ შემკრთალა. მან ენერგიული ბრძოლის შედეგად მიადწია კიდევაც ოდითგანვე დასახულ მიზანს, ბოლოს ის იყო, ქართველ ხალხს ეღივრა ეროვნული უნივერსიტეტი.

განათლების ეს ბრწყინვალე კერა მოემსახურა არა მარტო საქართველოს, მთელი კავკასიის მოსწავლე ახალგაზრდობას.

ივანე ჯავახიშვილს მხარში ამოუდგნენ სახელოვანი ჩვენი მეცნიერები: პეტრე მელიქიშვილი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, დიმიტრი უზნაძე, შალვა ნუცუბიძე, ანდრია რაზმაძე, არნოლდ ჩიქობავა, სიმონ ყაუხჩიშვილი, ვარლამ თოფურია, გიორგი ახვლედიანი, პედაგოგების მთელი პლეადა.

დიდ წარმატებებს მიადწია ჩვენმა უნივერსიტეტმა, მთელს კულტურულ მსოფლიოში სახელი გაითქვეს ჩვენმა მეცნიერებმა. მათი შრომები ითარგმნება რუსეთისა და ევროპის ენებზე.

უმადლესი განათლების ამ კერას მრავალი საუკუნის წინ ჰქონდა დიდი

<sup>1</sup> იხ. ჩემი მერვე ტომი, „ტროსკის ცხენი“.

ტრადიციები. იგულისხმება გელათისა და იყალთოს აკადემიები, რომელთაც საძირკველი ჩაუყარა სულმნათმა დავით აღმაშენებელმა ჯერ კიდევ მეფეთრთმე-  
ტე საუკუნეში.

გაუმარჯვოს მეცნიერების ბრწყინვალე კერას ტფილისურ სახელმწიფო უნივერსიტეტს! დეე, მარადის ანათებდეს მისგან გამოვლენილი შუქი როგორც ჩვენი, საქართველოს, ისე მთელი საბჭოური ხალხების მოზარდ თაობებს!

გაუმარჯვოს ჩვენ სახელოვან იუბილარს!

### კონსტანტინე გამსახურდია

მწერალი-აკადემიკოსი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

## ჩვენი პროვინული დიდება

ქართულ უნივერსიტეტს ორმოცდაათი წელიწადი შეუსრულდა. ეს ჩვენი დიდი ეროვნული დღესასწაულია. ნახევარი საუკუნის წინათ ასრულდა ქართველი ხალხის დიდების ოცნება. საუკუნეთა განმავლობაში არსებობისათვის ბრძოლაში მრავალი ვასაჟირის გადამტანმა ქართველმა ხალხმა თავისუფლების მოპოვების პირველ დღეებშივე ცხადპყო თავისი ენერგია და ტალანტი.

როგორც ყინულის საფარველქვეშ არ წყდება მდინარეში სიცოცხლე და, ვადაიწმინდება თუ არა ზედაპირი, მაშინვე გამოჩნდება მისი ანკარა დინება, ისე გამოჩნდა უნივერსიტეტის გახსნისთანავე ერის სიცოცხლისუნარიანობა.

უნივერსიტეტის დაარსებას ჩვენი ხალხი სულიერად და ინტელექტუალურად მომზადებული შეხვდა. ის, თურმე, ისტორიული აუცილებლობა და კანონზომიერება იყო. ნამდვილ სასწაულს ჰგავდა ის ამბავი, რომ ჩვენს ხალხს უკვე საკმაოდ ჰყოლოდა თავისი ეროვნული მეცნიერული კადრები. ისე იყო, თითქოს ისინი ჩასაფრებული ყოფილიყვნენ და მხოლოდ ელოდებოდნენ იმ დღის გათენებას, როცა დიდ ეროვნულ სარბიელზე გამოსვლის დრო დადგებოდა. რა განუზომელი იყო ჩვენი სიზარული, როცა დავინახეთ, რომ მეცნიერების ყველა დარგში ჩვენ, თურმე, არა ერთი და ორი დიდი სწავლული გვეყავდა! რამდენი ბრწყინვალე და უკვდავი სახელი ჩამოვთვალო! მაგრამ ვინ არის ისეთი, რომ მათი სახელები არ იცოდეს! და განა მარტო ჩვენს ქვეყანაში, შორს, ჩვენი საზღვრების გადამაღაც!

ის გარდატეხა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, ის შედეგი, რომელიც უნივერსიტეტის არსებობამ მოგვცა, ჭეშმარიტად განუზომელია. ორმოცდაათი წლის მანძილზე მან აღზარდა ათეული ათასობით სპეციალისტი, რომლებიც დღეს შრომობენ ჩვენს ქარხნებში, ფაბრიკებში, სოფლის მეურნეობაში, სამეცნიერო დაწესებულებებში, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში.

ჩვენი უნივერსიტეტი დღეს, როგორც თანასწორუფლებიანი, მხარში უდგას მსოფლიოს ყველა სახელგანთქმულ უნივერსიტეტს, ჩვენი მეცნიერება დღეს მსოფლიო სარბიელზეა გამოსული და შარავანდელით მოსავს ქართველი ერის სახელს.

თბილისის ქართულმა უნივერსიტეტმა დაუმტკიცა და დაანახვა ყველას, რომ დიდი უნარის მქონეა ჩვენი ხალხი და რომ ქართველ ერს სრული უფლება აქვს იდგეს იმათ შორის, ვინც მსოფლიოს ნათელ მომავალს უმზადებს.

დიდება მათ, ვინც ხორცი შესხა ქართველი ხალხის სანუკვარ ოცნებათ/ დიდება მათ, ვინც ფართოდ გაუხსნა უნივერსიტეტის კარები ჩვენს ახალგაზრ- დობას! დიდება მათ, ვინც გუშინ იღწვოდა და დღეს იღწვის ჩვენთვის ამ ძველ ფას და საყვარელ ტაძარში დიდება მათ, ვინც მისი შუქით ნათელი მოძველი- საყენ გზას უნათებს ქართველ ერს!

სირგო კლიაშვილი  
მწერალი

## უძრობი ჩირაღდანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იუბილე ქართველი ხალხის დი- დი ეროვნული დღესასწაულია. ნახევარი საუკუნის წინათ, ოქტომბრის დია- დი ეპოქის ამობრწყინებასთან ერთად, ანათო ჩვენი სულიერი კულტურის ეს უქრობი ჩირაღდანი, რომელმაც აღორძინა და განაახლა საუკუნეთა სიღრ- მიდან მომდინარე სახელოვანი ტრადიციები ქართული მეცნიერული აზროვ- ნებისა და უმაღლესი განათლებისა, საკმარისია მარტო გელათისა და იყალ- თოს აკადემიათა ვახსენება, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რაოდენ ძვე- ლი და მდიდარია ეს ტრადიციები, რომლებიც ვერ ჩაახშო ვერც უცხოელ დამპყრობელთა სისხლიანმა შემოსევებმა, ვერც თვითმპყრობელობის ბარბა- როსულმა კოლონიზატორულმა პოლიტიკამ.

ძაგრამ ქართველი ხალხის შემოქმედებითი გენიის, მისი უშრეტი სულიე- რი ენერჯის მთელი ძალდონით ამოქმედება, თავისუფალი და შეუფერხებე- ლი აღმავლობა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ჩვენს ნათელ ეპოქაში. ამგვარი ყოვლისმომცველი აღორძინების საუკეთესო გამოხატულებაა თბილისის სა- ხელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის კეთილწყაფელი შემოქმედებით დრმად არის აღბეჭდილი თანამედროვე საქართველოს მატერიალური და სულიერი ცხოვრების გამოუკლებლივ ყოველი დარგის განვითარება. შეიძლება გადაუ- ქარბებლად ითქვას, რომ ჩვენი დროის მთელი მოაზროვნე და შემოქმედი სა- ქართველო აღზრდილი და გამოწრთობილია თბილისის უნივერსიტეტის მიერ.

განუზომელი და ფასდაუდებელია ჩვენი ეროვნული კულტურის ამ უქ- ძლავრესი კერის დამსასურება, კერძოდ, თანამედროვე ქართულ მწერლობის წინაშე. ქართული საბჭუთო ლიტერატურის შამოძრავებელ ძალთა დიდი უმრავ- ლესობა სწორედ უნივერსიტეტის კედლებშია ნაზიარები მაღალ პროფესიულ კულტურას, ნათელ პატრიოტულ და ჰუმანისტურ შეგნებას, კეთილშობილურ მოქალაქეობრივ და ზნეობრივ იდეალებს. უნივერსიტეტმა აღუზარდა და გა- ნუშხადა ქართულ მწერლობას მაღალი გემოვნებისა და მრავალმხრივი სულიე- რი ინტერესების მკითხველთა ფართო აუდიტორია, რომლის გარეშეც შეუქ- ლებელი იქნებოდა ლიტერატურის განვითარების ასეთი ტემპი და მასშტაბე- ბი, მისი ასეთი სისხლხორცეული კავშირ-ურთიერთობა ცხოვრებასთან, სა- ზოგადოებრივ სინამდვილესთან, ხალხის სულიერ სამყაროსთან.

უნივერსიტეტის კედლებში ჩამოყალიბდა მწყობრ მეცნიერულ დისციპ- ლინად ქართული ფილოლოგია, მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის მარქსისტულ-ლენინური ისტორია, ესთეტიკური აზროვნება და ლიტერატუ- რის თეორია, რამაც დიდად განაპირობა ჩვენი მწერლობის წარმატებანი, მი- სი სწორი ორიენტირება მხატვრული აზროვნებისა და შემოქმედების ურთუ- ლეს საკითხებში.

უნივერსიტეტის წიაღიდან უწყვეტ ნაკადად შემოდინ ქართულ მწერლობაში ახალი და ახალი შემოქმედებითი ძალები, რომლებიც თემებისა და სახელების ახალი სამყაროთი, მხატვრული პერსონაჟების ახალი საშუალებებით აღჭურვებენ და ამრავალფეროვნებენ მშობლიურ ლიტერატურას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის მუშაობა, რომელიც ოც წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში განუწყვეტლივ წარმოებს უნივერსიტეტის რექტორატის, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების, პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივისა და მთელი სტუდენტობის აქტიური დახმარებისა და მზრუნველობის ვითარებაში.

ამ წრეში და მისი პერიოდული ორგანოს, აღმანახ „პირველი სხვიის“ ფურცლებზე მიიღეს პირველი შემოქმედებითი ნათლობა და წართობა ახალგაზრდა პოეტების, პროზაიკოსების, დრამატურგების, მხატვრული თარგმანის ოსტატების, ლიტერატურისმცოდნეებისა და კრიტიკოსების მთელმა თაობამ, რომელიც ახლა ქართული მწერლობის ძირითად მამოძრავებელ ბირთვს შეადგენს და რომლის შემოქმედებითი მოღვაწეობის გაუთვალისწინებლად ყოველად შეუძლებელია მსჯელობა თანამედროვე ქართული ლიტერატურის შესახებ.

განა შეიძლება წარმოვიდგინოთ ომისშემდგომი პერიოდის ქართული პოეტური კულტურა იმ დიდი და ძვირფასი შემოქმედებითი წვლილის გარეშე, რომელიც შეაქვთ ჩვენი პოეტური ხელოვნების საგანძურში ანა კალანდაძეს, მუხრან მაჭავარიანს, ოთარ ჭილაძეს, შოთა ნიშნიანიძეს, თამაზ ჭილაძეს, ჯანსუღ ჩარკვიანს, ნოდარ გურუშიძეს, ტარიელ ჭანტურიას, გივი გეგეჭკორს, ემზარ კვიციანიშვილს, ვახტანგ ჯავახიძეს, ნაზი კილასონიას, მედეა კახიძეს, ლიანა სტურუას, აკაკი გეგეძეს, ჯანსუღ ნიჭიბაძეს, ზაურ ბოლქვაძეს, რეზო ამაშუკელს. დილარ ივარდავას, ნელი გაბრიძიძეს და მრავალ სხვას. სხვადასხვაგვარია თვითონული მათგანის პოეტური სამყაროც, ნიჭიერებისა და მხატვრული ოსტატობის დონეც, პოეტური ხმაც და ხელწერაც. მაგრამ ახალი ქართული ლექსის ნიჭიერ ოსტატთა მთელი ეს ანსამბლი თავისი შთაგონებული შრომით ძირითადად განსაზღვრავს ქართული პოეტური ხელოვნების დღევანდელს და, მიუთუმეტეს, ხვალისდღელ დღეს.

თუ ქართული მწერლობის განვითარების დღევანდელი პროცესისათვის დამახასიათებელია მხატვრული პროზის ყანრების დაწინაურება და იმ დისპროპორციის დაძლევა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა ქართულ პოეზიასა და პროზას შორის, ამაში უდავოდ დიდი ღვაწლი მიუძღვის ბელეტრისტთა იმ ახალ თაობას, რომელმაც „პირველი სხვიის“ ფურცლებზე აიდგა ფეხი. ესენი არიან: რევაზ ჯაფარიძე, ნოდარ დუმბაძე, არჩილ სულაჯაური, რევაზ ინანიშვილი, თამაზ ჭილაძე, რეზო ჭეიშვილი, მერაბ ელიოზიშვილი, გურამ გეგეშიძე, თენგიზ გოგოლაძე, გურამ გოგიაშვილი, გიორგი ლაბაძე და სხვ. მათმა რომანებმა, მოთხრობებმა და ნოველებმა დიდი სიახლე და მრავალფეროვნება შეიტანეს ქართულ მწერლობაში. საკმარისია თუნდაც იმის აღნიშვნა, რომ ამ ბელეტრისტთა სახელებთან არის დაკავშირებული ქართულ მხატვრულ პროზაში ქალაქური ყოფის, ჩვენი ინტელიგენციის, ახალგაზრდობის შრომითი და სააზროვნო ცხოვრების თემატიკის ხვედრითი წონის გაზრდა, გადალახვა იმ ხანგრძლივი ცალმხრივობისა, როდესაც ქართული პროზა მხოლოდ სოფლური თემატიკით იყო შემოფარგლული. უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრეში დაიწყო შემოქმედებითი ცხოვრება ნაადრევად ჩამქრალმა ისეთმა ნიჭიერმა ახალგაზრდებმა, როგორებიც იყვნენ გურამ რჩეულიშვილი და ნოდარ ჩხეიძე.

თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ თანამედროვე ქართული დრამატული მწერლობის განვითარებაში გიორგი ხუბაშვილსა და აკაკი გეწაძეს, რომლებიც პირველად მკითხველთა საზოგადოების წინაშე „პირველი სხივის“ მწვეთარბის წარდგინეს. დიდად ნაყოფიერად მუშაობენ მხატვრული თარგმანის დარგში თამაზ ჩხენკელი, მაგალი თოდუა, ვახუშტი კოტეტიშვილი, გურამ გოგიაშვილი, ჯორჯანულები და სხვ., რომლებმაც უცხოური ლიტერატურის მრავალი საუკეთესო ნიმუშით გაამდიდრეს ქართული წიგნის თარო.

დიდ მცენიერულსა და ლიტერატურულ-კრიტიკულ მოღვაწეობას ეწევიან ახალი თაობის ის ლიტერატორები, რომლებიც წლების განმავლობაში მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის მუშაობაში. ესენი არიან: მაგალი თოდუა, ზურაბ ჭუმბურიძე, თენგიზ ბუაჩიძე, გიორგი ხუბაშვილი, გივი ვარდოსანიძე, რევაზ თვარაძე, ტარიელ კვანცილაშვილი, რომან მინიოშვილი და სხვები.

ცხადია, ამ წერილის ფარგლებში ჩვენ არავითარი პრეტენზია არა გვაქვს, რომ თუნდაც ზოგადად და მიხსლოებით დაეახასიათოთ და შევაფასოთ შემოთღასახელებული პოეტების, პროზაიკოსების, დრამატურგების, მხატვრული თარგმანის ოსტატების, კრიტიკოსებისა და ლიტერატურისმცოდნეების შემოქმედებითი მოღვაწეობა. თვით ეს ჩამოთვლა და დასახელება არ არის სრული და ამომწურავი. მაგრამ თავისთავად ამ სახელების ერთობლივად გახსენება ნათელ წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ, თუ რაოდენ მაღალნიჭიერი ცვლა და შევსება მისცა დღევანდელ ქართულ მწერლობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ არამარტო საქართველოში, არამედ მთელ ჩვენს საბჭოთა საშრობლოში არ არსებობს დამწყებ ლიტერატორთა ისეთი შემოქმედებითი გაერთიანება, რომელსაც ესოდენ ძვირფასი წვლილი შეჰქონდეს თავისი ეროვნული მწერლობის განვითარებაში.

ახლა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვანი ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს დღეებში, გამოიკა აღმანახ „პირველი სხივის“ მორიგი ახალი წიგნი, რომელიც კიდევ რამდენიმე ნიჭიერ ახალგაზრდა მწერალს წარუდგენს მკითხველ საზოგადოებას.

ის ჭანსალი და ცხოველმყოფელი შემოქმედებითი ატმოსფერო, რომელიც განუყოფლად სუფევს ჩვენი უნივერსიტეტის მოღვაწეობის ყოველ დარგში, არის უპირველესი საფუძველი და საწინდარი, კერძოდ, უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის თვალსაჩინო წარმატებისა.

ჩვენი დედაქალაქის შუაგულში ამაყად და მომხიბლველად დგას თეთრი შენობა, რომელსაც ხალხმა „მცენიერების ტაძარი“, „სკოლის ჩირაღდანი“ შეარქვა. დიდი სასიყვარულო და რწმენით აშენებდა ამ „ტაძარს“ მოწინავე ქართველი ინტელიგენცია უკვდავი ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, რომელიც ცარისტული რეაქციის სუსხიან ხანაში შთაგონებულად ოცნებობდა ქართული უმაღლესი განათლების აღორძინებაზე, ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებაზე.

ლაღად აღმართული ამ თეთრი თაღებიდან სინათლის, სიკეთის, სისპეტაკის შუქი ეფინება მთელ საქართველოს, წვდება და ეუფლება ქართველი ხალხის გონებისა და გულის, მისი მთელი სულიერი ცხოვრების სიღრმეებს. იგი კაშკაშებს ნათელი გონიერებისა და სულიერი მშვენიერების უქრობ ჩირაღდნად.

დაე, მარად ენთოს ეს ჩირაღდანი!

ბასარიონ ქლენტი

მწერალი

ჩ ვ ე ნ ი დ ე დ ა



ჩემი ბავშვობა მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ თეთრ შენობასთან, რომელსაც ერთ დროს სათავადაზნაურო გიმნაზია ეწოდებოდა და დღეს შიგ ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტია მოთავსებული.

ჭადრები, მის წინ რომ შრიალებენ, ამ თეთრი სახლის ამშენებელმა ნიკო ცხვედაძემ მაშინ ჭერ კიდევ პირველკლასელ მოწაფეებს დაგვარგვევინა, ერთი მათგანი ჩემი დარგულიცაა. ჩვენ და ეს ხეები ერთიმეორის თვალწინ ვიზრდებოდით. ჩვენ ვსწავლობდით, ისინი კი შრიალებდნენ.

და დღეს, როცა ამ დიდებულ შენობას ჩაუვლელი ხოლმე, გული უნებლიედ შემიტოკდება. შევდგები და არ შემიძლია გრძნობით არ ავხედო მის თეთრ კედლებს, არ შემიძლია არ წარმოვიდგინო, ან არ შევიარო იმ აუდიტორიებში, სადაც ერთ დროს ჩვენი კლასები იყო მოთავსებული.

არ შემიძლია წუთით არ შევდგე ამ ჭადრების ჩრდილქვეშ, არ მივეალერსო, ხელით თუ არა, თვალთ მანძი იმ ჩემ ნარგავს, რომელიც დღეს უზარმაზარ ხედ ქცეულა.

გუშინდელ დღესაც მახსოვს ის ზამთრის დილა, ატირებულნი, ფეხსაცმელების საწმენდი „ვაქსით“ ხელუბდასკრილნი და გათოშილები რომ მივედით სკოლაში. როგორც, საერთოდ, ყველა გიმნაზიელი, ჩვენც თეთრკანტიან ფორმის ქუდს ვატარებდით. ეს თვალში არ მოსდიოდათ დამპყრობლებს, ვილაც „ტუშმეცები“ რად ვატარებდით საერთო ფორმას, და, აი, „შემელთან“ ტრამევის ვაგონში ზურგზემოკიდებულ ჩანთით რომ ავდიოდი, გოროდოვოიმ ხელი მტაცა და პოლიციაში გამაქანა. საპოლიციო განყოფილება ეხლანდელ მელიქიშვილსა და ლენინის ქუჩების გასაყართან იყო მოთავსებული. იქ აუარებელ მოწაფეებს მოეყარათ თავი. თან ტიროდნენ და თან თითებით შავად თითხნიდნენ მელანში გახსნილი „ვაქსით“ თეთრკანტიან ქუდებს. პოლიციის პირველი სუსხი მაშინ ვიგრძენი. მას შემდეგ კიდევ უფრო მეჭავრება, მძულს ყოველი დამპყრობი და მოძალადე. აქ, ამ შენობაში ვეზიარე მე სამშობლოს სიყვარულის ტყბილ გრძნობას მთელი შეგნებით. აქ მუშაობდნენ დარაჯებად ნიკო ცხვედაძის სოფლელები, კავთისხეველი გლეხები. ჩვენი ყურისმგდებლები შესვენების დროს ისინი იყვნენ და ჩვენც მამასავით გვიყვარდა ისინი. მეც მიყვარდა არა მხოლოდ ისინი, არამედ თვით კავთისხევეიც, სადაც ხშირად ავდიოდი ხოლმე ჩემ მეგობარ არჩილ მექანარიშვილთან. მთელი დღეები ბაღში ვისხედით და წიგნს ვკითხულობდით, ვდაობდით.

ბავშვები ვიყავით და თავი მოგვჭონდა იმითაც, რომ ჩვენი დარაჯი ტარასა, შვეიცარიის ლივრეაში რომ გამოეწყობოდა და ულვაშებს გადაიგრებდა, მაშინ ის ტარას ბუღბას არა მხოლოდ სეხნია იყო.

გიმნაზია ქალაქკარეთ იყო მაშინ მოქცეული. ირგვლივ მინდვრები და ყანები იყო გადაშლილი. დიუნა ამბობს კოლხიდაში მეზავრობის გამო, რომ თთხ სტიქიას კოლხეთის ტალახების სტიქიაც უნდა მიეუმატოთო. მე კი დავძენ. ზედმეტი არ იქნება თუ ტალახის სტიქიას ვაკის ქარსა და მის ცაშიავარდნილ კორიანტელსაც დავუსართებთ. ეს ტალახი და ეს მტკვრი რა ქმა უნდა ახლა დაძლეულია.

მტკვრის მიზეზი აქ ისიც იყო, რომ ყველაფერი თათრის აგურხანებით იყო ათხრილ-დათხრილი. იმ დროს, როდესაც გუთნეული მიტატობდა და ოროველი იყო გაბმული, იქვე, სულ ახლოს, მეფისნაცვლის კონეოს ყახახები გაქა-

წებული ცხენებიდან მოქნეული ხმლით სხეპავდნენ მიწაში ჩარქობილ წებულს. მაშინ დამამახსოვრდა ყაზახური სიმღერა:

Ой-да в Таганроге,  
в Таганроге-да убили казака...

ბუნებრივია, თუ ბავშვებს დიდად გვართობდა ერთიც და მეორეც. გაკვეთილების შემდეგ კიდევ იმითმ ვიგვიანებდი შინ და მშობლებს გულს ვუხეიქავდი.

ჩვენი მეორე მშობლები იყვნენ: ალექსი ჭიჭინაძე, ალექსანდრე მდივანი, დავით კარიჭაშვილი, ლუარსაბ ბოცვაძე, სეთი იაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი, მხატვარი ალექსანდრე მრეველიშვილი, გიმნასტი გიორგი ეგნატაშვილი და სხვანი და სხვანი, რომელნიც, საგნებთან ერთად, კაცურ კაცობასაც გვასწავლიდნენ.

ეს დიდი პატრიოტები ჯერ კიდევ მაშინ გვიმხელდნენ ჩვენ, პატარა ბავშვებს თავის სანუკვარ ოცნებებს, გვიამბობდნენ, რომ ამ შენობაში უნდა გახსნილიყო მშობელი უნივერსიტეტი. ამ ოცნებაში აღვიზარდე მე და უფროს კლასებში, როცა მხატვრობით, ლიტერატურით და ისტორიით ვიყავი გატაცებული, ეს ოცნება, ცოტა არ იყოს, მართლა ოცნებად მიმაჩნდა. და რას წარმოვიდგენდი, თუ სულ მალე ამ რეალობაღქეუელ საოცნებო უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდებოდი და ჩემი სკოლის ამხანაგები აქ ლექციებს წაიკითხავდნენ.

მაშინ ბავშვი ვიყავი, მაგრამ მაინც მახსოვს გაკვეთილზე როგორ მოიტანა სიტყვამ ოპერის საკითხი და ზაქარია ფალიაშვილმა მოკრძალებულად გავვიმხილა თავისი ჩუმი ოცნება: ჩვენამდე მასწავლებელმა, პეტრე მირიანაშვილმა აბესალომისა და ეთერის ლიბრეტო დამიწერა და მაქვზებს თპერა დაეწერათ. ეს ფანტაზიაც, როგორც ვხედავთ, შემდეგ დიდებულ სინამდვილედ იქცა.

მე ვიცი, კარგად ვიცი, რა ძალა იყო ის ძალა, რაც მათ ამ ოცნებას აბედვინებდა. კარგად ვიცი რა ძალა იყო ის ძალა, რაც მათ ოცნებას რეალობად სახავდა. ეს მათი ურყევი პატრიოტული რწმენა იყო, არა, არა, ისინი მართლაც წმინდანები იყვნენ. წმინდანი იყო მა რა იყო ჩვენი ივანე, თვალგადაუწყვდენელი რუსეთის იმპერიაში მიკარგულ-მოკარგულ რაღაც ხუთიოდე პროფესორის იმედით რომ ცოცხლობდა და ამ იმედებს ბოლოს ფრთა შესასხა.

სად იყო მაშინ ქართული ოპერისათვის ოდნავ მაინც შესაფერი შენობა? სად იყო საოპერო მომღერალი? სად იყვნენ დამკვრელები. და აი ასეთ პირობებში ისეთი გრანდიოზული ოპერის შექმნა, როგორიც „აბესალომ და ეთერი“ იყო, მართლაც რომ სასწაულია, და ამ სასწაულების ჩამდენი წმინდანები არიან. მაშ რანი არიან?

ივანე ჯავახიშვილმა (და მისმა მარჯვენა ხელმა — იოსებ ყიფშიძემ) შეაახა ამ ოცნებას ლალი ფრთები. პეტრე მელიქიშვილმა იღო თავს პირველი ქართული უნივერსიტეტის რექტორობა.

თუ ივანე ჯავახიშვილი ლექციის კითხვის დროს, როგორც იტყვიან, ბრძოლის ველზე დაეცა სწორედ მაშინ, როდესაც უნივერსიტეტს აკადემიაც შეემატა, იოსებ ყიფშიძე უნივერსიტეტის გაფურჩქვნა-გაშლასაც ვერ მოეწრო და თითქმის მისი დაარსების წლებშივე დაიღუპა. ამ წუთს რომ ლექციას კითხულობდა, იმ წუთს საბარგო მანქანაზე დაინახავდით. უნივერსიტეტში მივხილდებოდა წიგნებს, კარადებს, მერხებს და ათასნაირ ინვენტარს სხვადასხვა საშუალო სასწავლებლებიდან.

ალ. ცაგარელი, ექვთიმე თაყაიშვილი, აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე.

დიმიტრი უზნაძე და სხვანიდასხვანი იყვნენ მიზეზნი იმისა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ხშირად იპარებოდა ყაზარმიდან. ჭარისკაცის ბუშლატჩეკმულებზე ვისხედით მათ ლექციებზე და სულგანაბლნი ვისმენდით. იმ დღეთა მოსაგონებლად დიდხანს ვინახავდი იოსებ ყიფშიძის ლექციას ჟუნაშვირზე, მაგრამ სამწუხაროდ ბოლოს მაინც საღდაც დაკვარე.

ყოველივე ეს დღეს ისტორიაა, დიდებული ისტორია. ამ ისტორიას სისხლით წერდა ჩვენი ქართველი ხალხი, ამ ისტორიაში ვიყავი მეც მოქცეული ჩემი ბავშვობისა და ჯეელობის დღეებით. ამიტომ მიმაჩნია ჩვენი მშობლიური უნივერსიტეტის, ჩვენი ალმა-მატერის დღესასწაული ჩემ პირად დღესასწაულად. სულითა და გულით ვუსურვებ ჩვენს მეცნიერებს დიდხანს სიცოცხლეს და უნივერსიტეტს კი წარმატებას, წარმატებას და კიდევ წარმატებას.

**აქმნა უნივერსიტეტი**

მწერალი

## აწმყოსა და მომავლის მძებლო...

მოგესალმები, აღმზრდელი დიდო ტაძარო, სიამაყევ ჩვენი კაცობისა, ქართველობისა, მამულიშვილობისა, უძველესი ქართული აკადემიების შუბნათელო მემკვიდრე, საშობლოს მოქირანახულე მამათა ხელით ავიზგიზებულო ბრიალა კოცონო, ერის აწმყოსა და მომავლის მჭედლო, წარსულის დამდასებლო და მექვე ქართული ეროვნული სულისა.

შევხარით შენს ძლიერებას, შენს გაფურჩქვნას, შენს ამაღლებას კაცობრიობის დიდ გადმოსახედზე.

შენს პერქვეშ კვლავ აღზრდილიყოს ახალი დროის ივანე ჯავახიშვილი და კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე და გიორგი ახვლედიანი, ანდრია რაზმაძე და ივანე ბერიტაშვილი, აკაკი შანიძე და დიმიტრი უზნაძე, გიორგი ლეონიძე და სიმონ ჩიქოვანი...

შენს კედლებში კვლავაც აღზრდილიყვნენ მადიდებლნი მშობელი მიწისა, საქშითა და არა სიტყვით. საუკუნეთა უსასრულობაში შორს გაგეტყორცნოს ის, რის გატანაც აქამდე გვაკლდა, საშობლოს თეთრო მტრედო, ქაროვლის დედის წმინდა მანდილის სიმბოლოვ!

**რეპაზ ჯაფარიძე**

მწერალი



იოსებ ნონეშვილი

## ს ა უ ნ ი ვ ე რ ს ი ბ ე ბ ო

თავშესაყართან დგახარ ყველა გზის,  
გვერდი ვერაფერს ვერ აგიაროს,  
ძველი იყალთოს, ძველი გელათის  
დიღბანს ნანატრო შვილო გვიანო.

მომენატრება შენი ალერსი,  
შენთან ჩურჩული, ფიჭვის განდობა.  
მოგინახულებ და შენს თაღებში  
შემხედება ჩემი ახალგაზრდობა...

დიახ, ეს მე ვარ... შენს მაღალ ბჭესთან,  
როგორც ტაძართან ქუდმოხდით მდგარი.  
სტუდენტთა სიას პირველად ვხედავ  
შეკმატებია დღეს ჩემი გვარი.

შემდეგ ხელდასხმა ბრძენთა მხცოვანთა.  
პირველი სევდაც, შეტევიც, შებმა...

შემდეგ სისხლიან დელგმის მოფარდნა,  
ბრძოლის დიდ გზაზეც დალოცვა შენგან.

შენ გამისინჯე ლექსის ტაშნიკი  
და დამანათლე სახელი მგოსნის.  
შენგან ახლოს ვართ თუ ცხრა მთას იქით  
შევხარით შენს შუქს,  
შუბლს ნათელმოსილს.

ეს შუქი — შენი თეთრი ნათელი —  
ჭალარა არის მშობელი ხალხის,  
ამ შუქში წიგნებს სწერდა ქართველი,  
ჰკერაედა დროშებს, ჰკვერაედა სახნისს.

დიდი სიცოცხლე დაქხარის ვიცი  
შენს ლამაზ ქალ-ვაჟს, შენს ნაკურთხ მიწას.  
თუ მშობელს შვილის სჭირდება ფიცი  
მაშინ ეს ლექსი მიიღე ფიცად.



## მ ი თ რ ი ლ ა ტ ე

### კ ო მ ა ნ ი

#### 22. ქავი მწიფობისა და წყალდიდობისა

მიაქროლებდა ნისლას მითრიდატე, ადრე შევეყაყებულე ჭაბუკი, და ჯერ აუგებ ზომალდებს აჯგუფებდა და ანაწილებდა. მას აწმყოს გრძნობაც არ ღალატობდა, კარგად იცოდა, რომ ჯერ მრავალ ცხენს გამოიცვლიდა, ვიდრე მისი ზომალდიონები ზღვის წყალს მოისხურებდნენ! მაგრამ ფიქრის ზომალდები უკვე მიაქროლებდნენ და ნისლა ცხენიც „ფიქრის“ სისწრაფისა იყო. ბოლოს უკან მოიხედა და გედე ვეღარსად დაინახა, მაშინდა წარმოუდგა ნამდვილი მიზეზი სწრაფვისა. მას „ტრფობის ზომალდები“ მიაქროლებდნენ. აქ სულ სხვა ქარები ჰქროდნენ და სულ სხვა ღელეაც იყო!

თავს შემოსწყრა და გედეს მოუცადა. ბოლოს მანაც დაოთხვითა და აქოშინებით მოაგლო ცხენი.

— შორს გამოვცდით. აქ დაგაყენე ერთ კაცთან, მარტოხელაა.

უკან ერთად წამოვიდნენ. მითრიდატემ დაგვიანებით აღადგინა გედეს ნათქვამი.

— რა სთქვი? ვინ „კაცთან“ დააყენე?

— არის ერთი, მესხი, ოქრომჭედელი, სამკაულების ხელოსანი.

— დიდად მოხუცია?

— არა... ჩემი ხნისაა!

მითრიდატემ გედეს გაწეპილ უღვიშებს გადაჰხედა და ცეცხლი მოეკიდა..

— მერმე უპატრონო შეწირული მიკგვარე მარტოხელას?

— რატომ უპატრონო? ერთად არიან!

— შენ ვადამრევე მე!—სულ განცვიფრდა ტრფიალი—ვისთან ერთად?

— მაშიდა ახლავს, ნენა-მონა. სწორედ შეწირულების მფარველი!

მითრიდატეს გაკვირვება არავის გაუგია, გარდა ცხენისა, ლაგამი ისე ჩამოჰკრა, რომ ადგილზე დაასო, მერმე ბალახოვან შუქაში შეჰყვა გედეს.

საუბრისგან თავი შეიკავა. ისე კი სულ უფრო და უფრო იბნეოდა. ზომალდების რთულ საკითხებში კარგად ერკვეოდა, სქვამგურის უბრიკ-მახრიკში არ დაბნეულა, აქ კი იბნეოდა და კრთებოდა კიდევაც!

შუქას კი რალაც ძველი კედელი აეკიდა, სწორედ მეკრდამდე სწვდებოდა ცხენზე მჯდომს. უნებურად გადაიხედა და ცხენი შეაჩერა.

მრავალნაყარ, დიდფოთოლა ღელვის ძირში, ჭირკზე ლულუფა იჭდა და

შორს, ზღვისკენ იმზირებოდა. მშვილდის კამპზე დასული მზე სახეს უნათებდა. ქალწულის ლანდი სადღაც ლედვის ტოტებში იკარგებოდა და შეწირულს თითქოს ჩრდილი ახლაც თავმოკვეთილი ჰქონდა. ლედვის ფოთლები კი მენამულად ეკიდნენ ირგვლივ. ქალწულს თვალი ვეღარ მოსწყვიტა ქაბუკმა მაინც შეამჩნია, შორიახლოს ფეხებმორთხმულად და კაბაამოკეცილად ნენა-მონა პირდაპირ ბალახზე იჯდა და თითისტარს კალთაში ატრიალებდა, თან რაღაცას ჩიფჩიფებდა.

იქვე კა, ორფეხა დაზგაში გაჭედო ჯერცხლის დიდ ლანგარს ვიღაც ახალგაზრდა წვეროსანი ოსტატი მისჩერებოდა და საჭრეთელით ქალწულის სახე გამოკყავდა და ვატაკებით ღიღინებდა.

მითრიდატეს თანდათან დაუბრუნდა გარკვეულობის გრძობა. მზერა ხარბად ეწაფებოდა და ადარებდა ცოცხალსა და ლანგარზე ტვიფრულს. თვალმიტაცებულს ახლა სმენა შევლოდა, ჰერ ნათლივ აწვდიდა ნენა-მონას ჩიფჩიფსაც და ოსტატის ღიღინსაც. ჰერ ღიღინმა აჯობა. ჯადოქსელი დაახვია:

— შენი ყოფილა ვალობა —

სადიდებელი მზისა!

ყველა კილოზე წყალობა —

სადიდებელი მზისა!

ვერცხლზე გადადის მშვენება —

სადიდებელი მზისა!

უნისლო გამოჩენება —

სადიდებელი მზისა!

შენი ყოფილა ტაძარი —

სადიდებელი მზისა!

მერმე ნენა-მონას ჩურჩულმა იძალა და ყველაფერი დაჰფარა, სადიდებელიცა და საგალობელიც.

— შენ, უპატრონო სილამაზის ბატრონო, სად მომიყვანე? რათ აიჩემე? რა სიზმარმა მოგწუსა და მოგაჯადოვა? განა არ იცი, რომ ასეთი მთვარეკაშა სილამაზე ღმერთებს საშინლად სძულთ და უყვართ, სძულთ და უყვართ! ღმერთები კი ვისაც აიჩემებენ, სიყვარულით ან სიძულვილით, იმათ მუდამ სდევთ ფათერაკი! ფათერაკი სდევთ!

დამალე შენი სილამაზე, ამ ვერცხლს გადააბარე, თორემ ქვეყანაზე რამდენი ავი თვალისა ავი გულია! ავი ჩრახვამ მაინც ვის ელი, ვის? ხომ გაიგე, საველავე იქ წასულა, საიდანაც ოდესღაც აფსირტეს მკვლელები მოვიდნენ! აფსირტულას შეწირული! მე შენს დაუმალავ სილამაზეს კი კალთას ვეღარ გადავაფარებ, ვეღარ!

ქალწული კი უძრავად იჯდა მწიფე ნაყოფით დაუფრსული ლედვის ძირში და ზღვაში მშვილდის კამპზე დასულ მზეს უღიზოდა.

უეცრად სულ უბრალო რამ მოხდა: მწიფე ლედვი ჩამოვარდა ხიდან და ლულუფას ფეხებთან დაეცა.

ამან თითქოს უძრაობის ჯადო გაწყვიტა, ლულუფა შეირხა, ნენა-მონა წამოიწია, კედლის იქით, მითრიდატემა ცხენი დასძრა.

შუკის ბოლოში, კედელსა და შექრიან ბექს შორის გრძელი ცალხერგილა იყო გაყრილი. მითრიდატემ აღარ დაუცადა, ვიდრე გედე დაეწოდა და ცალხერგილას ვააცლიდა, ცხენს დეზი ჰკრა და ხერგილზე გადაახტუნა.

ნენა-მონა წამოვარდა და ძერასავით წამოვიდა, მაგრამ ახლოს რომ მოსწყვდა უფლისწულს, ხელი მოიჩრდილა და შუბივით მოღერებული თითისტარი მიწაზე დააგდო:

— დიდუ! შენ საველაკეს ძმადნაფიცი არა ხარ? შენ გაიხარე, რაც შენი მოსვლით ჩვენ გაგვახარე! თორემ სულ აიფუნგა ჩვენი საქმე, აიჩემა, გინდა თუ არა უნდა წავიდეთ! უნდა ენახო! გული მიგრძნობს! ახლა ლამაზ ქალწულს, ვინ რა იცის, რას უტგრძობს გული?

კიდევ ბევრი იქაქანა გახარებულმა დედაბერმა, მერმე მოჰხედა და გაკვირდა, ლულუფა ამდგარიყო, მაგრამ ოდნავ თავდახრილად, მზისკენ შებრუნებულად იდგა..

— რას დაირცხვინე? აქ მოდი, ლულუფავ! ვერ იცანი? ხედავ, ვინ მოვიდა ჩვენს სანახავად! უიმე, საველაკესა და შენთან ერთად შეწირული!

ახლა ჰაბუკს მოუბრუნდა, მაგრამ არც იგი იყო ნაკლებად დარცხვენილი.

„სულ უპატრონო სილამაზის ბრალია!“—გაიფიქრა ნენა-მონამ და ვაჟი ლევის ძირისაკენ იწვია, თან ახლო შეჰხედა.

— დიდუ, როგორ გაზრდილა და დავაყავებულა! ზოგმა ჰაბუკმა რა ვეფხისნახტომიანი ზრდა იცის! — და თავისთვის ანიფხიფდა, სულ ფიქრში ჩამალა სათქმელი. „ამასაც შეჰყრია უპატრონო სილამაზე! ვაჟისთვისაც არანაკლებ სახიფათოა! კიდევ კარგი, რომ იმის „ზღვის ძმობილია!“

ვაჟმა ქალწულს თავაზიანი და მოკრძალებული სალამი სცა და პირველსიტყვის უხერხულობის დასაფარავად ოქროთმოქანდაკეს მიუბრუნდა.

იგიც წამომდგარიყო. მის გვერდელა დგომაზე მითრიდატე მიხვდა, რომ ოსტატი ხეიბარი იყო. წელან ლანძვად წამოჭრილი ეჭვი მოეხალვათა. ლანგარს დაუარა, კარგად შეათვალიერა. ვერცხლის ლულუფამ სულ თვალი მოსჭრა.

— ერთს მოველოდი და ორს შევეყარე! არის მესამეც, მათი დარი—მზე! და ვარ ასე ჩრდილდაკარგული ამ სამთა შორის!

— ნენა-მონამ ვერაფერი ვერ გაიგო, ლულუფამ და ოსტატმა კი დაუფასეს „სამთაშორისი“ ქათინაური. მაინც ლულუფამ, შეკრულ ტუჩ-კბილში კურდღელივით გააბარა ღიმილი.

ორველივ ლევის სურნელი იღვა. ზუზუნებდნენ ფუტკრები. ისმოდა წიფობელას ხმადაბალი კრულო ტრფობის ტალდა ტკბილ ცეცხლად ეღებოდა უფლისწულს. მაგრამ სიყვარული ისეთი ცეცხლია, რომელიც მუდამ ეძებს სატრფოსთან განმარტობებს.

— ოსტატო, ცხენზე ჯდომა შეგიძლია?

— უნდა დავამთავრო! — ხელები აასავსავა ოსტატმა, — სადაც წავა, უნდა წავეყე! შევიძლებ, როდესაც აუცილებელია! თუ წამიყვანთ!

— წადი, მოემზადე! წავიყვან. შენი ოსტატობა მომეწონა!

თვალი გააყოლა წასულ ხეიბარ ოსტატს და ახლა ქალებს მოუბრუნდა:

— ხომალდი წასულია, მობრუნდებამდე ჩემი სტუმრები ხართ! გედე! — ახლა მოშორებით მდგარ შიკრიკს გასძახა, — ეახელ გოგინა სარფელს, გადაეცი, რომ ალკანდრე მუხა-ჯმუხა ციხე-გოფს გამოეზავნოს ზვალვე, თავადაც, როგორც კი მოითავებს პირველმოსავლელ საქმეს, სასახლეს მოეწვიოს! „სინდიოფალასაც“ წამოიყვან ლულუფასათვის, ორსაც ამათვის!

— ორი ცხენი ჰყავთ ამათ!

— ნენა-მონავ, გყავთ? ოსტატს მისცემთ?

— ცხენები, დიახაც! შვალე ხეიბარსაც მივეცი! გზა არა გვაქვს თორემ!

— გზას მე გაგიჩენთ! — უყოყმანოდ მოუჭრა სიტყვა და უფრო შეუძახა, — წადი, მოემზადე. ვიჩქაროთ, თორემ დაგვალამდება!

მაგრამ მოხუცი მამიდის მოტეხა ასე ადვილი როდი იყო.

— სად გვიწვევ, ჰაბუკო?

— მივალთ და ვნახავთ, თუ არ მენდობი?

— დიდუ! შენ კი გენდობი, მაგრამ ეს უპატრონო სილამაზე უნდაა, უნდა! — მაგრამ ახლა ლულუფამ შეკრა მოშვილდული წარბები და დედაბერს თითისტარზე ძაფი შეაწყვიტა. ნენა-მონა უსიტყვოდ გაბრუნდა, ძაფი ჩასვენა და ავი თვალის გამოსალოცის ჩურჩულით ჯარგვალისაკენ წავიდა. გზად ლევის დადრეკილ ტოტს თითისტარი გაჰყრა და უნებურად, მწიფე ლეღვი მოარხია.

— ქვას ველაპარაკები! ხეს ველაპარაკები! ეს უპატრონო სილამაზე რა მძიმე, თანდაყოლილი მანკია! გადამდები სენი მაინც იყოს, მაშინ ასე მძიმე არ იქნებოდა! გულო, მორდი შინაშინა!

დედაბერი მასავით ჰრიალა კარს გაეფარა. გედეს წასვლა არავის გაუგია. ახლა ახალგაზრდები მარტონი იყვნენ. მწიფე ლევის ჩრდილში ფუტკრები ზუზუნებდნენ. მწიფობელას ხმა უფრო მკაფიოდ ისმოდა.

ლულუფამ ხელმოფარებულად, გუ-

ლისპირიდან, მცირე ეტრათი ამოიღო და ვაჟს თვალარიდებულად გაუწოდა.

— ჩერ წამიკითხე, მერმე გეტყვი პასუხს.

ვაჟმა იცნო თავისი წერილი.

— ნუთუ არ წაგიკითხავს?

— მე ხომ არ ვიცი კითხვა! სხვას კი შენს წერილს აბა როგორ... ისევ შენვე წამიკითხე!

— მხოლოდ ამიტომ მოხვედი?

— ამიტომაც...—თვალეები სულ გარიდა ლულუფამ.

— მაშინ წაგიკითხავ, ან ზეპირად გეტყვი.

— ზეპირად გახსოვს წერილი, რომელიც მე უბეში მეღო?

— ისევ მანდ გქონდეს! ახალს შევთხზავ, — მითრიდატემ აღელვებული ხელი დაახვედრა, ტრფობის პირველი ბართი, თუნდაც წასაკითხავად, უკან აღარ მიიღო. იგი სიყვარულის წაუკითხავ საწინდრად ესახებოდა.

— მე შეთხზული არა მინდა რა! გულიდან ხალასად მოსული, პირველად წამოყივლებული! — ლედვის ფოთლებს უჩურჩულებდა ქალწული.

— მერმე... ასე წაუკითხავად, როგორ იგრძენ?

მაგრამ ასე მთავრის უთქმელად სულ იბნეოდა სათქმელი. რის წაკითხვას ან თქმას მოასწრებდა ხამი ტრფიალი. მწიფე ლედვის მოწყვეტას ჰგავდა მათი გაბანგული სიტყვები. გარედან კდემამოსილებმა ბორკავდა ორივეს, შიგნიდან კი ქურჯნიდა სიმწიფის, ურთიერთ ღტოლვის გრძობა და მათობელა სურნელი სიახლოვისა.

ზედაც, ხან ისტატი გამოდიოდა და ხელსაწყობების ხალთა გამოჰქონდა, ხან ნენა-მონა მანდიკს აწარამარებდა, ხან ნისლა ჭიხვინებდა და, ვგონებ, იჭვიანობდა.

მითრიდატე გულს ასკდებოდა. ლედვის ლორთქო ნაყარს მშვილდავდა, ხაოიან ფოთლებში სახეს ფარავდა და ეს თითქოს ლულუფას აღერსი იყო. მწიფე ლედვი კი ცვივოდა მიწაზე.

ქალწულმა მცირე ეტრათი ისევ უბე-

ში ჩაიღო, ლედვი ფოთლებზე მოაგროვა, ნისლას მიუტანა.

ცხენმა მიუშვა და თავისი ქვეყნის იწყო ქამა. ახლა ლულუფა ეფერებოდა მიუწვდომელ ქაბუჯის ბედაურს. მაგრამ ახლა, ვგონებ, პატრონი იჭვიანობდა!

მაღე გედეც დაბრუნდა და „სინდიოფალა“ მოიყვანა. მითრიდატემ ნაბდის ძველი თავად გადააძრო და ქალწულს მიჰგვარა.

— მოგწონს?

მაგრამ ლულუფას, არც ცხენი დაუნახავს და არც მისი აღკაზმულობა. მას თვალეებზე წაუკითხავად ნაგრძნობი წერილის ასოხლართული ეფარებოდა. იმის იქით კი „უშხით მნუსხავი ქაბუჯის“ სახე, რომელსაც ისევ გულ-ღვიძლიანად გრძნობდა, როგორც იმ „წაუკითხავად უბეში ნადებ ეტრატს“!

ისინი ტოლები იყვნენ. ხოლო ტოლ ქალ-ვაჟთა შორის, ქალი უოველთვის უფროსია და ქალ-ვაჟობისათვის უფრო მომწიფებული. თუმცა, ჩანს, ორივენი აღრეულა ლედვის ჭიშისანი იყვნენ.

ქალწულმა ესეც იგრძენ და პასუხი არ ვასცა. არავინ ისე მოხდენილად და ხშირად არ იყენებენ სიჩუმის აღღოს, როგორც ქალწულები!

სამაგიეროდ ნენა-მონამ ვერ დაჰფარა თავისი შიშნაკრავი აღფრთოვანება.

— დიდუ! დიოფალის დირსია! მზეთუნახავი რაში თუ შეიძლება, სწორედ ეს ყოფილა! ახლა ამაზე რომ ლულუფა შესვა, თავად დმერთები მოგვტაცებენ. დაილოცა მაგათი სახსენებელი, სხვა თუ არავინ გადაგვეყარა!

— ნუ გეშინია, არავის დავანებებ! — მაგრამ ეს ისე იყო ნათქვამი, ნენა-მონას აკანკალა.

— ლულუფა! ცაგ და ცირავ, გამოაჩინე, აკვანზე ნაბამი ნიშანი გამოაჩინე! — და რადგან ლულუფას „ნიშნის გამოსაჩინად“ ხელიც არ გაუქანებია, თავად მოსწვდა ქალწულის საკინძქეს და ოქროს ძეწკვზე ამბული რძია-რძია კბილები, ბეჭედი და წვრილსამკაული გამოუჩინა.

— სავლაკისია! მისი ნაჩუქარი!

ვაჟი დაიბნა, მაგრამ მაინც მოახერხა.

— ეს ცხენ-უნაგირი კი ჩემგან იყოს! ახლა ნენა-მონა დაიბნა.

— გამდიდრებულხარ, ვაჟო! სავლადი ხომალდი მიეცი, მის დანიშნულს ცხენ-აღკაზმულობას სთავაზობ! სულ მეფური საჩუქრებია! ან დიდი სიკეთისგან არის, ან დიდი ბოროტებისგან!

— მართალს ამბობ, დედილო! ახლა ნულარ ვიგვიანებთ!

დედაბერმა კიდევ დააბირა შეუპოვარი გაჭირი, მაგრამ რომ მოიხედა, ჯერ ღვუღ დადრკა, მერმე თანდათან დაცხრა.

ლულუფა უკვე სინდიოფალას ეალერსებოდა და ამდენ „მზეთუნახავეებს ჟრთად“ დედაბრის ცხელმაც ველარ გაუძლო და ფარულად სიმწრის თუ სიამის ცრემლი გადმოჰყარა.

ხიდან კი ისევ ცვივოდა ლეღვი. თუმცა არაინ არხვედა. მაგრამ რაც მწიფე იყო, იმას რალა გააჩერებდა?

გეღემ ცალკე მოიხელთა მითრიდატე და ჩუმად უთხრა, რომ სასახლიდან ოლთაკე შეაბჯრე არის მოსული, უფლისწულის საძებნელად გამოგზავნილი, თან ტყის მუშების დიდი გუნდი მოუყვანია.

— მერმე? — იამა და არც იამა ვაჟიბედიას.

— აქ არ წამოვიყვანე.

— კეთილი. თქვენ იარეთ. რიონის ფონამდე დაგეწევით! შენ გაბარებ! მერმე ლულუფას ტუბალურ წესით ხელი დაახვედრა უზანგამდე, მაგრამ ქალწულმა არასგზით არ ისურვა, ცხენს თავად, მერცხალივით მოაფრინდა.

ვაჟმა ნისლას ტახტას ნაბადი მოხსნა და ლულუფას მხრებზე მოადგო, თავისი ყაბალახით სახე შეუბურა. ახლა ვერც მიხვდებოდა ვინმე, ქალი იყო თუ ვაჟი ცხენოსანი.

— ახლაც მოგვტაცებენ, დედილო?

— სილამაზე, შვილო. გამჭვირვალეა. შენ რა იცი, ჯერ უღვამი ახლა გეზრდება!

— მე უკვე ვიცი. მაგრამ შენ კიდევ გახსოვს? — უკვე ნაწყენად გააქენწლა და სახეშებურულ ცხენოსანს გაჰხედა.

და, მართლაც, მის სახეზე „გამჭვირვალე“ დიმილი ამოიკითხა. ნაბდის ქვეშ კი „მთვარე-ნათელი“ მკაფიოდ ჩანდა! — აბა, ნულარ დაიგვიანებთ. მე ვზამი დაგეწევით! — და რადგან წასვლაზე გული ეჯიჭრებოდა, გულს გაეჭკა, ნაბდის ძველი მოიგდო, ცხენს მოახტა და გაქუტსლა.

ციხის კარიბჭე ფართოდ იყო გაღებული. ეზოში უკვე დიდი უიარალო გუნდი ირეოდა. ტანადობითა და ღონით დარჩეული, ტალიც-ტალიცი ბიჭები იყვნენ, ზორბანი და მხარბეჭვამილინი, ტყავსამოსიანნი, ჯღანქალამნიანი. სულ ფეხშიშველანიც ერივნენ, ხელფეხდაკოჩრებულნი, მაგრამ თვალბრიალანი, კატუქორიანები, ბურცულკუნთიანები, ცხვირკეხიანი ხალხი. გოჯი კოლხელის ბრძანებით მოყვანილი მომთაბარენი, მოტყევეარნი, მწყემს-მემწყემსურნი. ლაკადელიცა და ზღვისპირელნიც, ნაჯახებით, წალდებით, ეჩოებით და ცულ-თოხებით „შეიარაღებულნი“.

მათ შემხედვარე ციხის ეზო ევიწროვდა და გალაგნის სიმაღლე ემდაბლა, ბჭეში ანაზღად შემოჭრილ მითრიდატეს. საოცნებოდ ჩინწასულ თვალბეჭვამით ხან „მლაშე მზით“ დარუჯულ მეზღეაურებად „სქვრეტა“, ხან მიძმე აბჯრებში ჩაქედელ „უძღვეველ მხედრებად“.

დიად მისვლას მოერიდა, მაგრამ ველარც განზე დადგა. მესხურა ჩამოიფხატა, ნაბდის ძველში უფრო ვაგხვია და შუა გუნდში ცხენდაცხენ შეიჭრა.

— თქვენი ქირიმე, მზეც-კაცებო, ხეგლეჯიებო, ბელტიყლაპიებო, აბა განსარჩენით და თქვენი ცხოვრებაში გამოყვანა ჩემზე იყოს!

„მზეც-კაცებმა“, „ბელტიყლაპიებმა“ თუ „ხეგლეჯიებმა“ აბა რა იცოდნენ, იყონ ნაბდის ძველში და ფრიად ეუცხოვათ ასეთი გაქაქება. ზოგმა ითაკილა კიდევაც. უსულავაშო ცხენოსანს შეხედეს და ხარხარი აუტყდათ.

— დახედე ამ ღლაპს! ხუმრობაში არ გაგვატრიზავა! — შესძახეს აქეთ-იქიდან.

— ნეტა ვოგოა თუ ბიჭი?

— ღლაბი კი არა, ქოსა ბიჭია! ქალეზის მუსუსობა კი ახლაც ეტყობა წარბებშია! — აროხობდნენ ლაკადელნი.

— მაგან ჯერ სულ არ იცის ქალს ფეხები, სად აბია! — სჭექა ერთმა აჯამელმა.

— ახლა სულ ნუ გამოცხვავთ. იქნებ, ვგეტ ჩვენზე უფრო მხეც-კაცი იზრდება! — ახალმოსულები ხარხართა და ღრიანცელით გარს შემოადგნენ.

— თავად არ ვიცი და, ცხენი კი მართლა კარგი ჰყოლია! — ერთმა ახმახელმა, ლოყაც მოუბრიცა და წაუმღერა კიდევაც.

— ცხენი მხედარსაო და თავბრუს ახვევდაო!

ჩანს, ეს სიმღერა ყველასათვის, გარდა ჰაბუკისა, ნაცნობი იყო, ხელად ხმა შეუწყვეს და გააგრძელეს.

— ცხენი გაჭენდაო და მხედარს ზედ შესდგაო!

სიმღერა ჯერ ჩათავებული არც იყო, რომ ყველაზე ახმახელა ლოყაბრეციათ გადასძახა.

— აბა, მხეც-კაცებო, შეეუბეროთ!

შერმე ერთად ბერეს და ჩუტეს მჭედლის საბერველივით ამღვარი მკერდები და ლაშები. „ქარიც“ ისეთი დააყენეს, ნისლას ფაფარი და ძუა აუშალეს. არც ექ აყმარეს, ერთდროულად გავაზე ღორის ღვედი დაურტყეს და გზაც მისვეს.

ცხენმა დამფრთხალი ნახტომი გააყვთა, მაგრამ მითრიდატემ თავი შეიკრევა, ლავამი მაგრად ამოჰკრა, ნისლა ყალყზე შეაყენა და ადგილზევე შემოაბრუნა. მხედარმა ნაბდის ძველი გადააგდო, ჯაჭვიფარულა, მდიდრულმა სამოსმა ყველა ვააოგნა, მაგრამ ვერ შეაკრთო.

მითრიდატე ოღნავ გაფითრდა, მოსხლეთით დაქვეითდა, ჩაქები აიყვია.

— ვერ შევარჩენ ვინც იყო, მეჭიდაოს, თორემ არ ვაპატიებ!

— ბიჭოს, ვაყვაცი ყოფილა! — წინ წამოიწია ახმახელა, — მაჭუტა ვარ! გა-

ნი, ბიჭებო! მიექარე და ბარემ ბოლომდის!

მეცხე

ხელად განიც განდაბდა მოედანშიც, შუაგულში თავბოლოსწორი ახმახელა მაჭუტა იდგა და გულლიად ლაშებს ბრეცდა.

— მე ვიყავი, აბა, მოდი! აბა რას ვიფიქრებდი, ნაბდის ძველში ორბის ყვინჩი იქნებოდა! — ღვედი გადააგდო, წელიდან წალდი მოიშორა და წამოსულ „ყვინჩს“ უღლის სიგრძე ხელი, მადლიდან ქალივით, ქეჩოში ჩასაფრენად, გადაუწოდა.

კოშკის დარბაზიდან შენიშნეს. ჯოტო ცალხელა, გოგინა, ოლთაყე და სხვანი ყვირილით მორბოდნენ, მაგრამ ველარ მოუსწრეს. ვიდრე ისინი მოსწვდებოდნენ, მითრიდატემ მის თავზე გადმოშვერილ ხელს იდლიაში შეუხტა, მხარით წამოიღო, ზედ გადაიტარა და ფეხებზე შეყირავებული ახმახელა მაჭუტა მიწაზე ზღართანით დასცა.

მაჭუტამ ფეხები აფაფხურა, წამოჯდა და პირი დაღებული დარჩა.

— ეს რა მიყო? თავი არ მდმჭრა ამდენ მხეც-კაცებშია!

— ადე! ადე! — ხარხართ მიძახეს აქეთ-იქიდან, — შენ თავი სულ რომ მოგჭრან კარგა გრძელი ლეში მაინც დაგრჩება!

მოედანზე მეციხოვნენიც შემოვარდნენ, მაგრამ მათაც გაკვირვებისა და სიცილის მეტი აღარა დარჩენოდათ რა!

— სარფელო! რაღა გიჭირს, მართლაც სარფიანად გაქვს საქმე. დახე, რა ხალხი მოგივიდა! კიდევ მოგივლენ, აბა, შეუდექი. მაშ, როგორც ვთქვით, ამათ არაფერი მიაკლოთ! შემოსეთ! საჭმელ-სასმელი ნადის კვალობაზე!

მაჭუტა და მუხა-ჯმუხა ხვალვე გამომიგზავნეთ ციხე-გოჯს. მაგათ ილუთები უნდა ვასწავლო, თორემ ღონე კამეჩისა აქვთ, მოხერხება კი ზღარბისა.

მერმე ცხენს მოახტა, მაჭუტასა და სხვათ გადაახედა, თვალცი ჩაუტკრა.

— მხეც-კაცებო! იმის გაგება კი, სად აბია ქალს ფეხები, არც ისეთი ძნელია! აი, თავი სად აბია და როგორ აბია, გინ-

და ქალსა და გინდა ვაჟს, აი, ამის გაგება კი უფრო ღირს და უფრო საჭიროც არის აბა, ტყეშიაც და ზღვაშიაც გნახავთ, მაშინ შეგამოწმებთ!—მერმე ყველას ხელი დაუქნია, ოლთაკეს წარბი უყო და ციხის ბჭეში ნიავეარივით გავარდა.

უკვე რიონისპირა გზაზე შეუცადა ოლთაკეს.

— მკითხულობენ?

— სამ დღეში იბერიაში აპირებენ. ყველაფერი მზადაა, უფლისწული აქლიათ!

— ყვინჩი ჰკლებია, ყვინჩილის შეჭამანდის მოდულებას!—ყველა გაჰკენწლა უფლისწულმა და, ვგონებ, თავისი თავი ყველაზე უფრო.

რიონის ფონამდე ლულუფას ჯგუფსაც დაეწივნენ. ნისლამ ჩამოუქროლა სინდიოფალას და წარბიტაცა აქ აღარც ჯირკი იყო, აღარც ცალხერგილა და აღარც ლედვის დიდი ბუჩქი. იყო ტყის-ნაპირიანი რიონი და უნაპირო ზეცა. ქალწული შესანიშნავად იჭდა ცხენზე. დანარჩენები შორს ჩამორჩნენ.

— ჰამორძალეების ჯიშისა ყოფილხარა?—შესძახა ვაჟმა. მაგრამ ქალწულს წვრილად გაეფი მისი უფლისწულობის ამბავი და ახლა მასთან ისე უშუალო და ფარულთამამი ვეღარ იყო. მითრიდატემ უშალ შეატყო და ეწყინა.

— ლულუფა, მე ისევ ის, შენთან ერთად შეწირული ვარ!

— ხარ კია?—ეკვიის თვალით შემოხედა და ცხენი გაუსწორა.

— ვარ! ვარ! და რიონს მოვიყვან მოწმედ! სულაც დავისწრებ და ნურც დამინდობს! აი, ახლა მის ფონში შევალთ და გიამბობ „წერილის“ ამბავს.

ტყე, დაბურული რიონული ტყე უკან დარჩათ. რიყეზე ჩავიდნენ. რიონი აქ ფართო იყო და დინჯი, ზვიადიც ლულუფას ზღვაზე უდიდესად ეჩვენა.

ყველაფერმა ხმა იცვალა, დაშოშმინდა. ახლა გულთა ძგერა უსწრებდა რიყის ჩქამსაცა და ცხენთა სვლასაც.

რიონის მზეასხლეტილმა ფხამ თვალი მოსჭრა ქალწულს და მადლა აახე-

და. ცაც კამეამა იყო. მხოლოდ სადღაც ზევით, კავკასიონზე, რიონის სათავეებთან ჩაქრუშული ღრუბელი შავი ხომალდივით იდო. ჰაერში ნოტიო იგრძნობოდა და წყალდიდობის მოლოდინი იყო. სიტყვებსაც სულ სხვა ედერაჰქონდა, როგორღაც ორღუსულად და მრავალხმურად გამოისმოდნენ.

— გაავსწროთ, წყალდიდობის ეამია! რიონმა ყველაფერი ჰარბი იცის!

ესმოდა ქალწულს უფლისწულის ხმა და თან ათასხმაური. ცისა, მდინარისა, ტყისა, ნაპირისა, შორეული ღრუბლისა, და ალბათ, ზღვისაც. ოდნავ სახეცვლილი, შემდიდრებული, მიკვეცილი, ნათქვამის ტყუბის ცალი, უბეში აედერებულნი.

„გაასწარიოთ! გაასწარიოთ! შესტოპენ! ნურც შიშობი ნურც კრთები! ეამია სიჰარბისა! რიონს მიჰყევი, ენდე! ენდე და ერიდე თავებრუს!“

წყალში რომ შესტოპეს, ვაჟი სულ ახლოს მიჰყვა ასულს.

— მე დედამ გამწირა და აღარ ვენდობი არცერთ ქალს, გარდა ჩემი ძიძისა. შენ მეორე ხარ, მაგრამ აქ სულ სხვა სულის სანუყვარიას ხმელეთზე ვერ გაგებდავით. წყალში უფრო, ყველაფერი როცა მოძრაობს! დიდხანს მდევდი გაურკვევ ლტოლვად და ლანდად—არც ვიცოდა, რა ერქვა ამ უმწიფარ ფიქრებს! იცი, ჩემთან შეწირული, მე არაერთხელ ისარი ვტყორცენ ამ ლანდას და გული უფრო დავიკოდე!

ცხენები შეოგურებულად მიდიოდნენ. რიონი დუდუნებდა. ფონი რბილქვიშიანი და ჯერ თანაბარი იყო. და ქალწულს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ცხენებზე კი არ ისტდნენ „იგი“ და მასთან „შეწირული“, არამედ ორმაგ ხომალდზე, ნისლა ნისლებში მიჰქროდნენ. და, მართლაც, ყველაფერი გაორმაგებულად ჩანდა და მოძრაობდა. ფონთა ფონი, მორევთ მორევი, ამირანის მთაზე ღრუბელი ღრუბელი, სულ მადლა კი მზეთა მზე!

აქამდე თავის გულისხმით ცხოვრობდა, შეწირულთა წრეში ბრუნავდა.

მთის ძირთან, ზღვის პირას ოცნებობდა. მაგლობელ ფრინველივით იზრდებოდა, უღარღელი და მწყობარი. ბედი, რომელიც ჯერ აკენის თავზე დაუქიდეს, მერმე ყელზე, ხელს არ უშლიდა. როგორც ძველ მძივს, ისე მიეჩვია. ჯერ ადრე გარდაცვლილი დედ-მამის ერთადერთი სახსოვარი ეგონა, მერმე, რომ მოჩიტდა, გაიგო ნიშნისა და შარნის მნიშვნელობა, გაოცდა. ახლა „მძივი“ თითქოს ყელზე აღარ სწვდებოდა და სულს უხუთავდა, თვალხუტულა ხილვებს კი უმზრავლებდა.

ეს რომ იგრძნო, თვალი გაახილა და „აკენის იქით“ გადაიხედა. თავს არ გაუტყდა, თორემ მალე მიხვდა, რომ დიდი ნანია სხვას ხედავს, არა „აკვანზე დაკიდებულს“. არც საერთოდ სხვას, არამედ გარკვეულად სხვას, რომლის ნამდვილი არც სახელი იცის, არც ვინაობა, მაგრამ გული ირჩევს და მასაც თითქოს ღმერთების ნიშანი ადევს!

მან გზად აიარა, თავის ჩრდილი აქ დასტოვა. ამის შემდეგ ჩრდილებს მდევარი ვახდა ლულუფა შეწირული და „აკენის კბილი“ საბოლოოდ მოიცვალა.

აქ უფრო რთულად იყო საქმე, ლულუფა გრძნობდა ამას, მაგრამ ქალწულები მუდამ ამარტივებენ ვითარებას, აქ არის მათი ალღო!

„აკენის იქითა ვაემა“ ერთხელ ჩახედა თვალეზში, მაგრამ ისე გულშეძრულად ჩახედა, მას, არანაკლებ შეფორიაქებულს, რომ ლულუფამ ბედისწერის ნიშნები დაინახა. რძია-რძია კბილები რაღა სახსენებელი იყო. მით უფრო პირველ, ქალწულურ სიყვარულის კვირბაღზე!

და შეწირული განწირულად ელოდა შეწირულს! გრძნობების ნიშნებსა და ლანძვებში ქალი ხომ უფრო ადრე ერკვევა, ვიდრე ვაჟი!

ხოლო როდესაც წერილი მართლაც ბედისწერასავით მოვიდა, მას, შეწირულს, „წერილწაუკითხავადაც“ ვერაფერი დააკავებდა.

და, აი, ახლა რიონივით დის გრძნობასავსე, ტანსავსე ეამი სიყვარულისა

და ყველაფერს პირველყოფილ აკენივით არწევს და არწევს!

განსწავლული უფლისწული კვლავლობდა მწიგნობრულ მეტყველებას, მაგრამ გაღვივებული ვნება და ტრფიალი სატრფიალივით ყბაში ამოადგა და სულ ყველაფერი აურია. არც მეხსიერებამ მისცა შვება. ვერცერთი ზეპირი სატრფიალო ვერ მოახერხა ეს რა ბელტიწყლაპიობა და ლოყაბრეციობა! შეეყარა! წერილი კი მოახერხა და ახლა რა ენა ჩაუფარდა! წელან ლეღვი უშლიდა, ახლა!

— მე ჯერ ნაკვერცხალივით სიტყვა ქალწულისთვის არც მოთქვამს, არც გულში მდებია, ღალისსა და რიონს ვფიცავ! თუ ჩვენი შეყრა ღმერთების ნაზრახია, მაშინ ჩვენი სიყვარული გარღვევია, როგორც ბედისწერა! და თუ არა, მაშინ თავად სიყვარული ყოფილა ღმერთი და ჩვენც მისი შეწირულები ვართ! ვფიცავ სპერის ზღვას! ხომ მისმენ, ხმა გამეცი!

ლულუფამ ბევრი ვერაფერი ვაიგო, მაგრამ ხმა მაინც გასცა:

— შენი ფიცი სულ წყალს ეხება! დიდკატური ჩანს. „წყალწყალა“ არ იყოს!

— ვინც ვარ და რაც ვარ, შენთან ვარ! წინ დიდი ბრძოლები მელის, მაგრამ აღარ ვიხედები! აღარც უკან! მეც მაქვს სამყაროში ჩემი წუთი ნეტარებისა! და თუ შენც ასე გრძნობ, დამიდასტურე! ამას დიდი მნიშვნელობა აქვს! მე ბედმა აქეთ გადმოშვარა, მაგრამ შენც გიპოვნე და ჩემი დიდი სამოღვაწე მოწოდებაც! თუმცა სამოვნელი კიდევ ბევრი მაქვს!

— ამდენი რამე სწერია ამ წერილში?— ლულუფამ მკერდზე მიიღო ხელი და ძლივს გასაგონად, თითქოს წყალს გაატანა სიტყვა,— ხელს ვინ აწერს? უფლისწული თუ შეწირული?

— მეშინია, რომ ჩვენს შორის არ ჩადგეს მზაკვრად ჩრდილი უფლისწულისა! სასახლეში სიყვარული და სიძულვილი, სულ ხშირად, ერთ სარეცელზე წვიანს!

მე უბრალო შეწირული გწერდი და ახლაც გეტყვი, უფლისწულზედაც ისევე ვეპვიანობ, როგორც აკვანში დანიშნულსა თუ ზღვის ძმობილზე! ჩემო ერთაჲ, აჲ, რიონის შუაგულში, მითხარ, ჩემთან გამოვიწია გულმა თუ...

— შეწირულთან. — ძლივს აღმოხდა ასულს და თვალები დახუჭა.

— ისიც შეწირული იყო.

— გზად ამოვლილ შეწირულთან... თუ წყალს არ ვატან ჩიქილას!

უფრო დაღრმავდა ფონი. წყალმა დაჰკრა ცხენებს. ქალწულს თვალები აუჭრელდა, ოღონდ ამოიკენესა და მინდობილად მიეყრდნო ახლო ამომდგარ ვაჟს.

— ნუ კრთები, რიონი არ ახრჩობს შეყვარებულთ!

— ვის გულისხმობ? — თავბრუდახვეულად შეეკითხა.

დადგა დიდი წუთი. შუა რიონში იყვნენ, შუა თქმაშიაც.

— ჩემად გაჩენილხარ და ახლა მივყვეთ რიონს. სხვა საგულისხმო არც რაი მწამს და არც რაი მინდა!

ქალწული თითქოს სთვლემდა და ეურჩებოდა.

— შენ უსაზღვრო ხარ, თავისუფალი მამრი! თავს რიონად გრძნობ! არ დაახრჩობ, მაგრამ წალეკავ! მე კი მდებრი ვარ, თანაც აკვნიდანვე ჩაჭვი დამყვა. აი! — აღვირი გაავდო და ხელი ყელსაბამზე მოიფათურა.

— მე არა აკვნის ძუძუმწოვართა ნიშნობანას ვთვლი გულთაშორის ჩაჭვად, არამედ ბედად შეფეთებულთა გულშეუქვევარ ლტოლვას! ხელი გაჭვარ და ეგ იყოს შენი პასუხი!

— შენ მე მხიბლავ და მნუსხავ. გარემოცა და რიონიც შენ გეხმარება! მაგრამ მე ჩემს საკინძესა და ყელსაბამს არ დაგთმობ, არა!

თქმა ერთი იყო, მოქმედება მეორე. ყელსაბამი ხელში შეაწყდა და მისი ავგაროზი, აკვნის ნიშანი, რძია-რძია კბილებითა, ბექლითა და წვრილქედურითა რიონმა შთანთქა.

ქალწულს გული შეუჩქრალდა და ამოესკვნა. ცხენზე შეტოკდა.

ვაჟმა ამდენი აღარ აცალა, <sup>ორთავე</sup> ხელი შესტაცა და ნაბრანად თავის ცხენზე გადმოიყვანა.

ნისლამაც აღვირის მოშვება იგრძნო, თითქოს ფრთები შეისხა, ნისლა გედევით, ჩქერს დაეშურა. სიღრმემაც იკლო, აღარც ნაბირი იყო შორს.

მარტო დარჩენილი სინდიოფალა აჭიხენდა და უკან მიჰყვა ნისლას.

ნაბირის ბექობზე ერთხელ კიდევ შემობრუნდა ვაჟი. ვაღმა ოლთავე ჩამოდიოდა წყალში. სხვანი ჭერ ტყეში იყვნენ.

შეეჩადიოდა. მდინარე უნაბიროდ ჩანდა... ვაჟმა სინანულით გადახედა ბედნიერ რიონს. თუმცა ახლა, არანაკლებ ბედნიერი, აღთქმის ხმელეთი იწყებოდა.

უფლისწულმა ცხენი ნელი იორლით დასძრა. ლულუფა მკერდზე ეკვროდა და უხმოდ ქვეთინებდა. ახლა მათი ჩრდილი სრულერთად, ჩუმად, მაგრამ მოუშორებლად მოსდევდა მათ და მხოლოდ სინდიოფალას ქიხვინი იყო ხმამაღალი და ყოვლად შემფოთებული.

უკვე კარგა ხნის ღამე იყო და ტყის ფოთოლნარში გაცრილი მთვარე უჩინმაჩინობდა, როდესაც უფლისწულმა მზეთის ციხის ბუქს მიუკაცუნა.

რიონს აქეთა გზაზე ლულუფას სანუკვარი გულის ძვერა ახლო ესმოდა, მაგრამ მათ შორის ნაბადი და ჩაჭვის პერანგი იყო.

ბუქს კაკუნიც გულის ძვერის კილორხევაზე იყო აგებული.

— ჰეი, ვინ ხარ? — კოშკიდან ჩამოვიდა გვიანი ძახილი.

— ციხისთავი მოვიდეს ბუქსთან, მეტი არაეინ გააღვიძოთ!

— ბათაყვა! ბათაყვა! ბათაყვა ციხისთავო! გიხმობენ! გიხმობენ! კარიბუქსთან!

— ბათაყვა, კარიბუქსთან! — კედელ-კედელ გაჰყვა ძახილი.

— ესენი მთელ ქვეყანას გააღვიძე-

ბენ! ბჭის გაღებას კი დაავიანებენ! — ჩაელიმა მოუთმენარ მხედარს.

მალე აქოშინებული ბათაყვა მოიჭრა ბჭესთან.

— გახლავართ! — ბჭის იქით გაისმა ბუბუნია.

— გამიღე!

— ასე სიტყვიერად, უბრძანო არის! სახე დამანახვე! — სამერცხლეში ღლავის ცალი უღვაში და ლომის ცალი თვალს გამოჩნდა, მითრიდატეს შეჭხედა.

— ვერა, ვერ გიცნობ!

— უფლისწული ვარ!

— ხელი მიბოძეთ სამერცხლეში.

უფლისწულმა იაზრა და შეჰყო მარცხენა. ბათაყვამ ხმლის ვაღაზე შებერებული, დაკოჩრებული თათი ხელზე ფოცხივით ვადაუსვა უფლისწულს და ტარიელის თქმული ნიშანი უგრძნო.

— ყოფილხარ, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

ახალგაზრდებს განსაკუთრებით ეამათ ეს პირველი დალოცვა. გაღებულ ბჭეში შევიდნენ და ოლთაყემაც მოაგდო გაქაფებული ცხენი. სინდიოფალაც მოიყვანა.

— სხვებს დაელოდე! ჩვენ ბათაყვა გეაჩვენებს ალისტარხოს სართულს, ცხენებსაც მიგვიხედე! — და ნაბადში გახვეულთან ერთად დაწინაურდა.

ბათაყვამ ოლთაყე ვერ გარეთ გასვა, კარიბჭე ჩარაზ-ჩაყეტა, გასაღები წელზე დაიკიდა და უფლისწულს უკან ქოშინით გაჰყვა.

ალისტარხოს სართულზე სრული სიბნელე სუფევდა. ბათაყვამ ჭრაქი გააჩინა და სადგომში შეუძღვა.

ვეება, დაბალზურგიან ტახტზე დაქარგული საფარი ეგო. მრავალი ყურთბალიში იყო მიმოფანტული. იატაკზე ირმის ტყავები. კედელზე, ტყავების გარდა, შუბები, მშვილდები, ორკაბა სათხედები. მრუდე ხმლები და დიდბურცულა ფარები. ბუხარში შეშა იყო გამზადებული, ბუხარის თავზე ირმის რქის სასაანთლეები ქალედად შეკრული.

— ავანთებ, — იქით დაიძრა ბათაყვა.

— მე თვითონ. — ხმა ამოიღო ლტლუფამ.

მობუცმა ციხისთავმა ახლალა იგრძნო, რომ ნაბადში გახვეული ქალი იყო და თავი მოწიწებით დაჰხარა.

— მსახურთ გაახლებთ!?

— არა, ახლა მოუვა, — სიტყვა მოუმოკლა უფლისწულმა, — ხვალ დილით თავად გეტყვით. შეხეთის ახალი პატრონია!

ბათაყვამ უფრო დაჰხარა თავი. მერმე ჭრაქი კედლის წალოსთან დასტოვა. — აქ ყველაფერია, საგებელი! — მერმე ახალ პატრონს ძილი ნებისა უსურვა და მადლა კარისაკენ გაეშურა. ახლა სქვამგურის სართულის გასაღები მოიშადა, მაგრამ უფლისწული უკან აღარ გაჰყოლია.

ბათაყვა ომებსა და ციხეების დაცვა-აღებაში გამობერებული კაცი იყო და „საფაქიზო საქმეებში“ მაინცდამაინც ვერ ერკვეოდა. გასაღებები კარის ძვიღზე დატოვა და ისევ ბჭესთან ჩავიდა, ახლა ოლთაყეს მიაკითხა. სხვანი ვერ არსად ჩანდნენ...

შხეთის ახალი პატრონი კი ისევ ნაბადში იყო გახვეული და ჯანკალბდა. მითრიდატემ იგრძნო, მაინც ანთო ქალედის სანთლები და ლულუფას შემოხედა. მართლაც შეენანა „უპატრონო სილამაზე“ და ახლა ბუხარს შეუთხო ჭრაქის ცეცხლი. სულ მალე ბლის ქერები ამოლოკა წითელმა ენამ, მერმე შესასაც გაედო. ქალწული კი მაინც თრთოდა.

— მაშინ წავალ მე.

— არა. ნენა-მონას მოსვლამდე აქ დარჩი. მეშინია.

— რისა?

— რიონისა, წამლეკავს ჰხედავ, გარეთ უხმო ელვას! — ქალწულმა ნაბადი გადიგდო და წელში უფრო მოიზიდა.

ვაეს სუნთქვა შეეკრა. მერმე იძალა და შებრაილებულ ბუხარს მიუბრუნდა, ჩხრეკა და ჩხრეკა ცეცხლი. სულიც ივუბა და უბერა, ვიდრე არ ააგვიგზიზა ბუხარი. და მაინც უბერა და უბერა. და უეცრივ მესხიერებამ ყველაფერი ერ-

თად წამოუგდო და გახურებულ ბუხარში დაანახვა. აი, თვალბრიალანი, ლოყაბრეციები, ხეგლეჯიები, ბელტიყლაპიები, მხეც-კაცები. უბერავენ და უბერავენ! ხმაჲ კი ესმის. სწულდება ცხელი სუსხი დამციხავი სიტყვისა და ხარხარისა: „მავან ჯერ სულ არ იცის ქალს ფეხები სად აბია!“

მერმე ერთი სასწაულიც მოხდა: ბუხარის თავიდან ქალედი ჩამოვარდა და სახთლები ჩაქრა. სარკმელში ახლა უხმო

### 23. ტრუმბის ანბანი

დილა ადრიადა, ჯერ კიდევ ყველას ეძინა, უფლისწულმა ოლთაყე რომ იხმო და ეზოში ჩამოვიდა. შხეთის შიდა ასავალ-დასავალი მოათვლიერა.

ციხის ვალავანზე შეფრენილი ბოლოშალაფა მამალი ყიოდა. სწორედ მამალი იყო და არა „ყვიჩი“. ეს ნიშანდობლივ ენიშნა შეფეჯკაცებულ ქაბუქს.

კარიბჭესთან ბათაყვა ციხისთავი დახვდა.

— არ გძინებია, ძველმებრძოლო?

— ჩამორჩენილები გვიან მოვიდნენ, ქვედა სართულში მოვათავსე.

— რომ ვაიღვიძებს, დედაბერი აპკვარე. სხვა, რასაც თვითონ ინებებს. ეს მამალი ამ ციხეში საიდან არის? —

— მავისა და ხმლის მეტი არაფერი და არაეინ არ გამაჩნია! — ნღვლიანად ჩაიდუღუნა მოხუცმა.

— ჰოდა, ახლა მოსავლელი გეყოლებოდა. ახალგაზრდა პატრონი! ციხოვანხი და მსახურნი ხომ საკმაოდ გყვანან?

— ახლა ზედმეტნიც არიან.

— ზედმეტი გამაყოლე. გედე ჯერ დარჩეს, ვიდრე ქალები შეეჩვევიან აქაურობას. ძველი მორჩა! არც ვიგონებ, ვიცი, შენ არ გეხება! მორიელები აღარ არიან. ახლა კეთილსამყოფელ ციხედ გადავაქციეთ!

საუბრით დაიარეს ციხის მკვრივად შეკრული სამი მომცრო ეზო, ბურჯები, წყლის, დიდი, თავდახურული ლაკვა, საიდუმლო გვირაბის თავი და კარიბჭის ჩამკეტი კიბე-კედლები.

მალე კარიბჭეც გააღეს და უფლისწული, ოლთაყესა და ზედმეტ ციხოვანთა თანხლებით, ციხე-გოჯისაკენ წავიდა.

ელვის შორი კლავნილი მყავიოდ ჩანდა. ბუხრიდან კი უკვე მამრი რიონი ჰქუხდა.

— ღმერთებს სწყურიათ ჰყვნან წალქეკა! აი, ნიშანი ბედისწერისა! რაღად ვარისხებთ ღმერთებს!

ახლა მთელი სადგომი დაემსგავსა აგიზგიზებულ ბუხარს.

იმ დამით რიონზეც ყოფილა წყალდიდობა და მოვარდნილ ტალღას დიდი ფონი წაუღვია.

იქ უკვე გახურებული სამზადისი იყო. გამოჩინებულ ამაღასა და რჩეულ ლაშქარს აყოლებდა იბერიაში გოჯი კოლხელი თავის უფლისწულსა და „არსიანულის“ მოციქულებს. სადამომდე უფლისწულმაც მათთან თავგამოდებით იღვაწა. მისი განსაკუთრებული ხალისიანობა და შეფრფენილი განწყობილება ყველას საბატო სტუმრობით გამოწვეული ეგონა. მხოლოდ ტარიელმა იგრძნო, რომ აქ რაღაც სხვა მიზეზია. მთელი არსებით ზეიმობდა მოყვასი. თითქოს სხეული მუნჯურად ვალობდა და ოცნებით სულ სხვაგან იყო. არა, საქმეს არ აკლებდა ხელს, მაგრამ ტარიელმა კარგად იცოდა, რომ ახალგაზრდა უფლისწულს ახლავე შეეძლო რამდენიმე საქმის ერთღოვლად გაკეთება, თუმცა სადამოს პირას ყველაფერზე ხელი აიღო. აუცილებელ მწიგნობრობაზედაც, ვარჯიშზეც და ტეხურზე ჩავიდა. ტარიელიც ჩაჰყვა. ხიდის კარს გასცდნენ თუ არა, სვლას უკლო ჩაფიქრებულმა უფლისწულმა. ხიდზე სულ შედგა და დიდხანს, დიდხანს უმზირა ტეხურის ჩაღებულ ჩქერს, თითქოს ელოდა რაღაცას.

— რა გქნა, შენ ხიდიდან კვლავ ხომ არ ჰფიქრობ გადახტომას? — გაჰკენწლა ტარიელმა.

— არა, ეგ კბილი უკვე მოვიცვალე!

— აქვე, ტეხურში?

— არა, რიონში!

ტარიელი ოდნავ დაიბნა.

— შენ როგორ მთვარეულოვით მჭევრობ? რა კბილს გულისხმობ?

— რძია-რძია კბილებს! — მერმე კრია შეიკრა, ტეხურზე საბანაოდ ჩავიდა. თუმცა დიღანს არც აქ გაჩერებულა.

სასახლეში რომ შობრუნდნენ, ილორიდან მოყვანილი ახალშთვარის ნუკრების ნახვა მოისურვა. ოლთაქეს მანდიკურის ჭიბებებში ჩაასმევინა და ცხენით სადღაც გაჰგზავნა. მერმე თავადაც გაქრა.

დილაზე აღარც გამოჩენილა. ასე საში დღე გაგრძელდა ყველა ამჩნევდა, მაგრამ თვალს ხუჭავდა. გამგზავრების ქაშიც ახლოვდებოდა. ცოტა საქმემ შეაფერხა. გაგრძელდა საშინაოსი და აღარც უფლისწულს მიუძღებია, თითქოს ემაძკიდევიც და „დაქარგვა“ განაგრძო.

ბოლოს ტარიელმა პირდაპირ ჰკითხა: — უფლისწული რომ არ იყო, არც გკითხავდი, ისე გავარკვევდი ან ხელს ჩავიქნევდი! სად იქარგები, ძმაო და უფლისწული? მე თუ მიშალავ, მამობილს მაინც გაუმზილუ ან მასწავლებელს!

უფლისწული ყურებიანად გაწითლდა. — ხომ შეიძლება უფლისწულსაც ჰქონდეს გულის ერთი საიდუმლო?

— გულის საიდუმლო? — ტარიელი სახტად დარჩა, — კიდევაც იმიტომ. ხუცურები! თითქოს სულ მეჭორწილუ ხარ!

— ახლა ნუ გამოქვამ! — ბალღივით შეეშურა მითრიაღატე.

— არა, მე არა, მაგრამ სიყვარული არასოდეს, არსად არ დაფარულა, მით უფრო უფლისწულისა! მით უფრო სულსწრაფი სიყვარული!

— ჯერ „ხიდიან გდახტომა“, ახლა „სულსწრაფი სიყვარული“. მერმე რაღა იქნება ჩემი „ფონი მახრობარბი“? ახლავე მითხარით, გულთმისნებო! — გულდაწყვეტილად შეეკითხა მითრიაღატე.

— ვაგლახ, რომ ჩვენ ასეთი რამ, ვგონებ, ყველას გვახასიათებს! — ჩუმად აღმოხდა უფრო მოწიფულსა და დანჯებულ ტარიელს.

მითრიაღატეს კი გულში მოხვდა ასეთი დაცვენა.

„ნუთუ ესეც არის ერთობლივი ქართველ ტომთა სულიერი ნიშანთავანი? — ზედმეტი თავმომწონება, ზედმეტად მამრი საწყისი, სიამაყე და სულსწრაფობა და არა მარტო სიყვარულში?“

ტარიელი კი თავისას განაგრძობდა: — შენ საცოლეს ალბათ უკვი ვირჩევნ გვირგვინოსანთა და მათ შეილთა

შორის. „არსიანული“ ათას რასმე უნდა შეესატყვისოს, გარდა ერთისა.

— ხამდვილი სიყვარულია? — ფიქრიანად „შეესატყვისა“ მეგობარს უფლისწული და თვალწინ ისევ თავისი ლულუფა წარმოუდგა, შხეთის ციხის დიდ თავანზე გადმომდგარი, ნაჩუქარ ნუკრებს შორის, ვაეიბედიას მოლოდინში თვალცრემლიანი.

— შენი სიყვარულიც შორს განჭვრეტილი და ათას მხრიდან გაზომილი უნდა იყოს. შენ კი, ჩანს, ყველაფერზე ხელს იღებ. დიდ მიზნებზედაც, შორს ვაჭიმულ ჯაჭვად რომ გადავცს შენს ცხოვრებას, შენი გაჩენის პირველ დღიდანვე!

— საიდან ჩანს? ხელი მივაკელი რაამე? — ტრფიალს მზენაჭვრეტევით თვლებში ხელით დაეფარა, ისე მეტყველებდა.

— ხელზეც იბერიაში მივალთ. შენ მიყვები. შენ კი? ვისთან არის შენი გული და საქმე? ვგონებ, თვლებიც? უფლისწული სდუმდა.

— იქნებ, არც მოდიხარ? შენს ჰასაკში „კალთის ყაჭვი“ ყველაზე უფრო სახიფათოა ჩვენ ყველას, განსაკუთრებით მოხუცებს, გვაოცებს შენი შორსმჭვრეტელობა. ახლა ერთი კოპწია და ხორციელი კალთის იქით ვეღარაფერს ვერ დანახავ! და ვაი ჩვენ, შენს მოიმიედეთ!

— ნუ შიშობთ. ჩემი ზრახველსაგან არ გავდგები, ისეთი დროც რომ დადგეს და შემეხვეწოთ! ამას არც არავის არ ვაპატიებ! არც ჩემს თავსა და არც სხვას! იმედიც არავის ჰქონდეს!

ეს ისეთი ცივი დაჭერებით და ფარული სიმკაცრით ითქვა, რომ ტარიელს შეაძრვოლა კიდევაც. მაგრამ მითრიაღატემ ეს პასუხიც არ ჩათვალა საკმაოდ.

— და რას მიქვია ისეთი სიყვარული, რომელიც რაიმე მართებულზე ან დიდ განზრახულზე ხელს ამაღებინებს?

ტარიელი სრულიად დაწყნარდა, მაგრამ განცვიფრდა კიდევაც. იგი ყველაზე ახლო იყო მითრიაღატესთან და ჰფიქრობდა, რომ ყველაზე უკეთ იცნობს მას, ახლა კი ხელად დაეჭვდა. გარდა ამისა, ახლა განუყრელ მძაღნაფიცობაშიც ახალი ვითარება ჯერ უხილავად ჩნდებოდა. უფრო დაწვრილებით აღარაფერი ჰკითხა. — ყველაფერი მაღევე გამოჩნდება!

ადამიანის გული პალიასტომივით არის, გახსოვს, ზღვა და ხმელი ჯერ არ გაყრილა და ტყე კი უკვე უღრანი იყო?

არც ის ღამე გაუთეგია სასახლეში უფლისწულს. ტარიელის ნათქვამი კი ღრმად, გულში ჩაჩა, მაინც „პალიასტომის შესხენება“. გაასრულებდნენ თუ არა დღის სამზადისს, დაეთხოვებოდა ტყბილ მეფე-მამობილსა და სამ მსცოვანთ, „ქვასავარძელს“ მამობილებს, ახლა ამით მეოთხეც შეემატა — ცოტნე სახლოუხუცესი, და ისევ თავის ტრფობის გზას გაჰყვებოდა შხეთის ციხისაკენ. ახლა ამ გზაზე მრავალი ფიჭრი იწვართებოდა ნისლას ჭენებასთან ერთად.

„პალიასტომის წყალ-ხმელეთა გაუყრელი უღრანი არაფერია, თუ შიგ ისეთი ნადირი რამ არ ბუღობს, რომლის შესახებაც მეც ჯერ არა ვიცი რა!? ჯერ კი მხოლოდ ნუჯრები, ხობხები და ყელმოღერებული, იქნებ შეწირული გედები!“

არც იბერიაში წასვლის წინა ღამე არ ჩაუგდია „შხეთის ტრფილს“.

ერთად ისხდნენ ციხის დიდ თავანზე, ირგვლივ ნუჯრები დახტოდნენ და ლულუფას ხელიდან ნუჯარებს ჭამდნენ. ვაჭიბედიას ხელს კი უფროთხოდნენ.

მონადირის ხელს გრძობენ, მეც ვგრძობი! — სევდიანი ღიმილით მეტყველებდა ლულუფა. იგი ამ ბოლო დროს უფრო გამშვენებდა და ჭალური ეშხით აღივსო. „კოკატეხილას“ უღარდელი და ცქრიალა მარბენალი კი აღარ იყო, არც გატაცებული შეწირული, არამედ სიყვარულით გამთბარი და თავდავიწყებული ასული. მან უკვე იცოდა, რომ მისი ტრფიალი უფლისწული, მარტო მისი არ იყო. უფრო მეტიც, მისი იქნებ ყველაზე ნაკლებად იყო. რადგან მის სატრფოს ყველა მომავლის იმედად სახავდა და ახლავდნენ ღმერთთა შორის წარმოიდგენდა. აი, ახლაც იბერიაში უნდა წავიდეს, იქიდან კიდევ სხვაგან და სხვაგან. იმ დიდ გზაზე, რომელიც ქართველმა ღმერთებმა და ტომებმა მას დაუსახეს,

მაგრამ პირველი სიყვარული მისი და თავის გულსა და დალოცვას გაატანს!

ლულუფა გრძობდა, არც მათგანს ტრფილის ირგვლივ, რაც იცოდა, ის მხოლოდ ჩრდილი იყო სინამდვილისა, მაგრამ დიდი, გულსავსე, რიონივით მოვარდნილი სიყვარული, არ ჰკითხავს მრავალს! მას სრულიად ცოტა ჰყოფნის საყვებად, როგორც მერცხალს. ერთი რამე კი თავიდან სთხოვა — „ქართუ ანბანის“ დაწერა, რითაც ფრიად დააფიქრა „ფიციის კაცი“ და არც პირობა მისცა, ვიდრე აბიო-იბერთან არ გამოარჯვია. ბედანს ვერ შეჰბედა, მოიარებით ნათქვამსაც მიუხედებოდა. აბიო კი განუვაშააც მიუხედებოდა. აბიო კი განუმარტა, რომ „ქართუ ანბანი“ პონტოსა, კაბადოკიასა და შორეულ ქართველ ტომთა ქვეყნებში იყო ფარული, თორემ კოლხეთსა, იბერიასა და ალუანეთში კი არა...

მაშინ შეჰპირდა ლულუფას, დაუწერა ანბანი და სწავლებაც არ დაიხარა.

— ჩვენი სიყვარულის ანბანი იყოს! მალევე ლულუფამ, პირველი წერილი, მომწერსავე წაუთხთხა და ჩუმად საყვადურიც უთხრა.

— შენ რიონში სულ სხვა მიახმე და, ვაითუ, ყველაფერი წყალმა წაიღო!? — არა, კვლავ მოგწერ. ხვალ კი, ჩვენი ქვეყნის საკითხავს მოვიტან. და გაყრის ეამს მოუტანა „მატიანე სპერისას“ ახლად გადაწერილი პირი. ბედან-კოლხის მიერ მითრიადაც ევაპატორის დაღუპვამდე თუ გადაკარგვამდე მიყვანილი.

— ეს ძველსაკითხავია, ჩემს ჩამოსვლამდე გეყოფა საკითხავად და გადასაწერად! მერმე „კოლხეთისა და იბერიის მატიანეებს“ ჩამოგიტან. მარტო იკითხე და წერე. თუ რაიმე ვერ გავარკვიო, მე მომწერე, ან მომიცადე! ამის დაკარგვა, ჩემი დაკარგვაა, იცოდე!

ციხის გარეთ თუ მოისურვო გასეირნება, უსათუოდ ბათყვა იახლე. ნენამონა ხომ აქ გეყოლება. ციხე შავარია, მეციხოვნენი საწყოფი. არაფერი არ მოგაკლდება.

— შენს მეტი. ეს კი ყველაფერია! —

ქალს ჩურჩული აღმოხდა და თვალები ცრემლით აევსო.

ვაქმა საზე მოუბრუნა, თვალები ამოუკოცა და ჩუმად უთხრა:

— წარმოდგენა არ მქონდა, თუ ქალის ცრემლი მლაშე იყო. ისიც არ ვიცოდი, რომ მლაშე შეიძლება ტკბილი იყოს! საერთოდ, ბევრი რამე, არა, კი არ ამერია, ახლა სხვანაირად მიჩანს! და ალბათ, არც შეიძლება კაცი, კაცურის განმცდელი და გამგები ვახდეს, თუ არავინ არ გყვარებია!—და სულ სხვა კილოთი განაგრძო,—შენი აქ ყოფნა არავინ არ იცის, გარდა აქაურებისა, გესმის, არავინ! დაე, ჯერ ასე დარჩეს!

— დარჩეს! ნეტავ სულ შენთან ვიყო ჩრდილად და ეს არავინ არ იცოდეს, ჩვენს მებრძო!

— მაგრამ ჩვენს გარდა კიდევ ცხოვრობენ ქვეყანაზე მტერნიცა და მოყვარენიც! — ჩაეღიმა ვაქს, — იღუმალ ტრფობის კოშკი დავარქვათ, მოშხამულ შხეთის ციხეს!

მერმე ნენა-მონა გუქსაეულ ოქრომკულ ქოშებში ამოაქუნდა მათთან და სერობაზე იწვია.

იგი დაუმცხრალ გაოცებით შეჰყურებდა ახალგაზრდებს და თავდაპირველად თუ ჯავრობდა, დუღდუღებდა, მერმე თანდათან ჩურჩულზე და ჩუმ ბუზლუნზე გადავიდა, მერმე ესეც უხმო ფიქრებში გადაიტანა. ხოლო სულ მალე ვეღარ ახერხებდა ფიქრებშიაც კი მათ აუგად მოხსენიებას. ყველაფერს კვლავ „უპატრონო სილამაზეს“ აბრალებდა და სულ მალე შეურიგდა „ასე შესაფერი-სად გაჩენილთ“.

ჯერ საერთოდ მოიხიბლა, მერმე კი დაითაფლა კიდევაც, მაინც უფლისწულის ხელედაშლილობა და გულკეთილობა რომ თავის თვალთ იხილა. კუნჭულა ფაცხის პატრონს, ზღაპრულ შხეთის ციხის პატრონობა სასწაულად ეჩვენებოდა. მართალია, ის მხოლოდ მაშინ იყო პატრონისა, მაგრამ მის მეტი აბა ვინ ჰყავდა ამ, მართლაც, უპატრონოს! სიბერეში კი დედაბერიც მოხვეჭის მოყვარული ხდება ხოლმე.

ციხეში, გუქა ძველპატრონის სადგომში, დიდი სკივრი დახვდა. რაც შეუყვარავი დიბა-სტავრა იყო, ლულუფის მიუტანა, ხოლო რაც შეყვარული, ყველა თავისთვის დაიტოვა და ყოველ დღე ნაირ-ნაირს იცვლიდა.

— რაც ცხოვრებაში დამაკლდა, ახლა უნდა ავითავო! ცოტას გავიჭიმები და ე', კაბები სულ ჩემს ტანზე მომერგება და კიდევაც შემერგება!

მრავალი სამკაული და წვრილქედური არაფრად არ ჩააგლო, მაგრამ ოქროს კვირისთავმა ფრიალ გაახარა, მაშინვე თავის ძველ თითისტარზე წამოაცვა და მეტი აღარც მოუშორებია. მერმე ერთი მდიდრული აკვანიც ნახა და იმას კი უცრემლოდ შესტარა.

— აბა რა ჩემი ბრალია? ძველი სიტყვა თორემ ვაქცაობითაც, ქონებითაც, წოდებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. აბა რა შედარებაა! უმჯობესი—უმჯობესს ელტვის და ახლა რძია-რძია კბილებით დააბამ ქვეყანას!—და მხოლოდ იმის გამო ჩუმად ბუზლუნებდა, — დმერთებო დამიფარეთ და რატომ შუამაულებსა და მარებლებს არ მიგზავნის ვაქი? მაგას მართლა უპატრონო ხომ არ ჰგონია უპატრონო სილამაზის პატრონი? არ დამიბდღვნას შევარდენმა ჩემი ხოხობი!

და თითისტარზე ძაფი უწყდებოდა-ვაქი შეამჩნევდა:

— ნენა-მონავ, დედილო, ოქროს კვირისთავის ბრალია, მეტად დაამძიმა!

— არა უშავს რა, წვერს დავუმატებ და გამოთანაბრდება. ქალს პატივი უხდება და ძაფს დამაბვა!

მერმე ყველაფერი ძველი და ძველებური გულიდან გადაიგდო და ყოველ გათენებისას ეშინოდა, ვაითუ სიზმარი გათავდეს და მეც „გამეღვიძოსო“. გაღვიძების მოლოდინში სიხარბე წაეკიდა და რადგან ადრეულ ჩვევათაგან რთვა და ქსოვა ვერ მოიშორა, ოქროს კვირისთავში ვაათანაბრა და ოქროს ჩხირებიცა და ყაისნალიც გააყეთებინა ოქრომკედელსა და მქანდაკებელს შავლე ხეიბარს.

ოსტატი კი საერთოდ ბედს ეწია. არც საკმელზე, არც სასამელზე ზრუნვა აღარ სჭირდებოდა. ცოტა ზარხომად ყოფნა მაინც სჭიროდა ლითონს. ახლა აღარც ლითონი აკლდა, აღარც დრო. მანაც საოცრად დაუღალავი მრავალშემოქმედება გამოაჩინა. ვაჟიბედის მოჭქონდა გამზადებული ფილა ან ჭურჭელი, ხატულვარაყი ან მხატვრული ტვიფრული შავლე-ხეიბრისა იყო, ლულუფას სახეც ხომ ჩინებულად გაასრულა. ზოგი რამ სხვაც, ადერკ მეფის სანობათოც.

ახლა უფლისწულს უკეთებდა ოქროში ამოვლებულ, ვერცხლის საბრძოლო ბადრო-დროშას. ნახატის თარგი თავად უფლისწულმა მისცა, მზეზე გაკრული ლომზე შემჯდარი შუბოსანი, ერთი მხრივ და სავსე მთვარეზე გაკრული, ჭაჭვანუგეტილი, დაშნააღმართული ამირანი, მეორე მხრივ, ზედ ირგვლივ ქართული წარწერა იყო, ერთ მხარეზე: „მზითა და მთვარით ბოძებული, ტომთ ლომობითა და ერთიანობით წარმატებული“. მეორეზე კი, „ამირან ჭაჭვნი შელეწნა ძალითა ძალოვანიითა“!

— თუ დამჭირდა, კაცს გამოვიგზავნი და გამოატან! — დროც მისცა, მაგრამ ერთი კი სასწრაფოდ მოსთხოვა.

— ხვალ უთენია მივალ! ამ ფარს შიგნით ლულუფას ვერცხლის შენეული ტვიფრული ჩამიმგარე, სარჩულიც ააკარი, ვერცხლის ლულუფა ჩემს მეტმა არავეინ ნახოს. ბრძოლაშიაც ხელი არ შემეშალოს, პირიქით, მემფარველოს.

ლულუფას ცრემლი მოადგა თვალეზე. ვერცხლის ლულუფა მიჰყვებოდა სატრფოს, ცოცხალი ლულუფა კი აქ რჩებოდა. განშორების ეამი დგებოდა.

ოსტატმა ხელში შეატრიალა ფარი.

— ხალაბური ხელობაა! მკვრივად ნაჭედი! — ოდნავ ბუტყულად ნასახი რქოსანი ხარის შუბლი გასინჯა. ვარაყად შემოვლებულ, ტანსეპილა ვეფხებს თვალი დააყოლა, — კარგი ნახელავია! — მერმე ზურგზე მოიდო და თავის სახელოსნოში წაიღო.

— სარჩულს მე ამოვეუკერავ, ამომიტამე! — მიადახა ლულუფამ.

ისევ თავანზე ავიდნენ. მზე დასავლის დასავალზე იყო. შხეთიდან მთელი ვეის მთა და ტეხურის ჩახლართული კასში გაშლილ ნაბდის კალთასავით ჩანდა. ლულუფა ტეხურს არ უშვებდა, თუმცა მას ჩააყოლა თვალი და იქ, ქვევით, აღარც თუ შორს, რიონის ამოსარკულ ტანს მოჭკრა თვალი.

— ხედავ?

ვაჟმა ბევრი ათვალიერა. მას არწივის მხედველობა ჰქონდა.

— არა, არავეინ არ ჩანს.

— ჩანს, ჩანს, მაგრამ შენთვის ის, რაც ჩანს, მხოლოდ მდინარეა! ამისთანებს, უფრო დიდებსაც, შენ, ალბათ, კიდევ არა ერთს გადაკვალავ. მე კი ჩემს რიონთან დავრჩები.

ვაჟმა თავი დახარა.

— ჩვენი რიონი, მუდამ ჩვენთან იქნება! — გულისხმიერად უთხრა, ხელიც მოჰხვია, მაგრამ დიდი აზრი შუბლისა უკვე იბერიის გზას ადგა. მას ახლაც ესმოდა ბედან-კოლხისა და სხვათა საბოლოო შეგონებანი: „კოლხეთი ერთი დიდი აუცილებელი ხიდი იყო ერთიანობის გზაზე! აღარ გადაგვიხტი ხიდიდან! ვაშა შენს ახალგაზრდულ გამჭირახობას! მაგრამ იბერიაშია ერთიანობის პირველბალავარი საძიებელი! ხალასი, ერთობლივქართული ზრახვა იქ უნდა შეაწამო და არც ერთი დიდ-ქართული საქმე უიბერიოდ არ გაკეთებულა! ახლა მოგვთა ხილზე არ უნდა დაგიცდეს ფეხი, არმაზის გორზე უნდა ღირსეულად შედგა ფეხი, საერთო ენაც კპოვო!“

ჩუმად მაინც ურჩობდა კეთილად შეგონებული და შთაგონებული გული... „ეს ყველაფერი კარგი — „ტეხურის ხიდი“, „გამჭირახობა“, „პირველბალავარი“, ახლა „მოგვთა ხიდი“, „არმაზის გორა“, „საერთო ენა“ პირველსიყვარულის, ლულუფას, ადგილი სადღა არის, სად? და გულის ოჩნობას ვერც იქ — მსცოვანებთან, და ვერც აქ — ლულუფასთან ვერ ამხელდა სამგზავროდ გამზადებული ტრფიალი. ასევე შემგვრებულ ფიქრებში ჩაეკარგა მზეცა და

რიონი. დამე შევ ობობასავით ქსელავ-  
და კოშკის თავანს.

ლულუფამ ხელი სტაცა ვაქს, თავი  
მკერდზე მიაყრდნო.

— დაე, ჩემი ლოცვა გფარავდეს შენ,  
რომლის სახელი მე ჭერ ხმამაღლა არც  
მიტქვამს! რა ვქნა, ვგრძნობ, რომ შენ  
დიდი გზა გაქვს. შენი ზრახვებიც, ალ-  
ბათ, სხვა და უზომოდ დიდი. შენ არ  
გითქვამს ჩემთვის და მე ამიტომ ვიცი  
და მჭერა! რომ გეთქვა, არც დავიჭვრებ-  
დი ალბათ. ჩვენ ახალგაზრდები, ვგონებ,  
უთქმელს უფრო ვერწმუნებით, ვიდრე  
ნათქვამსა და ათასჯერ ნალექს.

მე ხელს არ შევიშლი, ჩემი სიყვარუ-  
ლიც შენთან იქნება. თუ მინატრებ, ერ-  
თი ნიშანი მომეცი და სადაც არ უნდა  
იყო, იქ გავჩნდები! წაუკითხავმა წე-  
რილმა მომიყვანა და ახლა კითხვაც ვი-  
ცი, შენი ნასწავლი ანაბანა!

ლულუფამ სული მოითქვა და გად-  
მოსწრებულ ცრემლებს გზა მოუჭრა,  
მოერია, უსაშველო ლუქმასავით გადაყ-  
ლა და გაიღიმა.

— მაგრამ, ერიდე ქალებს! ახლა მო-  
გესევინან ახალგაზრდა უფლისწულს.  
აი, მხოლოდ ამაში შევცდი, მაგრამ ამას  
შენ ნაკლად ვერ ჩავთვლი, ალბათ, ჩემი  
უბედურების სათავეა.

— რატომ?

— აბა, შენს თავს მე, ფაცხის ცირას,  
ვინ დამანებებს?

— პირველი სიყვარულის უფლება! —  
მგზნებარედ უპასუხა უფლისწულმა,  
მაგრამ მაშინვე მოაგონდა ტარიელის  
ნათქვამი და კილო დაუშვა, შორს გაი-  
ხედა. თუმცა აქედან არ ჩანდა პალიას-  
ტომი, გულის „უღრან“ ძველას კი სა-  
ოცრად გრძნობდა. ესეც არაფერი, ცი-  
ხე-გოჯი კი ჩანდა აქედან. იქ კი, ალბათ,  
უკვე სადღედოფლოს ურჩევდნენ უფ-  
ლისწულს.

ლულუფამ ისევ თავისკენ მოახედა:

— ასეთ ფიქრებში ყმაწვილკაცები  
უფრო გულუბრყვილონი ბრძანდებით,  
ვიდრე თქვენი თანატოლი ყმაწვილკა-  
ლები! მაგრამ შენ მუდამ მსხვერპლად  
შეგეწირები და უკან არც მოვიხედავ.

ვგრძნობ, შენ ვახლავს ნიშანი მო-  
მავლისა და მეც მინდა შენი გულუბრყ-  
ვილი საქმის ერთგული მებრძოლი ვიყო!  
ვაფი ლულუფასაგან სულ არ მოელო-  
და ასეთ ღრმად განცდილსა და ნაჭვ-  
რეტ სჯას. უფრო აღფრთოვანდა.

— უსათუოდ მოგიხმობ! ფიცსაც მი-  
გაღებინებ! დიდ ფიცს!

ლულუფა ისევ სტიროდა, უხმოდ,  
თავჩახრილად, მხრების ოდნავი ტოკვით.

— მე ღმერთების ფიცი დარღვეული  
მაქვს. ახლა მარტო რომ ვრჩები, შით-  
ხარ, ვინა ვარ შენი?

— სატრფო! ასეც დარჩები, ცხოვრე-  
ბამ რომ დამასიოს ათასი ცოლი და ხარ-  
ქა!

ქალის თვალები იცრემლებოდნენ,  
ბაგენი კი ღიმილში თრთოდნენ. ასეთი  
რამ ბუნებრივად, მეტად გულწრფელ  
ყმაწვილკალებს თუ შეგვმთხვევათ.

— საჩუქრებითა და სიმდიდრით ამავ-  
სე. ხშირად ზღაპარში მგონია ჩემი თა-  
ვი, მაგრამ ერთი შენი კულუღი, სამახ-  
სოვროდ, ყველაფერს მიჩვენია!

— რომელიც გერჩიოს, ჩემო! — და  
ვაქმა თავი კალთაში ჩაუღო. მერმე ერ-  
თი, სრულიად გაუგებარი, ხმამაღალი  
ფიქრი ამოუხსლტა!

— მე რომ არ ვიყო, ვინცა ვარ და  
რაც უნდა გვაკეთო, ის არ მქონდეს სა-  
კეთებელი, მთელ ცხოვრებას ასე ვარ-  
ჩევდი! ოჰ, ნეტავ! — და ვიდრე კუ-  
ლულს შეაჭრიდა ლულუფა, სულგატ-  
რუნული იყო. მერმე ნუკრებიც მოვიდ-  
ნენ და მათაც თავი კალთაში ჩაუღდეს  
პატრონს. თუმცა ვიწროობა ჩაეარდა,  
მაგრამ მაინც მოთავსდნენ.

— ამათ ჰო... და ყველა დანარჩენს  
არა, ლულუფაე, სატრფოე ჩემო!

ასულმა კულუღი ააჭრა და ფიცი დას-  
ლო.

— ძველი და ახალი ღმერთები იყვნენ  
მოწმენი!

მერმე მთვარეც ამოვიდა. უმთავრე-  
სი ღმერთი ქართველ ტომთა და ყველა  
ტრფიალთა.

## 24. ქართული სულის აჯანყები



დილით, როდესაც გოჭი მეფე-უფალი კარის სალოცავიდან გამობრძანდა, კარგა მოზრდილი გუნდი საპატიო მსცოვანთა, ამალოსანთა და რჩეულ ცხენოსანთა უკვე მზად იყო. მან თვალი მჩხრეკავი გადაავლო ერთობლივ ყველას, დალოცა და მზეგრძელობა უსურვა. მერმე კი დინჯი სვლითა და ჩაძიებით დაათვალიერა ყველა და ყველაფერი. მსცოვანთა ჯგუფი, მართლაც რომ რჩეული იყო. ბედან-კოლხი, აბიო-იბერი, მახუნჯაგ-ტაოელი, ხამხე-მოგვი ილორელი, მათვე ჭყონდიდამდე მიჰყვებოდა სახლთუხუცესი ცოტნე, რომელსაც იქ შესცვლიდა და იბერიასი მიჰყვებოდა ისო-მოგვი ჭყონდიდელი. წინააღინ გამოძახებული და დროზე მოახლებული სუბარმას უშვანელი, მთელ სვანეთში სიბრძნით განთქმული ბაბი, ქვასავარძელაში ნამყოფი და, საერთოდ, ფიცის კაცი. შვიმთის ზღვისპირა ციხის პატრონი, გოჭი-მეფის ერთგული და ახლობელი, ემხვარა აფხაზი და კიდევ რამდენიმე „წარმოსადგევი და გამოსადგევი“—ქადაროსანი. ყველა შერჩეული იყო საპატიობით, განსწავლულობით, საქმის მცდელობითა და ენამეყვრობით და, რაღა თქმა უნდა, სრულ საიმედოობით. მეფე კი არ უგზავნიდა მეფეს დაქნილ მოციქულთა, არამედ ქართველ ტომთა ერთი ნაერთი „ზღვის კერა“, ნათესაურად მიდიოდა ქართველ ტომთა „ხმელეთის კერის“ ნაერთთან, „საჭირვარამო ვითარების გამო ერთად სამოქმედოდ და თავის სატეხად“.

რჩეული იყო აბჯროსანთა ჯგუფიცა და მებადალენიც, კარგა მოზრდილი გუნდიც ლაშქრისა თან მიჰყვებოდათ. იბერიასი გაბმული ომიანობა იყო.

— თუ მეტი ლაშქარი დაგვირდეთ და ბჭენო, დროზე შემოთვალეთ! მე ვიცი, რომ დაგვირდებათ! უფლისწულის სიტყვა კი იქ, ჩემი სიტყვაა, მაგან კი იცის, რომ სიტყვას ძალაც სჭირდება და არც დაიხვეს!—მერმე ოდნავ სევდიანად, უფრო თავისთვის ჩაიღუღუნა,

— ნეტავ ზოგი მოხუცი მსცოვანთა ახი იყოს, როგორც ზოგი ახალგაზრდა! — უფლისწული ოდნავ განზე გაიყოლია და ჩუმად, სულ მამა-შვილულად ჩაუფუჩუნა:—არ მყავდი და ვუძღვებდი სიბერისა და უშვილობის დუხჭირს. ახლა მყავხარ და ძალიან გამიჭირდება, მაგრამ საქმეს მიდევნა უყვარს! ხოლო, როდესაც დრო მოიხელთო, მომწერე ხოლმე. ბედნიერადაც გამომიბრუნდი მალე! და კიდევ,—ახლა სულ დაუცლო ხმას, თითქოს მკერდზე უსწორო ტალღებად მოფენილ თავის თეთრ წვერს უჩურჩულებდა,—უნდა ვითხრა, ნურც დაირცხვენ, ნურც მე გამაწილებ. აქეთიქთ გაიხედე, დააკვირდი, დროა შენს ნიშნობაზედაც ვიფიქროთ! — და თან თვალეში ალერსიანად, მაგრამ მცდელობადაც ჩაახუნდა, — რახან შვილი მყავს, იქნებ შვილიშვილსაც მოვესწრო,—ესეც მახარე!—მერმე გაეცინა,—ასეთია ადამიანის გული, გინდა მონა იყავ, გინდა მეფე!

უფლისწული გაქვავებული და, ვგონებ, გაფითრებულიც იდგა.

მეფე-უფალმა ყველა დალოცა. მსცოვანები გადაკოცნა, ხელთანაც მიუშვა. დანარჩენთ ხელი აღუპყრო, ტარიფლს მხარზეც გადაუსვა.

— აბა, შენ იცი, ჩემს მემკვიდრეს, კერძოდ შენ გაბარებ, მაგის თაობის კაცი ყველაზე უფრო შენა ხარ და ბევრ რასმე შენგან უფრო მიიღებს, ვინემ მსცოვანებისაგან! აბა, მგზავრული! გზა მშვიდობისა!

გალავნის საყვირების ხმამ ციხესა და ქალაქს კარიბჭის საზეიმო გაღება აუწყეს.

ყველა ზეიმიითა და ლოცვით აცილებდა ციხე-გოჯიდან უფლისციხეში მიმავალ უფლისწულს. მას, ილორთბის შემდეგ, განსაკუთრებით დიდი სახელი და სიყვარული ჰქონდა მოხვეჭილი.

მგზავრები მგზავრულით დიდ თემშარას გაჰყვინენ. მითრიდატე წინ შეკავებული ლაფშურით მიდიოდა და უკან

არც ერთხელ არ მოუხედავს, იცოდა ციხე-გოჯის გარდა, ჯერ შორს, ეკის მთაზე შეხეთის ციხეც ჩანდა. ისევე თავის გულს ეჯიქურებოდა და არც დასთმო, ვიდრე თარგენის წყალს არ გასცდნენ და რამდენიმე გორის კალთა არ გადაიარეს. მერმე კი აღარც უნაგრის ქედი ჩანდა და არც ეკისა. ახლა კი გული დასწყდა, მაგრამ ნისლამ თავი მოსტაცა და წინ გაახედა. ტყეთა და გორაკთა თავზე მაღალი თხემი გამოჩნდა. ზედ ლუმტზე ლუმტი მუხნარი აბჯრად აღიონდა და ბოლოს დიდ მწვანე მუხარადად სრულდებოდა.

— ჭყონდიდი! — იცნო უფლისწულმა მისრაულას გოდლიდან დანახული.

კალთაზე სოფელი ჩანდა. უფრო ზევით სამარტილო.

ჩანს, სოფელში მოელოდნენ. დიდ-პატარა გზაზე იყო გამოსული. მოხუცები ფეხზე წამოუდგნენ ილორის გმირსა და საპატიო მოხუცებს.

არცერთი თაობა ისე არ სცემს პატივს ურთიერთს, როგორც მსცოვანი—მსცოვანს!

დედაბრები ცალკე იდგნენ და თავსაბურავებს ისწორებდნენ. მოწიფულებმა ქუდები და ყაბალახები მოიშვლიავენ. ტანშიშველა ბიჭუნები და პერანგა გოგონები სულ არ ერიდებოდნენ ცხენებს.

მოჩიბული ყმაწვილქალები და ქალწულები თავდაბრილად იდგნენ, მაგრამ თვალსწრაფად დაეჭებდნენ „ზაპრულ უფლისწულს“, რომელიც „ნასროლ ისრებს კოლოსავით იჭერს“, „მარულაშ ფრთას ისხამს“, „ბულა-კუროს უროთი ერევა“ და სხვა ათას უჯერ-მჯერ ამბებს ჩადის. თვალ-ტანადობით კი მზესავით თვალებსა სწევას.

თვალებს აცეცებდნენ და შეხედვაც ეშინოდათ ქალწულებს. უფლისწულს კი ყველგან ლულუფა ელანდებოდა. აი, მისი ფერის თმა და ნაწნავი. აი, ტანის მამორხვევა, იერი, წელი ქალწულისა. ნუთუ თვალი ასე ონაერობს? სმენაში კი მკლავზე მოკიდებული ფარი ვერცხლის ხმაზე ქდერს! სარჩულიც ვერ ახშობს ქდერას.

ხამხე-მოგვმა დიდი ქისა აახლა.

— ესენი სულ ჭყონდიდის შვილებია! უფლისწულმა წვრილი კოლხური აქვით და იქით აფრქვია.

— ყველას გვემფარველოს ჭყონდიდის ძალა, ვერცხლიანსა და უვერცხლოს!

მთელი სოფელი უკან მიჰყვა. აღმართის პირშივე უღრანი ტყე იწყებოდა. ჯერ დიდი ცაცხვანარი, მერმე წმიდა მუხნარი იყო. ხან ახალნახარდი ტყე, ხან შიგადაშიგ ძველი, ტოტებჩამოღწილი, დადრუებული. სულ მაღლა კი ისეთი ვეება ჭყონი იდგა, რომ ასეთის მნახველი საერთოდ არ ყოფილა უფლისწული.

თითქოს ერთ ტანად შეტოტილი მთელი ტყე იყო. ქვევით კი დაკოყრებული, დამშხალული ფესვები ვეება ღუზებივით იყვნენ ნიადაგში ჩახლართული. ტანი მუხისა მისარონის კოშკის სიგანეს არც ჩამოუვარდებოდა. და თითქოს გადაბრუნებული მისარონი იყო, ერთ ფეხზე შემდგარი „უღრან-გალავანი“.

ირგვლივ გამოტკეპნილი, ყუყუა ჩრდილი იდგა და თითქოს ცოცხალივით სუნთქავდა. ზევით კი, ტოტებისა და ფოთლების ზღვაში, ნამდვილი ზღვის მშუილი ისმოდა. პირველნახვისას თავზარდამცემი იყო ჭყონდიდი.

უმზერდა უფლისწული ზევით და თვალს ვერ ამორებდა. ნისლასაც კი თითქოს გადაედო პატრონის ძრწოლა. სხვებიც მოკრძალებით იდგნენ.

— შესწირეთ ჩემ სახელზე კურატი ჭყონდიდს! სასწაული სასწაულთა!

— არ შეიწირავს, ვიდრე არ იტყვი სახელს!

შრიალივით შემოესმა უფლისწულს, კბილჩაკლებულ მანდილოსნის ხმა. ისიც იგრძნო, ვიდაცამ ხელი უტაცა ნისლას აღვირს.

— ვაჟიბედია! — დინჯად დამარცვლა.

— შენ ხარ!? ამას შეგებოვდი! ჭყონდიდმა გაგვასწოროს!

უფლისწულმა თვალი მოსტაცა ჭყონდიდს და ახლა წინ დაიხედა.

კეთილნაკეთიანი, ლამაზად დაბერებული მანდილოსანი, სულ თეთრებმოსილი ხე-ღმერთის მონა, წინ უდგა და საოცარი სიძულვილით უმზერდა. დაქვეითებულ ოლთაყესა და თოლიგეს უყვე ხელი შეეცანათ და მოშორებას ლამობდნენ.

— ხელი უშვით! — წარბები შეიკრა ვაჟბედია და თეთროსანს მიუბრუნდა, — კიდევ ვწირავ ჭყონდიდს შეთვის მახლობელ მუხნარს!

მაგრამ ამ შეწირვამ სულ საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა.

— ალბათ, მიცანი, ამიტომ ხარ ასე გულუხვი?

მითრიადატემ ვერ იცნო. ფიქრმა ც სულ სხვაგან მოიყარა თავი.

„კოლხი დედა-ქალები რა შეუბოგრები ყოფილან! ეს მესამე შემთხვევაა! მხოლოდ ესენი ბედავენ ასე ჯიქურად მოსვლას! არა, ისიც ასეთია, თიამათ ძიძა, ტუბალი! ქართველ ტომთა საერთო ნიშნად ჩანს! ქართველი მამაკაცი იარაღით არის ვაჟკაცი, მდებრი—რაღა ძალით? ნუთუ მანდილით!“

— ვერა, ვერ გიცანი, თეთრო მანდილოსანო! მონაც ჭყონდიდისა! მიმისნებ რასმე?

— ჩემი თეთრი მანდილი სარკეა შენ საქმეთა! მიცანი? გეშხეთა?

მითრიადატეს ნენა-მონა მოაგონდა, მერმე ლულუფა, ეს „ეშხეთა“ უწინარეს ყოვლისა. ჭყონდიდი კი შრიალებდა.

— მთხოვ რასმე? გზაზე ვარ?

— ისიც გზაზე იყო. შვილის ამბავს გთხოვ, მეუღლისას აღარა! ჭყონდიდის წინაშე ვაღიარებ, ის არ იყო კეთილი კაცი! უწია კიდევაც! შენც გიწვევს თუ უმრუდე გზას! იყოს მოწმე ჭყონდიდი, უკვდავი და უბერებელი!

უფლისწული ახალა მიხვდა. გულზე მოეშვა, უმალ დაქვეითდა.

— აღსიტარხოსას ამბობ? — მერმე სხვებს შეხედა და ცხენზე დარჩენა უბრძანა. ყველა ჩრდილის ზღვარზე დასტოვა. ჭყონდიდის მონა კი უფლისწულს მიჰყვა. ახლა ისინი ჭყონის ძირში იყვნენ. იქვე მცირე საკურთხეველი ჩანდა.

მძლე, ქვევით დადრეკილ ტოტზე ჭყონდიდის დროშა, საყვირი და ძელი ეკლდა.

შორიახლოს, ირგვლოვ, მგზავრი ცხენოსნები და ჭყონდიდის ერი იდგა და ელოდა. ელოდნენ ცოტნე სახლთუხუცესი და სამგზავროდ გამზადებული ისამოგვი ჭყონდიდელიც. ხე-ღმერთი კი მხოლოდ შრიალებდა...

— ჩემი შვილი სად არის? — თეთრი მონის პირით თითქოს ჭყონდიდი ჭკითხავდა უფლისწულს.

— შენი შვილი ცოცხალია. იგი მე პირადად შევიპყარი!—დაკლებული ხმით უპასუხა ვაჟბედია... ჭყონდიდი ისევე შრიალებდა!

— რას ერჩოდი? ხომ ყველაფერი აპატიე? მამ ატყუებდი ყველას?!—ხმამაღლა გაიძახოდა დედა, ჭყონის ხეშეშ ტანს ხელს უსვამდა.

— არა! არ ვატყუებდი! შენი შვილი სად შევიპყარი, იცი?

— არა. ვიცი, რომ შენი შიშით შინ არ მოდიოდა.

ჭყონი შრიალებდა, სულ შრიალებდა.. ერი სულგანაბული უსმენდა.

— დედი! შინაც მოდიოდა, მამასაც ნახულობდა. გიმალაუნენ ყველაფერს, მამა და შვილი შეითქვენ ჩემი და შენი სამშობლოს წინააღმდეგ! მეტს არას გეტყვი. ჭყონდიდის ძალას ვფიცავ! — ახლა უფლისწულმა შეახო ხელი ჭყონის ტანს. ერმა შევებით ამოისუნთქა.

თეთრმა მონამ ხმას დაუკლო, ხელი მოტეხილ ფრთასავით ჩამოუვარდა.

—სქვამგურისას დავიჭერებ, შვილისას არა!

— ჩუმად გეტყვი, საიდუმლოს თუ შემიწახავ! ერმა არ იცის, არც ჭყონდიდისამ, არც სხვაგან!

— მე, დედა, უნდა ვიცოდე!—უკვე ჩურჩულზე გადავიდა თეთრი მანდილოსანი, ვფიცავ!—ახლა ორივე ხელი აკარა მუხას და ეამბორა კიდევაც.

— შენი შვილი შუა ზღვაზე შევიპყარი, რომაულ ხომალდზე! შეთქმის წერილებთან ერთად!—სულ ჩუმად, მხო-

ლოდ მუხის გასაგონად უთხრა უფლისწულმა და მუხაც ხელით მოიმოწმა.

მანდილოსანმა თეთრი უბიდან შავი ხილბანდი ამოიღო, სახეზე იფარა და თავი მუხის ტანს ახალა. მუხა კი შრიალებდა, შრიალებდა...

—ესა მქონდა იმედად, შვილი მაინც შვილია!

თავი ჩაპხარა ვაყიბედია—მითრიდატემაც:

— დედი, მე ვიცნობ სხვა დედასაც. ის სულ სხვანაირად მოეჭეცა თავის შვილს. ამის გამო მე სიტყვას ვდებ, — უფლისწული წამოვარდა და ჰყონდილის ძელს, იქვე დაკიდებული ხვედა შემოპკრა, ხმაც აიმაღლა. — მე, უფლისწული ვაყიბედია სპერელი, სიტყვას ვდებ ჰყონდილისა და მისი მონისა—დედისა...

— გუქასი! — მიიძახეს აქეთ-იქიდან.

— გუქასი, რომ სიცოცხლე შევუნარჩუნო სამუდამოდ პყრობილთ — სქვამგურსა და ალისტარხოს, ჩვენ ტომთა და ნათესავთა ღალატის ჩამდენთ!

მერმე ცხენს მოახტა და გზად მიმავალთ თავში ჩაუდგა.

ჰყონდიდი კი შრიალებდა, კვლავ შრიალებდა... თითქოს აურაცხელ თაობათა ნაბჭევს, ნალოცევს, ნაგოდებს და ნაფიცს კვლავ იმეორებდა და იმეორებდა!

ცხენისწყალზე ღამე ათიეს. ხიდი ახალწადებული აღმოჩნდა. თუმცა ეს არც ახალი ამბავი იყო. ცხენისწყალი ისევე არ გუობდა ხიდს, როგორც მისი ქალის ურა ცხენები უნაგირს!

წყალი თუმცა კიდევ მღვრიედ დიოდა. მუხლსაც უშლიდა ცხენებს, მაგრამ ცხენჩეულობით შეპხედეს და დილიანად კეთილად განვლეს.

მერმე მცირე დაბა—ხონი იყო. აქეთ უღრანი ტყეები, შიგადაშიგ ნოყიერი აბოები იყო გამოკაფული. მრავალი გზაც იქსელებოდა, საცხენოსნო და საურმეც, ჭიხიშისკენ, წყალტუბოსაკენ, სადაც ღმერთების წყალი იყო, სასწაულმოქმედი, სამლოცველო—განსაბანელი და

კლდის ქვეშეთიდან ამოვარდნილი თბილი მდინარე.

არც შორს იყო დევების ნადგომი—სადაც თაფლია და ბოლოს ციხე-ქალაქი ქუთათისი და ოხვამერიონი.

ყველაზე უკეთ ქუთათისის ისა—მოგვი ჰყონდიდელი იცნობდა. იგი ჰყონდიდამდე ოხვამერიონს იყო მოგვად. აქ რიონისპირეთის დიდი ოხვამერი—სამლოცველო იყო. იგი ფრიად თავისებურ ციხე-სამლოცველოდ გაშენებულიყო.

პირველად, ალბათ, რიონის პირზე გაჩნდა ოხვამერი — სამლოცველო წყლის ღმერთისა — ჰეასი, მერმე ხიდი გაჩნდა, მარჯვენა და მარცხენა მხარეზე ქალაქი ქუთათისი, გალაენითა, სასახლითა, ქულბაქებით და სხვა შენობებით. ძირითადი ციხე კი საფეხურებად თანდათან თუ შედგა მარჯვენა კლდეზე. ოხვამერი ახლა ქვის აბჯარში ჩაჯდა, რიონს გვირახით ჩასწვდა და სახელიც ოხვამერიონი, შემდგომ უქმეერიონი დაისაკუთრა, ქალაქს კი ქუთათისი დარჩა.

ციხე-სამლოცველოში და ქალაქში უკვე ელოდნენ უფლისწულსა და სტუმრებს.

კლდის თავზე — ბურჯებსა და ზღუდეებზე ნოხები, ჭრელქსოვანები და თეთრი ნაბდები გადმოეკიდათ, თუმცა ეს სრულიადაც ვერ არბილებდა ჰეას ციხე-ტაძრის საოცრად მკაცრსა და მკაფიო ქონგურებს, ჩაბილულ-ჩაფერდებულ კედელს და გველეშაპის კუდივით მოგრაგნილ ზედა და ქვედა ბურჯებსა და საბჯენებს.

მალა, თავგოდოლა კოშკზე ბუნი იყო გზისკენ გადმოხრილი, ზედ ორჩაქიანი დიდი დროშა ბორიალობდა. შორიდან იგი ვეება ყაბალახს ჰგავდა.

ზედ გამოყვანილი ნაქარგი ვერც ვარკვია მითრიდატემ.

— რა დროშაა?

— აეთური გაბლავთ! — მოეხალა ისა—მოგვი, — შედეასა და აფსირტეს მამისა! ასე იტყვიან! ზედ მართლაც სპილენძის ჩლიქიანი, ცეცხლის მფრქვეველი ხარია ამოქარგული.

— წარმოდგენილი მაქვს იაზონის ძრწოლა, პირველად რომ შეხედა ამ ციხეს და ეპვიც არ მეპარება, რომ ვერაფერს გახდებოდა, მედნა რომ არ გასჩენოდა შიგნიდან ციხეს!

— ღალატს სქესი არ გააჩნია! — ყრულ გამოეხმაურა ბედანი.

— ვაგლახ, მე ეს უკვე ვიცი! მდებარის ღალატი მაინც ყოვლად შეუწყნარებელი!

გზამ ერთი მუხლიც მოუხვია. აქ კარიბჭე სრულად ხშავდა გზას. დარკინულ ბქეს ვეება, ფხაყრილი გველვეშაპი რკინითავე ჰქონდა ამოსახულ-ამოჭედილი. ახლო საინარეზე რომ მივიდნენ, უეცრად გაიღო ბქენი. თითქოს შეკბილული ხახა დააღო გველვეშაპმა. ხოლო როდესაც ბქის შიდა კამარაზე ვერძის თავიც გამოჩნდა, უფლისწულს „არგონავტიკა“ თვალწინ წარმოუდგა. ისეთი გრძობა ჰქონდა, თითქოს ვეება ქვის წიგნს ჰკითხულობდა და მესხიერებაში იმეორებდა...

კარიბჭეში არავინ არ იდგა. ზედ, ახლოვე, თლილი ქვის აკლდამა ჩანდა. მოშორებით შემხედური დიდკაცობა და მხედრები ელოდნენ. უფრო უკან — მეციხოვნენი და მოქალაქენი.

აკლდამას დიდი შუბლის ქვა ჰქონდა. მითრიდატემ შორიდანვე შეამჩნია ზედ ორენოვანი ეპიტავია: ქართული და ბერძნული. ბერძნული მან ზეპირად იცოდა „პებლოსიდან“, რომელსაც არისტოტელეს მიაწერდნენ.

ქართული უფრო ვრცელი იყო:

„ერთთა და ლართ მდიდარი, გამარჯვებებით სახელმოსვეჭილი კოლხეთის მეფევე აეთი, დმერთების ყოვლის მძლე სვემ აქ გააბატონსა“.

აკლდამას ქვის შვერილება ჰქონდა ძვიდზე. ზედ მოჭედილი და დაფერილი ფარი ეკიდა.

— აეთის ფარია! — წასჩურჩულა ისამოგვმა.

მითრიდატე უმაღ დაქვეითდა, სხვებიც. მოსულეებმა ახლა დააფასეს მასპინძლების თავაზი. უფლისწულს პირველი, კარიბჭესთანავე აეთი ხედებოდა.

სპერელმაც კეთილად მიიღო ასეთი პატივი. დაქვეითდა, მიეახლა აკლდამას, ცალ მუხლზე ჩადგა, უსიტყვოდ ხელზე ალაპყრო. ფიქრმა იძალა და აეთის აკლდამიდან მითრიდატეთა აკლდამამდე უხილავი ჯაჭვი გააბა, მამამოკლული წამოავდო.

სპერელმა დაშნა იშიშვლა და აეთის ფარს სიბრტყივ შემოჰკრა, ძლიერად ააყლერა. ლითონის ზრიალი მალდა ციხემ აიტაცა და ამრავლა, დაბლა — რიონმა.

აეთის ფარი და მითრიდატეს ხმალი დიდხანს ეხმარებოდნენ ურთიერთს!

უმაღ მოეგებნენ მასპინძლებში, ჯერ ოხვამერ-ტაძრის მოგვნი და ქურუმნი, მერმე ციხისთავი, დიდგვაროვანი და მხედრობა, ბოლოს ქუთათისის მოქალაქენი და მთელი მდაბიო ერი.

უფლისწულს ჯგუფ-ჯგუფად წინ მდგარ მანდილოსანთა და ქალწულთა სიმრავლე მოხვდა თვალში. არა, არც ერთი არ ჰგავდა შხეთს დარჩენილ, ხშირად მოსაგონებელ ლულუფას. ვკონებ არც ურთიერთს და ყველა კი ლამაზი, ტანადი და შთამბეჭდავი იყო!

„აქ არიან ასეთი ლამაზები, თუ მე შეჩვენება ასე!“ — მერმე მოაგონდა, რომ დაახლოებით ასევე მოეჩვენა ჯუმათს, ილორს, აფსაროსზე რომ აღარა თქვას რა. — „საერთოდ ახლა დამიწყია ქალწულთა სილამაზის შემჩნევა!“ ბოლოს თავსაც შემოსწყრა და დამუქრა კიდევაც, — „მივწერ, უასათუოდ მივწერ შხეთს!“

საფიქრალი ახლა სხვა ღარზე ძალიან ლად მიუშვა. მერმე რამდენი იყო ახალსანახავი და მომავლისათვის გამოსარკვევი!

მასპინძლებს მიესალმა. ქალაქისა და ციხის ერს ხალისიანად გადასძახა. მტკიცე ბურჯებსა და აკბიულ-ჩაყბულად ასულ ზღუდე-გალავნებს თვალი ბეჯითად გააყოლა. დიდი კამაროვანი ოხვამერიც, მოხდენილი, ბუნებრივი და გარემოსთან შერწყმული ხუროთმოძღვრებით ფრიად მოიწონა. „გარემოს შერწყმულობა“ მან კარგა ხანია შეამჩნია.

კოლხურ დიდშენებს. ყველგან გრძობდა დიდ ფარგზე დახვეწილ ხატოვანებას, ბუნების დიდ სიყვარულს, მის ნდობას და ბუნებრივად განვითარებულ გემოვნებას, თაობიდან თაობაზე გადასულს და შემდინდრებულს.

აზრი ისევ წელანდელ კალაპოტში, მაგრამ უფრო ღრმა ხნულად ჩაუფარდა — ისევ ერთობლივი სილამაზე და მოხდენილობა!

და რაც მთავრად მოეჩვენა მითრიდატეს, ყველას საკუთრივი სილამაზე ჰქონდა, სულიერსა თუ ქვეში ნაკვეთს! განსაკუთრებით, ადგილის მოდგმას, განუმეორებელი და ეკრძოდ მისი სილამაზე. და ეს, ჩანს, მარტო გარეგნულ სილამაზე არ ეხებოდა, არც მარტო ქალებს. და არც მარტო ქუთათურებსა თუ კოლხებს. ზოგადქართულ, ტომთაშორის საზასიათო ნიშნად გამოსჩანდა! მაგრამ ეს „გოგური სილამაზე“ კი არ იყო, არამედ კეთილმოდგმიან წილში, უკეთილესი ბუნებისა და მიწა-წყლის გვირისტში ამოსული, მკვეთრად მოთავთავებული პიროვნება და მისი ხვეწილი, კეთილი ნიჭით ამეტყველებული სახე!

ვერა, ვერ ვაართვა თავი ამ აზრებს. იმას კი გრძობდა, ბოლომდე ჯერ ვერ მიჰყვებოდა ნაფიქრს. ერთმა მოსხლეთილმა აზრმა კი სულ არია — „შეიძლება ბოროტი უფრო ჰქვიანი იყოს, მაგრამ კეთილი უფრო ლამაზია!“ მაგრამ ეს აზრიც უფრო შეალამაზა — „ბოროტი უფრო მახინჯია, მაგრამ ჰქვიანი, კეთილი — ლამაზი და ბრძენი!“ — სიღრმეში უკვე შეეშინდა შეტოპვა, მაგრამ სამოქმედოში კი გადმოიტანა... — „ბოროტი და ჰქვიანი“ თითქმის ყოველთვის უფრო მოქმედა. იგი ებრძვის ბუნებასაც, თავის თაობასაც, ხშირად წარსულსაც, მომავალთან კი მას საქმე არ აქვს!

კედლის მეორე წყება რომ გაიარეს, უფრო განცვიფრდა უფლისწული. მთელი ეს გარესიყვარე, ორწოხები, ვიწრო გასავლები, ბან-სართულები, ზეძირკვლები, კვარცხლედები ბუჩქებითა და ყვავილებით იყო დაფარული. დიდი, ლოყავითა ვარდები აქ თითქმის ჰვა-

რადნენ და აქარწყლებდნენ ხვიფლოვან კედლების მკაცრ ნატიხრალბებს.

— ამ ჭაჭვის პერანგს რა ვარდნარის სარჩული ჰქონია! — აღფრთოვანებით აღმოხდა უფლისწულს.

სწორედ ამ დროს ზედა საართულებიდან თუ გაღავნიდან დაფურცლულ ვარდების ღვარი გადმოაფრქვიეს თავზე მოსულთ. ახლა სულ თავზე ხელი იტაცა უფლისწულმა. მეციხოვნენი, ციხე, სამლოცველო, ხალხი, გარემო, მთელი ქვეყანა ვარდისფერ თოვლში ჩანდა. თოვდა, თოვდა, უხმოდ, რბილად და სანატრელ სურნელოვნად!

„მიეწერ, უსათუოდ მიეწერ ვარდის ფურცლების ცვენას! შეხეთიც უნდა გახედეს ჩვენი სავარდე!“

პირდაპირ სუფრაზე მივიდნენ სტუმარ-მასპინძლები. უზარმაზარ ჭადრის ქვეშ იყო გაშლილი. ხე ციხეში ვეღარ ეტეოდა. ტოტები აღარ შეეჭრათ და ახალი გაღავანი კი შემოერტყათ.

— ხის გამოა გაფართოებული ციხე! — განცვიფრდა მითრიდატე.

— აგრე გახლავთ, უფლისწულო! — წინ შეშნა ციხისთავი წარმოდგა — ციხეში წესი არ არის ხის გაშვებისა, მაგრამ თუ არის ასეთი საპატიო ხე, მისი ჩრდილიც შიგ უნდა იყოს! ეს უხუცესი ხე კი ციხისთავად ითვლება. მე უხუცესის მწე გახლავართ! ოხვამერში ახალაც არის ამის სიგელი!

უფლისწული მოკრძალებით მიესალმა „უხუცეს ციხისთავს“. ახლა იგი „უხუცესი სუფრისთავიცა“ და ზეცაც იყო. უფლისწულსაცა და სხვათაც სალამი ფრიად თვაწუთული და უნებურად ამყვი გამოუვიდათ.

ყოველ ახალი ქართული მხარის ნახვისა და შეგულისხმების შემდეგ, თითქოს მართლაც ახალი მხარი ებმებოდა მითრიდატეს. ქართულ სამყაროს მიწა-წყლისა და ტომთა სიმრავლის ცოდნის შემდინდრებასთან ერთად, უძლიერდებოდა ალღო, მხნეობა გულისა და ზრახვების დაუცადელი ჰერეტა.

განცდილი და ღრმაფიქრიანი მგზავრობა კი თვალხილულა ხილვების ძალი-

სა იყო. ყველაფერი გულსა და მეხსიერებაში სტოვებდა შრესა და ნასახს.

ოხვამერიონის კლდის ძირში, უვიწროეს ადგილას, რიონზე, კლდიდან-კლდზე გაბმული ჭაჭვის ხიდი იყო... ზედ საცალფეხოდ ლასტები იყო დაფენილი. სახელურადაც ორი დიდზე-დიდი მარჭვალა ჭაჭვი ჩაზნექილ ცისარტყელად გასდევდა.

არც ფონი იყო შორს და საკმაოდ მონადიმებული სტუმარ-მასპინძლები რიონში რომ ვადიოდნენ... დაინახეს — ხუტუტა ბიჭებს, მთელი ხიდის მანძილზე, რკინის მარჭვლებში თავები გამოეყოთ, ლასტების მიღმა ფეხები გაეჩარათ, ჭაჭვის ხიდს ერთიანად და ერთად ატატებდნენ.

მითრიდატეს თვალში და გულში მოხვდა ეს „თავების გალა“ და ყველა შემოაბრუნა.

— შეხედეთ! შეხედეთ! ამისხენით ამის ნიშანი!

— ბავშვები კი ხალისობენ, მაგრამ ჩვენ ყველანი აი, ასე, ჭაჭვის ხიდზე ვართ მიჯაჭვულები. ზოგმა ვიცით ეს და ზოგმა არა! — გამოეხმაურა ბედანი.

— ბეწვის ხიდს ჭაჭვის ხიდი მაინც სჯობია! — შეედავა აბიო.

მახუჩაგამა კი, „ამ თავ-ფეხა ხიდის“ შემხედვარემ, ბევრი იხარხარა და ხმაც ოხვამერიონის ცას უწია.

— ეს რა ჭაჭვიანი და ლასტიანი თაობა გვეზრდება! აბა მაგათ რა ციხე დაუმაგრდებათ, ასე რომ მიადგნენ!

მითრიდატემ სამივეს ნათქვამი გულში ჩაიდო, მაგრამ ერთი თავისიცა სთქვა ჯერ ჩუმად და ხმა ჩაკლებულად, მერმე ხმაშლილად:

— აეთს რომ კეთილი შთამომავლობა ჰყავს, ამას კი ვხედავ, მაგრამ იქნებ მედევასაც გააჩნია აქ თავისი მრუდე შთამომავალი!

პასუხი მაინც არავინ გასცა. ესეც მომავლის სარკვევი იყო!

ახლა უშუალოდ მასპინძლებს შეეკითხა:

— ეს ხიდი სად არის გამოჭედილი?

— აქვე! — მემნა ციხისთავმა გაღმა

ნაპირისაკენ გაახედი, — ქუთათური მჭედლები მუდამ განთქმული იყვნენ! ჩამომსხმელებიც! რკინაც გვაქვს, ხალხბურს იქნებ არც ჩამოუვარდეს!

— ხალიბურიც ჩვენია! — მიძახა ტარიელმა, ახლოც მიეახლა, მან უკვე იცოდა დასკირდებოდა უფლისწულს.

— შემომოწმე, ტარიელ, მემნა ციხისთავთან ერთად. ახლავე დაავალე, ასი ლუხა დამჭირდება. ზომები იცი. პირდაპირ ხომალდებით რიონ-რიონ ჩავიტანთ!

ქუთათისის ვარდისფურცელა თოვლის შემდეგ, კიდევ ერთხელ თავზე იტაცა ხელი მითრიდატემ, როდესაც ცხენები აჯამეთის ტყეში შეაქვენეს.

მუხის ულრანში მოხვდნენ. თითქოს მუქ მწვანე ტბაში ჩაიძირნენ. შავად და ყვითლად ჩათსამული ტანგამჭვირვალე ჩრდილები გაშეშებულად იდგნენ. დინჯი, ნელი, ზვიადი ტაატი კი სადღაც ზევით იყო. თითქოს ყველაფერი ობობას ქსელზე და უჩინრად შემოღწეულ სხივის სირმაზე ებლანდა და ფსკერზე იყო დალექილი.

დიდი სიჩუმე თავისთავად დამყარდა. კლაკნია ბილიკებზე გაფანტულ-გალანდული ცხენოსნები ჩუმად მოძრაობდნენ და თავიანთი გულის ბაგაბუგი ესმოდათ.

აქ თითქოს ხმასა და სიტყვას ძალაც დაკარგული ჰქონდა და შეეღერების უნარიც. აზრი კი, ჩანს, მუხის ნალვერდლებზე ჰღვივოდა.

სიღრმისაკენ ტევრი უფრო გამუქებული, გამუხებული და დაქვავებული იყო და ისე ესახებოდა „ზღვის ჭაბუკს“, თითქოს მუხები კი არა ღმერთები და ზეკაცები იდგნენ მიჯრით, ხელუბი ურთიერთ გადაეჭდოთ და უტყვად საუბრობდნენ.

და უეცრად ადამიანის ხმა, სიტყვა მოსწყურდა მითრიდატეს. ბედანს შეუცადა, წასჩურჩულა:

— აჯამეთის მუხნარი ყველა ღმერთთა და ბუმბერაზთა დიდი, ხელთუქმენი ტაძარი ყოფილა!

— ღმერთთა, ბუმბერაზთა და კაცთა!

— ჩურჩულითავე შეავსო ბედანმა და კვლავ მიმართება მისცა სწავლულ ჰაბუქის ფიქრებს.

— აი, ჩვენი აკადემია—ხელად აიტაცა მანაც, —და რომელი პლატონის აკადემია შეედრება მას თავისი სიზვიადით თუ სტიქიური ძალით!

— სიზვიადე და სტიქიური ძალა აქ დიხაბე შეუდარებელია. ჩვენ, ადამიანები სრულიად უმწიონიც ვჩანვართ, მაგრამ არის თუ არა ეს იმ უპირატესობის გამოხატველი, შენ რომ ჰგულისხმობი პლატონის აკადემია, არა ხეებით არის ამალეებული!

— არც შე გვულისხმობ მარტო ხეებს! გარემოს შეგრძნობის პირველყოფილ ძალას! მე ახლა მოხიბლული უფრო ვარ, ვიდრე საბაქროდ შემართული, მაგრამ მაინც ვიტყვი — აზრს, რომელსაც სიზვიადე და სტიქიური ძალა არ გააჩნია—დიდსამოქმედო აზრად ვერც ჩაითვლება, ვერც გამოდგება! მე ჩემი ალღოს ეშვებს ამ გაქვავებულ მუხებზე გლესავ! ამით ვარ შენაპყარი! აი, ჩემი აკადემია!

ერთ მუხასთან ცხენი მიავდო, დაქვეითდა, დაშნა იშიშვლა, მუხას შემოჰკრა და ააღესა. კიდევ შემოჰკრა, კიდევ ააღესა და ასე, ასჯერ მაინც! მუხის ტანზე ნადაშნევი ჰდებულ-ჰდებულ გარს უვლიდა, ახალ სევადს მატებდა! უჩვეულო ჩქამით დამფრთხალი ჩხიკეები საშინელი ჩხაველით შემოესივნენ ცხენოსნებს. ჩხიკეთა აბეზარ ხმას ყვაეების ჩხაველ-ბორიალიც დაერთო.

მითრიდატემ დაშნაც აღესა და გული იჭერა.

— ალბათ ასეთი გრძნობით იყვნენ შეპყრობილი ჩვენი შორეული წინაპრები—პილგამეში და ენქიდუ „წმიდა კედარის“ ტევრში რომ შევიდნენ! აქ წმიდა მუხის ტევრია, ამასაც ჰყავს თავისი მაჯლაქუნა მცველი ან ყორანა-როკაპი! მინდია და ამირანმა იქნებ აქ დამარცხეს მუხის მავნენი,—ცხენიდან ჩამოუსვლელად შეესიტყვა ბედან-კოლხი.

— იქნებ აქ სთქვეს პირველნუგეშის „მუმი მუხასა“. მერმე მინდია მაინც

წავიდა „ცოცხალ კაცის ქვეყანაში უკვდავების მოსატანად“, ამირანი კი ღმერთებმა კლდეზე მიაჯაქვეს, ხმა და აკლდა ბედანს.

— მერმე სად არის ახლა ამირანი, ჩვენო უფროსო თაობავ? მე თქვენ გკითხავთ! აჯამეთის ტყეში ვართ და სიტყვაც აჯამეთური იყოს!

მგზავრების მთელი ახალგაზრდობა, ტარიელის მიბაძვით, თუ თავისი გრძნობით დაქვეითდა და მითრიდატეს ამოუდგა.

მსოფიანები ცხენებზე დარჩნენ. მათ იგრძნეს სუსხი სიტყვისა. ბედანმა წვერი ჩამოისწორა და აუღელეებლად უთხრა თავის მოპაქერეს, ახალგაზრდობას იქნებ აჯამეთის ტყესაც:

— თუ ბრმად ეძებ, კავკასიონის ყოველ კლდეზე უნდა ეძებო! თუ გულითა და სიბრძნით, ისიც უნდა იცოდე, ყოველმა თაობამ თავად უნდა აუშვას თავისი ამირანი!

მითრიდატე დადრკა. დაშნა ჩაავო.

— აჯამეთური ლელო შენია! მაგრამ მინდია სადღა არის?

— შეეგულისხმე და ყოველ ქართველ ტომში ნახავ. ქართულ სიტყვაში ნახავ, ყოველ ჩვენებურ ასო-ანბანში. შენ სიტყვა, მარტო სიტყვა ხომ არ გგონია!

— ქართველი და ქართველური ტომები მე ბევრგან ვნახე დაქსაქსულნი, ზოგან ჩამორჩენილნი, ზოგან უანბანო და უქართულსიტყვო!

— ვაგლახ, არიან!

— მე ახლა ქართულ სულის სიძლიერეს ვეძებ, ჩვენი მომავლის დასაყრდენს! მარტო სიტყვა არა მყოფნის. შენ მეტად ხომ არ აფასებ საერთოდ სიტყვას?

— სიტყვა ღმერთია. მან ყველაზე უფრო დიდი მხეცი ადამიანად აქცია! აი, ძალა სიტყვისა!—ერთიც დაჰკვესა ბედანმა და ყველა გაძვიფა.

ახლა ახალგაზრდობები მუხის ახალნაზარდებს ემსგავსნენ. ბედანმა კი დაახანა და განაგრძო.

— ქართული სიტყვა კი, თავის ნამრავლითა და ნახლუტი კილოყავებით,

ის ქაპანი და აპუჩრები, რომლებიც ყველა ჩვენებურ ტომსა და ნათესავს ერთობლივ გუთნეულში შეაბამს. მამა-პაპურსა და შვილთა-შვილურ სახნავ-სათესში კი ქართული სული, სიტყვა და მიწა-წყალი რამ ვაარბვია!

— მერმე გუთნისდედობას ვინ ვასწევს!—ერთიც შეედავა მოზარდი.

— ვინც ყველას გაუგებს გულის ნათქვამს. ვინც ჩვენ ტომთა მებრთიანებელ კეთილთვისებებს შეჰკრავს. ვინც ქართული სულის აჯამეთს მიაგნებს და დაეუფლება, აი ვინ! მე არ ვიცი, რა ერქმევა მას, მინდია, მითრიდატე თუ ამირანი!

უფლისწულს ვააერეოლა. უკვე რამდენი ხანია მისი სახელი სხვისგან აღარ სმენია, მით უფრო ბედანისაგან. მართალია, ნათქვამი ისე იყო, თითქოს მას არც ეხებოდა, აღარც შეიხო. ოდნავი დაბნევა ცხენზე მოხტომით დაჰფარა და უკვე ამხედრებულად მიაძახა:

— თუ ამირანი, მისი ამშვები ვინდა არის!

— ვინც ქართველ და ქართველურ ტომებს შეჰკრავს, ამირანის ჯაჭვს მკვნეტელიც მხოლოდ ის არის!

მუხნარი უფრო პირქუშად იღვა. ერთი პირქუში კითხვა მითრიდატესაც აჰყვა, მაგრამ აღარ სთქვა. მუხსიერებაში კი ნამეორევეად ჩაჩნა.

— „შეჰკრავს ტომებს თუ გადაადულებს! შეჰკრავს თუ გადაადულებს!?“ და ისევ იბნეოდა აზრი, როგორც ბილიცი აჯამეთის უღრანში. შეკვრა ძნელ ტომების წილადობილას გულისხმობდა, გადაადულება კი ახალ შეთვისტომებასა და ტომთა ერობას თუ მოასწავებდა!

მაგრამ ახალგაზრდულ აზრს სიმწიფე ჯერ არ ჰყოფნიდა, ამიტომ ფხიზლად არჩევდა სათქმელს.

კიდევ დიდხანს იარეს სიტყვებისა და მუხების ტეერში. ბოლოს აჯამეთის ტყეც გაილია, სიტყვების ტყესა და ზრახვებს კი რა გალევდა!

ფიჭრშეძრულად იჭდა ცხენზე მითრიდატე და, თითქოს აჯამეთის ტყე მოძ-

რაობდა, დინჯად ვილოდა, როგორც წარღვნა ფიჭრთა.

„ნუთუ დეაფეკაცება ფიჭრის გართულებასაც ნიშნავს... და ყოველ სიტყვის უკან მთელი სამყაროა აღმოსაჩენი!?!... იქნებ მეც უკვე ქართული სულის აჯამეთით ვარ შენაპყარი!“

და მართლაც აჯამეთურით დაამთავრა: „მიფეერ, მაინც მიფეერ შეგთს, თუნდაც იმიტომ, რომ ჩემი თავი კარგად ვიპოვნო!“

ბოლოს გავიღწენ ყვირილას ნაპირზე. მითრიდატემ იცოდა, რომ ბერძნები ამასაც ფაზისად სთვლიდნენ, თუმცა იგი მხოლოდ შენაკადი იყო. რიონ-ფაზისი კი ჩრდილოეთიდან დიოდა.

მიმდგარ ტყეს ახლა ახრები და ხოდაბუნები ენაცვლებოდა. მალე კი ბაღ-გენახებშიც აეკიდა მზვარე მხარეებს. აქ უკვე დაბლარიც იყო. ხშირ გორაკებზე გაფანტული სოფლებიცა და კოხტა ოდებშიც. ბუქულა წისკვილებიცა და საღამურა წყაროებიც. გზაც მოფართოვდა. ეს უკვე დიდი, აღმოსავლეთ-დასავლეთის საგაჭრო და საქარავნო გზა იყო.

აქედან მტკვრამდე სახმელეთო, ლიხის შარა იწყებოდა.

ძირულასა და ყვირილას ისედაც ვიწრო ხერთვისში, კლდეზე, შორაპნის ციხე-ქალაქი იღვა. ძირობებში ხელოსანთა რიგები და ღამის სათევი ფუნდუკები ეგვროდნენ ციხის კლდეს. უფრო ქვევით მეჭურჭლეთა ფარდულები, მეთუნეთა დაზგები და ქოთნეულ-კეცეული კალო-კალო ელაგა. სულ ქვევით, თითქოს შორაპნის დედა-ციხისა და დიდ-გალაენის დეზებად გამოსული — ორი ბონდის ხიდი იყო — ყვირილასზეც და ძირულასზეც, გაღმა-გამოღმა დარგულ, ცოცხალ, შორას წაზრდილ ვაზებით საიმედოდ ჩაგრეხილი და ჩალასტული.

ვაზებისა და ხვიარების ბონდის ხიდები აქ ისეთივე ხშირი იყო, როგორც წამლაუწუმი ლელები, რომლებიც ასევე წამლაუწუმ, მოკრუტუნე კატუნებიდან მბღღვინვარე ვეფხვებდად იქცეოდ-

ნენ. ამ „კოლხურ საქანელებს“ მითრიდატემ ჯერ უნდობლად შეჰხედა, მაგრამ ერთ-ორ ადგილზე მათი სიმაგრე ცხენდაცხენ შეამოწმა. მაშინ კი გულში ჩაიდო, მომავალ საბრძოლო ხერხად დაიმახსოვრა. მაინც, როდესაც დარწმუნდა, რომ მათი ჩაშლა-ადღვენა სულ მოკლე დროისა და მასალის საქმე იყო. ნაპირებზე მარაგი ვაზები მუდამ იყო დარჩული, ხოლო რაც დრო ვადიდოდა, ვაზის ხიდი უფრო მძლავრი და ამტანი ხდებოდა.

დღე-ციხე მდინარეთა შორის, კლდის ვიწრო, კეხიან ცხვირზე იყო გადაჭდარი, მერმე აღმოსავლეთით, დიდი ზღუდნთ წაგრძელებული და უფრო ამალგებულნი. მისი მთავარი ტანი დაბურულ სურათში იჯდა, ასე რომ, სად თავდებოდა კლდე და სად იწყებოდა ზღუდე, გარედან სრულიად გაუგებარი იყო. ქალაქის გალავანი კი სულ ბროწეულეებში იჯდა.

შორაპანი უცხოთათვის იბერია-კოლხეთის საზღვარი იყო, ნამდვილად კი აქ იბერიელნიცა და კოლხნიც ერთად იყვნენ, ფრიად მშურადაც ცხოვრობდნენ, ურთიერთისაგან არც ირჩეოდნენ, ვიდრე მტრები არ ჩაერეოდნენ და არ ამღვრევდნენ ორივე მდინარესა და ტყუპ ძმათა ტომებს.

ამ „ტყუპი-ძმობამ“ აქ ფრიად თავისუფალი სახე გამოჩაბა. ციხეს ორი ციხისთავი ჰყავდა—თაყა და მაყა შორაპნელები. ორივე ამერ-იმერ მეფეთა დანიშნულნი. გარემოების მიხედვით ხან ერთი თავობდა ხან მეორე.

იბერიაში ახლა ომიანობა და ხარაჯიანობა იყო, ამიტომ შორაპნის ციხეს კოლხნი—თაყა შორაპნელი წარმოადგენდა. მანვე მიართვა ციხის გასაღები უფლისწულს. მანვე უმსაპინძლა. ყვირილას კოშკზე სწრაფი, მაგრამ რჩეული, მოსვენის სუფრა გაუშალა. თევზითა და ღვინით მოიწონა თავი. ახლა მაყა შორაპნელმა გადაიწვია ძირულას კოშკზე და მანაც ახალი თევზი და ძველი ღვინო მოართვა. ღვინო საერთო, ციხის მარნისა იყო. განსხვავება მხოლოდ თევზებში

იყო. ისიც არა ყველაში, რადგან კალაქი და წვერა ორივე სუფრას ამწვენებდა, ხოლო თაყას ღლავიც ქმნიდა სუფრაზე, მაყას კი — ქაშაბი.

ღამე ციხეში ათიეს. დილასაც, უკვე საერთო სუფრაზე, ახალი, ჯერ კიდევ ფართხალა თევზები რომ მოართვეს, ციხის კარიბჭე კი ჯერაც გაღებულნი არ იყო და მისი გასაღები თვით უფლისწულს ეკიდა „საუფლო ქაშარზე“. მითრიდატემ უკვე გუშანით იაზრა, რომ ციხეს კიდევ „ფარული ორხვრელი“ გაანჩია—ყვირილაშიაც და ძირულაშიაც. ციხის დავლის დროს ამამიც დარწმუნდა და ერთი რამეც, თავისთვის მოულოდნელი ნახა: ძირულას მხარეზედაც და ყვირილას მხარეზედაც, ბურჯებზე გამდგარად, თითო ფილაკვანი იყო.

— სადაურია!

— იბერიული! აქ ყოველ ციხეში ნახავთ! ომიანი ქვეყანა იწყება! საომარს ყველაფერს უხვად ნახავთ!

მაყა შორაპნელი თან წამოჰყვათ სურამამდე. მალე მთასაც შეეკიდნენ. ძირულა საღლაც ქვევით ჩაიძირა. ტყეც ისევ პირი შეიკრა. აღმართმა—და ხშირ-ნამეწყარალმა ადგილებმა ცხენებიც მოჰდალეს და მხედრებიც. სოფლებმაც ფრიად იკლო. მთა-ტყიან საეაღზე უფრო დააფასა მითრიდატემ ხილთა შენების კოლხ-იბერული ოსტატობა. უამრავ ბოგებსა და ბონდის ხიდებს სცვლიდნენ ჯარგვალურა ხიდები, ბწყარა-ხიდები, ბიწკინტი-ხიდები, პირდაპირ წყალზე დადებული ტივტივა ხიდები. არც ხიდების სიმრავლე და არც წყაროების საღბუნე რიკოთის გადასავლამდე არ მიჰკლებიათ. მერმე უეცრად დიდი თავქვე დაიწყო.

აქ უკვე აბიო-იბერი მეწინაგობდა. ტყე გრძელდებოდა, მაგრამ ჰაეა უკვე სხვა იყო. სურამის დიდ და ძველ ციხეში აღარც შეჩერებულან, თუმცა პირველმსაპინძლენი გამოეგებნენ და პურღვინო ახმეეს. ციხე კი თითქოს დიდ ცერზე იჯდა: მის ფერხთით კი ფიქვნარ-ნაქვნარის წიწვიანი ზღვა სთვლემდა.

საბატო ტალაც ჩამოღდა. მითრიდა-

ტემ თვალი მოჰკრა თუ არა, ყველაფერს უტია და მათთან მივიდა. არცთუ დიდი, მაგრამ შეტად თავისებური გუნდი იყო. დაბალ, გრძელფეხიანი, წვივბომბორა, ცალარტახამოკრულ ცხენებზე იჯდნენ, თავად მთის ტოლნი, ისე კი ოდნავ ულვაშმოკითხულები, შუბლზე ზილფშეკრევილები, უკან, კეფაზე ჩიტისებურად ნაბდის ქუდეები მოეგდოთ, რკინის, მცირე „მოგრა-მუხარადები“ მხარზე ეკიდათ, მოკლე, სწორ ხმლებთან ერთად. სატევრები კი ხმალზე ნაკლები სიგრძისა, ვგონებ, არც იყო.

უფლისწულის მისვლისას, დიდი ბანჯგლიანი ფარები ისე იფარეს, რომ აღარც მხედარს უჩნდა მკერდსქვევით და აღარც ცხენს თავ-კისერი. მთელი გუნდი ცხენკაცებად ისახებოდა.

— კენტარები ხართ, თუ ვინ ხართ?

— ჰოლდე, დიახ, გულამაყრები! — და თავი ჩალუნეს, მაგრამ ყინჩურ გამოხედვასა და ცხვირბაზუბებს აბა რას დაუფარავდნენ თვალმახვილ სტუმარს.

— ახლა, უფლავაშონი რომ ასეთები ხართ, მერმე რაღა იქნებით!

— ვაყაცისათვის უფლაში არც ისე მძიმე უნდა იყოს, საპატიო სტუმარო! — მერმე ყველამ თვალსწორად შეჰხედა უფლისწულს, — მაგრამ არც შენ გქონია ჯერ ულო გადაგრებილი! — მერმე ყველა ერთად, სტუმარ-მასპინძლები, გულიანად ახარხარდნენ. მითრიდატემ უფრო ახლოს ჩაუარა.

— არა, მაინც ამ ფარებში რომ ჩაჯექით, რა ტყავია გადაკრული! რა მხეცია გარეთ თუ შიგა?

— თრიმლში გამოყვანილი ბერხენია! მითრიდატემ ბევრი იფიქრა, მაგრამ მაინც ვერ მიხვდა, ეს ბერხენი რა ცხოველი იყო. გულამაყრული გაქილიკება ეგონა, არ შეიფერა.

— რამდენი ფეხი აბია თქვენს ბერხენს!

ახლა გულამაყრელებს ეწყინათ, გაბუსუნდნენ. მაგრამ მოაგონდათ ვარაზ არმაზელის, მცხეთის სასახლის ეზოს-მოძღვრის შეგონება. ერთ-ერთმა სიტყვას უმოკლა და ზრდილობას უმატა, მა-

გრამ ყველაფერი უკუღმა-გამოუვიდა. — აქამდე ოთხი ჰქონდა, ამის შემდეგ კი, როგორც გვირბნანებმა მძინენ ფეხზე დავეილებთ თქვენს ზრდილობას!

მითრიდატემ ახლა ისეთი გულლია ხარხარი ამოუშვა, რომ გულამაყრელებიც გააოცა. მერმე უეცრად გასწყვიტა ხარხარი და მთქმელს მიუბრუნდა.

— რამდენი პირია ტყავისა!

— სამი.

— საიშედოა!

— კლდესავით.

— დამხვდი! — ზედ მიაგლო ნისლა, თვალის ხამხამზე იძრო კოლხური დაშენა, გამეტებით გადაუქნია.

გულამაყრელმა ფარი შეახვედრა და ქვევით ხმალიც შეაშველა.

დაშენამ „ბერხენ-ფარის“ სამივე პირი ჩასჭრა და გულამაყრელის ხმალზე ცეცხლი გაჰქვესა.

— დახე, რა ყოფილა! — აღმოხდა ვაკირვებულ გულამაყრელს.

— ესეც შენი კლდე! — ნიშნი მოუგო მითრიდატემ და უეცრად დაცხრა, — ჩემი მარქაფა ფარი მიართვით, ეს კი მე მქონდეს!

ახლა კი ნაძალადევი ზრდილობის გარეშე მოიხიბლნენ გულამაყრელები.

— შენ, ძმაო და სტუმარო, ამირანი ყოფილხარ და კლდეს, სადაც გინდა, იქ შეაბამ კარს! შენ რა ფარი გაგიძლებს! — ერთად აღუდღუდლდნენ და გარს შემოადგნენ სტუმარს.

ვასცდნენ თუ არა სტუმრები სურამის ციხეს, საზვერავ ბურჯიდან კვამლის სვეტი აუშვეს ცაში. და ვიდრე სტუმარიონი ჩალევდა აღმართს, თვალდათვალ ჩანდა, ტყის თავზე, შორი-შორ გამდგარ სამხერ კოშკების კუთხეგანში, თითქოს დიდ ნახტომებით, როგორ ჩნდებოდა და მიჰქროდა ახალ-ახალი სვეტი კვამლისა. ვიდრე ზეობა არ ჩაათავა, მტკვარს არ მიადწია და მანძილის ქუფრში თუ მიწის ოხნივარში არ ჩაიკარგა.

— არ გადაალაჯა მთა-გორებს კვამლის სვეტის მახარობელმა! — ესეც კარგად დაიმახსოვრა მითრიდატემ. მან თა-

ვიდანვე იგრძნო, რომ ლიხს აქეთ უფრო მხედრული წყობა იყო. სოფლებსაც სხვა ხასიათი ჰქონდა. ერთად შეკრული, უფრო მიჯრილად ნაშენი, ქვეით ნაწყობი ოროკ-ოროკოდ ასული მიწურები, ძნელად მისადგომი გორა-საცხოვერისები, ხშირად ვალავანშემორტყმული. კლდოვანი და ზღუდიანი ქვაბები.

ქვევით და ქვევით, გაშლილ ზეგანზე, თუ უკვე გამოჩენილ მტკვრის მინდორ-ვაკეებზე, ტყეც ნაკლები იყო, ნახევები კი მეტი, რუსხმულები და არხებიც შეინშნა მითრიდატემ. სოფლისპირებში ძველი ძნები და კალოები.

— შეგვიანებით! — აუხსნა აბიომ, რას იზამ, სულ ომიანობაა!

მითრიდატეს ფრიად გაუკვირდა, რომ კალოები სრულიად ისეთი იყო, როგორც ტუბალებში, კევრებითა და ვანი-ავებით.

მღწველნი კი ერთობლივად იარაღ-ასხმული ჩანდნენ.

— ჩანს ახლაც შხად არის ყველა! მაგრამ ჩვენ რად არ გვერიდებოან, რა იციან ვინა ვართ? — იკითხა მითრიდატემ.

— ვკითხოთ.

ერთ ვზაყრილზე მოზარდების ჯგუფს წაადგნენ და ჰკითხეს. პასუხიც ვარკვეული მიიღეს.

— თქვენს სახელზე ფაფუკა კვამლის სვეტმა ჩამოიარა! ვინც მტრად არ მოდის ყველა სტუმარია!

— ამ „კვამლის ფილოსოფოსებს“ დამიხედეთ! — ეამა მითრიდატეს. მან უკვე იცოდა, რომ კავკასის კარზედ ჩრდილოეთიდან მომთაბარე ტომები იყვნენ მომდგარნი, სამხრეთიდან კი სპარსთა ტომების სამეფო მოიძალებოდა. — ასეთ ომიან ეამს ადერკ მეფეს საღდა ექნებოდა დრო ჩვენს შესაყრელად მცხეთას! მართალია, „ფაფუკა კვამლის სვეტი“ წაივინა ჩვენგან, მაგრამ სხვა მხრივ, რა „შავი კვამლის“ სვეტი მოდგა, აბა რა ვიცით! ხელი არ შევეშალოთ! ვვაც-ნობოს და ბრძოლის ველზე, თანამოსაგრედ მივეწვევით, სადაც არ უნდა იყოს! აბიო-იბერმა დიდად დაუმაღლა. ცხე-

ნოსან მახარობლის ვაგზაზენა შეპირდა, კოლხეთის უფლისწულის სიტყვის შეთვლა; მაგრამ უფრო იდნევა.

— იბერიაში ომიანობა და სტუმრიანობა მუდამ ასე ხელისეღიარებულად მოდიან! არც ერთს არ ეშლება ხელი! ჩვენში ომიანობაა, თორემ შფოთიანობა კი არა! დიდი შეყრა მასპინძლებმა უფლისციხეში დაგვიდეს! საერთო მტრებთან შეყრას კი ერთადაც მოვესწრებით და ცალ-ცალკეც!

მალე მტკვრის მაღალ ნაპირს გადაადგნენ. აქ ოდნავ დანაკეთულად გამოყვანილი ქვაკაცა იდგა. შედინჯებული მტკვარი კარგად ჩანდა.

— ვაშ ეს არის! — მითრიდატემ ცხენი შეაჩერა, — რამდენი მსმენია, რამდენი უთქვამთ და მაინც ამოუთქვამი დარჩენით! ისე მაინც არ დაედგები, უფრო ახლო, მისი წყალიც არ ვნახო!

მითრიდატემ ტარიელი იხმო. მახუნჯაგიც მოეხსლა. ლოცვად წარზიდა ხელნი:

— ერთი ასეთი ქვაკაცა მტკვრის სათავეშიაც დგას, არსიანის ქედის ძირში. არსიან-ბასიანის სალოცავებო, გვიმთარველეთ. თქვენი გზა-კვლით მავალნი, ერთობლივ ნათესავნი, მტკვარსალოცავო! მიიღე მსხვერპლი და გზა საკეთილოდ დაგვიმწყალობნე! — მორთმეული ბატკანი მარჯვედ დაჰკლა და ქვაკაცას სამსხვერპლოზე წამოაქცია. გულამაყრელებმა კი ხელად ლელავით გაფცქვენეს. ჩახთაულთ გადასცეს, თხილის შამფურებიც გამოუხანჯლეს.

მოვიდნენ დანარჩენებიც. კოლხთა გუნდიც ჩამოვიდა.

მითრიდატეს კი მტკვრისთვის თვალი ვერ მოეწყვიტა. ბედანის გასაგონად სთქვა:

— სულიერისა და უსულოს განსაზღვრა, ვგონებ, მდინარის შესახებ სულ არ გამოდის! რას შეგვაგონებ?

— მე, ჩემს ცხოვრებაში, სამი მდინარე მიყვარს განსაკუთრებით, რიონი, ღელისი, მტკვარი! ვფიქრობ, მიწა-წყალი და იქ დიდხანს მსტოვრები ხალხი ურ-

თიერთზე ზემოქმედებენ და ბოლოს — სტიქიონებსა და ალღობებში ურთიერთს ემსგავსებიან. ფერი ფერსანი ხლებიან! ახლა შენ განსაზღვრე — სულიერია თუ უსულო, ვინდ მიწა და ვინდა — წყალი! მითრიდატე უკვე მტკვარისკენ ჩარბოდა, ოლთაკე მეაბჯრეს მაჭუტა ახმახისა და ალცანდრე მუხა-ჭმუხას ჩამოყვანა დაუბარა. ტარიელს აბა რაღა თქმა უნდოდა. არც საპატიო ტალას დასჭირებია მოწვევა. გუდამაყრელები თავად მიჰყვენენ. ახლა ისინი დაიმეგზურეს სტუმრებმა და ჩრდილ-მორგეიანი ადგილი მოანახვინეს.

ოლთაკემ მაჭუტა და ალცანდრე რომ ჩამოიყვანა, უფლისწული და ტარიელი უკვე წყალში იყვნენ. მტკვარს სალბუნობდნენ.

— მტკვარში ჩამოდი, სპერელებო! საამური წყალი ყოფილა! — მითრიდატემ ალცანდრეს რქის ჩანგი დაუნახა, — გეგე ჩამოიტანე!

საპატიო ტალა კი საპატიო მანძილზე დარჩა. მცხეთიდან წამოსვლის წინ ვარაზ ეზოსმოდვარმა წვრილად დაარიგა, ყოველი საქციელი გაუხომ-გამოუხომოჲ — კვინიზი იხეთქეთ, მიწა ჭამეთ, მაგრამ ზრდილობიანად! უწურთენელობა არაფერში შეგამჩნიონ, გუდამაყრებო, თორემ თქვენი წურთნა მერმე ნახეთ! განათმია, ან მტერი მოდის! დიდი მოყვარე, თავად ახალგაზრდა, მაგრამ ტანაყრილი და ბასრითვალა. თქვენისთანა როხო ხალხი ჰყვარებია, თორემ, აბა, თქვენი გაშვება როგორ იქნება! უჭმეაჭურებო! ამალაც სულ რჩეული და საპატიო ახლავს. სულ ფილოსოფოსი ხალხია!

— ჰეჰეჰე! აბა იმათა, შუბებიც ბუხრის სიმაღლისა ექნებათ, ჰა!

— თქვე უვიცებო, შუბები კი არა შიბაქები არ გინდათ! — უკვე ყვიროდა ვარაზი, — არ შეიძლება ამათი გაგზავნა, არა! სირცხვილს გვაქმევენ!

მაგრამ ადერე მეფის ბრძანება იყო და ვარაზიც თავიდან იწყებდა.

— ხმა არ ამოიღოთ. თავში რომ დავარტყან, ზრდილობიანი მადლობა უთ-

ხარით. ამას ხომ მოახერხებთ! დანარჩენი აბიო-იბერმა ზღოს!

— მოვახერხებთ! ვეტყვით მადლობას! მაგრამ ერთიაც ვთქვათ: აი, ზრდილობიანი მადლობის შემდეგ, ხომ შეიძლება, რომ ჩვენც ივრე, არც სასიკვდილოდ დავარტყათ!

— გადამრევენ ეს გუდამაყრები! — ველარ გაუძლო ეზოსმოდვარმა მათ შეგონებასა და ისევ „შეუგნებლად“ გაუშვა... — მე რა ვქნა, მაგათ წისქვილში დაფქვა და ხელახლა გამოცხობა თუ უშველის! თუ მოსწონს ასეთი ვაცი-ბოტები და ჰა!

ახლა ეს „ვაცი-ბოტები“ იდგნენ „შიშველი უფლისწულის“ შორი-ახლოს, მტკვრის პირზე, და არ იცოდნენ, „ზრდილობისთვის“ სულ ახლო უნდა ხლებოდნენ, თუ პირიქით, უნდა გასცლოდნენ. ამის თაობაზე არაფერი არ უთქვამს ვარაზ ეზოსმოდვარს. იფიქრეს, იფიქრეს და, ვიღრე მოიფიქრებდნენ, შორი-ახლოს „საპატიოდ დგომა“ გამოუვიდათ.

ცოტა ქვევით, ვერხვის ჩეროში, უფრო ღრმა მორევი იყო და აქ ეყო სიღრმე მაჭუტას, ერთი კამეჩურად ჩაისუნთქა, გადტრიალდა და თავ-ფეხიანად ჩაეყუდა მორევიში. არც ამოვიდა კარგა ხანს.

დგაფანზე გუდამაყრელნიც მოვიდნენ. უშხერდნენ და აღარსად იყო ამხელა კაცი. ბოლოს აღელდნენ.

— აღარ ამოდის! რა სჭირს! არ გაიგუდოს!

მაგრამ მითრიდატემ, რომელიც, აგრეთვე, კარგი მყვინთავი იყო, თავისი ანგარიში აწარმოა. ორმოცდაათამდე დაითვალა, ქვევითაც ჩამოკურდა.

— არა, ჯერ არა უშავს რა!

ბოლოს ბუშტუკები ამოვიდა მორევიდან.

— აი, ახლა შუა ყვინთავშია! აბა, ახლა ოცდაათამდე დაითვალეთ!

— არა, უფლისწულო! გინდა ექვსოცამდე დავითვლით, ცხვარი რომ იყოს! მაგრამ, რა ვქნა, წელან აღამიანსა ჰგავ-

და და წყლის ცხოველი რამე ხომ არ არის? — დაბნეულად იკითხეს გუდამაყრელებმა. — ახლა მტკვარი დაეგუბოთ თუ რა გზას ვეწით! სად გაგიჩინოთ!

მხოლოდ მეორმოცე თელაზე ამოპყო მაჭუტამ გუდურა თავი, სახეზე ჩელტევით ხელი ჩამოსვია, ერთი ხმინად შეისუნთქა და ახლა უფრო დაემსგავსა კამეჩს.

— ვაშა, მაჭუტავ, მასახელე და გასახელებ! ესეც გვითხარი, დამხრჩვალი ხომ არა ხარ, ხმას რომ არ იღებ!

— რა გიცი, კუქს კი ვგრძნობ! მადანზე მოვედი. წყალში თევზი ყოფილა!

— კაცო, ეს ჩვენებური კაცი რამე ჩანს. ეპეი, გუდამაყრელო! მამ თევზი წყალში ყოფილა პა მერმე შენც ლაყუჩები ხომ არ გაბია, წყალში სუნთქვას როგორ ახერხებ!

— ზღვაშია გაზრდილი, წყალ-ხმელეთა, მარილში გამოშავებული! — ხალისიანად გასძახა მითრიდატემ. მას, მართლაც, უყვარდა ასეთი „როხა“, „ეაციბოტა“ ხალხი, მეამიტად მოსაუბრენი, დიდ ბალღებად დარჩენილნი, ხოლო ბრძოლაში უღალატონი და შეუღარებელნი.

— რატომ მარილში! — გაიკვირვეს გუდამაყრელებმა, რომელთაც მთაში, მარილი საერთოდ აკლდათ და ოქროს ფასად უღირდათ. „კაცის გამოსაშავად“ კი ცოტა მარილი არ იქნებოდა საჭირო!

— ჩაზვდით განა, ოკრო-ბოკროდ ნათქვამია! იმითომ რომ, ზღვის წყალი მარილიანია, იქ თევზიც მარილიანი იქნება და კაციც! — „აუხსნა“ მეორემ.

მტკვრის ხმაურს საერთო ხარხარი ჰფარავდა.

ახლა მუხა-ჯმუხამ გადასწყვიტა თავის გამოჩენა. წყალში გადასრიალდა, რქის ჩანგიც შიგ ჩაიტანა. წყალს ჩაეფარა თუ არა, ჩანგის შექვრებამ ყველა გააოცა, მათ შორის სპერელებიც. „წყალ ქვეშეთიდან“ ისეთი ხალისიანი

სალადობო ამოისმოდა და ისეთი წყალდაწმენდილი ხმა ჰქონდა, რომ ყველას, მასპინძლებსა თუ სტუმრებს — ხირი და ალებინა.

ერთი-ორი მუხლი ისე ამოათავა, მერმე კი თავი ამოპყო, ჩანგი და ხელები კი წყალქვეშ ჩაიტოვა. ახლა სიმთაყვეთრა წყალში ცრილად, ქვევიდან ამოდიოდა, სიძლერა კი წყალს ზევით სთქვა.

შენ ჩემო ჩანგო რქისაო, მტკვარო ზედ გადადენილო. ძმათა ძმავ სპერის ზღვისაო, ხმელეთზე გამოჩენილო! შემოფანტულო თვისტომო, ომებში გადარჩენილო!...

საპატიო ტალა გაკვირვებით იშკებოდა.

— ახლა ეტყვი რამეს ვარაზ ეზოს-მოდვარს და, უვიცი ხარო, გუდამაყარო. და ამ უჩინმაჩინა ჩანგზე არ დაამღერა მტკვარი-მდინარე!

— არ დაიჯერებს და იქ, უფლისციხესა და არმაზში არ ჩაუვა ეს დამღერებული?! განა აღმა მიღის მტკვარი, შე მართლა უვიცო!

სხვებთან ერთად გულიანად იცინოდა უფლისწული. ფიქრობდა და იცინოდა. ფიქრს ძალას ატანდა და მინც ვერ გაეგო, ეს ალალ-მართალი ხალხი, ბუნების ზოდები, ხუმრობდნენ და გუდებს ბერადენენ თუ თავნებობასა და სიხალასეს ვერ ჰფარავდნენ!

„აი ასეთი ლაშქარი მინდა, მხნეთა მხნენი, დაჭერებულნი, გულგაუტეხელნი და გამტანნი. ამათ რომ ბუნებრივი პირველყოფილება და ძალა დარჩეთ, თან ახალი ლაშქართწყობა და აღჭურვილობა მივცეთ, რა რომი დაუდგებათ წინ!“

ფიქრობდა, ოცნებობდა და ხარხარებდა, დამღერებულ მტკვარში მობანავე უფლისწული.

25. უფლისციხეში გვარსამხილავი



სავალი კიდევამოიღო ზეგანს მისდევდა. გზას ბევრი ასავალ-დასავალი და ჩასამოკლებელი ჰქონდა. სტუმრობი მიმოიფანტა და ასე, ურთიერთის დასანახავში ვიდოდა. მაგრამ აბიო-იბერმა მტკიცე ხელი გამოიღო და ყველაფერი თავის ყალიბში ჩააყენა.

— ასე ვერ ვივლოთ! მალე ურბნისია! იქ მაინც დავგვხვდებ!

ჯერ წინმავალი გაუშვა, მერმე მსცოვანი და ამაღა, ახლა ლაშქარი, ბოლოს ალალი და ბადრაგი. მხოლოდ უფლისწულს ჰქონდა „გზა ხსნილი“ და მასთან ერთად სავატიო ტალას.

მოშორებით ყორეს გორები და ალიზის გაღავანი გამოჩნდა..

ურბნისის ჩრდილო მხარეს მტკვარი ჩაუდიოდა და მალაღულატიანი ნაპირი ჰქონდა, სამხრეთიდან კი მთელ ვაკე-ქალაქს, დიდი ოდრიკალა თხრილი და ალიზის დიდ-გაღავანი ერტყა. ასეთი ციხეები მითრიდატეს მხოლოდ შიდა კაბადოკიაში ჰქონდა ნანახი.

ციხესა და არხს გარეთ, ურბნისის ბაღები იყო. დიდი რუსხმულები სერავდნენ გზისპირებს. შორიკალთებზე კი მიწური ქოხნახები ჩანდა.

ერთ-ერთ გასაყარზე დახვდნენ მაცნენი და ურბნისის წარჩინებულნი.

ადერკ მეფე უფლისციხეში უკვე ელოდათ. აბიომ და ბედანმა დაუყოვნებლივ გზის გაგრძელება დასკვნეს. მითრიდატეს ურბნისის დათვალეობა სწავდა, მაგრამ აბიომ იბერთა სახლთუხუცესის ბარათი აჩვენა. ადერკ მეფეს ლაშქარი ჰყავდა გაგზავნილი „არაგვხედაც და ალაზანხედაც და საბრძოლო ცხენი სრულდარახტული“ კარზე ელოდა.

ადარკ ურბნისში შეუვლიათ, ადარკ კვერნაქზე გაჩერდნენ... ლიხვიც ტინის მთის ძირში გაფონეს. მალა გორზე ახალშენი, კოხტა ციხეც ვედარ მოათვალეობა უფლისწულმა. გორს ირგვლივ კი ვაკე, უდაბური ადგილი იყო...

— ის მიანიც მაუწყეთ, რა ჰქვია! —

თვალი ზევით დარჩა ციხეთა ტრფილს.  
— სამი სახელი აქვს, შავრამ ჯერ არცერთი არ დამკვიდრებია! ტინის ციხე, ოქროს ციხე და გორის ციხე!

კვერნაქის ვაკე თხემიც გადაიარეს და მტკვრის პირ-პირ ჩაჰყვნენ. თავზე კლდოვანი, დაქარჩბლული მთები წამოადგათ.

ერთგან, გზის პირას, ქვეყაცა იდგა, ზედ წარწერა იყო დაქარგმული. უფლისწულმა ხმამაღლა ამოიკითხა:

— „ესე არს ღმერთი, ვითარცა კლდე და ციხე უფლისა ხატად მისად“.

— მისალოცია!—ახსნა აბიო-იბერმა. ცხენი შეაჩერა, პირი კლდისაკენ იბრუნა, ორივე ხელი შეზღბლს სიმაღლეზე აღმართა.

გამოჩრდილული, ხაროიანი კლდე აღარც თუ შორს ჩანდა.

— სახე უფლისა!..

ყველანი შედგნენ, დიდხანს უმზირეს.

— ჰხედავთ! ხომ ჰხედავთ? ზოგს პირს არც უჩენს კლდის უფალი! ხელთუქმნელი საზოვანი კლდე! უფლისციხედ შეთენილი და აღზევებული!

მითრიდატეს ასეთი აღზნებული არც უნახავს ყოვლად დიწვი და განმსჯელი აბიო. ყველანი ახლოს მოდგნენ მსცოვანთან. მან კი, საკმაოდ შორს, ზევით, ცაზე ამოტვიფრულ, შეზღბამაღლა კლდეს მიამბორკა მხერა.

— დააკვირდით! შეეგულისხმეთ! — ლაღადებდა აბიო.

შუბლის კლდეს, თითქოს საწარბე ჩამოსდევდა. მის ქვეშ თვალი იყო, ნამდვილი თვალი, შავ-ყუყუა, და მითრიდატე მიხვდა, რომ იქ ჰქვამი იყო. საწარბე კოხს შვერილი კლდე ეკიდა. კეხიან ცხვირად იტვიფრებოდა ქილვაშად ჩავარდნილ თაღზე და ლურჯადლურჯ ცის კაბადონზე. მის ქვეშ კი დიდი, მართლაც, პირლია ქვაბი იყო, ალბათ სავალიც. მერმე ქვევით ნაშვავები კლდე და ლოდების ხორკა, აბურღულ წვერად გამოსჩანდა. კლდის ბუნებრივ ქანდაკე-

ბას „ყურიც“ კი ჰქონდა, ხვეულ ქვაბად ამოტეხილი.

ისე იყო ამოდრუბლული და ამოქარული კლდე, რომ მეოცნებე და აღუზნებელი, რაც აბორაჟებდა იმას უსათუოდ დაინახავდა.

— ვებდავ! ამას ვეძებდი! აი ასეთი ღმერთი მწამს და მინდა ჩვენი სალი კლდის სახე-ღმერთი! მამა უფალი მათა და ტომთა ჩვენთა! — მითრიდატემ იგრძნო, სხვებთან ერთად, მასაც ეუფლებოდა ვახეების უხილავი ჯადო.

მერმე ყველა ერთად დაძირა. უფლისწულმა უძრავი ღმერთის შუბლზე მოძრავი წერტილი შეამჩნია. მოშორებით კი გვუფი წერტილთა.

და რაც უფრო დაუახლოვდნენ, წერტილი იზრდებოდა და ცხენოსნად ინაკვთებოდა, ღმერთი კი ჰკარგავდა თავის მკაფიობას და გარემო კლდეებში ინთქებოდა. ჰქრებოდა ღმერთი და მის შუბლზე მკაფიოდ ჩნდებოდა კაცი.

— ვინ არის?

ახლა მზე კაცის უკან იყო, ღმერთი კი ჩრდილში დარჩა.

— აღერკ მეფეა!

გაჰქრა ხილვა თუ ზმანება. მეფემ ისევ დაჩრდილა ღმერთი.

შეკრა უფლის „წვერებთან“ მოხდა. ჯერ ცხენდაცხენ მიეახლნენ და გადაეხვივნენ ურთიერთს. მყისვე, ახალგაზრდული სიძარდით დაქვეითდნენ და კვლავ ამბორი ჰყვეს.

ურთიერთი სწრაფად შეათვალიერეს და ფიქრებს ჩაუღიშეს: ჩანს, მოეწონათ ერთმანეთი. აღერკი, იბერიის დიდ მეფედ წოდებული, მითრიდატეზე ათი წლით უფროსი მაინც იყო, მაგრამ ქაბუჯი ტანად ახლავე სჭარბობდა ჩასკვნილ, საშუალო ტანის იბერს. იგი მკაფიოდ შავგვრემანი იყო და მკაცრად ჩამონაკვთულ სახეზე, შავკოკორა უღვამების ძირში, კეთილი ღიმილი ჰქონდა. ბონტოელს კი, პირიქით, ჯერ ქაბუჯურად შესათნოებულ სილამაზეს, მუქი წაბლისფერი ღინღლი შეჰპარვოდა, ხოლო დია ღიმილს უეცარი სიმკაცრის იერი წამოედებოდა ხოლმე.

— დიღო მეფე! მიხარია რომ ახალგაზრდა ხარ! დაე უმტკიცესმა ღმერთმან კლდისამან ბედნიერ ჰყოს ჩვენი შეყრა უფლისციხური!

— უფლისწულო, მეფეთა სწორო! მეც მიხარია, შენი ფეხი, ბედნიერი, იბერიაში, უფალო უფლისათა!

ახლა დანარჩენებს მიუბრუნდნენ წინ აბიო-იბერი წარსდგა და აქეთ-იქიდან მხკოვანები წამოაყენა.

ნელი ბაასით კლდეკვეთილას ღრმა და ფართო სავალს აჰყვენენ.

კლდეკარის ჰქე ღია იყო, მებჭეურნიც ქვაში გამოკვეთილებს ჰგავდნენ. მერმე სრულიად საოცარი ქვაბთა ქალაქი იწყებოდა. ქვაბები ბონტოშიაც იყო, მაინც შიდა კაბადოკიაში. მითრიდატეს უნახავს არა ერთი ქვაბ-ციხე, სახიზარი, განძთსაფარავიც. წარმართ განდგომილთა და მარტვილ მოგვთა სენაკებიც, მაგრამ ყველაფერი ეს ცალ-ცალკე იყო. აქ კი ყველაფერი ერთად—ქვაბ-სასახლენი, დიდი დარბაზებით, ციხე-სამალავები კლდეში გახრულ სავალეებითა და სახვერავეებით, შუაგულ კლდეში ამოღებული ტაძრები და სამოგვეები, ქულბაქებიცა და თეატრონიც. მათ შორის ნამდვილი ქუჩაბანდები და საცხოვრებელი ქვაბები. ხელოსანთ რიგები და ფუნდულები. და ყველაფერი ეს ერთიან კლდეში, უფლის თავის ვეება, ბუნებრივ, მიმსგავსებულ ნაქანდაკარში.

დაატარებდნენ, უამბობდნენ, უხსნიდნენ. უფლისწული კი თითქოს თვალეებს აღარ უჯერებდა.

— ყველაფერი მაჩვენეთ. არ მენახა, არც მჯეროდა! ახლა ვებდავ, მაინც არ მჯერა, რომ ვებდავ! სასწაული, უცილობელი სასწაული! — ჩურჩულებდა და ყოველ ქვაბის ქვეს ხელს ჰკიდებდა. ქვასეეტებს ეკიდებოდა, ჰერსაც სიმკვრივეს უსინჯავდა — ქვის სასწაული! და არა მარტო იმიტომ, რომ თავისთავად საოცრებაა, არამედ იმიტომაც, რომ ჩვენ შორისაც აღფრთოვანებასა და რწმენას ჰბადებს! ჩვენც დიდ საქმეთა სამოქმედოდ მოგვიწოდებს! მე მიკვირს, რომ მსოფლით შეიდ სასწაულთა შორის, მე-

რვედ უფლისციხე რატომ არ არის მოხსენებული!

აღერკ მეფემ ჯერ „უნახაობად და ჰაბუტურ განცვიფრებად“ ჩაუთვალა „დედაქაცობულ ბავშვს“ ასეთი აღფრთოვანება. მაინც მიჰყვა, ამ „მოუთხოვრებელ ვაჟიასს“, გარეგნულის გარდა, შინაგანი მომზიბლობა ჰქონდა.

აღერკმა სხვა სტუმარ-მასპინძლებს საუფლო ქებაში სთხოვა თავშეყრა და მოცდა, მსხვერპლის შეწირვის დაწყებაც. თავად კი „მხედრული თვალი“ გადაავლებინა „დამწყებ მეომარს“. მაგრამ როდესაც სტუმარმა უფლისციხე მხედრულად შეაფასა, ახლა წყლის მარაგი და მარანი მონახულა, მტკვრის დიდ გვირაბში ჩავიდა. უფლისციხის ჩრდილო-აღმოსავლეთის დრეკილი მხარის გაღვანის და ქვის ზღუდე მონახულა, უმადლეს ზღუდის თავზე შეძვრა. პირდაპირ ზედ ჩამოვდა, ფეხები ქვევით გადაჰკიდა და აღერკიც ხელით იწვია. — აუღლები ციხე გქონია! ქვით შეაბჯრული გული იბერიისა!

— ფრთხილად! არ ჩამოვარდე! სიმადლეს ჰხედავ! — ახლა აღერკი აძგრა ზღუდეზე. მათ ფერხითი უმცენარო, მშრალი, დამრეცი კიდევანი, შორს, ქვევით, მტკვრის პირისკენ იდრეკებოდა. — თავბრუ არ დაგახვიოს სიმადლემ!

— მალალ ზღუდეზე ჯდომით ვეჩვევი ტახტზე უშინარად ჯდომას!

აღერკს გაეცინა და გვერდზე მოუჭდა. მას უკვე, თუმცა არც დიდი ხანია, განვლილი ჰქონდა ტახტისთვის ბრძოლაც, მტრობა-ქიშპობაც, ლალატის სუსხიც. იცოდა ფასი ვაჟკაცობისა. ზღუდეზეც მოუხდა ჯდომა და ტახტზედაც. კარგად იცოდა, რომ იბერიამიც, ალვანეთშიაც, კოლხეთშიაც და პონტოშიაც, ალბათ სხვაგანაც, მეფობის დამკვიდრებას ეს ყველაფერი სდევდა!

— ნაბდები და ხალიჩები მოართვით სტუმარს! — გასძახა ქვევით დარჩენილ მხლებელთ.

— არ გვინდა! ასე თითქოს უშუალოდ ღმერთის წილი ვარ! — უფლისწულმა ხელ დაჰკრა ზღუდესაც და კლდესაც,

— ეს ხომ შუბლია უფლისა! მისი ძილს შემეყაროს. ამისათვის გულსაც ვავეცი-ვავებ და შუბლსაც!

აღერკ მეფემ მხოლოდ ახლა იბრძა რა აღეღვებდა სტუმარს.

„ღმერთების მოყვარე ყოფილა! როგორც ყველა ლტოლვილი, მფარველ ღმერთის მაძიებელი!“ — მაგრამ, ვგონებ, აქაც შეცდა. უფლისწულმა სულ სხვა რამე სთქვა.

— წელან არა ვთქვი, მხცოვანებთან, მკრებელობად ჩამითვლიდნენ! იქნებ შენც გამიმტყუნო, მაგრამ აზრი მზიბლავს და ვერ დაეფარავ.

ღმერთებს ქართველი ამირანი კლდეზე მიუჯაჭვიათ, გულ-ღვიძლს არწივი უკოტნის და ჯერაც ვერ მოარევი! აქ კი, ჩვენს წინაპრებს თავად ღმერთი მიუჯაჭვიათ კლდეზე, მისი თავიდან ტვინი და თვალეები ამოუხრავთ, სალოცავიდან თეატრონამდე ყველაფერი, რაც ადამიანს სჭირია, გამოუტყვეთათ! ან ჯაჭვი ვერ ჯაჭვავს სულიერ მძლეობასა და თავისუფლებას, ან ჩვენ და ღმერთები ერთად ვყოფილვართ მიჯაჭვულნიც და გადაჯაჭვულნიც!

აღერკმა განცვიფრებით შეჰხედა ახალგაზრდა ფილოსოფოსს და დინჯად აზომ-დაზომა მისი ნათქვამი.

— შენ ღმერთთათვის და მოგვთათვის ფრიად საშიში კაცი ყოფილხარ!

— არა! აზრს ხომ მრავალი სართული და ხლართული აქვს, როგორც უფლისციხეს! მე შუბლის თავიდან ვიწყებ განსჯას! ამას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მომავლის დიდი ზრახვა და ბრძოლა ჩვენ — მე და შენ — ერთად, მხარდამხარ გვემართებს, რომ გავიმარჯვოთ, ან ცალ-ცალკე დავმარცხდეთ და გავნადგურდეთ!

აღერკმა თვალეები დახუჭა. „დიდი ზრახვები!“ სადღაც საფეთქლების იქით ესმოდა მრავალჯერ ნამეორევი სიტყვა, თვალწინ კი ლაშქარი და ომი არაკვის მიღმა! ლაშქარი და ომი ალაზნის მიღმა. მაგრამ არც ლტოლვილი პონტოელია უკეთეს დღეში იქნებ სწორედ ეს ალაპარაკებს!

მითრიდატემ სხენაირად ახსნა:

— დაბნეულად ვთქვი! მართალია, ამ ღერეულად ამოძაყველა, მაგრამ სიმართლე არასოდეს არ არის ისე დაწმენდილი, როგორც ჰგონიათ!

— ბედნიერო, შენ ჩემზე უფრო მეოცნებე ყოფილხარ! მე კი, ცხოვრებამ მრავალი საოცნებო კბილი ჩამომატეხა! ყველა არა, მაგრამ მრავალი! — დინჯი ბანით აღმოხდა ადერკს, თვალები კი მასაც საოცნებოზე ნალული ჰქონდა.

მითრიდატეს კვლავ „ცხოვრების გამოცდილების ნაკლებობა“ მოესუსხა.

— ოცნების საფუძველი მაინც ტკივილია და არა მოცვლილი კბილი! რა გიჭირს, დიდო და უფროსო ძმავო, უძლეველი ციხე გქონია, მით უფრო თუ შიგ გუღამაყრელთანა ლაშქარნი გყვანან!

— სხვებსაც გიჩვენებ! — ჩაელიმა ადერკს. „აი, თურმე რა ხიბლავს! მეომრების ცნობა კი ახლავე სცოდნია! ოცნებიანი, მაგრამ მკვირცხლი გონებისა ყოფილა!“ — თუმცა არც ეს გამოდგა ამომწყურავი და საბოლოო.

— სხვებიც მიჩვენე! მხედრულ საქმეებში დამიმოწაფე! მე იბერიის უტებს ძალას ვგრძნობ! რომს მხოლოდ უფლისციხე გაუძლებს! თქვენ ჯერ აქ ისე ვერ განიცდით, რომი, როგორც ახალი წარღვნა, ისე მოდის! და ჩვენ რომ გავძლოთ, ყოველი ნათესავი და ნათესავური ჩვენი, ტომი, მოდგმა თუ გვარი, ერთობლივ უფლისციხეებში უნდა ჩავსვათ! ქართველი კაცი, ღმერთი, ბუნება ერთ სახედ შეეკრათ, ათასი უფლისციხე მაინც დაეახვედროთ რომს!

ადერკი შორს, ყათლანიხევს გასცქეროდა, დასარკულ მტკვრის მიეთ-მოეთს, გაღმა, ცის ტატნობზე გადმომდგარ თრიალეთს ხმაშეძრულად და მაინც დინჯად მარცვლავდა აკრიალოსნებულ სიტყვებს.

— კაცი, ღმერთი, ბუნება, ნეტავ თუ შესაძლებელია ასეთი ერთიანობა!

— აი თუ არა! — ხელი ზღუდის ქვას დაჰკრა მითრიდატემ, — და ეს სწორედ

იბერიაში სცოდნიათ ყველაზე უფრო! ეგვიპტეშიაც არის სფინქსი, მაგრამ იქ ამაყი, მუნჯი ღმერთთა უღბანთში, აღუძრავი მანები კი იქ მხოლოდ მონებად და მათხოვრებად მოდიან, მუხლებზე ფორთხვით! მუდარით! თვალებდახრილად.. და, მე დავუმატებდი, დახბრილადაც!

აქ კი ამაყ ადამიანთა მებრძოლი ციხეა, მრისხანე, მაგრამ თავდაბალ კლდისუფალთან ერთად! ამ ზღვართა ზღვარს, არაფერი ადამიანური არ აქლია და ყველაფერი ღვთაებრივიც აქვს — ამირანები და ღმერთები ერთად! — მე აქ მივაგენ. რასაც ბუნდად ვგრძნობდი — აზრმაფიობა კი მავლდა!

ეს უკვე სამოქმედოდ მოქნეული სიბრძნე იყო და ამან სულ გააოცა ადერკი.

— ეხარობ, რომ ასე დიდად დავესახა ჩვენი უფლისციხე! — კვლავ თავშეკავებულად შეესიტყვა ადერკი, მაგრამ იგრძნო, როგორ გაიტაცა „მეოცნებე ნათესავმა“ მისი ფიქრებიც. თუმცა ეს აღფრთოვანება მაინც გაზვიადებულად ეჩვენა. ერთ რამეში კი თავიდანვე დაეთანხმა და უთხრა კიდევაც.

— იქ, სადაც ღირსეულად იცავენ თავის ქვეყანასა და თავისუფლებას, ყოველად მართებულია გრძნობა სიამაყისა. ხოლო იქ, სადაც ადამიანები არიან ამაყნი, ღმერთებს ყოველთვის თავმდაბლობა უწყევთ!

აღფრთოვანების გარდა, რომთა სიძულვილიც იბერიაში ჯერ მეტად „ახალი ხილი“ იყო, ისევე როგორც „რომთა საშიშროება“. სპარსელები რომ ეთქვა, მიდი ან პართი, ან ჩრდილო ტომები, ეს უფრო გასაგები იქნებოდა, მაგრამ, არსებითად, მტერი მტერია, აღმოსავლეთიდან მოდის იგი თუ დასავლეთიდან!

ადერკი იმასაც გრძნობდა, რომ აქამდე ვინც მოსულა უფლისციხეში, ან ღვთაებრივი შიშითა და ძრწოლით ყოფილა შენაყარი, ან მისი სიმტკიცითა და აღნაგობით გაკვირვებულნი. ბრძენბაბუკი კი სულ სხვა თვალთახილვითა და მკვრეტით თარჯავდა ღმერთებისა და ადამიანების საერთო ციხეს! საღდაც

მომავალში, უშველებელ ზრახვებს აზ-  
მანებდა, დიდქართველურ იმედებზე აწ-  
ყობდა!

ადერკასაც ისევ მოეკიდა „ოცნებათა  
ტკბილ-ცეცხლი“, რომელიც უფლის-  
წულობაში მასაც ქარბად ჰქონდა, მერ-  
მე კი — გამეფების შემდეგ — ფრიად  
შეეკვეცა.

ადერკმა, თავის დროზე მიძალბებულ-  
მა უფლისწულმა, კარგად იცოდა, რომ  
მისი ძირითადი ოცნება იბერიის ტახ-  
ტი იყო და როდესაც, ბრძოლების შე-  
დეგად — გამეფდა, ყველა დანარჩენი  
ოცნება კუდმოკვეცილი აღმოჩნდა.  
ტახტისა და შემცირებული სამეფოს  
გადარჩენის დარღმა შეიძყრო და ზო-  
გად საოცნებოც შეიწირა. ახლა კი ჩა-  
მოუქროლა „ლტოლვილმა მფოცნებემ“  
და ისევ ადერკა, აუშალა ძველი ზრახ-  
ვები. დიანაც მართებულნი, მაგრამ ძნე-  
ლად მისაღწევნი! მაგრამ ვინმე თუ აან-  
თებს „ამ ქართულ ერთიან კოცონს, თუ  
ააწყობს ამ „დიდ სამთავანას“ — რა  
კარგად სთქვა „კაცი — ღმერთი — ბუნე-  
ბა!“ აბა, უფლისციხე და, საერთოდ, იბე-  
რია პირველ კერად ჩასათვლელი!

— რადგან მომავლის განჭვრეტას  
ვლამოვბთ, წამოწყევ, ამისათვის უმჯო-  
ბეს ადგილს განახვებ!

მითრიდატე უსიტყვოდ ადგა. ჩაპყ-  
ნენ შუბლის კლდეს, „საწარბებზე“ ბი-  
ლიკი აღმოჩნდა, თუმცა ადერკ მეფე  
ბოლომდე არ გაპყვა, „საფეთქელისა-  
კენ“ გადაუხვია და „ყურის ქვაბში“ შე-  
უძღვა ისედაც აღტაცებულ სტუმარს.

ტიხარ-ტიხარა და გრძელსა და ხრილ  
ქვაბს რამდენიმე სავალი ჰქონდა, კლდე-  
კედლებზე უამრავი მცირე-მცირე თა-  
რო-ფოსოები, თახჩები, ქვის კარედები.  
ზედ მოზრდილი, მომცრო და მცირე ქი-  
ლაკები იდგა. ათასგვარი მოყვანილობის  
ბერძნულ-კოლხური ორბელები, თუ  
ტუბალ-იბერული ყარყარა სურები და  
ჭიჭურები.

სიღრმეში სამკანდელა ენთო. კლდეში  
მოტეხილ მერხზე შევსამოსიანი, თავ-  
წარბიანი ჭოსა კაცი მიხატულივით იჯ-  
და და რაღაცას ქვის ჯამში ასირსეა-

ლებდა. მოსულთ დანახვისას სამკანდე-  
ლა აიტაცა და წელში გახრედაც, თავის  
ქნევით, მაგრამ გულმოსულად გამოვგე-  
ბა. სიბნელისა და შავი სამოსის არეში  
მისი უთმო და უღინდლო სახე სანთლის  
სიფითრისა გამოსჩანდა.

— სტუმარი მოგიყვანე, თეთრა-ქო-  
საე! გულს ნუ გაიმწყრალებ, არას შე-  
გიშლით! მიცანი!

— გიცანი, ტახტის მპყრობელო, აქ  
ჩვენ ყველა უფლის სტუმრები ვართ!  
დამნახავიცა და ვერცა... — შეფარულ  
წყველასავით მიუგო ქოსამ, — მკილა-  
ვიცა და მწყრალებიცა!

— მკურნალია? — იკითხა მითრიდა-  
ტემ და თაროებს თვალი მოავლო.

— მკურნალიცა და მწყრალი მოგვიც!

— გვაკურთხე, ამა წმიდა ადვილს  
მიგვიყუდნე, მოგვო და სწავლულო! —  
თავი დახარა მითრიდატემ, თუმცა  
ცნობისმოყვარე თვალი არ მოაშორა.

თეთრა-ქოსამ სამკანდელა სამჭერ აღ-  
მართა:

— ამა წმიდა წიაღსა უფლისასა გა-  
ნიწმიდენით! — მერმე მძაფრსტრენლო-  
ვანი საკმელი დასწვა და ისევ შესძახა,  
— განიწმიდენით ღირსეულნი და გაქ-  
ვადით უღირსნი, ვით ათასი ლოდი  
ყათლანისხევისა!

მერმე უეცრად ჩაცხრა და, ჩანს, თა-  
ვისი კურთხევისა თუ წყევლის შედეგს  
დაელოდა.

— ყათლანისხევი უსათუოდ მაჩვე-  
ნეთ! იქნებ იქ ახლა უკვე ათასმეერთე  
ქვა დაგვხვდეს! — ადერკს უთხრა და  
ისევ გაკუმტებულ ქოსას მიხებდა სტუ-  
მარმა, ნაკმევით ხარბად იყნოსა, — ჯავ-  
ზი გვქონია! შავას დაეძებ!

— ჯავზიცა მაქვს და ჯავშირიც. ვი-  
საც ღმერთები წყალობენ ცოდნით და  
სიბრძნით! — მწყრალად განშორდა და  
ქვაბის სიღრმეში ერთ-ერთ თაროდან  
დახვეული ტყავი გადმოშალა ქოსამ.

— ეგეც გულამაყრელია! — ეშმაკუ-  
რად წასიხურჩულა ადერკს ქაბუქმა.

— არც ნაკლები! თანაც გააეებული,  
წვერულვაშიანი კაცი იყო, მერმე უეც-

რად დაქოსავდა და შერმე როგორ! ბალნის ნატამალი არ შერჩა არსად!

— კიდევაც იმიტომ! მე ვფეჭურნალებ მგავს, — და მობრუნებულ თეთრა-ქოსას სიტყვა დაახვედრა:

— ჯავზი ორი სახისა არის და ნუთუ ორივე მოგებოვება!

თავ-წარბმოტლებილმა ქოსამ უფრო იწყინა „ახალყამა ყოვლისმცოდნესაგან“ ასეთი გამოცდა.

— რომელი გვირდება, თუ ამდენი მოგებსენება! — მკეახედ შემოუტია.

— ორივე! — ჭაბუქმაც ხურდასავით დაურტყა და რადგან ქოსა არ დამრულა, უფრო დაუხურდავა, — ერთი ჩემთვის, მეორე შენთვის, ქოსა მკურნალო! ჩანს, სამსალის მკურნებელი დიდი თერაპიუტი გეჭნება, მაგრამ ჭონება კიდევ არ ნიშნავს შემზადებისა და გამოყენება-გამოცხრომის ოსტატობას!

— მეჭნება, სამსალისაც, ღრიანკალინსაც, გველისაც, ცოფისაც, აღმოსავლურ-დასავლური, სხვანიც. — ახლა ქოსა, ხმადაბალ ყეფისდაგვარად მეტყველებდა, როგორც იციან ხოლმე უძღურმა ბოროტებმა. აქ მეფე იყო, თორემ დიდი ხანია კუდით ჭვას ასროლინებდა ამ „ადრემეციერა სტუმარს“.

— შედეას წამალიც ჭქონია, ვხედავ! გაახალგაზრდადებისა! გიწამლია კიდევაც და მეტიც მოგვსვლია. სწორედ ჯავზირი და გველის ხორცი! კიდევ კარგად გადარჩენილხარ!

ქოსა გახევდა. მაგრამ „ადრემეციერა სტუმარმა“ არც ეს აკმარა.

— გარდა ამისა, ძველმკურნალო! განა არ იცი, რომ შედეას წამალი ახალგაზრდობას არ აბრუნებს, ეს შედეასა და იახონის დროს თუ სჯეროდათ, მაგრამ ახლა? ეს წამალი თმას აშავებს და თუ ზედმეტი მოგივიდა, სულ აცვენს!

თმაგაცვენილი მეხდაცემულს უფრო ჰგავდა. სულგანაბული უსმენდა. უსმენდა, ახლა ამით გაკვირვებული, ადერტიც.

— ჯავზი-სარო, ეს კედარის კაკალია.

— არა კვიპაროზისა! — კიდევ ერთხელ სცადა ქოსამ შედავება.

— ზოგან შეცდომით კვიპაროზსაც უწოდებენ! ჰგავს, მაგრამ იგი არაა! ქართულ კილოვებაში არის სხვა სახელებიც — ალვა, სარო, ლიბანის ნაძვი! ხე — ცხოველი. აქ რომ კედარის კაკალს აქმევ, შემერულ ჰილგამეშის ლიბანისა და ხალდეს ტვერების კედარის სულს ატრიალებს შენ ალბათ არც ჩასწვდომიხარ ამას და ყველაფერზე გულს ისისვებ!

ქოსამ თავი ჩაჰხარა და დადრკა. ახლა ადერტიმაც გამოაბა ძველ კვალს ძაღი.

— ჩვენ მცხეთაშიაც გვაქვს ლიბანი თოლებული ნაძვის კორომი! შემერები ჩვენს ძველ წიგნებში სუბარებად იწოდებიან და იბერების წინაპრებად სახელდებიან! ძველთაძველ საწინაპროს ნიშნად ეს კედარ-კვიპაროზის ხეწარია მცხეთას! საერთოდ ქართველ ტომთა და ნათესავთა ხეთაგანი გეწამს ადგილის დედაწმინდად. ვაზი, ბზა, ზეთისხილი. კაკალი, ჭადარი, ხე აკაკისა. მაგრამ უწყიდესნი არიან კედარი და მუხა.

უფლისწული თავადაც გადგა, აღიშრათა და ერთდროულად, ახალნაზარდ, ტანაყრილ მუხასაც ემსგავსა და კედარსაც. მერმე ხელიც გაშალა, მოაგონდა, რომ ერთი, არსებითი, დარჩა უთქმელი.

— თუმცა დედა-წმიდა ყოველთვის როდია მდღერი, ხშირად მამრია, როგორც გუთნის დედა! აქ არის ჩვენი ხეგვირგვინა — ქყონი თუ მუხა — მამრია, კედარი, სარო თუ ალვა — მდღერი!

გონებახსნილი ჭაბუქი თითქოს ხმამაღლა აზროვნებდა და ნაცნობსა თუ ახლად შეცნობილს მწყობრად აბამდა. უხილავი და შორიშორი მოვლენანი, სახილველიცა და ერთი ჯაჭვის მარტვლებში იკვროდნენ და ურთიერთს უფრო ამტკიცებდნენ.

უწარბო მკურნალი ნირშერეულად უსმენდა, მერმე თავი მიიმედ ჩაჰხარა და გულდამცხრალად წარმოთქვა:

— კაცს, გულმეციერსა და მცოდნეს — ახალგაზრდობაც ებატება, ღმერთების წილი ზედმეტი სიბრძნეც! თუ

ბედისწერის მეტროლოდ ან წინამორბედად არ არს მოსული! გვეფარავდეს სახე და წიაღი უფლისა, ქვა და ძალა უფლისციხისა!

ახალგაზრდებს გაეცინათ, ურთიერთს თვალი უყვეს. ისინი უკვე ძველი თაობის გაბოროტებულ კაცის გაქირმა და ამეგობრა! ახალგაზრდა სწავლული გახალისდა:

— შენს წარბებს მხოლოდ ჯაგზი-ბოვრა, ბალსინის ზეთი, გველის ცმელი და კიდევ ზოგი რამ მისცემს საშველს და მფარველობას! წარბებს დაგიბრუნებ, ახალგაზრდობის მოძულევ და მაძიებელი! საკმაო წვერ-ულვაშსაც, მაგრამ ქოჩორსა და უქალარო ფერს ნურასა მთხოვ!

— ოსტატო, მიბრძანეთ, ყოველივეს გავაჩენ. — ეტრათი მიაწოდა, მელნის მაგიერ სინჯური დაუდგა. იქნებ ესეც უქანასკნელი გამოცდა იყო, უნდო ქოსას მიერ მოგონებული.

მითრიდატემ ხელად ჩამოუწერა საპირო წამლები, მათი შეფარდება და წონა, მაგრამ შესაზავებლად თავად ალუთქვა მოსვლა.

— შენი იმედი არ მაქვს... გულამღვრეულიო... და ხელარეულიო! აქ შენიც არის და ჩემიც!

— შენ რაღა ახალგაზრდობის წამალი შეგჭირვებია! — ჩაუნჩუმათა ადერკმა.

— შენ გავიმხელ, — და სამად მოკეცილ თეთრა-ქოსას მიუბრუნდა, — ღამე დამხვდი. ახლა კი ჩემი უფროსი ძმის ნების მიმყოლი გახლავარ! — და გვირაბისკენ დაწინაურებულ მეფეს გაჰყვა.

ქოსამ სამკანდელა გამოუნათა. გვირაბმა მუხლი მოიკუთხა და ახალგაზრდანი მუხლს რომ გასცდნენ, შორს, გვირაბის ბოლოში, დღის შუქი გამოჩნდა. იგი ჯერ უეცარ სარკედ აელვარდა, მაგრამ, როდესაც საკმაოდ მიუახლოვდნენ, მისი საოცარი გამჭვირვალეობა თვალში მოხვდა მითრიდატეს.

ცის კალოზე, რომელიც გვირაბის სიღრმიდან ჩანდა, მკაფიოდ ისახებოდა:

ჯერ არამოსული მთვარე და მის ირგვლივ კევრის კობივით შემოქედდელ ვარსკვლავები.

— ღმერთების თვალსაწიერია სწორედ! — აღმოხდა მითრიდატეს.

— სწორედ უფლის მარჯვენა თვალში ვართ.

ერთი ცვალებადობა კიდევ მოხდა: რაც უფრო უახლოვდებოდნენ გარეკიდეს, ცაზე მით უფრო ფითრდებოდნენ მთვარე და ვარსკვლავები, მაგრამ სწორედ „გამჭვირვალე ზოლში“ რაღაც წერტილები ირეოდნენ, თანაც უცნაური სიმების ზუზუნა ხმამ მოჰხიბლა სტუმარი.

— ბუზი, ფუტკარი! — ბოლოს მიხვდა იგი.

ზედ „თვალის კილოში“ ფიჭები შეწებებულ ჭიქნებად ეკიდა და თითქოს შხის ნაჟონი ჩამოსდიოდა. თაფლის მათრობელა სურნელი ეფინებოდა ღვთის აღალმას.

— ხომ არ გეშინია? — შეეკითხა ადერკი, — მე არ მერჩიან, მაინც, შიგნით, ქვაბში რომ ვარ!

— მათ დინჯი ხალხი უყვართ! მე კი მოუსვენარი ვარ, მაგრამ არც მე გეშინია! პირიქით, ესენი არიან ჩემი პირვანდელი მასწავლებლები!

მითრიდატე სულ წინ წადგა. ახლა მის ირგვლივ იყო დიდი ზუზუნი და ფუტკარსაბარუნაევი. სამზერ უბეში, ქუთუთოებად, ათასთვალულად დაცხრილული ძველი და ახალი ფიჭა, თაფლი და ცვილი, კიბრუქი შეშაქრებულად და ჩამოღვენილია.

მითრიდატემ ნათლად წარმოიდგინა ხელი. შორიდან დანახული უფლისციხის მთელი კლდეც ხომ ასეა უსწორ ფიჭასავით დამაშრული და, ალბათ, „დაფუტკრულიც“, ადამიანთა მიერ! ეს ზუზუნიც, ადამიანთა ხმას რომ ჰკავს, მასაც — ერთ-ერთ „ფუტკარს“, შინაგანად ამტკიცებს და აზუზუნებს!

— მარცხენა თვალიც ასეთივე სკიანი და თაფლიანია!

— ასეთივე.

მითრიდატე თავად შეახოხდა „ცევირის“ კეხს.

— გარედან ნუ შეხვალ, დაგესვიანი! — მიაძახა ადერკმა, მაგრამ უკვე გვიან იყო. მოძლიერებული ზუზუნი ცეცხლივით შებრიალდა და მოსწვდა ადერკს. — ბნელში შევარდი, ბნელში! — შესძახა და თავადაც შემადლდა, „ცევირის“ კეხს იქით გადაიხედა.

მარცხენა „თვალის უბეში“ უფლისწული ფეხებგადგმულად იდგა და ორივე დაკოტავებული ხელით, ვეებერთელა თავლიან ფიჭვას პირდაწაფებულად შეეპყროდა. ირგვლივ — ხელეზზე, სახეზე, ფიჭაზე, ჰაერში სკის შებორიანებული ცეცხლი ზუზუნებდა.

— შეგკამენ! ვაგასიებენ!

— ჯერ მე შეგკამე ზიარებას მივიღებ! ნუ მიწყენ, ხომ არ მოგაწოდო? შენივე, უფლისციხური თავლის წყარო უკვდავებისა!? გარდა ამისა, უკვდავი ხომ ის აზრი იქნება, რომელსაც ჩვენ ამ თავლში ჩავდებთ!

ადერკმა უკვე დაუფარავი აღფრთოვანებით გამოართვა გოლეულის დიდი ნაქერი.

— ერთად ვკამოთ, გავიზიაროთ მომავლის სიტყბოც და სიმწარეც!

ეს უკვე თავლის თავლი იყო. უფლისწულმა უფრო გაიხარა.

— მე რომ ახალნაქორწილევი მეფე ვიყო, ტახტსაც და სარეცელსაც აქ დავიდგამდი, თავლობანას სწორედ აქ ვისურვებდი.

სთქვა და საღდაც ფუტკრის ზუზუნში თუ „უფლის თვალში“ ლულუფას უეცარმა ხმამ და ლანღმა გადაიბრინა. მერმე ისევ ფუტკრის ზუზუნი, ისევ მზეზე გამოფიცებული თავლის გემო და სურნელი, ისევ შორეთის ჭერეტა და გრძნობა.

მერმე დიდხანს, ორნი ერთად იჯდნენ „უფლის თვალში“ და მომავლის ხილვა-ბჭობაში იყვნენ.

თავლიან ხელეზზე მითრიდატეს ფუტკარი ესეოდა. იგივე დაიჭერდა ერთერთს, მკლავზე, ნიდაყვზე, მხარზე

დაისვამდა და აკბენინებდა... ახლა კიდევ და ახლა კიდევ.

— რას აკეთებ?

— ეწურთნი სხეულს, ფიჭრს. ჩემს სიმტკიცესა და გამძლეობას ვარკვევდა განა მარტო ასე! კიდევ არის ერთი რამ მნიშვნელოვანი, მხარის გრძნობას ვიმახვილებ! ჩვენი საერთო ნაკლია. მხარდამხარ უნდა ვგრძნობდეთ ერთერთს, როგორც განუყრელი ტუუპის ცალეები! მომავლისათვის ვემზადები. ვიცი, მოუსვენარი ვარ, ნუ დამძრახავ. შენ მეფური სიღინჯე გამართებს და გახლავს, მე კი — დიდი სამზადისი! ვგონებ, ესეც ჩვენი საერთო ნაკლია, ჩვენ გვიან ვიწყებთ ხოლმე მზადებას, მაშინ როდესაც უკვე გააზრებული მოქმედება არის საჭირო!

ადერკი უსმენდა, არ აწყვეტინებდა. მითრიდატემ იგრძნო ეს. „ვანგებ მალაპარაკებს თუ მასპინძლის ზრდილობაა!“ — არცერთი არა ჰკითხა, თუმცა სიტყვას კი ფხა შეუსწორა.

— მრავალსიტყვიანობასაც ნუ შემწამებ. გულს ვიოხებ, ძლოვს შეგეყარე, თითქმის ჩემი თაობისას. მეფურ კაცსა და კაცურ მეფეს; ვისთანაც შემძლია გული გავხსნა. თორემ სულ „სხვა“ ვარ, ფარულად ვარ, ორჭოფულად ვარ! შენთან ასეთად ყოფნა არც მწადას და არც შემძლია!

ადერკმა უსიტყვოდ ხელი ჩამოართვა, ეთაფლიანა.

— დაემუდამ ასე თავლიგულობა იყოს ჩვენს შორის!

— არა, არ კმარა. ამას ჩვენი კეთილი მსცოვანებიც გვეტყვიან და დაგვაფიცებენ! ათას რასმე გვირჩევენ კეთილს. მაგრამ არაფერი არ არის ისე ადვილი, როგორც რჩევის მიცემა და არაფერი არ ყოფილა ისე ძნელი, როგორც სხვისი რჩევით დიდი საქმის მოგვირგვინება!

ადერკმა ბევრი იცინა. უფლის ქვაბებსა და ხაროებში ნამეორევი სიცილი ღმერთების გადაძახილს ჰგავდა.

— საოცარი კაცი ყოფილხარ! სჭრი

და ჰყერავ, სჭრი და ჰყერავ! მაშ რა გწადს, ტყუპის ცალო!

— აი, რა: ტომი და გვარი მსცოვანთ ასპარეზია და მათი სათაობოც აქ თავდება. მიზანიც — ქართველ ტომთა შეძლებისდაგვარი თავდაცვითი შეკავშირება. ჩვენ კი, ვგონებ, მომავალში ეს აღარ გვეყოს!

— სწორედ ამიტომ მე ტომთ ნათესაობა და ქვეყნის თვისტომობა შემოვიღე!

მითრიდატემ გუნებაში ატრიალა ეს სიტყვები, თავის აზრებს უფარდა.

— უმჯობესია, და მაინც თითქოს აკლია რაღაც! ისეთი უნდა იყოს სიტყვითაც და შინაარსითაც, ყველა ჩვენს ტომს ჰკრეფდეს და მათ შეთვისტომებას სახავდეს. აი, როგორც ამირანის ერი, უფლის ერი, სპერ-კავკასის ერი, ან ქართუ ანბანის ერი, ან მოკლედ — ქართუ ერი, რომელიც ტომთ ნათესაობასა, თავდაცვით კავშირებსა და ქვეყნის თვისტომობაზე უფრო მჭიდროდ შედუღებული იქნება!

— ჰკრეტაში გეთანხმები, მაგრამ ადრე მიგნებულ აზრს გამომწიფება აკლია! — განსჯილად დაეთანხმა იბერთ მეფე.

— ეს ჩემი უმწიფარობის ბრალია!

— არა, ვითარების უმწიფარობას ვგულისხმობ! ხშირად აზრი უფრო ადრე იბადება, ვიდრე მისი ზორცშესხმის გარემოება. მაგრამ თუ ვითარება გამომწიფდა, აზრის გაჩენას ვედარაფერი ვერ გააჩერებს!

— ჰოი, ღმერთებო! მაინც რა რიგ საჭირონი არიან ადრე მგრძნობელნი! არა, მე იმ წინასწარმთქმელებზე კი არ ვამბობ, ბეჭის ძვალზე რომ ამოიკითხავენ ზოლმე მომავალს, ან ფრინველთ ფრენაზე, თუ რამლის ყრაზე იგებენ ბედისწერას. დაე, ეს „ჰკრეტა“ მათ სინდისზე იყოს! მე ისიც ვიცი, რომ ხანდახან ესეც საჭიროა! ახლა მე იმ მოუსვენარი აზრისა და დიდი ოცნების ადამიანებს ვგულისხმობ, რომელთა ჩვეულებრივს შეცლებული გრძნობა, ხშირად ნაადრევი, მაგრამ ისინი თავად სწერენ

და სთხავენ თავიანთ თანამედროვეთა აწმყოსა და მომავალს!

კიდევ დიდხანს ისხდნენ „უფლის თვალში“ იბერი და პონტოელი და სჭერეტდნენ საერთო მომავალს.

ბოლოს ჯუმლი ჩამოჰყარეს:

— ჩვენ ჩვენი ვთქვათ, მსცოვანებს დაეუტოვოთ დანარჩენი შესაწამებლად. მიზანი ასევე აღელვებულად და თუნდაც სრულმკაფიობას მოკლებულად დარჩეს დრომდე.

— დარჩეს დრომდე. — დაეთანხმა უმცროსი, — ჩემი ზრახვა ასეთია: სრულწლოვანების მიღწევისთანავე ყველაფერი მზად შექნება — ხომალდიონი, ლაშქარი, შინ და გარე მითრათული. მაისიეულ ტახტის ჩავდება არ კმარა, კართან რომია! მორჭმით ჰყრობა და თავიდანვე ძალის ჩვენება. აი, ჩემი მიზნის პირველი კარი!

— გიწონებ, მზარს მოგცემ, დღეიდანვე მზად ვარ! ვიცი, სულიერად შეტად მძიძეა შენთვის, მაგრამ რაღად ელი სრულწლოვანებას!

მითრიდატემ გაუგო, რას გულისხმობდა ადერკი და თავი ჩაჰხარა. მაგრამ იბერთ მეფე უკვე საკმაოდ კარგად იცნობდა ლტოლვილ პონტოელს.

— მე „არსიანული ზრახვა“ თავიდანვე გაგიზიარე. შენი გონიერული და ყოველგვარი სიმწიფე და ღირსეულობა სრულ უდავოა, მაინც ახლა, როდესაც პირადად გნახე! მოვითხოვე — ნუ გადავდებთ ამას! არც გოჭი ეგრისელი დაიხეცს უკან!

— არა, უფროსო ძმაო, ადრეა. სხვა მიზეზიც არის, მაგრამ უმთავრესი მაინც ის არის, რომ ჯერ გულის სიმკაცრე მაკლია! ამისათვის ჰასაკია საჭირო. მე ხომ დედას უნდა ვებრძოლო! მოძალებულ რომს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს — დედას.

მერმე უფრო ხმადაბლად აჩურჩულდა:

— ყველაფერი მსმენია: ძმათა დავა ტახტის გამო, მამა-შვილისაც, ბიძა-ძმისწულისაც, მაგრამ დედა-შვილისა... აი, რა მელის! ამას კი, ვიდრე სრულწლო-

ვანი არ გავხდები, ვერ ვიკისრებ! — მერმე ისევ ფუტკრები დაიჭირა და მკლავზე დაისვა.

ადერკი შეძრწუნდა, მაგრამ არ შეიფერა. იმანაც განაცვიფრა, რომ, მიუხედავად მრავალ ნაკბენისა, მკლავი არც კი გასივებოდა სტუმარს.

კარგა ხანს ასე ჩუმით უმზერდა და როდესაც განცვიფრებამ სულ გააქარწყლა შეშფოთება, მაშინდა ჰკითხა:

— შენ საოცარო, ზორციელი ხარ!?

— ვარ, ჯერ კიდევ ვარ, ვერ მოგერიე ზორცისა გველის ზორცი კი ბევრი ვქამე, მაგრამ ამას საღამოს თეთრა-ქოსასთან ნახავ!

— მინდია, გველის მკამელო! მე აღარაფერს გეტყვი, სიტყვა შენზეა! — ადერკმა გულზე ხელი იკრიფა და დაჩუმდა.

— ჩემი სიტყვა ასეთია, ასეთია ნება ჩემი კეთილი მამობილისა — გოჯიმეფე-უფალისა! ვიცი, კავკასიის კართან მტერი მოდგა, აღვანთ ზღვართანაც, კახთ საერისთაოში სპარსმა მუქარა გამოგთხოვა! ცოტა რჩეულლაშქარი მახლავს, დიდი გუნდი პირველ ძახილზევე მოგვეახლება. მხარი აიბი, მეც მხედრულად, ნაქებ იბერულ წესით გამწურთნე, მთაშიაც და ბარშიაც! აი, ჩემი ხელი, უფლისციხურ ფუტკრით ნადალი!

კვლავ ხელი ჩამოართვეს ურთიერთს. მითრიდატემ საბოლოოდ სთქვა:

— ვით კოლხთ უფლისწული, შენ უახლოეს ერისთავად მიგულე, ვით პონტოს მეფე — მუდმივ ძმად და მოკავშირედ. მაგრამ ეს მომავლის საქმეა და ჩვენ საერთო, ქართულ საქმეზე არა ერთგულის კვლავ შევიყრებით!

— ვით იბერიის დიდი მეფე მოძმედა და მოკავშირედ მიგულე ყველგან, კოლხეთშიაც და სპერშიაც!

სადაც, „უფლის თვალის“ ქვევით, სურნელოვანი კვამლის სვეტი აღგა.

— მსხვერპლის შეწირვას იწყებენ! წავიდეთ საუფლოში, მსცოვანები გველოდებიან! მაშ, ამის იქით, ჯერ კოლხთ

უფლისწული, ვაჟიბედია სპერელი მახლავს!

უფლისწულმა უხმოდ თაყი დაპარა და უკან გაჰყვა. და კიდევ კარგა ხანს მათ მიჰყებოდა ფუტკრის ზუზუნი, თითქოს მათი საუბარი „უფლის თვალში“ კვლავ გრძელდებოდა.

ადერკმა ახლა სხვა გვირავით მეორე „ყურში“ გამოიყვანა სტუმარი.

აქ სასანთლე იყო. ცვილის კვერები, თავლით სავსე დერგები, ჩამოქნილი, დაპატრუქებული, სხვადასხვა ზომის კელაპტრები და სანთლები.

— უფლისციხეს თავისი სანთელი აქვს და უყვარს! აქ წესი არ არის სხვა სანთლით მოსვლა! — მასპინძელმა ორი მომსხო სანთელი აიღო, კანდელიდან მოუკიდა, ერთი სტუმარს მისცა და წინ წარუძღვა. „კედის“ ხერგელს გაჰყვა. ხან კიბე იყო კლდეშივე ამოტეხილი, ხან თავქვე და მოსახვევი ხარო, ერთი-ორი დარბაზიც გავლეს. ქვის სარკმლებიდან, აქა-იქ ჩამოსხლტა ვიწრო სვეტი სხივისა. ხან სანთლის აშარა იყვინენ. მათი ფეხისხმა ქვის კოდვასავით გამოისმოდა, თანაც ხან წინ უსწრებდა, ხან უკან ჩამორჩებოდა. მერმე ქვევებიდან მოჟურუნდა გვირავებსა და ხაროებში ვახლართული ხმა საუბრისა თუ ვალობისა.

კარგად ესმოდა ყურმახვილ სტუმარს, მაგრამ ვერკი არჩევდა. მიწისქვეშა სიტყვას სხვა ყლერა ჰქონდა. თითქოს ღმერთებისა და ადამიანების ლაპარაკი არეულიყო. გაწელილი და ურთიერთჩახლართული სიტყვები ღამურებევით შმაშურობდნენ და უთავბოლოდ მიმოჰქროდნენ.

ერთ ქვაბს ქვის კარი ება, ქვაქუსლიანი და ქვისურდულიანი. ორივემ ძლივს გააღო. უფლისციხის „გულსაწივნი“ იყო.

ადერკმა მიანათა, სანთლის შუქი მოატარა ქვაზე ტვიფრულებს, ძველ გრაგნილებს, თიხის ქოცოებს. ერთ-ერთს ქვაბადიმი მოჰხადა და მომცრო ხელნაწერი ამოიღო, სანთლის შუქზე შეამოწმა.

— ეს არის. შენთვის უპრიანი! მცხე-

თას დიდი წიგნთსაცავი გვაქვს, მაგრამ აქ უფრო ძველია!

— ახლავე ენახავ! — სული წაუვიდა უფლისწულს, და ფრთხილად გაშალა.

„ზნეობისათვის“ — ასე ეწერა თავში, უფრო მსხვილად. ქვაში მოკვეთილს ჰგავდა. მერმე კი ლამაზი ხელით ხეზე კრილივით იყო:

„ცივისსხლიანთ არც ადგილის დედის გრძნობა, არც საკუთარი ღმერთები არ გააჩნიათ. არც თევზებსა და არც ქვეწარმავალთ ზნეობა არც აქვთ, არც სკირდებთ. ადამიანს კი არ ძალუქს ასე ცივისსხლად ყოფნა.“

სამშობლო მართო მიწა-წყალი არ არის, არც მართო მიწა-წყალი და ადამიანი. მიწა-წყალი, ადამიანი და ზნეობა სიყვარულისა და სიძულვილისა!

მინდია ტყვედ გაიტაცეს ქაჯებმა. სალატოდ ვერ გასტეხეს, სამშობლოს მტკიცე. მან იცოდა სიყვარულიცა და სიძულვილიც!

ქაჯ-ბოროტებმა ბევრი აძალეს ჯადოსნური წამალი, ღვინოში აზელილი კირჩხიბი, ქერისა და ყვითელი თაფლის კერძი, შავი საკმელი და რუხამი, რამეთუ მშობლიური მიწა-წყალი დავიწყებოდა...

ამანაც რომ ვერ გაპრა, გველის ტვინი და ხორცი აჰამეს, ჰარბად მშვიერს.

და მაინც ცოცხალიც დარჩა, არც გველცოფი შეეყარა. უეცარი მისნური სიბრძნეც მოიპოვა: შეიმცნო ყოველი სიბრძნე, სიკეთის გზანი და ბოროტების მანქანებანი, ყოველი ბუნებისნიერის ენა.

მაშინ ადამიანის ხორციით ცდუნება სცადეს. გულში ედოთ ცოცხლივ მისი წაწყმედა, ზნეობითგან დაცლა, რამეთუ უზნეო კაცი — მკვდარ არს! და უარეს — მტრის იარაღ! ყურმოჭრილი მონა და დედის წყაროს ავად ამმღერევი!

მაგრამ კეთილი თუ სიბრძნეს ეზიარა, მერმე, უბრძენეს არს!

იგრძნო მინდიამ ადამიანის ხორცი, გუმანში ჩაესმა გბოლეელ ადამიანთა ყრუ მოთქმა:

— არ წაწყდე, არ წაწყდე! ჩვენც არ

წაგვწყმიდო შენი წაწყმედითა! ბედშავო და სვემართალო! ვაჯკაცის სიკვდილი ქაჯთა მონობაა, ადამიანის ხორცის ქამაა, თორემ სიკვდილი რა ბედენაა!

არ ჰამა მინდია. გაუძლო შიშშილს, ტანჯვასა და გვემას. დაამხო ქვაბი. მესხად ჩასძახა:

— მართალი კაცი თავის სიმართლეში უნდა იყოს ჯიუტი და ფეხქვეა!

უმალ ჩაადგეს ცხრაკლიტულში შიმშილად და სიკვდილად. ცხრაკლიტულმა კი ცხრაჯერ უჩუჩრჩულა თავისი გაღების იღუმალი ხერხი.

და ილტვოდა ქაჯთა ქვეყნიდან ბრძენი მინდია. გადმოვლო უშტი და უშქარი მანძილი. ბოლო სარბიელის ტრიალ მინდორზე დაეცა ღონემიხდილი.

კვალს მოჰყვნენ ქაჯნი და ეამსა მინდიას მოწყვეისასა, მინდორ-გაღმა ტყემ შენიშნა და შეშრაილდა.

— უჩქარე, ძმაო, ბრძენ-კეთილო, ნოსწედი ტყის პირს და მერმე თავს ვიდებ შენს დაფარვას საქაჯეთისგან!

— ვარ მრავალ დღის მშვიერ-მწყურვალე, ურვილი და მიძალეული. აქამდე მხოლოდ სიკეთით ვიყავ ძლიერ და ცოცხალ! არც დავემონე, არც ვჰამე, არა! ქაჯნი კი მოჰქროდნენ კორიანტლად და ზათქად.

მაშინ ტყე დაიძრა თავად, მისწვდა და გადაეფარა მინდიას. და ველარ დაჩაგრეს ქაჯებმა ადამიანი ბრძენი და კმაილი.

მოვიდა მინდია ცოცხალ ადამიანთა ქვეყანაში და უხვად სთესა თავისი სიბრძნე და სიკეთე“.

მითრიაბატემ ჩაათვა კითხვა, მაგრამ მისი ხმის ნახსლეტი კიდევ კარგა ხანს მიჰყვებოდა ქვაპავლებს... და თითქოს უფლისციხის ქვაბებში დადიოდნენ მინდიები და ედავებოდნენ მომრავლებულ კაციქამიებს.

მეტი ფიქრი აღერკმა აღარ აცალა.

— დავიგვიანეთ! ჩემგან პირველ ნობათად გქონდეს!

მითრიაბატემ უბეში შეიფარა და უყან „მინდიას ხილვაში“ გაჰყვა.

პირდაპირ ქვატახტებთან, საუფლოში

გავიდნენ. ირგვლივ, სანთლების შუქზე ნაწილ-ნაწილად ჩენილი, მართლაც და ჩასანთლული მსცოვანი „მინდიები“ ისხდნენ და ურთიერთს სიბრძნეში ეჯიბრებოდნენ, ტოლს არ უდებდნენ.

— უფლისციხური გვართსამხილავი!  
— წასწორჩულა ადერკმა, — მსცოვანთა კარია, აქ ყველანი თანასწორნი ვართ!

დიდ ქვაბს უბე-უბე ნაკვეთი ჰქონდა. მითრიდატე მიხვდა, რომ გვარ-გვარ ისხდნენ. საპატიო უბეში თავისი მსცოვანებიც ძლივს გაარჩია.

განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად მსცოვანთ კარისანი მიიწვი ფეხზე წამოუდგნენ ახალგაზრდა მეფესა და სტუმარ უფლისწულს.

ბინდბუნდში თითქოს ამოდლდნენ სანთლები და ისევ ჩადრკნენ.

მითრიდატეც, ადერკის გვერდზე, ქვატახტზე რომ დაჯდა და მიმოიხედა, მაშინდა მიხვდა, საუფლოში მართო სანთლების შუქი როდი იყო, კლდოვან ჰერის ძგიდეს სამი, კლდეშივე ამოტეხილი სამერცხლე გასდევდა. და იქიდან, დრო და დრო, ნამგალა მერცხლები ჟივილ-ხივილით, მართლაც, შემოჰქროდნენ და გარემოშიანეთის განწყობილება შემოჰქონდათ.

მსცოვანთა კარზე სიბრძნით მკვერობა უფლისციხური დიდი ლოცვის გარიგებისა და სჯულის დებისა იყო. იგი თავისებური შეგონებისა და ზეგავლენის მძლავრ ხერხს შეიცავდა.

სანთლებისა და ზოლებ-ზოლება გარეშუქის ბინდბუნდში არც კი ჩანდა, ვინ მერცხვლებდა და მსცოვანთა ერთობლივი სიბრძნე გამოდიოდა.

— გვართსამხილავის თითო ნაკვესი ყურად იღეთ და მართალ აზრით განიმსჯვალენით! — ბოხი ხმა ააგუგუნა ერთ-ერთმა ჩრდილმა.

უეცრად საუფლო ჩხაკა-ჩხუციით აივსო. მსცოვანებმა ტალ-კვესი ჩამოჰკრეს და ნაპერწყლების უხვი შხეფი ურთიერთს გადააფრქვიეს.

სეკარამიდან ულოდნელად ამოკრთებოდა ნაწილობრივი სახე, ცალი თვალი,

კეხი ცხვირისა, წვერის ბოლო, მხოლოდ თითები, ცალი უღვაში, შუბლი სხვდასხვა მოყვანილობისა. მერმე ჰქრებოდა დანაპერწყალული შუქი... და ახლა კიდევ ახალ ნაფრქვევად ირეოდა... თითქოს სიბნელეში ცეცხლმოღებული ფუტკარი იყო ნაყარი მერმე უფრო დაბინდებოდა, მხოლოდ სანთლები, ქიამაიებივით ენთო...

მითრიდატე მოაჯადოვა ამ საოცარმა სანახაობამ. ძალაუფებურად, თავისი სურვილის გარეც, განიმსჯვალა უფლისციხური გვართსამხილავით.

ჩრდილები კი განაგვრძობდნენ თავის ნაკვეს სიბრძნეთა წართქმას.

ჟერ სტუმართათვის იყო ნათქვამი:

— გვართსამხილავო, ძველ თაობათა სიბრძნის კარო, შენ აერთებ გვარს, თემს, ტომს, ქვეყანას!

— შენ ირჩევ გვართუხუცესს, მამასახლისს, ხევისბერს, შენი ნებითა და ძალით არიან მეფე და მისი ერისთავები!

— შენი სიტყვაა პირველი ჩვენ ნათესავ ღმერთთა და კაცთა შორის! პატივ-სასოებით განიმსჯვალენით!

ტალ-კვესები და ნაპერწყლები თითქოს სკედნენ ბნელაში შემღვრებულად დარბეულ, ქვის კამარებში შედგებულ გვართსამხილავის სიბრძნეს.

— მსცოვანება მაშინ არის ავი და მძიმე, ოდეს უკან გრჩება გვართდაკინება, დაქსაქსულობა და სულიერი სიკარიველი!

მითრიდატეს სულ ახლოდან შეეყარა ნაპერწყლები. ახლა უკვე, მის გვერდზე, ადერკ-მეფე ჰკვესავდა.

ქაბუქმაც ხელი მოაფათურა და მისთვის გამზადებული ტალ-კვესიც ნახა. გვართსამხილავი კი თავისას ჰკვესავდა:

— ყმაწვილკაცობა მაშინ არის საიმედო, ოდეს ღირსეულად აცხოველებს წარსულ თაობათა უზესთავს და უწყმიდეს ზრახვებს!

ახლა მითრიდატემაც ჩამოკვესა და გვართსამხილავის საერთო ფერხულში გულით ჩაება. მერმე, თანდათან მიხე-

და, რომ ყველა კი არ აჩხაკუნებდა, არც ბრძანდებოდა, არამედ შერჩევით, თანხმობისა და დადასტურების ნიშნად! ბოლოს ისე დახელოვნდა, რომ ნაპერწყმების მიხედვით იგებდა გვართსამხილავის უმრავლესობის სურვილს.

ერთმა ქვევრის ბანით, სულ დამარცვლილ სიქვე:

— იცოდეს ყველამ, ღმერთებს სწყურით, ხოლო ადამიანებს ჰშიათ! თემა უნდა დააპუროს ყველა. მსოფიანი არიან ამის თავდებნი და თემის უფალნი!

და თემისუფალი უმადლე არს, დაბადებით, ხელისუფალზე, საყოველთაოდ!

ჩამოკვესვა და ნაპერწყლების ყრა თითქმის საერთო იყო, და არც მასინ შეწყდა, ადერკ მეფემ დახანებით და არცთუ დიდნაპერწყლიანად რომ ჩამოკვესა.

მითრიდატემ ინიშნა, რომ აქ იყო მეფესა და გვარისუფალთა შორის დიდი დავა.

ქვევრის ბანმა ისევ გაიმეორა თავისი ნაკვესი და ახლა ზედ სულ ნაცნობი ხმაც დაერთო.

— განიმსჭვალენით!

მითრიდატემ იცნო, ბედან-კოლხი იყო, მას აბიო-იბერიც მიიყვია. მერმე მახუნჯავის ვეება ლანდი აისახა კვესის ნაპერწყლებში.

უფლისწულმა ინიშნა, რომ ახლა მას ეხებოდა ნაპერწყალთ სიმრავლე, მაგრამ მასაც სადაო ჰქონდა. და თუ ადერკი, უფლისციხეში მაინც, სთმობდა სადაოს, მითრიდატეს არსად არ ეთმობოდა. და, ჩანს, ეს სადაო მას, მოსულს უნდა ეთქვა, რომ უფრო „ნაპერწყლიანად“ მელო მსოფიანთ.

— თემისუფალნი და ხელისუფალნი. მსოფიანი და მეფენი ერთად! ტომთა ბქენი, რჯულის მოძღვარნი, ყველა წოდებისა და მოწოდების დიდი გვართსამხილავის ერი!

მითრიდატემაც მკაფიოდ გამოსთქვა, თითო სიტყვას თითქოს ჰკვესავდა.

ოდნავი სიჩუმე ჩამოვარდა. უზომო

ზრახვა დიდ სუნთქვას მოითხოვდა. აქოშინდენ მსოფიანები. მერმე, ბირველმა — ადერკ მეფემ ჩამოკვესვა, ახლა სხვებიც აკვესენ, მაგრამ არც ქოშინი დამცხრალა.

ადერკმა გაიმეორა მითრიდატეს „ნაკვესი“ და იმდენჯერ იმეორა და მარცვლა, ვიდრე ყველაზე უფრდამდგარმა მსოფიანმაც არ გაარკვია მისი შინაარსი და აზრი. ბოლოს ყველამ დადასტურა ეს სათქმელად „ახალი ნაკვესი“, ვითარების თვალსაზრისით კი, იბერიის ცხოვრებაში დიდხინის დამყარებულნი.

მსოფიანთა კარი მოხიბლა „დიდი გვართსამხილავის ერის“ სიბრძნემ, მაგრამ „მკაცრ მსოფიანთა ფრთა“ აგრერიგად არ სთმობდა გვარის თუ თემისუფალთა უკვე მოჩვენებით უპირატესობას.

საუფლოს სულსწრაფობა და ფხის შერევა დაეტყო. მრავალმა ერთად წამოიძახა. მოუზომელიც ითქვა. მკაცრიც და, ალბათ, შეუსაბამოც. მაგრამ აქ გაშიორკვა კლდის სიღრმეში ხშულ საუფლოს უპირატესობა. სიტყვაარეულად თქმული თავიდანვე იღვენთებოდა, გაურკვეველი რჩებოდა და ხელმოცარულად ქვის ხაროებში ინაცრებოდა.

ბოლოს ყველა შედინჯდა და ერთმა შეგამებით სიქვე:

— „დიდი გვართსამხილავის ერი“ ჩვენი ღმერთების ნაქვერტ სიბრძნედ გვიჩანს! უზესთავსად უდავოა! მაგრამ შინა სამართლისა და სიმართლის დაცვა-გამრუდებმა განუკითხავად ხელისუფალთა ხელშია ახლა მიძალბებული! ამას ვერ მივეცემთ დასტურს! თემისუფალთ ახლა მიწის მფლობელნიც შემოგვედავენენ! ხარკის ამკრეფნიც ძალაობენ! არც ამის დასტური არ იქნება, არამც და არამც!

ზოგნი, მკაცრნი, გაშმაგებით ჰყრიდნენ ნაპერწყლებს, მაინც საუფლო ქებაის თავის დიდ უბეში ელავდა ტალი და კვესი. ახლალა გაარკვია იქ მქდარი, დიდწვერა, შუბლმალალა მსოფიანი, აქამდე ცოცხალი რომ ეგონა, ქვის ქანდაკება ყოფილა და იგი საოცრად ჰგავდა

შორიდან დანახულ უფლისციხის კლდის სახეს.

ღმერთის ქანდაკება თანასწორივით და თანატოლივით იჭდა მსოფიანთა შორის. მითრიდატე უფრო განიმსჭვალა აღლოსიეული ლტოლვით, ადერკს ხელზე ხელი დაადო, უტყვი ნებაართვა აიღო და ჯერ წამოკვესა, მერმე სთქვა:

— თემსამართლის შეუვალობა საფუძველია თემისაცა და სამართლისაც! ყოველი ქართველი მეფე ამას უხენაეს სამართლის ბურჯად მიიჩნევს, ისე, როგორც ოჯახი, სახლი, გვარი, თემი სამეფოს ბურჯად რჩება!

ადერკმა პირველი „ტალი“ მისცა. სხვებიც ერთობლივ აპყენენ. ნაპერწყლებმა „დადასტურეს“ პირველი ზეპირი პირობა ახალგაზრდა ხელისუფალთა და თემის მსოფიანთა შორის.

ადერკი ძმათაშორის დაღვრილი სისხლის ძალითა და დუხჭირით იყო გამეფებული. მას იბერიასშიც ბევრი მტერი ჰყავდა, დიდგვაროვანთა შორისაც. ამიტომ უმალ დაპყვა სტუმრის „აღლონიან, რბილ სიმკაცრეს“ და თავისი სათქმელი მას დაუტოვა, თავისა და უფლისციხურ გვართსამხილავის შორის ჩაიყენა და „მეფურ თავაზთან და ზრდილობასთან“ ერთად „საერთო კირნახულისაც“ უხვად მოიმეო. ხოლო „გარეზრახვებით შინა უთანხმოების გზადაგზა მოგვარება“ ხომ სტუმრისათვის ყოველ მხრივ უპრიანი იყო.

ადერკმა ახლა თავად მისცა მუნჯი ნიშანი მითრიდატეს. მანაც უმალ გაუგო. მათ შორის უკვე მუნჯი ქართულიც სჭრიდა.

მითრიდატემ შეუფერხებლად განაგრძო სიტყვა:

— რაც შეეხება მიწის მფლობელთ, თუ ვინმეს იბერიასში აკლია მიწა, ტყე, წყალი, მე წავიყვან კოლხეთს, სულადობაზე მივცემ! ჩვენი მიწა-წყალი რამ გაარიგა!

ერთსულოვანი ჩხაკნი და ნაპერწყლები იყო პასუხად.

— ხარკის აკრეფაზე კი ვიტყვი: აქ ლაშქრით მოვედით, კვლავაც მოგვივ-

ლენ! იბერიელთა მეომრობაც მომეხსენება. ვიცი, ადერკ დიდ მეფის განზრახვაც, მისი მხედრული გამოცდილებაც, მზადყოფაც უკვე ნათქვამი აქვს!

ვიდრე ნაპერწყლები დაირხეოდა, სათქმელი ადერკს გადაულოცა. მან კი სიტყვა ხმალივით დასდო.

— ჯერ ლაშქრობა არავგზე და მის პირიქით! ზურგის მობმა, მერმე ხელის აღება სპარსთა ზარკზე. ალაზანზე უკვე მელის ლაშქარი!

სანთლები ამადლდნენ. დანაპერწყლება საერთო იყო. კლდის გულში ტალკვესობდა გვართსამხილავი. ბჭობა დაამდა და დათათბირდა. მსოფიანებმა კილო მოილბეს და მოიშაქრეს:

— ადრეული სიბრძნე დიდი ნიჭია კაცთა შორის! ვხედავთ და ვხარობთ, კეთილი იყოს კოლხთ უფლისწულის ფეხი უფლისციხეში!

გვართსამხილავმა გული გაუხსნა მითრიდატე ჭაბუქს. ისე გაუხსნა, რომ უმრავლესობამ არც კი იცოდა სრული ვითარება პონტოელ ლტოლვილისა.

იბერთ მეფემ ხელი მოუშარათა ამ გულის გახსნას.

— ნიჭი თუ შორს განკვერტილ, თუნდაც უვალ გზით მიდის, ზღვას გადასცურავს, მთას გადაივლის და თვისტომთა სვეს ახალ მხსნელად მოველინება!

საუფლომ ერთიან-ნაპერწყლიანი ბანი მისცა. კლდე გათბა თითქოს. მითრიდატეს აღფრთოვანებამ კი უშუალობის ალიც მოიკიდა:

— თქვენ გენაცვალეთ, ეს რა მომავალ ზრახვების სამკვედლოს შემაზიარეთ!

ნაპერწყლებს ახლა ღიმილიც აპყვა. ხანდაზმულთა და ახალგაზრდათა გულები ახლა თანაბრად ეღერდნენ და სჯეროდათ ურთიერთისა.

ადერკმა ესეც იგრძნო და თავისი სანთელიც მითრიდატეს მიაწოდა, თითქოს თავისი სათქმელიც მას დაუთმო და წინასწარ დაეთანხმა.

ეს „სანთლის ზრდილობა“ გულში აველამ მოუწონა და უქო.

მითრიდატეს ჯაბუკური სახე ახლა სიბნელეში მკაფიოდ ამოიტივრა. მისი შევსება მკვლელობა ორსანთელა შარავანდედში ჩაქდა და ყველამ შეამჩნია, ყელშედერებულ სტუმარს თვალშიც დაუნაპერწყლდა. მერმე ახლებურად ნაპერტი „ნაპერწყალა სიბრმე“ მოჰყვა.

— თაობის ტვირთისა და სვე-ბედის თავმდებნი, ქვეყნის უხესთაენნი, არიან — მსცოვანი ბჟენი და მეფენი. და არა მარტო „მშიერთ დასაპურებლად“! ადამიანებს არა მარტო ჰშიათ — არამედ ღირსეული ცხოვრება, თავისუფლება და ერთობლივი ძლევა მისილეზა სწადთ ყველა თვისტომთა, თემთა თუ გვართა — ქართუ ეროზად შეკვრა. დიდ ქვეყნად — ალვან-იბერ-კოლხ-სპერად ამობრწყინება! აი, ჩვენი ორსან-თლოვანი, უფლისციხური ჰერეტა და ზრახვა!

ეს ყველაზე გრძელი და ჩახლართული „ნაქვესი“ იყო დღევანდელ გვართ-სამხილაზე.

მსცოვანთ არ სჭიროდათ თქმის ამოწვლილეა. ადერკ მეფე გზადგზა ეხმურებოდა ტალ-კვესით. მოსტუმრებული მსცოვანებიც მაშინვე აპყვენენ. ზოგი მასპინძელიც, აბიო-იბერის უბისანი... სხვები კი, მაინც მთიულნი, ხმას აყოვნებდნენ. იქ ჯერ ძირფესვიანი თემიანობა და გვარისუფლობა იყო.

ზოგი ბარის დიდგვაროვანნიც, მეფის ხელისუფლების გაძლიერების შიშით, თავს „იყრუებდნენ“, თუმცა აშკარა და ფართული წინააღმდეგობა ჯერ კიდევ წინ — არმაზის სასახლეში იყო მოსალოდნელი.

ეს, ალბათ, ყველაზე უკეთ ადერკ მცხეთელ-არმაზელმა იცოდა, ამიტომ ყოველი ღონე იხმარა, ტალკვესი და ნაპერწყლები არ დაჰკლებოდა „ორსანთლოვან“ ჰერეტას. ბოლოს წამოდგა, თავისი სანთელი მითრიდატეს თავაზიანად გამოართვა, სული ხშიანად შეუბერა და ჩაქრო.

წამოდგა მითრიდატეც, დღევანდელი

ბჭობის დასასრულის ნიშანი იგარმნო. მანაც ჩაქრო თავისი სანთელი.

ასე სათითაოდ ყველამ ჩაქრო თავისი, და, როდესაც უკანასკნელიც ჩაქრა, თვალშეუჩვევ სიბნელეში ადერკის ხმა გაისმა. იგი თავისი და „უმცროსი ძმის“ სახელით ყველას „უფლის მარანში“ სერობაზე იწვევდა. ხოლო, როგორც შემდეგ უმცროს ძმას განუმარტა, სანთლის ჩაქრობა ნიშნავდა, რომ „ყველაფერი აქ თქმული, ნახული და გაგონილი — არცა თქმულა, არცა ნახულა, არც გაგონილა რა!“ საიდუმლოს შენახვის თავდები კი დარბაზში დარჩენილი უფლის უტყვი ქანდაკება იყო. ვიდრე სერობაზე წავიდოდნენ, მოუსვენარი უფლისწულის თხოვნით, კიდევ ერთხელ „უფლის ყურში“ ავიდნენ.

თეთრა-ქოსა მკურნალი მისავალშივე დახვდათ, სამკანდელა მოუხათა და შეუძღვა.

— ყველაფერი მზად გახლავთ.

მითრიდატემ ჩაძიებული ყურადღებით შეამოწმა. წონაც კი გასინჯა ციციქნა სასწორზე. ყველაფერი მისხალში და დანგში იყო ზუსტად გამოყვანილი.

ჯერ „თმის გასაჩენი“ შეუჭერა და შეუგებო. კუჭებრა და მური არია, ჯავზი-ბოვრასთან ერთად დაანაყინა, ბალასინის ზეთში ადულა და გველის ცმელი ფრჩხილით გადაუზომა, მერმე წონით დაამოწმა, ახლა შეფარდების ვარაუდებში გამოიყვანა. ნელ ცეცხლზე ადულდებინა და ნახარში წყალი ამატებინა. გააგრილა და შუაზე გაჰყო. ნაწილს წითელი ღვინო დაასხა და სასმელად გაუჩინა. მერმე „დიდი თერიაყი შხამების“ ყუთი მოატანინა.

— გველის შხამები მაჩვენე!

თეთრა-ქოსამ ადერკ მეფეს შეჰხედა. მან შეუჩინევლად თავი დაუხარა. ქოსამ სათითეს ოდენა შუშის ქილაკები გადმოუღავა და ჩამოუთვალა:

— შავი გველისა, გველ-წითელისა, ცხენის გველისა, ასპიტისა, კრელა-გველისა, ჯარბისა.

— შენთვის შავი გველისა მომეცი! —

ბალახის ღერო აიღო, შუშას თავი მოხსნა და ღერო ჩაუწო. ხუთი წვეთი მეორე წილ ნაგბობს დაამატა, ზედ თავლის სანთელი დაადვენთა და მალამოდ გააკეთა.

— შენი მზად არის!

თავისთვის კი ხუთი წვეთი ასპიტის მზამისა აიღო, ჯაეზი საროსი, ძველგველის მავრად ნაგბობი, ძვალდაცვენილი, ხუთი ფრჩხილისდადება ზორცი, სუმბულისა და ზუყის ხუთი, ხაშხაშის რძე, ბალიაჭი კურკისაგან გამოღებული, დამერდინებულ ფქვილში აზილა, მცირე-მცირე კვერებად დაამრგვალა და სანთლის ცეცხლზე ოდნავ შეაშრო.

განცვიფრებული ადერკი უმზერდა ამ „ქაბუჯ ქაღოქარს“, მის უმცდარ მოძრაობას, ამ ყოვლად მომაცდინებელ საწამლათა — გველის ზორცთა და მზამთა შერწყმა-შეგბობას და უნებური კრძალვის გრძნობით იცხებოდა.

სწავლულმა თეთრა-ქოსას აუხსნა მისი წამლების ხმარების წესი. სასმელიც იყო და მალამოც, სახე-საწარბზე შესაზელი.

— ეს კი, ადერკ, ძმაო ჩემო უფროსო, ძმურად გავიყოთ, ჩემი თრიაქფარუხია! — საშველი თითქმის ყოველ მოწამელისაგან, გველთა, ღრიანკალთა და, რაც მთავარია და ყველაზე საშიში, ადამიანთა მიერ შეპარებულ გესლისა და სამსალისაგან. ღმერთებმა ნუ დაგაჭირვოს, მაგრამ ჩემგან ძმურად გქონდეს. მე კი, აი, და ქაბუჯმა ერთი აბი აიღო და წყალმომარჯვებით გადაჰყლაბა, — მაგრამ გახსოვდეს, ამოუსუნთქავად უნდა გადაყლაპო, პირში არ გაიჩერო, არამც! და უნდა ყლაპო, ვიდრე ყველაფერს უკან არ ამოგასაქმებს. სამოთხ კვერზე მეთი არც დაგჭირდება! გისურვებ, რომ არც დაგჭირებოდეს საერთოდ, მაგრამ კაცნი ვართ და მით უფრო...

— მეფენი! — ჩაელიმა ადერკს.

უფლისწულმა ათიოდე აბი გადაუთვალა, მცირე ქილაკში ჩაუღო, სანთელი დაავლისა და ადერკს თავისი ბეჭედი დაასმევინა.

— გველისა და ღრიანკალის ნაჭენსკი ცოტა სხვა წესი აქვს. თეთრა-ქოსას დაეუბარებ! — ახლა თავის წილ პბებს მიპხედა.

— თვალის ჩინივით შემინახე! — ადერკმა თეთრა-ქოსას გაატანა ბეჭდიანი ქილაკი და, როდესაც ქოსა მოგვმა თრიაქების ყუთი წაიღო და მათ განშორდა, ახლა მითრიდატეს შეეკითხა, — კეთილი, მაგრამ, შენ რაღად გადაყლაპე! მხოლოდ ჩემ დასარწმუნებლად?!

— გარდა ამისა, მე ყოველი პურადობის წინ ვყლაპავ! ამიტომ არის, რომ ჩემზე არც ფუტკრის ნაკებნი მოქმედებს, არც სამსალა შეპარებულო! ბავშვობიდან შემაჩვია მამაჩემმა, თორემ აქამდე ჩემი ნატისუსალიც არ იქნებოდა!

მითრიდატემ თრიაქფარუხის თავისი წილი უკვე ნაქონ ქილაკში ჩასდო და გულის ჯიბეში შეინახა.

— ახლა წავიდეთ, დაგავიანეთ! მხცოვანნი სერობაზე გველიან.

რომ გამოვიდნენ, უკვე ღამე იყო და გარეთაც გვირაბივით ბნელოდა.

— ველარ გავედით? კვლავ უფლისციხის ქვაბებსა და გვირაბებში ვართ თუ უფლისციხესაც სცოდნია ღამე?!

პასუხი სულ სხვამ გასცა:

— აგრე გახლავთ, კეთილო სტუმარო, მთელი ქვეყანა უფლისციხეა! და თუ კარგად სჭკრეტთ — ყველაფერი სასწაულია!

ოთხმხრავი, კლდეში მოტეხილი კიბე იყო. კიბე აღიოდა და კიბე ჩამოდიოდა. გასწვრივი კიბისთავში შიშველი გრძელწვეროსანი იდგა. მარტო წელზე ეხვია შემორუჯული ტყავი. ბნელაში მხოლოდ მისი სიგამხდრე და კიაფა თვალეზი ჩანდა. კიბის ბოლოში მოგვნი იდგნენ, მათ შორის ზამზე ილორელი და ისა ჭყონდიდელი შენიშნა მითრიდატემ. გრძელწვერას უკან შავი ქვაბი ჩანდა.

— ვეშაგ მექვაბე! კიდევ ცოცხალი ყოფილა! — აჩურჩულდა ადერკი.

— კიდევ ცოცხალი და შიშველ-მართალი! და არც მარტო ვარ. მიმოდიან



შიშველ-მართალი — შემოსილ მტყუ-  
ანთა შორის! აქაც ბეგრნი ხართ მოგვნი-  
ცა და გვაგნიც, მაგრამ ჩემი სიტყვის  
გამგები მხოლოდ ერთია, რომელსაც  
კარგა ხანია ველი. ამიტომ მოვშორდი  
ცეცხლსა და ნაცარს!

— ისიც შიშველია? — შეეკითხა  
ადერკი.

— არა, ის შიშველი არ არის, მაგრამ  
ჯერ მართალია, რადგან ყველაზე ახალ-  
გაზრდაა თქვენს შორის!

— მე თავად მოგებალები, უკეთუ  
ცალკე გწადს ჩემი ხილვა! — გაკვირ-  
ვებით შესძახა მითრიდატემ.

მოგვნი გასცილდნენ და კიბის ძირში  
დადგნენ. ადერკ მეფე ადგილზე დარ-  
ჩა. მითრიდატემ კიბეზე ჩაირბინა-აირ-  
ბინა და ახლა შიშველ-მართალის წვე-  
რის ბოლოსთან გაჩნდა.

ვეშაგ-შიშველი დაიხარა, გამჭოლად  
დააკვირდა და აშიშინდა:

— მე მწყურია ყურად ვიღო, თუმც  
ამ ქვეყნიურს ველარაფერს ველარ ვის-  
მენ, შენი სახელი!

— ვაფიბედია სპერელი.

— კიდევ სხვებიც გაქვს?! — უფრო  
შიშინით შეეკითხა.

ჭაბუკი შეკრთა. შეფიქრიანდა.

— შენ, შიშველ-მართალო, რა გსურს  
რომ მერქვას!

— ღმერთის სახელი.

— ჰეა... სპეროზა!

— არა.

— არმაზი?

— არა.

— დიონისე?

— არა და არა!

— მითრა?

— არის ერთი ამოხსენ, რომ შენს  
მიმხედურობას კილი არ დავდო!

— ბრძანე!

— მარცხენა ხელში რა გაქვს, როდ-  
ესაც არაფერი არ გიჭირავს?

მითრიდატეს არ აკლდა მიხვედრა,  
მაგრამ არც ეპვი.

— მერცხალი!

— გამოიცან. შენ ხარ! მე მწყურია  
ვიხილო ამ თვალებით, რომელნიც ამ  
ქვეყნიურს ველარაფერს ხელვეწ, ზღვა-  
ში დამხრჩვალ!

— გახლავართ! — გულის ძვრასა-  
ვით მოსჭრა, — „ახლავე უნდა გაირ-  
კვეს“, — შენ თავად ვინ ხარ?

— უფლისციხეს, გარდა თავად უფ-  
ლისა, ჰყავს სამი წმიდა-ნეტარი, ფუტ-  
კარი, ჯოჯო, მესამე მე ვარ, ვეშაგ-  
შიშველი! ჩემს წვერს შეეხე, ნახე ძალა  
ჩემი სიბრძნისა!

მითრიდატემ ხელი ასწია და გრძელ-  
წვერის ბოლოს შეახო. ხელში წვერ-  
ქვეშ ძვალ-ტყავა, ცივი თითები შეხვდა  
და მცირე, ხელისგულში დასამალავი  
გრაგნილი. უმაღლ გამოართვა და უკვე  
ხმამაღლა დაეთხოვა.

— დიდად ბრძენი ყოფილხარ, დამ-  
მოძღვრე, ხეალ გეახლები.

რთარ ჭილაძე

## სიყვარულის პოემა

1.

ეს სახლი ასე ძველი და მძიმე, —  
იტყვის უთვალავ სურვილს და იმედს.  
ჩვენს იმედებსაც აქ ედოთ ბინა.  
ჩვენც აქ ვცხოვრობდით დიდი ხნის წინად.  
დიდი ხნის წინად.

აქ ერთი მინა  
გაბზარულია და სახლს რომ სძინავს  
ზრიალებს ხოლმე და ბზინავს ისე,  
თითქოს ყველაფერს ხედავს და ისმენს,  
თითქოს ჩარჩოში ცხოვრება ძულდეს,  
თითქოს ჩარჩოდან გაფრენა სურდეს...  
და ამ სურვილით და ფიქრით საცხე,  
ყველა ჩავლილი მანქანის ხმაზე, —  
ზრიალებს ხოლმე...

ხოლო ამ კიბებს  
(სიჩუმისა და ჩრდილების ჯიბებს)  
ბევრჯერ უგრძენია ჩვენი სიმძიმეც  
და სიმსუბუქეც.

როგორც წიწილებს  
გვისგამდა იგი დაკბილულ ზურგზე,  
ურჩხულს რომ გაგდა ნათურის შუქზე...  
ახლაც არ ვიცი, რა იყო იგი:  
საფეხურების უბრალო რიგი?  
ჩვეულებრივი გზა ცხოვრებისა?  
ყოველდღიური ცდის და ვნებისა?  
გზა ყველასათვის? თუ გზა სულისა?  
დასაწყისის თუ დასასრულისა?  
ვერ გამიგია.

ერთი კი ვიცი,

რომ უჩინარი ნაწილი მისი  
ამ კედლებს სცდება და სივრცეს ერთვის

მხოლოდ ჩვენს გამო და მხოლოდ ჩვენთვის.  
და ჩვენც ამ ნაწილს მივყვებით ახლა  
მალლა და მალლა,

მალლა და მალლა!

2. პიღვე პრთი ბაზაფხული

ვით ავადმყოფი კაცის თვალები,  
ხარბად იწოდნენ მთვარეს ფანჯრები  
და მთვარის მწარე თაფლით მთვრალები  
ბზინავდნენ ბნელში...

და შესამჩნევი

იყო ყველასთვის ცვლილება ჟამის:  
სიმძაფრე ფერის, სუნის თუ ჩქამის...  
ხოლო გარდასულ დღეების ჯარი,  
ქვეყნის სარდაფში წყალივით მდგარი,  
ხავს იკიდებდა, რადგან არავის  
აღარ ახსოვდა უკვე წარსული:  
არც ბედნიერი, არც შემზარავი, —  
ჟამთახელის ხელით გადახაზული.

ყველა მომავალს უცქერდა ნდობით  
და კვლავ ჰყვოდა სულში ტოტივით  
სასიამოვნოდ მტანჯველი გრძნობა  
გაურკვევლობის და მოლოდინის.

ეს ის დრო იყო, როდესაც მარტი  
ველარ ერგვა დამლუპველ სურვილს,  
აუტანელი რომ ხდებდა პალტო  
და ჭირვეული რომ ხდებდა სული.

ეს ის დრო იყო, როცა უმიზნოდ  
გამოდის ხოლმე ქუჩებში ხალხი,

ერთს რომ ღიღინებს და სხვას გულისხმობს,  
როგორც ყოველთვის, ცხოვრების ჩარხი.

ქრებოდა ხალხი მეტროს ხახაში,  
ისევე მ-წაზე ამოსვლის ჟინით,  
და ბრუვდებოდა, ვით ძველი ღვინით,  
სინათლისა და ჩრდილის ნახარშით.

ხალხს იზიდავდა ამ ღვინის გემო  
და გვირაბების ცხოვრება სწრაფი,  
ხოლო დაზოგვილ დროსა და ნაბიჯს  
სამარადისოდ სტოვებდა ზემოთ.

მას თან ჩაქქონდა ფიჭვიც, ტკივილიც,  
საქმეც, მიზანიც და საზრუნავიც...  
და გვირაბების სული მბრუნავი  
მიაჭროლებდა მასაც ჩრდილივით.

და მაინც ხალხი იყო მთავარი:  
მისი მოქცევა, ხმა და იერი —  
ბევრჯერ შეცვლილი, მაგრამ ძლიერი,  
მარადიულიც და წარმავალიც.

იგვიანებდა შენი წერილი:  
გაბასრებული ქარში ჭიმოვით,  
ჩიტოვით სუსტი და მოწყვნილი,  
ვით გაწბილებულ ბავშვის ღიმილი.

ის კი უცდიდა და დაიცდიდა,  
სანამ საერთოდ შეძლებდა ლოდინს,  
და მოლოდინის შავი მიწიდან  
ზურგს ამოყოფდა სინათლის ლოდი.

ხოლო წერილი: ცრემლით მდიდარი  
და მგრძობიარე, როგორც კიდური, —  
ეჩვენებოდა სხვის მაგიდაზე,  
სხვისი სათვალის ქვეშ გარინდული,

რადგან იყო, რომ ერთნაირად  
ვერ გაიგებდნენ შენს ნათქვამს სხვები.  
და სიმარტოვის ცხელი ჰაერი  
ეტმასნებოდა მოირას ვნებით.

ის მარტო იყო.

თუმცა მის ირგვლივ  
ბევრი ეძებდნენ დასადგომ ადგილს,

რომ შეესრუტათ ჯადო და მადლი  
ცეცხლის,

რომლითაც იწვოდა იგვიან

ეს ის დრო იყო, როცა არ იცი,  
რას გააკეთებ...

როცა თავისით  
მოძრაობს ხელი...

ხოლო სხეული  
ქაჯის ბუნებად არის ქცეული

და სული ხდება გადასარჩენი.  
აუტანელი ხდება ლოგანი.  
აუტანელი ხდება ლოდინიც.  
როგორც საერთოდ ყველა სასჯელი.

იგვიანებდა,  
იგვიანებდა,

იგვიანებდა შენი წერილი,  
ან იქნებ ღრუბლად იქცა, დაღლილი,  
ან შეუერთდა ლაფვარდს ფერივით,  
ანდა სამყაროს შერჩა დაღვივით.

იგვიანებდა შენი წერილი.  
ის კი უცდიდა და ყოველ დღით,  
სველი და მძიმე ქალაქის ჩრდილი  
მის მხარზე იდო ტლანქი ხელივით.

ეს ის დრო იყო, როცა ურჩხულებს  
გვანან კედლებზე წვიმის ლაქები,  
როცა დამცხრალი ქარის ჩურჩული  
ხდება მარტივი და გასაგები,  
როცა ქვეყანა შენს თვალწინ შრება  
და ისევ ცაში ადის ნალექი,  
როცა სხეულში იღვიძებს ვნება  
და ეშუქება სხეულს წალეკვით.

ეს ის დრო იყო, როდესაც უძღურს  
შეაცდენს ხოლმე იმედი წამით  
და კვლავ ივსება ბუნების ძუძუ  
რძითა და ღვინით, თაფლით და შხამით...  
და იმ ძუძუს რომ ეხვევა ყველა:  
მოშიებული მხეციც და კაციც-  
გადარჩენილიც რომ ითხოვს შველას,  
ბრმად რომ დაეძებს ნაწილი ნაწილს...  
ხოლო დაბნეულ ნადირთა ხმებით  
ეთიშებიან წყვდიადს ბავშვები...  
და ყველაფერზე გული რომ გწყდება,  
რითაც ცხოვრობდი და ვერ ამჩნევდი.

## 3. პერიდიკა და ორფოზისი



გველმა დაგესლა ვერიდიკე, როდესაც იგი ყვავილებს კრეფდა მწვანე ქალაქში. ლო სხეულზე ჭერ კიდევ გრძნობდა მეუღლის ხელებს და ნეტარებით დამფრთხალ ძუძებს ძლივს აკავებდა ჭრული აზღუდით.

უკვე ღვიოდა მასში ნაყოფი და უკვე, როგორც თვალისთვის სივრცე, გახსნილი იყო სიცოცხლისათვის.

და საიდუმლოს გამქაფანების დიდი სურვილი ნაზი ქავილით უპობდა ბავს. მაინც დუმილით იგერიებდა ცნობისმოყვარე დობილებს იგი და გამომწვევად მოანათებდა თავის ღობიერ და ძალაღ ფეხებს.

მხოლოდ ახლანან ჩაიარა აქ დიონისემ თავის ამალით. თავზე დაედგა ვაზის გვირგვინი. მზის სხივს იქნევდა ოქროს შოლტივით და გოგოები ცვეკვა-სიმღერით უვლიდნენ ირგვლივ. ხოლო გოგოებს მთვრალი ბიჭები დასდევდნენ უკან და უსირცხვილოდ უწევდნენ კაბებს, უინსა და ღვინოს აყოლილები... ან ღვინით საესე ტიკებივით იკრავდნენ ბეჭდში.

მერე კი დიდხანს თრთოდნენ ფოთლები, დაფეთებულნი მათი ყიფინით და ბობლანებით.

მერე კივილმა შეხტრა მიდამო და გასრიალდა მწვანე ბალახში ბრჭყვიალა გველი, ხაკადუღივით...

## 4.

და აი, დიდი წინაპრის ლანდი დღესაც ჩვენს შორის ცოცხლობს და დადის: მარადიული სინათლის სვეტი, მარადიული სიმათლის წვეთი, შეძრწუნებული გონების ბედი, შეწუხებული სულის ჭრილობით, გვსლით, სიბნელით და გულგრილობით... და მაინც მღერის!

მღერის და უკვირს, რომ არ იზრდება ფანჯრებში შუქი, რომ არ ეხსნება გონება ქალაქს, რომ არტემიდე ფოთლებში მალავს მავთულხლართებზე დახეულ ძუძუს, ძალღონეს ველარ უბრუნებს უძღურს... და მოედნებზე ბორგავს აღმური და გრძელი შოლტი...

ხოლო ამერი კვლავ დასაკითხად მიყავთ ჯალათებს და მისი თრთოლვით საესე ბარათებს უწყობენ ცხვირწინ...

მაგრამ ის მღერის, რომ შეაკავოს სიმღერით ჭერი,

იმედი, რწმენა, გუმბათი, ზიდი... ოცნებისა თუ ლეგენდის მკვიდრი, თუ ნაშიერი გულადი ბერანის, — ახლაც ჰკვავს კომშარებს ებრძვის ხმითა და ჩანვით...

## 5. კიდევ ერთი ბაზაფხული

(გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა)

სანამ ფურცელზე გაშრა მელანი და გადირბინა თვალმა ბჭკარები — მზე უკვე იდგა ყველა კარებთან, მზეში ცსოვრობდნენ უკვე ყველანი.

და ყველა მთელი გულით ცდილობდა, რომ დავეიწყა ზამთრის ჭრილობა, ვით ღვარძლიანი სიტყვა მეზობლის, ნაყოფი შურის და უმეცრობის.

ყველგან ზეიმის სული სუფევდა და ვეცლებოდა ქალაქს იერი, რადგან იპყრობდა თავისუფლება მთელი სიცხადით და სიძლიერით.

და გაზაფხული მშვიდ მგელივით  
დასდევდა მოკვდავს, ისედაც დაღლილს.  
სისხლს ვერ იტევდა და გაბერილი  
მწარედ ღმუოდა სხეულში ძარღვი.

შფოთავდა გვა: შიშსა და ელდას  
შემოუხია მისთვის სამოსი,  
და მშობიარე ცოლსა და დედას  
არ აშორებდა თვალს ურანოსი.

ღაწვს უფაკლავდა სივრცეს სინაზე,  
გულში იკრავდა ბოროტს კეთილი  
და მოცოცავდა სარკმლის მინაზე  
მთვრალი ფუტკარი, ოქროს წვეთივით.

უბრალო იყო ხალხი ბუნებით:  
ისევ სჯეროდა ძალა ამურის,  
ისევ რჩებოდა მისთვის ცდუნებად  
თასიც, გვირგვინიც და სალაშქროც.

ზამთარს დროებით თავდალწეული, —  
გახსნილი გულით და სავსე ჭიჭით, —  
კვლავ შენდობისთვის მზად იყო იგი,  
რადგან სიცოცხლეს თხოვდა სხეული

და უხაროდა, რომ არსებობდა,  
სიმძიმეს გრძნობდა საკუთარ ხელის,  
და დასცქეროდა მიწას ზემოდან,  
როგორც ღმერთისგან მიღებულ წერილს.

სარკმლის მინაზე თვლემდა ფუტკარი,  
ფუტკარში — ზევსის გამზრდელი ძალა.  
და ყველას სწამდა, რომ საკუთარი  
გაგრძელდებოდა სიცოცხლე მარად.

ვერ ეტეოდა ცხოვრება დროში.  
ფეხს უჩქარებდა ხალხს ერუანტელი.  
შენ კი იდეტი უსახო ბრბოში,  
როგორც სარდაფში მკრთალი სანთელი.

გაწამებული შენი ჯალობით  
და სიმარტოვით — მაინც ცხოვრობდი,  
რომ მიგეთრია სული ბოლომდინს  
ვაურკვეველი ბედის წყალობით.

ხოლო მის ენებას, ოთხად დაკეცილს,  
მკერდში იკრავდი, როცა ყელამდი  
კითრევედა სევდა...

და ცივ სარკეში  
საკუთარ სხეულს ხარბად ზვერავდი.

მაგრამ ამაოდ.

მისი სურნელი,  
მისი ნაკოცნი და ნათითარიც,  
რითაც ოდესღაც იყავ მდიდარი, —  
ღროს წაეშალა უკვე სრულებით.

პირქუში იყო შენი ოთახი.  
ყვით იკლებდა ღამეს კერბერი.  
და მხოლოდ ძილში, ისიც ცოტახნით,  
გველინებოდა შენი მძებნელი.

მემოდოდა შენი ნაწილი:  
გზით გალახული და ფერმეცვლილი.  
ხელი ბრმასავით ქქონდა გაწვილი  
და პეშეში ცრემლი ენთო ცეცხლივით.

ის შენთან ერთი წამით რჩებოდა,  
არც პური სურდა, არც სასთუმალი.  
და შენც ამაოდ ევედრებოდი  
ხმის ამოღებას...

ღუმდა სტუმარი.

და იდგა, როგორც დაეწევილი,  
დაშინებული თუ დაბნეული.  
ყელზე სინათლე ქქონდა შებმული  
და მას ეკავა მისი სხეული...

## 6. პერიდიკა და ორფორსი

(გაგრძელება. დასასრული).

არ აშორებდა თვალს ორფოსი მდუმარე სივრცეს. ჩახუტებოდნენ ერთმანეთს ში-  
შით და მოშორებით იდგნენ ნიშფებიც.

გაღმა სამეფო იყო ჰადესის: პირქუში, ცივი და იღუმალი... სტიქსის ნაპირას  
იდგნენ ისინი, უხმოდ დიოდა წყალი ჩრდილივით.

მტვერს დაეფარა მთელი ნაპირი და მკვდარი ქვეები ეყარა ირგვლივ. ჭვას ლოკო-

კინას კვალი მისდევდა, ძაფივით წვრილი და ვერცხლისფერი. ხოლო ურინარ ხეს — ეუ ხეებს ნელა წყდებოდნენ ხმელი ფოთლები და უხმაუროდ ქრებოდნენ მტვერში, ვით დაჯახებული ცრემლის წვეთები.

იგვიანებდა ქარონის ნავი და ნისლში იწვა გაღმა ნაპირი. ქარს კი იქიდან მოკ-ქონდა კენესა და დანაყილი ყაყაროს სუნი. დასეირნობდნენ ველზე სულელები ლეთას ტალღებში განბანისთვის, ან მატყუარა ფიქრით გართულნი მტერის სვეტბივით იღვებენ აერში.

სამთავიანი ყველა კერბერი. უპრიალებდა ბასრი ეშვები და საიმედოდ იცავდა პადეს თავის სიზკაცით და სიზახიხით.

ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდა ისიც: ნისლი მოსდევდა უკან თმასავით და ველო-ბოდა მისი ხიჩაბი მდორე ზვირთებში, როგორც ტალახში.

და აი, ნელა მოადგა ნაპირს ქარონის ნავი: ძირგამომშალი და მოფენილი ხავსის და ობის ძყრალი ძოხებით.

ხიჩაბს დაეყრდნო მკაცრი ქარონი. თვალები მშრალი და ტყვიისფერი ჩაასო მტვე-რში. არ შეკრთობია არცერთი ნაკვთი... არ შერხვევია არცერთი ღერი ტალარა თმისა... უძრავად იდგა ქვადქცეულ ნავში და მდორე წყლისგან დამჭინარ წვივებზე მიჰკვრო-და შლახი და წურბელები.

მიუახლოვდა მას ორფეოსი, წუხილისაგან გაფითრებული, და უთხრა: ქარონ! ო, დი-ლო ქარონ! მე დღესვე უნდა ვნახო ჰადესი და ვთხოვო ჩემი მეუღლის სული. ეს ერთად-ერთი გზა არის ჩემთვის. გადაშიყვახე მის საშეფოში.

### ქაროხი დუშდა.

— მეც კარგად ვიცი, რომ ცოცხლებისთვის ჩაკეტულია ჰადესის კარი, რომ ვერ შეადწვეს იქ სულიერი, თუ არ წაუძღვა წინ თანატოსი. მე კი სიკვდილი არ მინდა, ქა-რონ, თორემ ამასაც მოვახერხებდი და მაშინ აღარ დამჭირდებოდა ამდენი ხვეწნა... და თავსაც აღარ დავიშყირებდი. მაგრამ მე სხვა მსურს. ჩემი სურვილი უფრო დიდია, ვიდ-რე სიკვდილი. სიკვდილზეც ბევრად უფრო ძნელია, რომ სინამდვილედ ვაქციო იგი. სათხოვნელად ვარ, ქარონ, მოსული და დღესვე უნდა ვნახო ჰადესი, და ვთხოვო ჩემი მეუღლის სული, რომ დავაბრუნო მიწაზე იგი და მასთან ერთად ვიცოცხო კიდევ, თუნ-დაც ერთი დღე, ან ერთი წუთი, ოღონდ ვიცოცხო, ოღონდ შემეძლოს, რომ კვლავ შე-ვახო მთრთოლვარე ხელი, რომ კვლავ გამოვჩნდე მის დიდ თვალებში და გავიგონო მისი ჩურჩული, ვით გაღვივებულ ცეცხლის შრიალი...

### ქაროხი დუშდა.

— მე არ მოვსულვარ, რომ მოვიტაცო, როგორც ჰერაკლემ ავი კერბერი. არც შემ-წვეს ძალა. თუმცა ათასჯერ უფრო ძნელია ჩემი მიზანი. მე მინდა ჩემი მეუღლის სუ-ლი. გველმა დაგესლა იგი შემთხვევით, როცა ჭალაში ყვავილებს კრეფდა სიცოცხლით საგზე და ბედნიერი. იშანაც უფრო გამაბედინა, რომ ბრმა შემთხვევის მსხვერპლია იგი. თუმცა სიკვდილი გარდუვალა, ჯერ ადრე იყო მისთვის სიკვდილი. ჯერ ადრე იყო. ჯერ თვალს ახელდა. ჯერ ფეხს იდგამდა სიცოცხლისათვის. ჯერ ყველაფერი უყვარდა მხო-ლოდ და უღიმოდა ზმანებას ძილში... ქარონ! თუ გესმის, რას გუებნები!

## ქარონი დუმდა.

— მისმინე, ქარონ! მეც კარგად მესმის, რომ კანონია შენთვის მთავარი მკვრამ...  
ხანდახან ხომ შეიძლება: კი არ დაირღვეს — შერბილდეს იგი, რომ ჩვენც ცოტახნით  
მოვითქვათ სული, არ გავიჭყლიტოთ მისი სიმძიმით, გაგვეხსნას უნა, გული და ფეხი და  
არ ჩაგვატყუნეს ხელში სურვილი.

ხომ შეიძლება ღმერთებიც შევდნენ და ვერ გაიგონ ადამიანის?! ვერცკი გვხედა-  
ვენ, ალბათ, ღმერთები, თუკი შემთხვევით არ გავახსენდით: თუ არ შევწირეთ დროუ-  
ლად მსხვერპლი და არ მოვურთეთ საკურთხევლები დაფნით და სისხლით. მე მიყვარს,  
ქარონ! ხოლო ამ გრძნობას ემორჩილება ქვეყნად ყოველი. თვით დიდი ზევსიც. თვი-  
თონ ჰადესიც. მიწაზეც გვესმის მათი ამბავი. ნუ მათქმევენებ, ქარონ, ყველაფერს, და  
ერთხელ მაინც იყავ კეთილი. გადამიყვანე გაღმა ნაპირზე. ეს ერთადერთი ხსნა არის  
ჩემთვის. ნუ ჩამიჭოლავ და ნუ ჩამიჭრობ ძლივს მოპოვებულ იმედს დუმილით. ნუ და-  
მიკარგავ რწმენას და ნდობას, მე ხომ ამ ქვეყნად ვცხოვრობ სიმღერით...

## ქარონი დუმდა

მაშინ ნაწნავით შეიშრო ცრემლი და გამოეყო ნიმფებს დობილი: ყველაზე ნორჩი  
და მშვენიერი. ძლივს მიათრია ნაგამდე ტანი და წინ დაუდგა ქარონს მორჩილი. დაბ-  
მულ ჩიტივით უთრთოდა მკერდი და დახუჭული ჰქონდა თვალები.

ყველანი მიხედნენ ნიმფას განზრახვას. გაოგნებულნი იდგნენ ყველანი, სახადა-  
შულნი ამ წმინდა მსხვერპლის უსუსურობით და სიდიადით.

ქარონი დუმდა, ოღონდ თვალებში რაღაც ჩაუდგა ზეთის მაგვარი: ორი მოძრა-  
ვი ლაქა... ყვითელი...

## ნიმფების სიმღერა:

გოგო დაიხრჩო გუშინ ლეთაში...

ისიც ჩვენსავით იყო ლამაზი...

ის თავით იდგა შლამიან ფსკერზე...

ცას დაეძებდა თითქოს ფეხებით...

ცალფეხზე ხტოდნენ...

და ყურებიდან

წყალს იბერტყავდნენ...

მერე ბიჭებმა ჩაყვინთეს წყალში...

ფეხზე უხეშად შეაბეს თოკი...

და ფსკერს მოსწყვიტეს,

როგორც ყვავილი...

ცალფეხზე ხტოდნენ სველი ბიჭები...

კეთილი საქმით და ერთმანეთის

ლონით, სიმარდიტ და მოხერხებით

ალტაცებულნი...

ის ამოცურდა წყლის ზედაპირზე

და აღარ თრთოდა...

ხოლო ნაპირზე სველი ბიჭები

მზეზე ბრწყინავდა მათი ნადავლი...

თოკით დაბმული...

...რაკი ვერ გახდა პასუხის ღირსი, შიშმა შეიპყრო კვლავ ორფეოსი და საკუთარი  
უსუსურობაც და უაზრობაც მისი ოცნების, — პირველად იგრძნო მან ასე ცხადად, პირ-  
ველად გახდა მისთვის ნათელი.

ჰადესის ცის ქვეშ სულ სხვა საზომით იზომებოდა გულიც და მკლავიც. ეკარგებო-  
და აქ სიტყვას აზრი, სხვა მნიშვნელობას იძენდა იგი, ან სამუდამოდ რჩებოდა ყელში  
დამცირებული და დაბნეული.

— მეც აღარ ვიცი, რატომ მოვედი. მაგრამ არ მინდა და ვერც ვიჯერებ, რომ ყველაფერი დამთავრდა ჩემთვის. ეტლით გათელილ მეომარივით ვცდილობ წამოვდგე და გულგრილობის ეკლიან ტოტებს ვებლაუჭები.

მანც არ წავალ!

არ მოგეშვები!

სანამ არ შევა ჩემი სიმაართლე შენს გონებაშიც, ვით გვამში შეები, ან ყრმა -- ასაკში...

ქარონი დუმდა.

— მე უკვე ვიცი, რომ ვერიდიკეს ველარასოდეს ველარ შევხედები. მეც შემძლია გავჩუმდე, ქარონ, და ავიტანო ტანჯვა დუმილით. მეც შემძლია ჩემივე ხელით დაველა ეს ვნებაც და ეს სურვილიც, და მათი სისხლით სამარადისოდ გამოვიყურო სულის კედლები. მაგრამ ჩემს უკან ხალხი დგას, ქარონ: დაეჭვებული და დაბნეული. და მთავარია, თუ რას წაიღებს და როგორ წავა შინისკენ იგი: დაშინებული შენი დუმილით, თუ ჩემი ვნებით და სითამამით აღტაცებული?! ამიტომ ვდგავარ მე შენს წინაშე, მაგრამ ვერასდროს ვერ ეღირსები ჩემს დაწოტებას და ვერც სიმშვიდეს ვერ ეღირსები, რადგან სისხლში გაქვს ამოვლებული სული... ჩვარავით...

ქარონი დუმდა.

მ თ ვ ა რ ი ს ხ მ ა :

მე მჯერა შენი და მიხარია, რომ შენი გული ჩემს ბებერ მკერდში ბუდედაკარგულ ჩიტვით ცხოვრობს და ფრთებს იმაგრებს უკეთეს დღისთვის.

შენ ახლა რკინის კედლის წინ დგახარ და ეგ კედელი კარს არ შეიბამს, რადგან მუნჯია და ბრმაა იგი.

სამაგიეროდ შენი ტკივილი, შენი ოცნება და ვნება შენი — სწორედ დღეს გახდა მარადიული.

არ დაკარგულა შენი სიტყვებიც.

ამ ყრუ კედელზე ასხლტნენ ისინი და შორს, შენს იქით იპოვეს ხნული: ადამიანის სული შიშველი, ჯერ გულუბრყვილო, მაგრამ ჯიუტი.

აი, მე უკვე ვხედავ აქედან, როგორ დაავდო მწყემსმა ნახირი და ხანჯლით ხელში მიხობავს კლდეზე, რომ იქ ამოჭრას შენი სახელი... რადგან პირველად დღეს ეცა ცხვირში ნახირის, ფუნის და ერბოს სუნი... სხვა ხმა აღმოხდა მის სალამურსაც, სხვა, უცნაური... და შეერთა იგი, როგორც წყვილია მზის ამოსვლისას...

ე ვ რ ი დ ი კ ე ს ხ მ ა :

ასე მგონია, დღეს დავიბადე და მოვიშორე, როგორც პირბადე სიკვდილის ჩრდილი, ჩვენს შორის მდგარი.

თითქოს გაიღო სამყაროს კარი და ერთდროულად ყველა ქუჩაზე — ბუნდოვანებით ისევ გულსავსე, სხივივით სუფთა, ცასავით ვრცელი, პატიოსანი ცრემლებით სველი, გრძნობა გრძნობათა, ვნებათა ვნება,

სულის სიზმარი და ხორცის შეება, — მე გამოვედი.

7. კიდევ ერთი გაზაფხული

(დასასრული)

მას გაეღვიძა. მოწყურდა ძილში და გაეღვიძა. ბნელოდა გარეთ. და თითქოს ამას უცდიდა მთვარეც, გარინდებული კედლების ჩრდილში.

მაშინვე თავზე მოექცა ქუჩებს:  
გამოამჟღავნა, როგორც ცოდვები,  
და ჯერ შიშველი ჭადრის ტოტები  
ოჭროს ზოდებად აქცია უცებ.

ჯერ ღამე იყო.

წყალზე და ხმელზე  
წყვდიადის სული დაძრწოდა მხოლოდ.  
სილაში მშვიდად ეძინათ თევზებს,  
ეძინა მუღეს, ბუნაგს და სოროს.

ხალხსაც ეძინა.

მის მონაგარსაც  
ეძინა ღრმა და ჯანსაღი ძილით  
და ჯაჭვს ღეჭავდა ძილში ნაგაზი,  
ცუცხლთან გაწოლილ ჩრდილივით  
ფრთხილი.

ის წყალს პირდაპირ დოჭიდან სვამდა,  
უცახცახებდა მთელი სხეული.  
გაცრეცილიყო წყვდიადის ფარდა  
და კალთა ჰქონდა ჩამოხვეული.

რიჟრაჟის სუნთქვას და მამლის დეზებს  
გაეხსნათ სივრცე, როგორც სამარხი,  
და კვლავ ჩონჩხივით ესვენა ფსკერზე  
მცენარე რწმენის და სიამაყის.

სხვისთვის უჩინარ ცაში ნაფრენი  
და დაქარული ციური ქვებით, —  
დარწმუნდა ისიც, რომ ყველაფერი  
ხდებოდა მხოლოდ ბუნების ნებით.

და ბედს რამდენიც უნდა ეომოს,  
ვერ გაბედავენ მისი ხელები,  
რომ ერთს წაართვან, რათა მეორეს  
გადასცენ ტოტი ბედნიერების.

დარწმუნდა ისიც, რომ მისი სევდა  
ნაწილი იყო საერთო სევდის,  
საერთო ცუცხლის ფურცლებში ხვევდა  
მის არსებობასაც ღმერთი თუ ბედი...

და თენდებოდა.

ჩქამად და ჩრდილად  
ნაწილდებოდა ღამის სიკვდილი.  
და საწოლებში წვებოდა დილა,  
სატრფოსთან მოსულ ქალის სიფრთხილით.

## 8.

უბრალო იყო ჩემი სიზმარი,  
უფრო უბრალო, ვიდრე სიზმარი  
ბრმისა ან ბავშვის...

მე და შენ თითქოს  
ერთ ცის ქვეშ ისევ ერთად ვიყავით,  
ხოლო სამყარო თავისთვის იდო  
და ცივი იყო, როგორც ნიღაბი.

უბრალო იყო ჩემი სიზმარი:  
ერთი ხმა გვექონდა,

ერთი სხეული.  
მიწა საწოლად იყო ქვეული:  
უხეში, ვიწრო და ნახვისარი.

მთვარეს კალთაში ეჯდა მამალი  
უხში ყივილით დაოსებული  
და სამუდამოდ გაოცებული  
ჩვენი სიკერპით და სითამამით.

მთვარეში ჩვენი ფრთები ელავდნენ,  
ხოლო სურვილი, ასვლის ცოდვილი,  
კვლავ გვეხვეოდა, ვით წყალმცენარე  
ფუჭემოშლილი და დატოტვილი.

და ორფეოსის წმინდა სახეობას,  
შვიდივე ზეცის სულს და ბინადარს, —  
სიმის ნასუნთქი აცახცახებდა  
და სიმზე ღმერთის ცრემლი ბრწყინავდა.

## ტყაუი-მავა

### ოლიზერი მოთხრობებიდან

აბჯანდზე წამომდგარი იანიჩარის თვალები შეშფოთებით მიმორბოდნენ მდინარეზე. თურქი თავისი ჩრდილის მეტს ვერაფერს ხედავდა — მერწევ, სიგრძეზე გაწევილ ჩრდილს გადატეხილ ცხენზე. ჩრდილის გვერდით მთვარით დავერცხლილი ვიწრო გზა თრთოდა და ლივლივებდა, ასევე მერწევი და გადატეხილი.

მდინარის გაღმა-გამოღმა ნაბირი თხმელითა და ბარდით იყო დაფარული. თვალი არ ატყუებდა. ბორანს არც თხმელა ფარავდა და არც ბარდი. ბავირი ზედ ჭიხურთან იყო ჩაჭრილი. მზედარი ელდანაცემივით შეტრიალდა და შურდულივით გაენთო უკან.

გზა ტყეზე გადიოდა. ხშირ ტოტებში შუქი არ ატანდა და ამ შავი თაღის ქვეშ ცხენი ბრმად ვარბოდა. ახალნაწვიმარი იყო. წყლით გამძღარ მიწაზე ფლოჭეები ყრუდ და არეულად თქარუნებდნენ.

იანიჩარს ასი ადლი არ ექნებოდა გარბენილი, რომ შავ თაღს რაღაც მძიმე მოწყდა, თან ჩამოიტანა ფოთლებზე შერჩენილი წყალი, შხლარტუნი, ტოტების ლაშანი და ზღართან გაადინა ცხენის გავაზე.

ცხენი გაიდრიკა, წაფორხილდა. ვიდაცის ღონიერმა ხელმა ლაგამი ციცქვად აართვა თურქს, მოზიდა, მუხლზე დაცემული ცხენი წამოაყენა, გეზი უცვალა და გზიდან ტყეში შეავლო. იანიჩარმა

გონს მოსვლა ვერ მოასწრო, — ორივე ხელით ვაკოქილი იყო.

— შაითანი — იყვირა თურქმა.

— ხი-ხი.. ჰო, შენთან ვარ, ვაგაშქურნას!, ნანა! — უთხრა იმ „შაითანმა“, ცხენი შეაყენა და თურქი ძირს ჩამოაგდო, უნავირზე გადაჯდა, მაშინვე უკანალზე იტაცა ხელი, — დიდუ! — დაიკენესა, გაეაზე დახედა ცხენს. ნაძარცი იარაღით სავსე ზურჯინი ეკიდა უნავირზე. ხელი მოისვა კრილობაზე. — ზისხირი<sup>2</sup>, — ცხენიდან გადახტა გულმოსული და შუბლზე იმ სისხლიანი ხელით ჭვარი გამოსახა თურქს, — ა, შენი მირონია ჩემი იმის ზისხირი! — ჩაიქილიკა, მოახტა ცხენს, მოკლედ, ხმადაბლა დაუსტვინა და დაყურადდა.

ბარდებში და მუჩქებში ტყაცუნი, შაშუნი და ფლოჭეების ჩუმი ხმა გაისმა. მთვარის შუქზე სიბნელიდან ნაბღიანი, ყაბალახით თავპირახვეული ცხენოსნები გამოვიდნენ მოჩვენებებივით და გარშემო შემოუღვგნენ იანიჩარსა და „შაითანს“. ყველას მეჯოგის, მკლის გოშის ძალი მოპყვებოდა გვერდით. ქეჩო აყარეს და ღრენით მიაჩერდნენ თურქს.

შოშისგან ენაჩავარდნილი იანიჩარი ერთ ადგილას ტრიალებდა. სათითაოდ აჩერდებოდა ცხენოსნებს, ყაბალახიდან ტყვიასავით ცივი და მკაცრი თვა-

<sup>1</sup> არ შეგვემინდეს.

<sup>2</sup> სისხლი.

ლებით რომ დასცქეროდნენ ღუმლით. ღუმდა აბეანდებზე წამომდგარი ის „შაითანიც“. ერთი ხელით ლაგამი ეჭირა, მეორე კრილობაზე ედო.

ღუმდა ტყეც.

ცხენოანები ვილაყას ელოდნენ.

წრეში ისე შემოვიდა შავ ვაყაზე მჭლარი მხედარი, ფოთოლი არ შერბეულა, ფიხი არ გატეხილა.

— ქვაცი!

— ჰატ! — გასწორდა წელში ქვაცი, კრილობას ხელი მოაშორა.

მხედარმა მაშინვე შენიშნა იანიჩარის შუბლზე ჯვარი.

— ჩემი იმის ზისხირია, ჯონდი.

ჯონდის პირი ახვეული არ ჰქონდა. უღმობელი და შეუბოვარი იყო მისი სახე.

— ახლოს არიან? — ჰკითხა ქვაცის.

— საცაა გამოჩნდებიან.

ჯონდიმ თურქს დახედა.

— რამდენი ტყვე მოგყავთ? — ჰკითხა თურქულად.

იანიჩარმა მხოლოდ თვალები დაახამხამა.

— სამოცი, — მიუგო ქვაციმ.

— რამდენი იანიჩარი მოჰყვება ტყვეებს? — ჰკითხა ისევ თურქს ჯონდიმ.

იანიჩარი მუნჯივით იდგა.

— ოცი ცხენი მოყვება, — მიუგო ისევ ქვაციმ. მისთვის ცხენი აღაძინაზე უფრო ფასობდა, ამიტომ არ თქვა ცხენოსანიო. — დიდუ!— იყვირა, ტივილისაგან სახე მოექცა, კრილობაზე იტაცა ხელი.

ჯონდიმ ყურადღება არ მიაქცია. მზადა ხართ, თუ არაო, შეხედა თავის კაცებს.

ყაბალახიდან, როგორც სერელიდან, ძაღლივით მორჩილი თვალები შეჰყურებდნენ.

— თითოს ორი თურქი მოგძწევთ.

— თითოს ორი ცხენი... — წამოცდა ქვაცის და ენაზე იკბინა, შიშით შეხედა პატრონს.

ჯონდიმ გადააფურთხა. ასე გამოჩატავდა უქმყოფილებას...

ოცი იანიჩარი მოჰყვებოდა ტყვეებს. ტოტებში გზადაგზა მთვარის შუქი ჩაიჭრებოდა და გაანათებდა ქალის, გველის და ბავშვის სახეს. ზოგი პირდაპირ გზიდან მოუტაცათ, ზოგი ყანიდან, შინიდან, ოღრის სხვადასხვა კუთხიდან, მთიდან თუ ბარიდან.

ხვალ დილით ტყვეებით მოვაქრე თურქის ხომალდით სამუდამოდ მოსწყვეტენ თავის მიწა-წყალს, სახლ-კარს, მშობლებს, ნათელ-პირონს, ნათესაებს, სახლი-კაცებს, მეზობლებს, თვისტომს...

სამ დღეზე მეტია, რაც მოიტაცეს, ერთად შეკრიბეს, სამ დღეზე მეტია გამოიარეს მოტაცებისა და უხედურების პირველი ელდა და გვემა, დაიქანცნენ კმუნვითა და გოდებით, თითქოს აწ უკვე სულ ერთი იყო მათთვის ყველაფერი, შეურიგდნენ თავის ზვედრს, მაგრამ ზოგის სახეზე ახლაც კრთოდა სიმწრის ჩრდილი, ისმოდა სლუკუნის, ჩუმი, თითქმის უხმო, უღონო მოთქმა და კვნესა.

მიდიოდნენ არეული ნაბიჯით, ფეხ-შიშვლები, გაწუწულები, ტალახით ვალუმულები, მშვიერ-მწყურვალნი. ქანცაჟყვეტილებს ერთმანეთის მიხმარების თავი არ ჰქონდათ, არავინ აშველებდა ხელს იმათ, ვისაც სიარული აღარ შეეძლო, არავინ აძლევდა ნუგეშს, არავის ებრალებოდა. მათ გულს, მათ სულს არ ეცალა სხვისი ტკივილისთვის, არც ბავშვებისთვის, წარამარა ტალახში რომ ეფლობოდნენ, ტიროდნენ, უხმობდნენ დედასა და ბაბას, ითხოვდნენ შველას.

ბავშვებში მხოლოდ ერთი, ასე რვაათი წლის ბიჭი, მიდიოდა მხნედ. მარჯვენა ხელი წელზე შემოედო კაბაშემოხეულ და თმაჩამოშლილ დისთვის.

— ნუ გოშქურუ!, ნათი!.. ჯონდი ხურციას კაცები დაგვეცემიან, ყველას გაგვაქცევენ, — ნათის უღონო მკლავი მხარზე ედო ბიჭს და მარცხენა ხელით დის ხელს ჩაფრენილი, ისევ და

1 ნუ გეშინია.

ისევ იმეორებდა: — ნუ გომჭერო, ნათი!... თურმე, ჯონდი ზურციას შიშით, ყულევში აღარ მიჰყავთ ტყვეები, ამიტომ ანაკლიას მიგვერეკებთან.

— ჰო, გუდა, არ მიჰყავთ ყულევში, არც ქობულეთში, არც ფოთში, — მხარზე ხელს უსვამდა სიცივით გათოშილს. ძმის ტანის სუსტი თრთოლვა მის ტანში გადადიოდა, ძლივს იკავებდა ძაგძაგს, — ჩვენც ვერ მიგვიყვანენ ანაკლიაში. ჰო, გუდა, გაგვაქვეყნენ ზურციას კაცები.

იანიჩრები, რაც უფრო უახლოვდებოდნენ მდინარეს, ნაბიჯი უშძინდებოდნენ, ნელა და ფრთხილად მიჰყავდათ ცხენები, სულგანაბლები, დამბული თვალებით უყურებდნენ სიბნელეს, ფოთლის შრიალიც კი აფრთხობდათ. იცოდნენ, მოთარეშე გუნდები სწორედ ასეთ ადგილებში იყვნენ ჩასაფრებულნი დღისით-მზისით, ღამით, მთვარიანში და უმთვაროში. თავს ესხმოდნენ გზებზე, ბანაკებში, ზოცავდნენ, ტაცებდნენ ტყვეებს, ნაძარცვ-ნაღლეტს. ამიტომ შეარჩიეს ბნელი ღამე ტყვეების წასასხმელად. მაგრამ შუა ღამეზე გადაიდარა და გაისარკა.

— რატომ არ დაბრუნდა, უსუფი? — ჰკითხა ათისთავმა მის გვერდით მიმავალ იანიჩარს.

— ღამით წასვლას დღისით წასვლა ჯობდა, — უკმაყოფილოდ მიუგო თურქმა, — იმას მაინც დავინახავდი, ვისი ხანჯალი გამოშკრიდა ყელს.

— მაინც რატომ არ დაბრუნდა ამდენ ხანს უსუფი?

— იქნებ უკვე ალაჰმა მიიბარა მისი ცოლვილი სული...

— ჰატ! — დაფარა თურქის ხმა ქვაციის შეძახილმა.

ავარდა დამბარების ბათქაბუთქი, ყიფინი, ჭიჭინი, ყეფა-წყავწყავი, ფხაქუნი და თქარუნი, იარაღის ჩახაჩუნი. ბეებიდან დაბტენენ იანიჩრებს, გზის ორსავე ნაპირიდან, წინიდან, ზურგიდან ეძგერენ ცხენებით.

მერე გაისმა დაჭრილთა კვნესა, კი-

ვილი, ძახილი, ბავშვების სხრაული, ხენეშა, ზღართან და ბრავგანი. სროლა, ყიფინა და ჩახაჩუნი მალე მიწყდა. ცხენებმაც მიატოვეს ჭიჭინი, მხოლოდ ძაღლები არ ცხრებოდნენ, დაჭრილ-დახოცილ თურქებს გაავებით უღრენდნენ, ეტანებოდნენ. ბოლოს ძაღლებიც მიჩუმდნენ და სიბნელეში კვნესა და ზრიალია ისმოდა.

ზურციას კაცები ცხენებზე სვამდნენ ბავშვებს, ქალებს და ვაჟებს, იარაღს ხსნიდნენ მოკლულებს, ხდიდნენ ტანსაცმელს და ფეხსაცმელს, ზურჯინში ტენიდნენ, კიღებდნენ თავის და თურქის ცხენებს. მოქმედებდნენ სწრაფად, არც ერთი ზედმეტი მოძრაობა, არც ლაპარაკი, არც ბრძანება, ყველამ იცოდა, ვის რა უნდა გაეკეთებია. მხოლოდ ქვაციის „ჰატ!“ ისმოდა კანტიკუნტად. ტყვეები თურქის ცხენებზე რომ ვერ დაეტიკა, თავის ცხენებზე შემოისვენს.

ყველა რაღაცას აკეთებდა, ჩქარობდა. მხოლოდ ზურცია იღგა განზე. ზიზლით დაჰყურებდა თავისი მალალი ვაყიდან მოკლულებს, დაჭრილებს, როგორ იკრუნჩხებოდნენ, ფეხებს ასხმარტალებდნენ, ძაგძაგებდნენ და სულს დაფავდნენ. მერე, როცა თავისი საქმე მოათავა გუნდმა და მისკენ მიბრუნდნენ, აბჯანდებზე წამოდგა, დახედა დაჭრილ-დახოცილებით მოფენილ გზას, ზომ არავინ დარჩა გაუძარცვა-ვიო.

— ქვაცი!

— ჰატ! — წინ გამოაგდო ქვაციმ ცხენი.

— დაიძარიო!

თითქოს ქარი დააცხრა ვზას, ერთბაშად მოხვეტა და ტყეში შეიტაცაო აღამიანი და ბირტუტყვი. მხოლოდ ზურციას ვაჟა ბტოდა ადგილზე, კიშშიშზე დგებოდა. პატრონის ღონიერ ხელს ლაგამი ისე ჰქონდა დამოკლებული, რომ ცხენს თავი გვერდზე მიეღრცია, ფრუტუნებდა, ღორბლს ჰყრიდა, ერთი სული ჰქონდა, როდის გაენთებოდა და ის იყო, ზურციათ ქუსლი ჰკრა და ლა-

გამი მიუშვა, რომ მუხის ჩრდილში ქალს ჰკიდა თვალი.

ზურგით ხეს მიყრდნობილ ნათის მკერდზე გუძა მიეკრა, თავზარდაცემული დაქვროდა მის წინ სისხლში მცურავ გამიშვლებულ სხეულებს, ხრიალით, ხრტილით რომ ებღაუჭებოდნენ მიწას სულთმობრძავნი.

ზურციამ ერთი ნახტომით მიაგდო ვაჟა მუხასთან, ქალი და ბავშვი ერთად აიტაცა და ტყეს მისცა თავი.

ჯონდის კაცები შეუჩერებლად მიიკვლევდნენ გზას ნადავლითა და ტყვეებით. არ ჰქონდათ მდევრის შიში, არც იმისი, რომ წინ რაიმე ზიფათს შეეყრებოდნენ. წესად ჰქონდათ, ყოველთვის ისეთი გზით ევლოთ, სადაც არასდროს აღამიანს ფეხი არ დაუდგამს და გათენებამდე მისულაციენ ბანაკში, — სოფელ ჭვარის ზევით, ინგირის ზეობაში, აფხაზეთის საზღვართან.

ალიონი მოახლოებული იყო, რომ ზღვიდან მოულოდნელად მოიჭრა ქარი, როგორც ოღიშში იცის, წყლით გატიყული, მძიმე, შავი ღრუბლებით დააცხრა ტყესა და კოკისპირული წვიმა დაუშვა. ქარიშხალი წარამარა იცვლიდა მიმართულებას, აქეთ-იქით ზნექდა, აწვეწვდა, ანჯღრევდა ხესა და ბუჩქს, თითქოს ძირფესვიანად ლამობდა ტყის მოთხრას და გატაცებას.

მხედრებს სახეში სცემდათ ქარწვიმა. ზურციას კაცებს ტყე-ღრის ყოველი მტკაველი ხელის გულზე უხატათ, და მაინც ეკარგებოდათ გეზი, მაგრამ წინ გაჭრილ ძაღლების ყუფის ხმას მიყურობდებულნი, უცებ პოულობდნენ მათ კვალს.

ცხენები ტბორებში ეცემოდნენ, წვიმისგან დაბრმავებულნი, ბარდებში იხლართებოდნენ. ქარის წივილი, ტოტების შუილი და წვიმის თქრიალი, ქალების შეკვივლება, ძახილი, ყეფა-წყაფწყავი, ერთად შეკრული, ნელა მიიწევა და წინ.

ჯონდი ზურცია ყოველთვის უკან მიჰყვებოდა თავის გუნდს, როგორც თავდასხმისას, ისე შინ დაბრუნებისას,

რომ არავინ ჩამორჩენილიყო, ნადავლიდან არაფერი დაკარგულიყო. ახლაც უკან მისდევდა თავის გუნდს და მოკლე შეძახილით ამხნევებდა, ეკითხებოდა, ხომ არავის გიჭირთ, უკან მოგდევთ.

ქალი წინ ეჭდა უნაგირზე, ბავშვი უკან, ცხენის გავაზე. ნაბადს ქარი უფრიალებდა, თავი ყაბალახით ჰქონდა წაკრული, სახეზე წვიმის ღვარი ჩამოსდიოდა, ქალის გრძელ თმას ქარიშხალი სახეში სცემდა. ზურცია უხეშად იმორებდა. მარცხენა ხელი ქალის წელზე ეხვია, რომ ცხენიდან არ ჩამოვარდნილიყო, ნათი გრძნობდა, რომ მხედრის მკლავი, მარწუხივით რომ შემოესალტა უნაგირზე შემოსამისას, თანდათან კარგავდა ძალას, ამიტომ ორივე ხელით ცხენის ფაფარს ჩაფრენილი, ფეხებითაც ცხენის მუცელს მოჭიდებული, შიშობდა, რომ ჩამოვარდნილიყო, არ აიყვანდა იმ უხეში ხელის პატრონი. მაგრამ თავისი დარდი არ ჰქონდა, გუძაზე ფიქრობდა, წარამარა ცალ ხელს უკან გააცურებდა, მხედრის წელზე შემოხვეულ გუძას ხელს შეეხებოდა. „ჩემზე ნუ შიშობ, ნათი!.. ჩემზე ნუ შიშობ, ნათი!..“ ეი არ ესმოდა, გრძნობდა მის ხმას.

ვაჟა ერთხელ არ წაფროხილებულა, არ ჩაჩოქილა, არ დამფრთხალა, არ შევარდნილა ბარდში, წინასწარ უქცევდა მხარს ყველაფერს.

ნათის სახეზე, მკლავებზე, ფეხებზე, დაუნდობლად ცემდა და სხეპავდა წვიმის წყლით დამძიმებული ტოტები. მაგრამ თითქოს შეგრძნობის უნარი დაკარგაო, არ ტკიოდა. მისი გული, მისი სული გუძასთან იყო, მხოლოდ მძაზე ფიქრობდა. „არ გადავარდეს, გუძა!.. არ გადავარდეს, გუძა!..“

ცხენი მიძიმედ სუნთქავდა, ხენეშოდა, ფრუტუნებდა, რბენას მაინც არ ანელებდა, შეუჩერებლად გრძნობდა პატრონის მბრძანებლურ და წამმართველ ხელსა და ქუსლს, ერთ მანძილზე მისდევდა წინ მიმავალი ძაღლების ყეფა-წყაფწყავსა და ცხენთა თქარუნს.

განთიადი თანდათან იკიდებდა ფეხს. ქარიშხალი შენელდა. ხურციამ შებლზე ჩამოწეული ყაბალახი აიწია. არ შეხედა ქალს. ნათის ისედაც შემოხეული კაბა მთლად შემოეფხრიწა ტოტებსა და ბარლებს, ტანზე მიწებებოდა ვაცრეცილი, გამდნარი ქსოვილი, თმა შიშველ მხრებზე ეკრა, წვიმისგან იმდენად დამძიმებული იყო, რომ ქარი ველარ იტაცებდა მხრებიდან და ხურციას აღარ სცემდა სახეში.

ქალი სულ მთლად გათოშილი იყო და ხურციას ამან აგრძნობინა, რომ თვითონაც სციოდა, ნათის ხელი უშვა, ნაბადი მოიხვია. ნათი ზურგით მკერდზე ჰყავდა მიკრული, მკლავი თითქმის მოშიშვლებულ წელზე ეხვია, მაგრამ არც ქალი და არც კაცი არ გრძნობდა ერთმანეთს.

ნათიმ მარცხენა ხელი შეუშვა ფაფარს და ძმისკენ გააცურა. ნაბდის ქვეშ იყო გუძაც. „ჩემზე ნუ შიშობ, ნათი!.. ჩემზე ნუ შიშობ, ნათი!..“ კი არ ესმოდა, გრძნობდა ძმის ხმას.

ვაყამ რბენა შეანელა. აღმართზე აღიოდა. ხელმარცხნივ მაღალ კლდეებში ინგირი მიქუხდა, მისი ტალღები ზათქით ასკდებოდა პიტალო ნაპირებს და ეს ხმა ქვაბულებში და ნაბრალბში მრავალ სხვადასხვა ეჭოდ მეორდებოდა.

ხევი ვიწრო იყო, გზა კლდოვანი და ტიტველი, ვაყას ფეხი უსხლტებოდა, მაგრამ მაინც ჭიქურ მიიწევდა წინ. ყეფა-წყავწკავს, ფრუტუნსა და ხენეშას ვერ ახშობდა ტალღების ზათქი.

გუნდის ხმაური სულ მაღლა, მაღლა მიიწევდა, აღისფრად განათებულ ცისკიდურისკენ, სადაც ახლა წყლისგან დაკლილი, მოთეთრო-მოწითალო, სიფრიფანა ღრუბლები გიეური თარეშით მიმოჰქროდა.

ბანაკში რომ ავიდნენ, გათენებული იყო. ქართას მავგარი შემოლობილის განიერი ქიშკარი ფართოდ გააღო გუშავში. მან შორიდან დაინახა გუნდი და ის იყო სადარწოდან ჩამოიკრინა.

გაალმასებული ყეფით შეიჭრნენ და

ღლები ვიწრო შუკებში და ერთი ვიწრო ატეხეს, ძალღებს მხედრები მიჰყუნენ და ქართაში მიმოფანტულ პატარა ფაცხებს შორის გაიშალნენ. უყანასკნელმა ხურციამ შეავლო ცხენი ქიშკარში და მის უკან ერთბაშად მიხტურა ბქე.

მხედრები დაქვეითდნენ. ხურციას ქვაცი შემოეგება.

ჯონღიმ ნაბდის კალთა გადაიწია, მოიქნია და ისროლა ქალი ცხენიდან. ქვაციმ პაერში დაიჭირა ნათი, შეხედა და ალტაცებისაგან გაბეტდდა. მერე პატრონის შიშით უცებ უშვა ხელი, მაგრამ ნათი რომ ფეხზე დადგა და გასწორდა, ახლა მისმა ტანმა და სიშიშველემ ჰკრა ელდა.

— დიდუ! — აღმოხდა.

აღისფერ სხივებში გავხეული, შემკრთალი ნათი ისე ჰფენდა და ამხევებდა სილამაზეს, რომ ხურციას ცხენსაც მოედო მისი ეშხი, ყალყზე დგებოდა, ჩამოქნო, მაღალ ფეხებს კობწიად ღუნაედა და შლიდა, პატარა, ლამაზ თავს ზევით-ქვევით იქნევდა, თვალს არ ამორებდა ნათის, ეინიანად ხეხეინებდა.

ხურცია ცხენიდან ვადმოხტა, ლავამი ქვაციის მიუვდო, ქალს არც შეხედა.

— ფაცხებში ცეცხლი დაანთეთ! — უბრძანა ქვაციის, — ტყვეები გაამრეთ და დააპურეთ! — თავის ფაცხისკენ გაემართა.

ნათიმ თავი აწია.

ხურციას მსუბუქად მიჰქონდა განიერი მხრები, ვიწრო წელი და მაგარი თეძოები. ძიქვა-ხალათში და ტყავის მოსირმულ მაღალ პაქიქებში ტანი უფრო გამოკვეთილი მოუჩანდა, მკვეფრო, გამოშწვევი მოძრაობით მიდიოდა, როგორც ძლიერი ნადირი.

ნათის შეეშინდა და თვალი მოამორა, ამ ღროს ხურციას ცხენიდან ჯერ ნაბადი გადაეარდა, მერე გუძამ ისკუპა და დას ამოუდგა მხარში. ეს ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, რომ ქვაციც კი შეკრთა.

— ვინაა, ძღაბი, ეს ქინკა? — ჰკითხა ნათის.

— ჯიშაა! ჩემი.

— უბედურე, — ჩაილაპარაკა ქვაციმ მისთვის უჩვეულო სევდით, შეტრიალდა, — გამომყევით! — უთხრა ნათის გაჭაჭარებულმა და ცეკვისებური ნაბიჯით ფაცხისკენ გაეშურა.

ლამით გაგრილებული ცა გახურდა, ნესტიანი სიცხე გადგა ჰაერში. მოიხსნო კვამლი ამოცურდა ფაცხების სახურავიდან. დაანთეს ცეცხლი შუკვებშიც. კვამლს ცხენების გახურებული ტანიდან და ძაღვების სველი ბეწვიდან ამდგარი ოსშივარი შეუერთდა.

გაცოცხლდა ჩამკვდარი ბანაკი. მიმორბოდნენ ფაცხებს შორის ზურციას კაცები, ნადავლით დატვირთულ ზურჯინებს ჰსნიდნენ ცხენებს, უნაგირს ხდიდნენ, ზურჯინებს ერთად აგროვებდნენ ნადავლის გასაყოფ პატარა მოედანზე ინგირის ნაპირზე, ცხენებს ერთად აბადნენ ღობეზე. სხვები ცოშს ზელავდნენ, კეცებს ამხოზდნენ ცეცხლზე გასახურებლად, ტაბაკები შუკვებში გამოჰქონდათ და ერთმანეთს აღგამდნენ სიგრაჟზე, ზედ ხორცს, ყველს, თევზს ალაგებდნენ.

ტყვეები ტანსაცმელს იწურავდნენ, ცხელოდა, მაგრამ წუხანდელი გათოშოლები მაინც ეფიცებოდნენ ცეცხლს, ტანსაცმელს იშრობდნენ, მადლიერებით შეჰყურებდნენ ზურციას კაცებს, ასე რომ ტრიალებდნენ და ზრუნავდნენ მათთვის.

მთელმა ოდიშმა იცოდა ჯონდი ზურციას და მისი გუნდის ამბავი. სამთავრო თურქებს ეყრათ. დადიანი სვანეთში იყო წასული დადრეშქელიანთან დახმარების სათხოვრად. მთავრების მოლაპარაკებას ბოლო არ უჩანდა. დადიანზე გაბოროტებულ აბუ ბეჭირ ფაშას, თურქის ჯარის მოკლული სარდლის, ფოთალ ოსმანის მაგივრობას რომ სწევდა დროებით და სამთავროს განაგებდა, ჯარისთვის ნაბრძანები

ჰქონდა, ეძარცვნათ და ეღლიათ სამთავრო, ეწვათ, ეტაცნათ, ექალღაჭები, წაესხათ თურქეთში, ქვა-ქვავუხარს დაეტოვებიათ ოდიშში.

და იანიჩრებს ყოველ დღე ასობით ტყვეები მიჰყავდათ ქობულეთის, ყულევის, ფოთის და ანაკლიის ნავსაყუდელებში, მიჰქონდათ ნაძარცვი, მიერეკებოდნენ ცხენებს, საქონელს, თხეებს.

ზურციას გუნდი ხან ყულევის გზაზე დაუხვდებოდა ლამით, ხან ფოთის, ქობულეთის და ხან ანაკლიის. გუნდი ცოცხალს არ გაუშვებდა არც ერთ თურქს, ტყვედ არ მიჰყავდა. ოდიშში დიდი და პატარა ჯონდი ზურციას მზეს ფიცულობდა, ლეგენდასავით დადიოდა ხალხში მისი ამბავი.

ბანაკში მისვლისთანავე გაიგეს ტყვეებმა, რომ სწორედ ჯონდი ზურციამ მოსტაცა ისინი თურქებს და ახლა ყველა მისი ფაცხისკენ იყურებოდა, ერთი სული ჰქონდათ, როდის გამოვიდოდა ზურცია.

— ხომ გითხარი, ნათი, — ეუბნებოდა გახარებული გუძა დას, — ჯონდი ზურციას კაცები დაგვეცემიან და გავანთავისუფლებენ-მეთქი. ალბათ, ის არის ჯონდი, ჩვენ რომ შემოგვისვა ცხენზე.

— პო, ის იქნება, — ახლაც გრძნობდა ნათი წელზე და მუცელზე მის მარწმინდით ხელს, გრძნობდა, რა უხეშად იშორებდა მეორე ხელით მის თმას, როგორ ისროლა ცხენიდან. ქვაციის რომ არ დაეჭირა, სული არ დაჰყვებოდა მიწამდე, ყურში ედგა მისი ცივი და მკაცრი, ხმა: „ქვაცი!“ ამავ დროს მეორე ხმაც ესმოდა, ისიც ცივი და მკაცრი, მაგრამ მზრუნველი: „ტყვეები გააწრეთ და აჭამეთ!“

— ყველა რომ ჯონდი ზურციასთან იყოს, თურქი ვერ მოგვერეოდა, — წასჩურჩულა გუძამ.

— ყველა რომ ჯონდი ზურციასთან იყოს, — გაიმეორა ნათიმ, — ჯონდი ზურციასთანაა... როგორია ნეტა?.. როდის გამოვა ფაცხიდან! — ცეცხლთან

იღვა და თმას იშრობდა. ჩამოშლილი სირმისფერი დილალები წელამდე სცემდა. არ გრძნობდა, კაბა მთლად შემოფხრეწილი რომ ჰქონდა. ტანზე შემხმარი სისხლის წინწყლები ალის შეჭზე ციმციმებდა. არც ტკივილს გრძნობდა. — ნაღირსა ჰგავს, — გაიფიქრა და კვლავ შეეშინდა.

— რამდენი კაცის მადლი აცხია, — უთხრა გუძამ, — რამდენის სიცოცხლე უხსნია.

„რამდენი კაცის მადლი აცხია“.

— რამდენი თურქი ეყოლება მოკლული.

„რატომ არ გამოდის ფაცხიდან“? — ფაცხისკენ გაურბოდა თვალნი. კვლავ იგრძნო მისი ზელი წელზე და მუცელზე, დაინახა რომ მუცელი შიშველი ჰქონდა, გულსპირი ჩამოხეული. თავზარი დაეცა, შიშით მიმოიხედა, ზომ არავინ მიუყურებსო და ის იყო, გუძამს უნდა ამოფარებოდა, რომ ქვაცი აესვეტა წინ.

— ჰატი! — შესძახა და ჩვეული სიციქიტით მოხვია ნაბადი. მოშვილდულ წარბებს ქვევიდან ყურვიით შავი თვალებით გაუღიმა, ტყაში-მაფა! — უთხრა მისგან მოულოდნელი სიტბოთი, — ტიბურე ჩქიმი ნაბადი?...

ქვაცი რომ ხურციასთან შევიდა, ჯონდი ტანს იბანდა.

— სადაა ის ძღაბი? — ჰკითხა ჯონდომ თავაუღლებლად.

— ძღაბი კი არა, ტყაში-მაფა.

— ვინა?! —

— ტანშიშველი, სირმისფერი თმა. სკვამი ტყაში-მაფასავით.

— ტყვეები დააბინავეთ? — შეაწყვეტინა ხურციამ.

— გავაშრეთ, გავათბეთ, ჰამენ.

— საუზმე მომიზადონ! — ისევ შეაწყვეტინა ხურციამ. ძიქვა ჩაიცვა, ჰამარი შემოირტყა და ორი დამბაჩა ჩაირტო ჰამარში. შინ ყოველთვის წელს ზევით ტიტველი იყო. — გასწი!

— მივიდვარ, — გაეჭანა კარისკენ ქვაცი.

— იმ ტყაში-მაფასაც ეშვიდებოდა აწია სიტყვა ჯონდომ.

— ეშვიება, — თქვა ჩუმად ქვაციმ და უსიამო ფერმა გადაჰკრა. მიდიოდა, რომ ებრძანებია, საუზმე შეეტანათ ჯონდისთვის და ნათიზე ფიქრობდა, თვალწინ ედგა ისეთი, როგორც ტყაში-მაფა ჰყავდა წარმოდგენილი, შიშველი მებოუნახავი, ჩამოშლილი, სირმისფერი თმით, გრძელი წაწამებით, ცისფერთვალე, მწიფე ჩალისფერი ტანით. თვალწინ ედგა შეშინებული ნათი. ასე ეშინია ალბათ ტყაში-მაფას ოჩო-კოჩის, ტყის ამ შემზარავი ლომ-კაცის, ტანი რომ ბალნით აქვს დაფარული და თავისი სიმახინჯით თავზარს სცემს ტყაში-მაფას, დასდევს მას, რომ ძალით იცხოვროს მასთან, ქალს კი ჰირივით სძულს, გაურბის, ემაღება. „იმ ტყაში-მაფასაც ეშვიება“. ყურში ედგა ხურციას ხმა და გულზე ჯავრი აწევბოდა...

უკან რომ დაბრუნდა, ჯერ ნაბადმოხეული ნათი შეუშვა ფაცხაში, მერე თვითონ შევიდა მოლონილი და დამძარებული.

ხურცია გაშლილ ტაბაკთან იჯდა კერის პირას და დანით ფრჩხილებს იქნიდა. ტაბაკზე მოხარშული ხორცი, შეწყვარი კალმახი, ყველი და ცხელი ჰადი ელაგა. დოქით ღვინო და ორი თასი იდგა.

ხურციას თავი არ აუწევია, თითქოს არ გაუგია მათი შესვლა. დაკუნთული ტანი ფოლადივით უზზინავდა. შუბლზე ჯერ კიდევ სველი, დაუფარცხნელი ქოჩორი ეყარა.

ქვაცი თვალს არ ამორებდა მის მხრებს.

„ნაღირსა ჰგავს“. კვლავ შიშით გაიფიქრა ნათიმ და თავი დახარა.

ქვაცი თვალს არ ამორებდა ჯონდის მხრებს.

ხურცია ფრჩხილებს იქნიდა დანით. იქნიდა დიდი მონდომებით, დინჯად, გულდასმით.

1 ტყის მფეჭალო, ნაღირთა გამგებელი.

2. თბილი ჩემი ნაბადი.

ქვაცი თვალს არ აშორებდა მის მხრებს.

და, აი შეირბა მარცხენა მხარი. თითქოს სხვისმა ხელმა გააქეთაო, ქვაციმ სწრაფად შემოხსნა ნათის ნაბადი.

ნათი არ ელოდა. ხელები მკერდსა და მუცელზე აიფარა. წყრომით შეავლო თვალი ქვაცის, მაგრამ მამინევე მიხვდა, რომ ეს მას თავისი ნებით არ გაუქეთებია. ფეხის წვერებზე შემდგარი, სირცხვილისგან, თითქოს გაფრენას ლამობდა. მართლაც ტყაში-მამას ჰგავდა, სირმისფერ თმაჩამოშლილი, ტანიც ამფრად უციმციმებდა, გრძელ წამწამებდახრილი მიწას დაყურებდა სირცხვილისგან ანთებული.

ხურცია იჭდა და ფრჩხილებს იქნიდა. ნათი გრძნობდა, რომ ჯონდის თავი არ აუწევია, არ შეუხედავს მისთვის. ერთი წამის წინ რცხვენოდა, ეშინოდა. ახლა კი მისი უყურადღებობით დამცი-რებული იჭდა.

— ქვაცი!  
ქვაციმ, მოლოდინით რომ იღვა, უკან-უკან დაიხია ცეკვისმაგვარი სწრაფი ნაბიჯით და კარში გასხლტა.

ხურცია კვლავ ფრჩხილებს იქნიდა. სიჩუმეს კერაზე ხმელი წიფლის ტაკუნნი არღვევდა.

ნათი თვალს არ აშორებდა ხურც-ას. „ნადირსა ჰგავს“. დააცქერდა მის მაღალსა და ღონიერ კისერს, ძლიერ მკლავებს, ოდნავ გაყოფილ ნიკაბს, უფერულ ტუჩებს და მაინც ვერ ხედავდა, რადგან ვერ ხედავდა მის თვალებს.

ხურცია ფრჩხილებს იქნიდა, დინჯად, დიდი მონღოლებით, გულდასმით. მერე უცებ დანა ქამარზე ჩამოკიდებულ ქარქაშში ჩაივო.

— დაქეი! — ანიშნა ნათის ტაბაკის მეორე მხარეს მდგარ კველაზე, არც ახლა შეზვდა.

ისეთი მბრძანებლური ხმა ჰქონდა, ნათი მაშინვე დაჭდა.

— რა გქვია, ძლაბი?

— ნათი.

— ნათი?!

ნათიმ თავი დაუქნია.

— რომელი სოფლიდან მოდიხარ?

— წაქვინჯიდან.

— ვისი ძლაბი ხარ?

— ტუტუია ესებუსა.

— ის ბალანა ვისია?

— ჯიმა ჩემი.

— ჰამე, — მიბრუნდა ტაბაკისკენ და კალმახი აიღო.

ნათი მონუსხულივით იჭდა, ხელები შიშველ მუხლებზე ეწყო.

— ჰამე, — გაუმეორა ხურციამ.

ნათიმ ყველი აიღო.

— აქ დაიძინებ, — უჩვენა კედელთან, ჭილოფზე გამოიღო ნაბადზე.

— ჯიმასთან დავიძინებ.

— ჯიმა ქვაცისთან დაიძინებს, — უთხრა, თვეზი უკმაყოფილოდ დააგლო ტაბაკზე. უნდოდა გადაეფურთხებინა, გადაიფიქრა, თასში ღვინო დაისხა და დალია. პირველად ეურჩა ადამიანი და ისიც ჭალი.

ნათიმ იგრძნო მისი განრისხება, მაგრამ არ შეკრთა. იჭდა მშვიდად, ხელები შიშველ მუხლებზე ეწყო. გრძნობდა, მის წინ ლამაზდებოდა, ამიტომ ვერ გაურისხდა ხურცია. ტუჩებზე ქალღური ღირსების ნელი ღიმილი აღებატა.

ხურციამ იგრძნო ეს და თავისდაგონაოცრად მოეწონა, გაუნელდა რისხვა. ფაცხის უკანა ნაწილისკენ მიიხედა. იგი ჭერამდე აღობილი იყო და ვიწრო კარი ჰქონდა დატანებული. წამოდგა და კართან მივიდა, გააღო, შიგ შევიდა, კარი მიიხურა.

ნათი კარს უცქეროდა. ჩვეულებრივად ასეთ გადაღობილში საქონელი უყენიათ ოდიშელებს. კარი მალე გაიღო და კაბითა და წალღებით ხელში გამობრუნდა ხურცია. კარი გულდასმით ჩაკეტა. კაბა და წალღები კველაზე დაუგლო და გარეთ გავიდა.

ნათი არ განძრეულა. ერთ ხანს ღიად დარჩენილი კარიდან გასცქეროდა, როგორ შორდებოდა ჯონდი ფაცხას. ზედ ფაცხის წინ დაღმართი იწყებოდა და მისი მაღალი ტანი თანდათან პა-

ტარადებოდა. დაიფარა ფეხები, შემდეგ მუხლები, წელი, მხრები დიდხანს მოჩანდა... ნათი თვალს არ ამორებდა, სანამ სულ არ დაიფარა, მერე სახე მიამრუნა და იმ ჩაკეტილ, ვიწრო კარს შეხედა. ეს კარი, მისი კედელი უფრო მაგარი წინელით და მტკიცედ იყო ნაღობი. კარს საკეტი ჰქონდა. ნათის არასოდეს არ უნახავს დაკეტილი კარი. სხვა კედლები მეჩხრად იყო ნაღობი. ფაცხა ისლით გადახურული, მიწის იატაკით. ჩვეულებრივი მეგრული ფაცხა, მაგრამ მდიდრულად მორთული. ზის ტახტს გასწვრივ კედელზე და სასთუმალთან რამდენიმე ზელი ტანისამოსი და ვერცხლით დაფერილი იარაღი ეკიდა. თურქული, სპარსული და მეგრული ზმლები, შუბები, სატევრები, თოფები, დამბახები, ცხენის კაზმულობა.

ტახტს თურქული ხალიჩა ეფარა და ზედ ლოგინი იყო გამოლილი. სხვა კედლებზე დოქები, სასმურები და ნათისთვის უცნობი, ბრწყვიალა და ლამაზი ნივთები ეკიდა. ოსხირებზე კვამლში გამოყვანილი თევზი, სულგუნები და ნადირის ხორცი.

ფაცხაში სიჩუმე იდგა.

„რატომ ჩაკეტა კარი? რა ინახება იმ კედლის იქით?“

სიჩუმეს კერაზე ხმელი წიფლის ტაკუნე არღვევდა.

ნათიმ კაბასა და წაღებს დახედა, ყველი უკანვე დადო კველაზე და ის იყო კაბა უნდა აედო, რომ გარედან ხამალალი ლაპარაკი მოისმია. ვიღაცა ვიღაცას ლანძღავდა, ედავებოდა, ემუქრებოდა. ნათიმ, იმის შიშით, ზურციამ არ შემომისწროსო, კაბას დასტაცა ხელი და გადაიკვა. სამოსი ვიწრო იყო, მაგრამ მინც ადვილად ჩამოიწია მუხლამდე, წაღებში ფეხი ჩაჰყო. მორგება ვერ მოასწრო, რომ ქვაცი შემოვიდა, აქლომინებული, გაოფლიანებული, იარაღითა და ტანისამოსით გატენილი ორი უზარმაზარი ზურჯინი ეჭირა.

ნათი რომ ახალ კაბაში დაინახა, არ ესიაოვნა, ვიწრო კარს უბრალ შეხე-

და, მერე ნათის შეუბღვირა. არ ეცოდა რას ერჩოდა. თვითონ უკმყოფესა ხურციას, თვითონ მოხალადა ნახევრად ნახევრად მიშველი დატოვა. ცეცხლი შემოენთო გულზე. მივიდა, ზურჯინები იმ კარს მიახეთქა და ფაცხიდან სირბილით გაეარდა.

გარედან ახლა უფრო ხამალა იმყოფდა გინება და ლანძღვა.

ნათი კედელთან მივიდა. ღობუროდან კარგად მოჩანდა ბანაკი. ტყვეებს ეძინათ. ზოგს ფაცხებში, ზოგს აივანზე და ზოგსაც პირდაპირ მუკებში.

კედლიდან მოშორებით, ზედ ინგირის ნაპირზე, ზურგით ფაცხისკენ ხურცია იდგა და ნადავლს ანაწილებდა. ქვაცი მივიდა და მის უკან შედგა. მარჯვენა ხელი სატევრის კოტაზე დაიდო, მარცხენა წელზე და ჩახმაზივით შეიმართა.

განაწილებულით ზოგი კმაყოფილი იყო, ზოგი უკმაყოფილო. კმაყოფილები მდაბლად თავს უკრავდნენ პატრონს და ზურჯინი თავის ფაცხისკენ მიჰქონდათ. მიჰყავდათ ცხენი. უკმაყოფილონი საყვედურს ვერ უბედავდნენ ზურციას, მაგრამ თავის რისხვას კმაყოფილებზე ანთხევდნენ, გავილიდნენ თუ არა განაწილების ადგილიდან, ერთმანეთზე იწევდნენ, აგინებდნენ, ემუქრებოდნენ ერთმანეთს.

და, აი, ზურციას ერთდროულად ორი მხედარი წარუდგა, სადავით ცხენი მოჰყავდათ და ერთმანეთს არ ანებებდნენ. ერთი გაიძახოდა, რომ ცხენი ჩემია, მე მოვკალიო ცხენის პატრონი თურქი, მეორე უმტკიცებდა, შენ თეთრი ქაჯის პატრონი მოკალიო. ისე იყვნენ დაფთვრებული, დააფიქცადათ პატრონის წინ რომ იდგნენ.

ქვაცი ხურციას მხრებს უყურებდა და უცდიდა. მზად იყო „პატი“ დაეძახა.

ზურციას ხელი დამბახის ტარზე ედო.

უცებ მოქიშვეებმა ხელი უშვეს ლამს და სატევარი იშიშველეს.

გაისმა დამბახის ქახანი. ცხენს ტყვია საფეთქელში მოხვდა.

თავი აიქნია, ერთი დაიხვნეშა, წაბარ-  
ბაცდა და ინგირში გადაიჩეხა.

ჩამოწვა სიჩუმე.

თავზარდაცემული, სატევარგაშიშ-  
ვლებული მხედრები ნელა მიტრიალ-  
დნენ პატრონისკენ.

ზურცია ქამარში ირჭობდა ჯერ კი-  
დევ კვამლშემოუცლელ იარაღს. მისი  
სახე არაფერს გამოხატავდა, როგორც  
ყოველთვის, მკაცრი და შეუბოვარი  
იყო.

ნათი მხოლოდ სახის ცალ მხარეს  
ხედავდა.

მოქიშპეებმა არ იცოდნენ რა ექნათ.  
ხურციას მგორე ხელი დატენილ და-  
ბაჩაზე ედო.

მხედრები შიშით უყურებდნენ ამ  
ხელს.

ქვაცი დაცეცებული იღვა.

შეირბა მარცხენა მხარი. ეს არ იკმა-  
რა ხურციამ, ბრაზით გადააფურთხა.

— ჰატ! — გაისმა ქვაცის შეძახილი.

ორი სახე პატიების თხოვნითა და  
მუდარით შეეყურებდა პატრონს, მაგ-  
რამ მისი თვალები უღმობელი იყო.

— ჰატ! — გაისმა კვლავ ქვაცის ხმა.

მოქიშპეები მუხლზე დაეცნენ.

ხურციას დამბაჩის ტარზე ედო ხელი.

ქვაცი იცოდა, რომ პატრონი მო-  
კირნედ ზარჯავდა ტყვიას. ამიტომ მე-  
სამედ გაისმა „ჰატ!“

ხურციამ გადააფურთხა.

მოქიშპეები წამოვარდნენ, ერთდრო-  
ულად მოწყდნენ ნაპირს და ინგირში  
გადაიჩეხნენ.

ნათი კედელს მოშორდა. „გუძა!“ ში-  
შმა აიტანა. უნდოდა გარეთ გასულიყო  
და ძმა მოედებნა, მაგრამ ისე იყო გაო-  
გნებული, ნაბიჯი ვერ გადადგა.

ცეცხლი ჩანავლებულიყო, აღარ  
ტაკუნებდა ზმელი წიფელი, გარედ-  
ნაც ჩამიჩუმე არ ისმოდა. მხოლოდ  
ინგირს გაჰქონდა ზათქი თავის ღრმა  
კალაპოტში და ამ ხმაურში ნელა შე-  
მოდლოდა ხურციას მკვეთრი ნაბიჯის ხმა.

ნათი კარს მიაჩერდა.

კარს მზე ადგა. ღობურდიდან მისი

სხივები ცეცხლის ისრებივით იჭრებო-  
და ფაცხაში.

კარი გაიღო. ხურციას ტანი გაოფ-  
ლიანებული ჰქონდა და კიდევ უფრო  
ღონიერად ბზინავდა მხეზე. სახეზე  
ჩრდილი ეფინა. ჩაუარა ნათის, ტახტ-  
თან მივიდა და გულაღმა დაწვა.

ნათი არ განძრეულა. თვალწინ ედგა  
კვამლშემოუცლელი დამბაჩა, მოქიშ-  
პეთა მუდარითა და პატიების თხოვნით  
გაიჩნდელი სახე, ყურში ედგა ქვაცის  
გამკინავი „ჰატ!“

ბანაკი დუმდა. ფაცხეებში ისევ ეძი-  
ნათ. მხოლოდ ცხენი თუ დაიფრუტუ-  
ნებდა და ძალი დაიყუფდა დროდ-  
არო.

ნათი ზურგით იჯდა ტახტისკენ. არ  
იცოდა ეღვიძა, თუ ეძინა ხურციას. გუ-  
ძასთან უნდოდა წასვლა და განძრევას  
ვერ ბედავდა. მოთენთილი, ნაცემ-ნა-  
გვემი, სამი დღე-ღამის უძინარი, შიშით  
და მწუხარებით გატეხილი ტანი  
ძლივს ეკავა.

— წადი ჯიშასთან!

მოესმა ტახტიდან.

ხმაზე ეტყობოდა, ზურცია ძილმორე-  
ული იყო.

ნათი წამოდგა.

— კაბას კაბაზე არ იცვამენ!

შეერთა ნათი.

— გაიხადე!

ნათიმ კინაღამ შეჰკვივლა, მაგრამ მა-  
შინვე დამორჩილდა იმ ძილმორეულ,  
მბრძანებლურ ხმას. დაწვდა კაბის  
კალთას და გადაიძრო. იღვა და უცდი-  
და. არ იცოდა რას. დრო ისე მძიმედ  
გადიოდა, არ იცოდა, რამდენი ხანი გა-  
ვიდა. ფეხი გადადგა კარისკენ.

— გაიხადე შენი კაბა!

ნათიმ გაიხადა თავის კაბაც.

ჯონდომ თვალი გაახილა. ნათის ტა-  
ნი მისივე თმისფრად ციმციმებდა.  
„ტყაში-მადა!“ თვალი დახუჭა.

— ჩაიციე ახალი!

ნათიმ ახალი კაბა ჩაიცვა, თავისი აი-  
ტაცა და დაფეთებული გავარდა ფაც-  
ხიდან, დააეჩიწყდა კარის მოხურვა,  
დააეჩიწყდა ქვეყნად ყველაფერი, გუძა-

სა და ჯონდის მეტი. გუძასთან გარბო-  
და და ჯონდის ფიქრობდა, გუძას ში-  
შით აფორიაქებული, ჯონდის ფიქ-  
რობდა. ხედავდა ჯონდის, ესმოდა მისი  
ხმა და თითქოს მირველად არ ხედავდა,  
არ ესმოდა, ხედავდა იმ თვალთ, ქა-  
ლიშვილი რომ პირველად წარმოიდ-  
გენს, დანახავს თავის ოცნების ვაჟს,  
პირველი ენება აიტანს და ამ პირველი  
ოცნებით წარმოდგენილ ვაჟსა და ჯონ-  
დის შორის რაღაც საერთოს ეძებდა.

არ იცოდა რას, მაგრამ რაღაც სა-  
ერთოს ხედავდა, არწმუნებდა თავს,  
რომ ჯონდა-სწორედ ის, თავის ოცნე-  
ბის ვაჟი იყო და ასეთი ფიქრის ელ-  
ლით დაფეთებული დარბოდა ფაცხებს  
შორის, ეძებდა გუძას, რომ მისი ნახ-  
ვით დაეოკებია გული, მოეთქვა სული.  
თვალწინ ედგა კვამლშემოუცლელი  
დამბაჩა, ჯონდის ზელი მეორე დამბა-  
ჩის ტარზე, თვალწინ ედგა მოქიშპეთა  
მუდარითა და შეწყნარების თხოვნით  
მიპყრობილი სახეები, ჯონდის უღმობე-  
ლი სახე, ესმოდა მისი ძილმორეული ხმა.  
მაგრამ მაინც იმ პირველად წარმოდგე-  
ნილ, დანახულ თავის ოცნების ვაჟად  
ედგა წინ.

ვაჟქრა კვამლი, ვაჟქრა დამბაჩაზე  
დაღებული ზელი, გათბა უღმობელი  
სახე, შენელდა მბრძანებლური კილო,  
გაცოცხლდა ძილმორეული ხმა.

— ჯონდი არ გინახავთ? — ჰკითხა  
პირველ შემხვედარს შუკაში და შემ-  
ფოთდა, — გუძა არ გინახავთ? გუძა,  
ჩქიმი ჯიმა? — ჰკითხა სხვას.

დარბოდა შუკებში. ჩერდებოდა ფა-  
ცხების წინ.

— გუძა არ გინახავთ, ჩქიმი ჯიმა?

— ჩემთანაა შენი ჯიმა.

შეესმა ნაცნობი ხმა. ქვაციის ფაცხის  
წინ იდგა. ქვაციი აივანზე წვერს იბარ-  
სავდა. აღარ იყო ჩანხმპივით შემართუ-  
ლი, არ უბღვერდა, თვალბში რბილი  
სითბო ედგა, ისე უყურებდა ნათის,  
თითქოს დანაშაული რამ მიუძღოდა  
მასთან. რომ არ ენახა, ვერ წარმოიდ-  
გენდა ქვაციის ასეთ ადამიანურს და

ამან ერთი წამით დაავიწყა ჯონდი, გა-  
ულბა ქვაციის.

— ძინავს სქანი ჯიმას, — უთხრა  
ქვაციმ და თვითონაც გაულბა.

ნათი ფაცხაში შევიდა. გუძას ქვაციის  
ლოგინზე ეძინა. ქვაციი ნელა მიტრი-  
აღდა კარისაკენ, საპარსი დანა ხელში  
ეჭირა. ღიდი ხანი უყურებდა ნათის,  
სევდით, ფარული ტყვილით. ნათი რა-  
ღაც კარგს კითხულობდა მის სახეზე,  
მუნჭურს, გაუგებარს, მაგრამ კარგს.  
ნათისათვის ახლა ყველაფერი გაუგე-  
ბარი იყო, არ შეეძლო ეფიქრა ქვაცი-  
ზე, მხოლოდ ჯონდის ფიქრობდა,  
ჯონდით იყო მოცული მისი გული, მი-  
სი გონება. ქვაციმ დანახა ეს, კარს  
მოშორდა, პარსვა განაგრძო.

ნათი გუძასთან მივიდა, ფერხით  
დაუჭდა. არ ახსოვდა, როგორ მიწვა  
მის გვერდით, როდის ჩაეძინა... ჯონ-  
დის ფიქრით გაიღვიძა და მაშინვე  
წამოდგა, გაიგონა მისი ხმა.

შუკაში ჩამწკრივებულ ტყვეთა წინ  
იდგა ხურცია. მის უკან ჩვეულებრი-  
ვად შემართული ქვაციი იყო ასეველი.  
გაპარსული, გაკოშწიავებული. მარჯვე-  
ნა ხელი სატვერის კოტაზე ედო, მარ-  
ცხენა წელზე, ხურცია დაკვირვებით  
აკერდებოდა ტყვეებს, თავითფეხა-  
ღე ახედ-დახედავდა, მერე სხვა ტყვეს-  
თან მივიდოდა და იმას, ვისაც შეარ-  
ჩევდა, მოკლედ ეტყოდა:

— დღეს წახვალ!

საგანგებოდ არჩევდა ნაკლებად ლა-  
მასსა და ჯანმრთელს.

— დღეს წახვალ!

ნათი მიხვდა, ხურცია ტყვეებს შან  
უშვებდა. გაიქცა და თვითონაც ჩაღდა  
მწკრივში, მაგრამ მაშინვე ინანა. წასე-  
ლა არ უნდოდა. „ნეტა არ მითხრას წა-  
დიო!.. ნეტა არ მითხრას!“...

— დღეს წახვალ!.. დღეს წახვალ!.. —  
უახლოვდებოდა ჯონდის ხმა.

„ნეტა არ მითხრას წადიო!.. ნეტა არ  
მითხრას წადიო!..“

ხურციამ ნათის არც შეხედა, ჩაუა-  
რა.

— დღეს წახვალ! — უთხრა მეათე

ტყვეს და შეტრიალდა, თავის ფაცხისაკენ გასწვია.

ქვაციმ ტყვეებს შეხედა.

— წამსვლელები წინ გამოდით!

ათი ქალი, ვაჟი და ბავშვი გამოეყო სხვებს.

— დანარჩენებს ზვალ, ზეგ, მას ზეგ გაგიშვებთ ნაწილ-ნაწილად... თურქები ჩვენს ბანაკს ეძებენ. გეში აიღეს. ჩვენს ახლომახლო დაძრწიან. ყველას ერთად ვერ გაგიშვებთ. — გადარჩეულებს მიუბრუნდა: — სამშვიდობომდე გავაცილებთ, მერე სათითაოდ წახვალთ თქვენ სოფელში და ამბავს ჩაიტანთ, რომ სხვებიც მალე მოვლენ.

გახარებული იმით, რომ დღეს არ გაუშვეს, ნათი გუძასთან გაიქცა.

გუძას ისევ ეძინა ბავშვის ღრმა და მავარი ძილით. ნათი მუხლზე დაეშვა, მხარზე ხელი დაადო.

— გაიღვიძე, გუძა!

გუძა წამოჯდა, თვალები მოისრისა.

— ნათი... სად იყავი?! რამდენი გეძებ!

— გუძა, ტყვეები გაუშვეს, — სიტყვა ბანზე აუგდო ნათიმ, — ნაწილი გაუშვეს, ნაწილს ზვალ გაუშვებენ, ნაწილს ზეგ.

— ჩვენ როდის გავგიშვებენ? — ჰკითხა გუძამ და წამოჯდა.

— ზეგ, მას ზეგ... არ ვიცი... წამოდი ხელ-პირი დავიბანოთ... ტანიც, ტალახი ზედა გვაქვს შემხმარი, — უთხრა გუძას, რომ რალაც ეთქვა, რალაც გავკეთებია.

გარეთ გავიდნენ.

ტყვეები წამსვლელებს, ვინც თავისი, ან მეზობელ სოფლიდან იყო, თავისიანებთან აბარებდნენ, მალე დაებრუნდებოდათ.

— აი, ისინი მიდიან ახლა! — უჩვენა ნათიმ ცალკე მდგარ ტყვეებზე.

გუძა ახლო მივიდა მათთან, ერთ ბიჭს დააქერდა.

— შენ კაცული კაცუტია არა ხარ, წიე?

ბიჭს თხის ტყავის ძიქვა ეცვა, თმა ზღარბივით ბურჭლიანი ჰქონდა.

— კი ვარ, — მიუგო ბიჭმა.

— ზეთიდან?

ბიჭმა თავი დაუქნია.

— ხობში, მარიამობაზე შარშან შენ აჯობე ჩემს ძმას მარულაში.

ბიჭს სახეზე ღიმილია გადაჰკრა.

— კუჭუთას?

— კუჭუთა თურქებმა მოკლეს. ეს ჩემი დაა, ნათი, — უჩვენა ნათიზე, — ზეთაში მისვლამდე წაქვინჯს ხომ გაივლი?

ბიჭმა ისევ დაუქნია თავი.

— წაქვინჯში ჩვენებთან შეიარე. ბაბას უთხარი, ჩვენც ზვალ, ან ზეგ გამოგვიშვებენთქო, — ნათის შეხედა, ზომ ასეაო.

ნათი წასვლას არ ფიქრობდა, დარჩენაზე ფიქრობდა. არ უყურებდა ძმასა და წამსვლელ ბიჭს, არც ყურს უგდებდა.

გუძამ ახლა შეამჩნია, რომ სხვა კაბა ეცვა.

ტყვეები გავკირვებით უყურებდნენ ნათის.

— ნათი, ვინ მოგცა კაბა?! — ჰკითხა არანაკლებ გავკირვებულმა გუძამ, — როგორ გიხდება!

— მართლა მიხდება? — გაეხარა ნათის. თუძობზე ხელები ჩამოისეა. ჯონდიმ კი არც შემოახედაო, კინაღამ წამოცდა.

ამ დროს ხუთი შეიარაღებული კაცის თანხლებით ქვაცი მოვიდა.

— თავპირი უნდა ავიხვიოთ, — უთხრა წამსვლელებს, — თურქებს რომ ხელში ჩაუვარდეთ, ძალით გათქმევიანებენ, სად არის ჩვენი ბანაკი. დალამებამდე თვალახვეულებს გატარებთ, მერე სახვევეს პოგზსნით და გაგიშვებთ.

იმ ხუთმა კაცმა სწრაფად აუხვია თავ-პირი წამსვლელებს, მტკიცედ, საიმედოდ. ეტყობოდათ, პირველად არ აკეთებდნენ ამ საქმეს.

ქვაცი იდგა და ფარული წუხილით უყურებდა.

— ჰატ! — შესძახა მოთმინებადაკარგულმა და საყველო გაიგლიჯა.

ის შეიარაღებული ხუთი კაცი გაკვირვებული მობრუნდა მისკენ. ამათ კიდევ ეუფრო აანთო.

— რას უღვებართ! — დაუყვირა მუქარით.

ორი წინ გაუძღვა თავებირაბეულებს, სამი უკან გაჰყვა.

ქვაციმ შეიცადა. არ მოუხედავს ნათსა და გუძასკენ, ისე უთხრა გუძას:

— ჩქიმი ჭიმა, შენ ჩემს ფაცხაში დაწევი, მე გვიან დაგბრუნდები, — თავისი სწრაფი, ცვეცილებური ნაბიჯით გაედევნა მიმავალთ.

ნათი ჯაფიჭებულნი გასცქეროდა მის ზურგს. რათ მომაროდა თვალი! იღვა და გასცქეროდა მის ზურგს.

„ჩქიმი ჭიმა, შენ ჩემს ფაცხაში დაწევი.“ მე არაფერი მითხრა. თვალს არ ამორებდა მის ზურგს, სწრაფად რომ შორდებოდა.

მოსახვევში ქვაციმ მოიხედა, დაინახა, ნათი რომ უყურებდა და სწრაფად მიაბრუნა თავი.

— შენ სად დაწევი, ნათი? — ჰკითხა გუძამ.

— არ ვიცი, — უბასაუბრა დაუფიქრებლად ნათიმ და მამინვე დაუმატა: — შენთან... წამოდი, ვიბანაოთ!

— აქ ახლო ჩანჩქერია. გესმის ხმაური!

ჩანჩქერი არც ისე წყალუხვი და მაღალი იყო, როგორც ხმა ჰქონდა, მაგრამ ისეთი ძალით ეცემოდა, რომ კლდე საკმაოდ ჩაეღრმავებინა და გაეფართოვებია. მისი ჩქერები წვრილად იმსხვრეოდა წყლიდან ამოშვერილ სიბუბუბეზე, და შტერის ბუღად დგებოდა, გარშემო თხელ, გამჟვინვალე მტვრად იფანტებოდა და ციმციმებდა.

ნათის არასოდეს არ ენახა ჩანჩქერი და ახლა ისე გამოჰწვევი და გამაყრუებელი ეჩვენა ეს ძლიერი ჩქერები, ეს მოციმიციმე მტვერი, ძალუმი ხმაური და წყლის მაცოცხლებელი სიგრილე, რომ მოჯადოებულვით უყურებდა. მერე მტვერში წამოესახა ის განიერი მხრები, ფართო მკერდი, მაღალი და ღონიერი კისერი, შუბლზე ჩამოყრი-

ლი ქოჩორი. მტვერმა მიიღო იმ მხრების, იმ მკერდის, კისრისა და კისრის ფერი. ნათი გაოცებული უყურებდა, ხარბად ყლაპავდა წყლის მტვერს მისგან რომ მოდიოდა და სახეზე, მხრებზე და მკერდზე ეფინებოდა. მტვერი ცივი იყო, როგორც მისი შეუბოვარი სახე. შეაჩყოლა, მაგრამ ეს არ იყო სიცივის ეჩყოლა. გაიხადა კაბა და შეერიო წყლის მტვერს, შევიდა ღრმად. წავიდა მისკენ, ეგონა ის მარწყუხვივით მკლავები შემოეხვივნენ და მკერდზე მიიკრეს. შეჰკვილა. ეს იყო სიხარულის შეკვილება, ენის შეკვილება.

ნათი ისე მოულოდნელად და სწრაფად შევიდა წყალში, რომ გუძას არ დაუნახავს. ამაოდ იხედებოდა ირგვლივ, ეძებდა, ეძახდა, მაგრამ წყლის მტვერი ფარავდა ნათის, ჩანჩქერის ხმაური ფარავდა გუძას ხმას.

ნათი მალე გამოვიდა წყლიდან. ტანი სიცივისგან აქარხლებული ჰქონდა. მაგრამ არ სციოდა. ენინანად ხტოდა და იცინოდა, ხელუბს ტანზე იცემდა, წყლის კრიალა მიივები ზევიდან ქვევით მიგორავდა მის ტანზე, მაღალ, მთის კალთაზე ნაზარდ მაგარ, ღონიერ, ნორჩ მცენარეს ჰგავდა, რომლის ტანზე წვიმა ფეხს ვერ იკიდებს.

— რა დაეგემართა, ნათი?! — სულ ახლოს იღვა გუძა, მაგრამ შორიდან მოესმა მისი ხმა. გუძა ტანს იბანდა, ხელუბს მაგრა ისევამდა თმაზე, ტანზე, წყლის სიგრილით სული ეგუბებოდა...

გუძა სანამ დაიძინებდა, ჯონდიზე ელაპარაკებოდა. რა ვაქაცია, რამდენი თურქი უყოლებათ მას და მის კაცებს მოკლული, რამდენი ჩვენისთანა უბედური განათვისუფლებული, რა ხიფათში იგდებენ თავს, დღედაღამ ხმალქვეშ არიან. ხალხი ტყუილად არ ფიცულობს ზურციას მზეს. ნეტა ყველა ასეთი გულუკეთილი იყოს, შენ კაბაც იკი გაიქუა...

გუძას რული მოერია. ნათი ისე ვაი-ტაცა ფიქრმა, რომ კერაზე შეშის შეკეთება დააიწყდა. სიბნელეში იჯდა. გუძას მშვიდად უძინა. „ნეტა ყველა“

ასეთი გულკეთილი იყოს“. იმეორებდა ეჭვით და შიშით. „შენ კაბაც კი გაჩუქა“. ისე, როგორც ჩინჩქერთან, კვლავ დაუდგა წყლის მტვერში, კვლავ წავადა მისკენ, ესმოდა საკუთარი გულისცემა, მაგრამ არ ესმოდა ჯონდის გულისხმა. „ნეტა ყველა ასეთი გულკეთილი იყოს“. რატომ ფიქრობს ამაზე, რატომ ეჭვობს, რატომ ეშინია? ვერ პოულობდა ამ კითხვების პასუხს.

გარედან ნაბიჯის ხმა შემოესმა. კერას მივარდა და ხმელი ფიჩხი დააყარა. ცეცხლის ჩინჩხლები ავარდა, ალი ერთბაშად აბრიალდა და განათებულ ფაცხაში ქვაცი შემოვიდა. თუალები უცინოდა.

— წავიდნენ, — უთხრა ნათის, — ამაღამ ივლიან, ხვალ შინ იქნებიან... ბედნიერები, — დაუმატა ისეთი კილოთი, თითქოს თვითონაც ტყვე იყო და მათ ხვედრს შენატროდა.

ნათი გაკვირვებით უყურებდა.

— ქვაცი, — უთხრა და სათქმელი დაეკარგა.

— რაო, ტყაშინ-მამა?

— გუდა თუ შენი ჭიმაა, მე შენი და ვიქნები.

— მე სამი და მყავს, ძღაბი.

— მე მეოთხე ვიქნები, ქვაცი.

ქვაციმ სევდიანად გაუღიმა.

— მე შენთვის ოჩოკოჩი ვარ, ტყაშინ-მამა.

— არ მითხრა ეს, ქვაცი — უთხრა ნათიმ.

— ოჩოკოჩი ვარ შენთვის, ტყაშინ-მამა.

— არ მითხრა, ჩქიმი ჭიმა, — უთხრა ხვეწნით.

— კარგი, არ გეტყვი, ნათი, — სახე მიაბრუნა.

ორივე დუმდა. ასე იდგნენ ერთ ხანს. გუდას მშვიდად ეჩინა.

— ქვაცი, — დაილაპარაკა ბოლოს ნათიმ, რათა დუმილი დაერღვია, — სად დავწვე, ქვაცი.

— ჯონდის ფაცხაში.

— არ მინდა ჯონდის ფაცხაში, — უთხრა ნათიმ, წამოწითლდა, იგრძნო,

რომ ქვაცი მიუბედა, ჯონდის ფაცხაში რომ უნდოდა.

— ჯონდიმ ბრძანა, *ჩემსა! ტყესხამი* დაწვესო, — მოგონილი გულგრილობით ჩაიღურღლა ქვაციმ და გაჩუმდა.

— მართლა! — ვერ დაფარა სიხარული ნათიმ. და რომ დაჩუმუნებულყო ქვაცის ნათქვამის სიმართლეში, შეხედა.

ქვაცი ცეცხლს ჩასტკეროდა.

— ჯონდიმ ბრძანა, — გაუმეორა, — გუდას დარდი ნუ გექნება... წადი, ტყაშინ-მამა!

ნათი კარისკენ წავიდა, ზღურბლთან შეიკადა, უნდოდა მოეხედა ქვაცისთვის, გადაიფიქრა, გადააბიჯა ზღურბლს და გაიქცა.

ქვაცი კერასთან იდგა. ესმოდა, რა სწრაფად შორდებოდა ფაცხას ნათის ნაბიჯის ხმა. სახე გაფითრებული და ქუსიანი ჰქონდა...

ნათი ჯონდის ფაცხაში რომ მივიდა, კერასთან ორი მამაკაცი უჭდა გაშლილ ტაბაკს. ეტყობოდათ, ფეხის ხმა გაიგონეს და ის იყო, კველიდან წამოდგნენ.

ზურციას კაცებს არ ჰგვანდნენ, მეგრულად არ ეცვათ და არ ეხურათ, მოკლე ღართ-ახალუხში იყვნენ გამოწყობილი, ღართის და ახალუხის კალთები აეკეცათ და ქამარში ჩაეტანებინათ, თავი გადაპარსული ჰქონდათ, წვერიც ნიკაპსა და ყბებს ქვევით. შეთოფიარალებულიც სხვანიარად იყვნენ და სხვა ენაზე ლაპარაკობდნენ.

ნათი ზღურბლზე იდგა. არ იცოდა უკან გაბრუნებულიყო, თუ ფაცხაში შესულიყო.

ზურციამ თავი დაუქნია.

ნათი შევიდა.

ორი დიდი კვარი ანათებდა ფაცხას. სტუმრები მოურიდებელი, ხარბი თვალებით შეაჩერდნენ ნათის.

ნათი დაიბნა, ვერც კველაზე დაჭლომა გაბედა, ვერც ნაბაღზე, მისთვის მიჩნეულ კუთხეში რომ ეფინა ჭილოფზე. შეცბუნებულს თვალი აცაბაცა მიურბოდა.

სტუმრები თვალს არ ამორებდნენ, ფეხს ითრევდნენ, მაგრამ ხურციას რომ შეხედეს, ქული შეისწორეს და კარისკენ გაემართნენ. ნათის წინ ჩავლინას, კისერი მოედრიათ. ნათიმ თავი ჩაღუნა და მაინც დაინახა, როგორ მოკიდა ჯონდომ ორივეს ხელი კეფაზე და კარისკენ მიუბრუნა თავი.

სამივენი გავიდნენ.

ნათიმ თვალი გააყოლა, მერე კართან მივიდა, მოხურვა უნდოდა, მაგრამ ვერ გაბედა, იღვა და უყურებდა, როგორ ჩადიოდნენ ჯონდი და სტუმრები დაღმართს. ჯონდი შუაში მიდიოდა, სტუმრები აქეთ-იქიდან მიყვებოდნენ, სიარულშიც კი ეტყობოდათ, რა რიდი ჰქონდათ მასპინძლისა. ჯონდი სტუმრებზე ბევრად მაღალი იყო. ნათი დიდხანს უყურებდა მის მხრებს.

ბანაეს ეძინა. შუკებში ჭკპანება არ იყო...

ნათი ნაბადთან მივიდა და დაწვა. სასთუმლად უნაგირის ბალიში ედო. არ იცოდა, ვინ დაუდო, ჯონდომ, თუ ქეციმ. უნდოდა ჯონდის უნაგირის ბალიში ყოფილიყო და ბუმბულივით რბილი ეჩვენა. ლოყა დაადო ბალიშს, „ნეტა, ყველა ასეთი გულკეთილი იყოს“. აღარ იცოდა უკვე ეს გუძის ხმა იყო, თუ თავის გულის ხმა.

გარედან ფაჩუნი მოესმა. იფიქრა, ჯონდი ბრუნდებოდა. ნაბადში გათხვია, საბეზე წაიფარა, გაინახა, სუნთქვა შეიკრა, მაგრამ გულს ბაგაბუფი გაჰქონდა, არა, ფაჩუნი არ ყოფილა, მოეყურა. ნაბადი მაინც არ გადაიხადა არც ტანიდან, არც სახიდან.

ფაცხაში ცხელოდა. კარიდან ხვატის სქელი, ნესტიანი, მკვრივი ტალღა ზღაზენით შემოდის და ნაბადზე წვებოდა. ნაბადი კმენდა, სულს უხუთავდა, მაინც არ იხდიდა, არც ტანიდან, არც სახიდან. მოლოდინით შემფრთხებული, გასუსული იწვა...

ჯონდი რომ დაბრუნდა, მთვარე ფაცხის კედელზე იყო მომდგარი. ნათი გულაღმა იწვა. ძილში ნაბადი გადახლოდა. ფარალალა ნაღობიდან შემო-

სული მთვარის სხივების მტვერი დასცილივებდა თმაზე, სახეზე. ჯონდი მივიდა და ნაბადზე ჩაიხუტა. გაიგონა ქალის მშვიდი სუნთქვა, იგრძნო მისი მწიფე ტანის სურნელი, თვალი ააყოლა ფეხებს და მკერდზე დაამტკრდა.

ნათიმ ძილში შეიცნო, რომ ჯონდი დასცქეროდა. ნებიერად გაეზო ბაგე, მერე ნელა აწია წამწამები და ბურანში, ისე, როგორც იმ ჩანჩქერის წყლის მტვერში, დაინახა ჯონდი, დაინახა რა ხარბად დასცქეროდა. დასცქეროდა მხრებს, მკერდს, თეძოებს. თვალში არ უყურებდა. თვალში არსოდეს არავის არ უყურებდა.

ნათიმ იფიქრა, ისევე მენჯენებოდა, როგორც იქ, ჩანჩქერში, მაგრამ ჯონდი დაინახა და ნათიმ გაიგონა მისი აჩქარებული სუნთქვა, წამოიწია, რომ ედღეს მიკეროდა.

ჯონდომ ერთი ხელი ზურგვეშ ამოდო, მეორე თავქვეშ და ერთბაშად მიიზიდა ძლიერად, ღონიერად...

ნათიმ დილით რომ გაიღვიძა, თვალწინ წუხანდელი ღამე დაუდგა. იწვა მშვიდი, განაზებული, უღიმოდა იმ ღამეს, უღიმოდა ყველაფერს, რაც მოხდა და კმაყოფილი და ბედნიერი იყო. ტანში ღალ სიმსუბუქეს გრძნობდა. აღარ ახსოვდა თურქების ხელში გამოვლილი ტანჯვა, შიში და დამცირება, არ ახსოვდა გუძიც, ჯონდის გარდა არაფერზე და არაფერზე არ ფიქრობდა. იცოდა, რომ ბედნიერი იყო, იცოდა, რომ მარტო იყო ფაცხაში და უნდოდა დიდხანს გაგრძელებულიყო ასე, დიდხანს, ძალიან დიდხანს.

გარედან ინგირის ხატი ისმოდა. ფაცხის კედლებიდან, მსუბუქი, გრილი ნიავი შემოდის და საამოდ ეფინებოდა მის ცხელ ტანს. ჯერ კიდევ ბურანში იყო და გრილ ნიავს თანდათან გამოჰყავდა რულოდან. ნელა აწია ხელები და მკერდზე, მხრებზე, თეძოებზე მოისვა. პირველად შეიგრძნო თავისი ტანის სიმშვენიერე. ეთნო, ეპა, თვალი დახუჭა.

არ ახსოვდა, ისევე ჩაეძინა, თუ მხოლოდ თვალდახუჭული იწვა. თვალი რომ გაახილა, მაშინვე გუძა გაახსენდა, დაფეთებული წამოფრინდა ნაბიდან და გარეთ გაიჭრა, ქვეცის ფაცხისკენ გაიქცა.

ხეობაში ჩადვრილ მზეში გახვეულიყო ფაცხები, ღობეები, ხეები, ცხენები, ძაღლები, ტყვეები. ზოგი ხელპირს იბანდა, ზოგი დაკონკილ ტანისამოსს იყვრებდა, ზოგი ჰამდა, ზოგი გამტვრებული იჯდა შუკაში, ან ფაცხის წინ მწარე ფიჭრში წასული, ზოგი, ვინც წუხელ ჯავრმა არ დააძინა, ახლა ძილღვიძილში თავს აკანტურებდა.

ნათი არავის უყურებდა, გუძას ეძებდა, გზას უქცევდა ნაცნობსა და უცნობს. ქვეცის ფაცხას რომ მიუახლოვდა, ნაბიჯი შეანელა, ფეხი დაუმძიმდა, დაჯანდრავებულივით მიდიოდა, ახლად ჩაწვდა მისი გონება, რაც წუხელ მოხდა. სირცხვილმა შებოჭა ის სილაღე, სიხარული, სიმსუბუქე, წედან რომ ჰფლობდა, გრძნობდა, თვალს ვერ გაუსწორებდა გუძას, ეგონა, ის ყველაფერს მიხვდებოდა.

შედგა, გადაწყვიტა უკან გაბრუნებულიყო. შებრუნდა და დაინახა ის ორი სტუმარი, წუხელ ჯონდისთან რომ იყო. მათ კიდეც სხვა ორი ახლდა, ისევე ჩაქმული და შეთოფიარალებული. გვერდით ქვეცი მიჰყვებოდა.

ნათიმ მაშინვე შეამჩნია, რომ ქვეცის მოძრაობა, ნაბიჯი, მძიმე, ულაზხათო იყო, სახე ავდრიანი. თავი ისე ეჭირა, ვითომ ვერ ხედავდა ნათის.

ის ოთხი ფარულად აკვირდებოდნენ ტყვეებს, გადაჭარბებული თავაზიანობით ესალმებოდნენ. ტყვეებს თავისი ჯავრი ჰქონდათ, ერთს შეხედავდნენ მათ არაფრის მთქმელი თვალით, სალაშხე უპასუხებდნენ, მერე თავის საქმეს, თავის ჯავრს უბრუნდებოდნენ.

იმ ორმა, წუხელ ჯონდისთან რომ იყო, დაინახა ნათი და კვლავ მოედრიცათ კისერი, აენთოთ თვალი. ნათი ქვეცის ფაცხაში შევარდა და კარი მიიხურა, ზედ მიეკრა, ღობურიდან უყურებ-

და. „ვინ არიან?! ვის ეძებენ!“ შიშმა ისევე ძმა მოაკონა. იქით მიიხედავ; გადაც წუხელ გუძა დატრავა შინაწარქ...

გაშლილი ნაბადი ისევე ისე იღო აუკეცავი. „სადაა გუძა?“ ხელი ჰკრა კარს და გარეთ გავიდა. „სადაა გუძა?“ არავის ეკითხებოდა, გუძა ხომ არ ვინახავსო. არც ნათის აქცევდა არავინ ყურადღებამს, დაფეთებული რომ ღარბოდა აღმა-ღაღმა, ყოველ ფაცხასთან ჩერდებოდა, შიგ იხედებოდა. მიიბრინა იქ, სადაც ცხენები და საკლავი ება. გუძა ცხენის ტრფიალი იყო და შეიძლებოდა აქ მოსულიყო.

ჯონდის კაცები ნადავლ ცხენებს წმენდნენ და ბანდნენ, ერთმანეთს აწონებდნენ თავს, არა, ჩემი ცხენი ჯობია, არა ჩემიო. ისე იყვნენ გართული, რომ ვერ შენიშნეს ნათი. ხეივანი! ხეივანებდნენ ცხენები, ფფფრრრ! ფრუტუნებდნენ ცხენები.

ჯაჭვით დაბმული, ტალახში ამოსვრილი, მშვიერი ძაღლები საყვედური უყურებდნენ ცხენის პატრონებს, რომ მათ არავინ აქცევდა ყურადღებამს, არავინ აქმევდა და ასმევდა. ყმუოდნენ, წკმუტუნებდნენ გააგებულნი, ერთმანეთს უღრენდნენ. „სადაა, გუძა?“ თანდათან იტანდა, შიში არ იცოდა, რატომ, ახლა იმ ოთხ უცხოდ ჩაცმულ-შეთოფიარალებულ კაცს, წედან ავის და ელდის მომასწავებელი ნაბიჯით, მოძრაობით და იერით მოჩვენებასავით რომ შემოდიოდა ბანაკში, დაუწყო ქებნა. ძინი, როგორც მოულოდნელად შემოვიდნენ, ასევე მოულოდნელად გავიდნენ ბანაკიდან.

ამან კიდეც უფრო დააფეთა. გუძა არ გინახავთო, ეკითხებოდა ახლა ყველას, დიდსა და პატარას, ნაცნობსა და უცნობს. ბოლოს ჯონდის ფაცხისკენ გაიქცა.

გუძა კარის წინ იდგა. დაინახა თუ არა, ნათი მისკენ გაიქცა.

— სად იყავი, ნათი? რამდენი გეძებე!

— სად ვიქნებოდი! — უთხრა ნათიმ, — შენ გეძებდი.

— მე მეძებდი?!

— ვო, შენ გეძებდი.

— წუხელ სად გეძინა?

ნათის ფერი წაუვიდა.

— შენთან მეძინა.

— გათენებული არ იყო, რომ გამეღვიძა, შენ ფაცხაში არ იყავი.

— შენზე აღრე გამეღვიძა... საბანაოლ წავედი ჩანჩქერზე... — თვალი ფაცხისკენ გაექცა.

კარი მიხურული იყო.

— ხურციასთან უცხო სტუმრებია, — უთხრა გუძამ.

— ვინ არიან?

— ისე აცვიათ, ისეთი იარაღი ასხივით, ჩვეულებურებს არ გვანან.

— მეც ვნახე ისინი.

— რამ შეგაშინა, ნათი?

— არ ვიცი.. არ მომეწონა ის სტუმრები.

— ერთმა მითხრა, კარგი ბოში ხარ, ტამბახას გაჩუქებო.

— რატომო?

— რა დაგემართა, ნათი?!

— რატომ გაჩუქებო?... წავიღეთ აქედან.

— ქვაციმ უთხრა, ეს ჩქიმი ჭიმააო, შენი ტამბახა არ უნდაო.

— ჭიმააო?

— რა დაგემართა, ნათი?!

— რას ჩამაცივდი... რა დაგემართა? რამ შეგაშინა?

გუძამ გაკვირვებული უყურებდა, მერე ჩუმად უთხრა:

— შენი ტამბახა არ ჭირდებაო ჩქიმ ჭიმას. თვითონ მიგცემ ტამბახასო.

— მოგცემს... ქვაციმ კეთილია, უსათუოდ მოგცემს. ჰამე რამე?

— არა.

— წამოდი! — უთხრა და ფეხი ჭონდის ფაცხისკენ გადადგა.

— სად მიხვალ? — ხელი მოკიდა გუძამ, — ჩაკეტილები არიან.

— ვინ არიან ჩაკეტილები?

— ხურცია და ის უცხო სტუმრები. ქვაციმ მითხრა, იქ არ შეხვიდეთო.

— იქ რათ შედიოდით?!

— შენ გეძებდი.

— მე იქ რა მინდოდა?!

— არ ვიცი...

ნათი ცრემლს ძლივს იკავებდა.

— მე იქ რა მინდოდა?! — გაბრაზდა, ყელი დაეჭიმა, ერთ ხანს ხმას ვერ იღებდა, — რა თქვა ქვაციმ, ვინ არიან ის სტუმრები?

— ქვაციმ ისეთი ბრაზიანი სახე ჰქონდა, ვერ ვკითხე.

— რატომ ქვაციმ არ გაყვევი. აქი ტამბახას შეგპირდა!

— შენ ვიცდიდი.

— აქ რათ მიცდიდი? — კინაღამ დაუყვირა. მიხვდა, რომ უფრო ამხელდა თავს. — ქვაციმ სად წავიდა? — ჰკითხა მშვიდად, თითქმის მოფერებით.

— არ ვიცი.

— წავიღეთ ქვაციმთან! — მკლავი გადახვია მხარზე.

შუკებში ისევ ისე ისხდნენ ტყვეები. აცერებდნენ ტანისამოსს, ღორის ტყავის ჩაფულებს, ბავშვები ტირილდნენ, ქალები ეფერებოდნენ, აწყნარებდნენ.

ბანაკში ვიღაც მღეროდა. ტყვეები უსმენდნენ, ზოგი უგულოდ, ზოგი გულმსყურით.

მამა, მა სქანი კირიბი ვორდა,  
 ირ ვასაჰირსი ვოლუაფარა — ნა,  
 შერი, მა სქანი სანთელი ვორდა,  
 ხატის წობოლე ონდლუაფალი — ნა.  
 დიდა, დიდა! მეზღანი,\* ჩქიმი ცოდა.

ნათი და გუძამ დაუურადებული მიდიოდნენ შუაკაში.

თითქმის ინგირიც ისმენდა სიმღერას. მიჩუმდა მისი ზათქი და შფოთი. მამაკაცი მღეროდა. მღეროდა სევდიანად, ჩუმად, თავისთვის. ნათის ბევრჯერ გაუგონია ეს სიმღერა, მაგრამ არასოდეს არ მიუქცევია განსაკუთრებული ყურადღება. ისევ უსმენდა ხოლმე, როგორც სხვა ბევრ ამგვარ სევდიან სიმღერას. მხოლოდ ახლა ჩაუფიქრდა სიმღერის აზრს, შეიგრძნო მისი ნაზა, ვედრებით ფლერადი ჰანგი, იგრძნო, იმ კაცის თავში რა ფიქრი მუშაობდა და გულში რა ცეცხლი ტრიალებდა.

მამა, მე სი რთხინეთ, სი ჩქიმი ორდა, თინ შარეფიში მაწურაფალი — ნა, ღერაში ეყული სი ორდა მოყო, ჩხე ჩილაპორში ვილმარლეფალი — ნა დიდა, დიდა! მებღინი, ჩქიმი ცოდა.

ბანაყის სიწყნარეში და მის ბინადართა ვულში სიმღერა მოთქმსავით ეღერდა. ჩუმად, ძალიან ჩუმად მღეროდა ის ვიდაცა, მაგრამ მთელ ბანაყს ესმოდა.

ღერაში ეყული სი ორდა მოყო, ჩხეჩილაპორში ვილმარლეფალი — ნა...

ნათი და გუძა თანდათან უახლოვდებოდნენ სიმღერის ხმას.

— ნათი, — დაიწურჩულა გუძამ, — ქვაცია... ქვაცია მღერის.

ნათი შედგა, ყურს არ დაუჭერა. ვერ წარმოიდგენდა, რომ ქვაციის შეეძლო ასე მწარედ ემღერა. მისთვის ქვაცია ისეთივე გამოეცნობი, ქუში და შეუპოვარი იყო, როგორც ჯონდი. ოღონდ უფრო მოძრავი, სიცოცხლითა და ხალისით სავსე.

ნათი და გუძა ფაცხის კართან მივიდნენ. ქვაცია მამინ გამოერკვა, მათი ჩრდილი სახეზე რომ დაადგა. ხელბთაძვეშე ამოდებული კველაზე იწვა და მართლაც ისეთი სახე ჰქონდა, თითქმის მოთქვამდა. დანაშაულზე წასწრებულევით წამოხტა.

— პატ! — შესძახა და გაიცინა, ზურგს უკან, ქამარში გარკობილი დამბანა გაიძრო და ტარით გუძას გაუწოდა: — ა, რომ შეგპირდი, ფეშქეშ, ქიქე ჯიმა!

გუძამ არ გამოართვა, არ დაიჭერა, მართლა რომ აძლევდა.

1. მამა, მე შენი კრავი ვიყო, ყოველ გასაპორში თავზე შემოსაყლები — ნა,

სულო, მე შენი სანთელი ვიყო, ხატის წინ დასადნობი — ნა,

დიდა, დიდა! დავიღუბე, მე საცოდავი. მამა, მე შენ გობოვი.

შენ ჩემი იყო, სწორი გზების მაჩვენებელი — ნა,

როცა მოვკვდები, შენ მინდა ცხელა ცრემლი დამაყარო — ნა,

დიდა, დიდა, დავიღუბე, ჩემი ცოდა.

— არ მინდა, — უთხრა, მაგრამ თვალი ვერ მოსწყვიტა დამბანას.

— არ უნდა, ქვაცია, უთხრა ნათიმ, — ბალანა, მარცხს იზავს.

— ბალანა, ჯგირი ბალანა!...— კვლავ გაიცინა ქვაციმ. ნათის აღარ უყურებდა, — გუძა ბოში, ჯიმა ბოში! — ციბრუტავით შეტრიალდა თითის წვერებზე, — აბა, კირიბს მოგცემ, გადაზელილი ყველის კირიბს, — უთხრა, დამბანა ქამარში გაიჭყო, კუთხეში მდგარ ღერადიან ყველისგან დამწული ცინდლის ოდენა კრავი ამოიღო, მერე ჰადი მოუტეხა და თირვე ერთად მისცა: — ჰკიდი დო კირიბი, დიმა ტირიბი! — შესძახა და შეხტა-შემოხტა. — ჰამე, ჯიმა!

გუძამ გაუცინა.

— ნათისაც შია, ქვაცია. ნათისაც უნდა ჰკიდი დო კირიბი.

— ტყაში-მამუას კირიბი, დიმა ტირიბი! — თვალში შეხედა.

ნათი გაოცდა, როგორ შეეძლო ამ კაცს ასე სევდიანად, ასე მწარედ ემღერა.

ქვაცია თითქმის მიუხვდაო ფიქრს.

მამა, მე ჰქანი კირიბი ვორდა, ორ გასაპირისი გოლუფარი — ნა...

ახლა ეს სიმღერა სულ არ გავდა იმ სევდიან სიმღერას და ნათიმ ფაულია მთელი გულითა და სულით, ყველი და ჰადი ჩამოართვა, ჩაკბირა.

— ჰკიდი დო კირიბი, დიმა ტირიბი! — გაიმეორა ქვაციის კილოზე, თვითონაც შედგა თითის წვერებზე, მერე მოულოდნელად ჰკითხა: — ქვაცია, ვინ არიან ის კაცები?

— ვინ კაცები?

— ჯონდის სტუმრები?

— ისინი?... კაცები არიან... ჯონდის სტუმრები არიან... მოდიან და მიდიან...

ა, ჰკიდი დო, ა, ზუთხი — კედლიდან კვამლში გამოყვანილი თევზი ჩამოხსნა: — ჰამე, ძაბი!

— ქვაცია, ჩვენ დღეს გავიშვებენ? — ჰკითხა გუძამ.

— რაო, ჩემთან არ მოგწონს, ჩქიმი ჯიმა?

— ბაბასთან მინდა. როდის გაგვიშვებენ?

— როდის?... ჰა?... არ ვიცი...

ნათის სახეზე ჩრდილმა გადაუარა. არ უნდოდა დღეს წასვლა, არც ზვალ, არც ზეგ...

— გაჩუმდი და ჰამე! — გაუწყრა ძმას.

— შინ მინდა, ბაბასთან მინდა. აბა, როდის გაგვიშვებენ, ქვაცი? — ისევ ჰკითხა გუძამ.

— შეიძლება დღეს, შეიძლება ხვალ, შეიძლება ზეგ, შეიძლება... დამეთხოვე, ჯიმა! რას შემიძინდი! — გაუბრაზდა ქვაცი.

ნათი გავეირვებული მიაჩერდა. შეშინებული გუძა გვერდში ამოუდგა.

ქვაცის ადამიანის ფერი არ ედო, უაზროდ აცეცებდა შავ ყურჭივით თვალებს.

ნათი თანავრძნობით შეჰყურებდა. ვერ ზედებოდა რამ შეამფოთა, რათ გაუბრაზდა გუძას.

— ქვაცი, რა გემრიელი ყველია.

— ჩემი გადაზულილია.

— ოქროს ხელი გქონია, ქვაცი.

— მართლა გემრიელია? — გაეხარდა ქვაცის.

— ასეთი ყველი ჯერ არ მიჭამია. ისე დავიწვინია, ცოცხალ კირიბს ჰგავს... ჰკიდი დო კირიბი, დიშტა ტირიბი, — გაიმეორა ისევ ქვაცის კილოზე, მაგრამ ქვაცის თვალებში არ ელავდა წელანდელი სიხარული, არ უყურებდა ნათის.

გაჩუმდა ნათი.

დუმილი გაქეფდა ფაცხაში და იგი ძაღლების გააფთრებულმა ყეფა-ღავ-ღავმა დაარღვია.

ქვაციმ დეზად აწია თავი.

— მიდიან, — თქვა, კარისკენ მიტრიალდა.

— ვინ მიდიან? — ჰკითხა ნათიმ.

— ისინი... ნურც მობრუნებულან, — თქვა და ფაცხიდან გასხლტა.

ნათი და გუძა დიდხანს იდგნენ ყველითა და ჭადით ზელში, არ ჰამდნენ, ლუკმა პირში შერჩათ...

იმ დღეს არავინ გაუშვეს შინ. ტყვეებმა მტანჯველ მოლოდინში გაატარეს მთელი დღე. არც ჯონდის არც ქვაცი არ გამოჩენილა ბანაკში. ტყვეები, იმ კაცებს, საჭმელს რომ ურიგებდნენ, ეკითხებოდნენ, როდის გაგვიშვებენო შინ. ისინი სახეს არიდებდნენ.

— არ ვიცი.

— ეგ მე არ მეკითხება.

— რა გეჩქარებათ, რა დღეს წასულხართ, რა ხვალ, სულ ერთი არ არის?

ეუბნებოდნენ ტყვეებს. თუმცა იცოდნენ, სულ ერთი არ იყო, მაგრამ სხვა პასუხს ვერ აძლევდნენ. საჭმელი რომ ჩამოარიგეს, მამინვე ფაცხებს მიაშურეს და ისე დაღამდა, ვარეთ არ გამოსულან.

მხოლოდ ძაღლები იყვნენ ამეებულნი. ბანაკს ვარს უვლიდნენ და როგორც კი რომელიმე ტყვე მიუახლოვებოდა და ბანაკიდან გასვლას დაპირებდა, ავად უღრენდნენ, ფეხს არ ადგმევინებდნენ ღობის იქით.

ტყვეებს უკვირდათ, რატომ ედგათ ძაღლები დარაჯად, რატომ გაივრიფნენ ბანაკიდან ხურციას კაცები, რატომ სუფევდა საიდუმლოებით მოცული სიწყინარე ბანაკში, მაგრამ ამ კითხვებზე პასუხის გამცემი არავინ იყო.

ღამით იმ კაცებმა, შუა დღეზე სამხარი რომ ჩამოარიგეს, ტყვეებს უთხრეს, თურქები ბანაკიდან სულ ახლოს დაძრწიან, ამიტომ არ გიშვებთ ბანაკის იქით. ჯონდი, ქვაცი და სხვები თურქების დასაღარნად არიან წასულეები და გვიან დაბრუნდებიანო.

აფორიაქებულმა ტყვეებმა შუაღამემდე ვერ დაიძინეს. მოლოდინითა და მღელვარებით მოქანცულებს, მერე ერთბაშად მოერიათ ძილი.

მხოლოდ ნათის არ ეძინა. წარამარა ჯონდის ფაცხაში მიდიოდა. იქ, კართან ავზასოდენა ძალი იწვა. გაიგონებდა თუ არა, ნაბიჯის ხმას, თავს წამოწევდა და ისე შეხედავდა, ნათის სული ფეხებში ეპარებოდა, ციცივად შეტრიალდებოდა, უკან ვარბოდა, იქნებ ქვაცი დაბრუნდო.

ქეცი რომ არ დახვდებოდა, კიდევ უფრო ღელავდა, ადგილს ვერ პოულობდა, გუძას სასთუმალთან ჩაჯდებოდა, მის ხელს ხელში აიღებდა, დასცქეროდა მძინარე ბავშვს და ეს ოდნავ ამშვიდებდა, მაგრამ მხოლოდ ცოტა ხნით, მერე ისევ ჯონდის ფაცხაში მირბოდა.

ღამევატეხილმა, უკანასკნელად რომ მიირბინა ფხაცხასთან, ის ავაზასოდენა ძალი აღარ იწვა კართან. მოსულთ, კინალამ წამოიძახა, კართან მივიდა, შედგა, დაიცავდა, სანამ სულს მოითქვამდა, მერე ფრთხილად გადო.

კვარი არ ენთო ფაცხაში. მთვარის შუქზე მაინც დაინახა ჯონდი, ჩვეულებრივად, წელს ზევით შიშველი იწვა, საბანი არ ეფარა, დამბაჩები, დანა და ქამარი სასთუმალთან ეწყო.

არ იცოდა, ჯონდისთან მისულიყო, თუ ნაბადზე დაწოლილიყო, არ იცოდა, ეძინა თუ ეღვიძა ჯონდის. თვალები კი ჰქონდა დახუჭული. იქნებ არ ძინავს! იქნებ მე მიცდის. მივალ! ფეხი ვერ გადადგა. მივალ! ფეხი ვერ გადადგა. ასე იდგა, სანამ ჯონდი კედლისკენ არ გადაბრუნდა. ძინავს! დამშვიდდა. ძინავს, თორემ დამძახებდა. ნაბადთან მივიდა და დაწვა.

თავს ისევ მთვარის სხივთა მტკერი ადგა. ისევ ისე დაინახა ჯონდი მტკერში, როგორც წუხელ, როგორც ჩანჩქერთან.

ნათი წამოგდა.

ჯონდი წინ ედგა, წელს ზევით შიშველი და უცდიდა. ტანი ფოლადისფრად უბზინავდა.

ნათი წამოგდა, ხელები მისკენ გაიშვირა, მაგრამ ჯონდამ საწოლისკენ დაიხია. ნათიმ ნაბიჯი გადადგა. ერთი, ორი, სამი, ჯონდი საწოლისკენ იწევდა. ოთხი, ხუთი... ფეხი წამოჰკრა კველას.

ხმაურზე ჯონდი დაფეთებული წამოვარდა ლოჯინიდან და დამბაჩებს დასტაცა ხელი, არც შეუხედავს ვინ იდგა მის წინ, ისე მიუშვირა, ალაღებდავ არ ესროლა. კურდღლის ყური ჰქონდა. წელან ძილში ნათის შემოსვლა გაიგო,

არ შეიმჩნია, თავი მოამძინარა. არ უნდოდა ამაღამ ქალი. ახლა მის საწოლთან ნათი რომ დაინახა, რისხევით ენთო, მაგრამ დაფარა, არ უნდოდა ეჩვენებინა, რომ შიშმა წამოაგდო.

ნათი იდგა და უცდიდა. ჯონდამ დამბაჩები თავის ადგილზე დადო და დაწვა. ერთ ხანს გაუნძრევლად იწვა, არ იხედებოდა ნათისკენ, მერე უგულოვ კედლისკენ მიიწია...

ღილით ნათიმ პირველმა გაიღვიძა. თავი ჯონდის მკერდზე ედო. ესმოდა მისი სუნთქვა, მისი გულის ხმა, მშვიდი, ზედმეტად მშვიდი. უნდოდა დაეხედა სახეზე, მაგრამ განძრევისა ეშინოდა, ეშინოდა, არ გაეღვიძებია, უნდოდა სახეზე დაეხედა. ჯერ კარგად არც დაუნახავს მისი სახე, არ შეუხედავს თვალღებში და უნდოდა ახლა მძინარისთვის მაინც დაეხედა სახეზე, პირდაპირ, მოურიდებლად.

ჯონდის მაგრა ეძინა, როგორც მამაკაცებს ძინავთ ზოლმე ქალთან წოლის შემდეგ. ნათიმ ნელა, გაუბეღავად ასწია თავი, თვალუბნაბუჭული ჯონდის სახე ისე ქუსში და შეუბოვარი არ ეჩვენა. თითქოს ვალიმებას აპირებდა და ნათიმ წარმოიძღვინა იგი მოლიმარი. ასე უფრო ლამაზი და მომზიბლავი იყო. თვალღებში ჩანს ადამიანის სული, მაგრამ თვალები დახუჭული ჰქონდა. მოთილისმებულოვით უხუტებდა, მერე თავი ვერ შეიკავა და ლოყა ლოყაზე დაადო.

ჯონდამ გაიღვიძა, სწრაფად მოიშორა ნათი.

— რა დრო გასულა, — თქვა თავისთვის, ცივად წამოვდგა, ძიქვა ჩაიცვა და გარეთ გავიდა.

ნათი იწვა და თვალს არ ამორებდა კარს.

— მზათაა ცხენები?

მოესმა გარედან მისი ხმა.

— პატ! — გაიფონა ქეციის პასუხი.

ნათი იწვა და თვალს არ ამორებდა კარს. უცებ შიშმა აიტანა. იქნებ გუძა ქეციისთანაა. გუძა ქეციისთან იქნება და შემოვა. თავზე საბანი წაიფარა.

გუძა არ შემოვიდა.

შემობრუნდა ხურცია. ჩაიკვა ზედ-  
ტანი და წულა-მესტი, აისხა იარაღი.

ნათი საბნის ქვევიდან ადევნებდა  
თვალს.

ჯონდომ ნაბადს ხელი წამოავლო და  
ისე გავიდა, არ მოუხედია ნათისკენ,  
სიტყვა არ უთქვამს, თითქოს წუხელ  
არ წოლილიყო მასთან, არ ახსოვდა ნა-  
თი.

მალე გარეთ ცხენების თქარუნი  
ავარდა, თქარუნი სწრაფად გამოარდა  
ფაცხას და შორს მიწყდა.

ნათის არ უგრძენია შეურაცხყოფა,  
არც ტყვილი. ერთი ფიჭრი ჰქონდა,  
გუდა ხომ არ დგასო გარეთ. წამოდგა,  
კაბა ჩაიკვა, კართან მივიდა და ღო-  
ბურში გაიხედა. გუდა არ იდგა გარეთ.  
კარი გააღო და გავიდა.

ბანაკს ეძინა. მხოლოდ ძაღლები  
ფზიზლობდნენ. ბანაკის გარშემო და-  
ყუნტულები, ზანტად, მოწყენით წყუ-  
რავდნენ და ახელდნენ თვალს. შეკებ-  
ში და ფაცხებში ჰკვანება არ იყო.

არაბუნებრივ სიჩქმედ ეჩვენა ნათის  
დილის ეს სიწყნარე. არაბუნებრივად  
ეჩვენა ეს დაყუნტული და დადარაჯე-  
ბული ძაღლებიც. კარი მიხურა, მიმოი-  
ხედა და ქეაცის ფაცხისკენ გაეშურა.

გუდას ტკბილად ეძინა. ხელები აქეთ-  
იქით ეწყო ნაბადზე. იღიმებოდა, ეტ-  
ყობოდა, სიზმარში იყო. ნათი ნაბადზე  
დაეშვა, გვერდით მოუწვა. მოთენთი-  
ლი, დამძიმებული იყო მისი ტანი. თვა-  
ლი დახუჭა. უფრო მოეშვა მისი ნალა-  
ღევი სხეული. უნდოდა მისცემოდა მო-  
თენთილობას, ნებიერ სიზანტეს, დაე-  
ძინა, მოესვენებინა ტანი, რომელზე-  
დაც ახლაც გრძნობდა ჯონდის ხელებს,  
მკლავებს, მაგრამ ბანაკში გამეფებულ  
სიწყნარე აყურადებდა, აშინებდა, და  
ამ დამეპყვებულ სიწყნარეს ჯონდის  
უკავშირებდა.

თვითონაც არ იცოდა რატომ? რა  
საერთო იყო შიშის მომგვრელ სიწყნარ-  
ესა და ჯონდის შორის? იქნებ ის,  
რომ ჯონდი, მისი საქციელი, მისი დუ-  
მილი, მისი კაცები, ჰვაცის ლაპარაკი  
გუძასთან, მისი გაბრაზება, მისი სიმღე-

რა და მთელი ბანაკი გარემოცული იყო  
გამოუცნობი, მისთვის მათუწვდომი სა-  
იდუმლოებით. ის უცხოდ წაეცმულ  
და შეთოფიარადებული სტუმრების,  
მოჩვენებასავით რომ გამოჩნდებიან ბა-  
ნაკში და მოჩვენებასავით რომ გაქრე-  
ბიან.

ცდილობდა ყველაფერ ამიდან გამო-  
ეყო ჯონდი, როგორც სიმშვიდის და  
იმედის შთამინერგავი. აფორიაქებულს,  
მოსვენებადაკარგულს, ჯონდიზე ფიჭრი  
ამშვიდებდა, აჭერებდა რალაც კარგში,  
კეთილში.

ვერც დაიძინა და ვერც მოისვენა,  
გუდა რომ არ გაეღვიძებია, ადგა და აი-  
ვანზე გავიდა, კველაზე დაჯდა, ზურ-  
გით კედელს მიეყრდნო, თავი უკან  
გადაწია. ჯონდის შესცქეროდა, წელს  
ზევით შიშველს, ქუშა და ცივს. ჯონ-  
დი თვალში არ უყურებდა. მისი უფე-  
რული საზე ჩვეულებრივზე უფრო მკა-  
ცი და შეუპოვარი იყო. შემომხედე,  
ჯონდი! თვალში შემომხედე, ბოში!  
ჯონდის უფრო შეეკრა სახე.

ნათის შეაერთოლა, მაგრამ მაინც  
მზად იყო გაეშვირა მისკენ ხელები.  
მიცემოდა მის მკლავებს. ჩვენთვის იგი  
ალოონზე დგება და შუა ღამეზე ბრუნ-  
დება. მთელი დღე ბანაკს უტრიალებს,  
რომ თურქები არ დაგვეცენ. საფრთხე-  
ში იგდებს თავს, საფრთხეში აფდებს  
თავის კაცებს. რამდენი ხანია ხმალ-  
ქვეშ არიან, არც ძილია მათთვის, არც  
მოსვენება.

შეეცოდა ხურცია. სიყვარულისთვი-  
საც არ ცალთა, იმისი დრო არ აქვს,  
რომ დამელაპარაკოს. ჯერ ისიც კი არ  
უთქვამს, რომ ვუყვარვარ. ღმერთო ჩე-  
მო, რა ბედნიერი ვარ. ჯონდი ჩემია!..  
იგი ღირსია ას ქალს უყვარდეს, მთე-  
ლი ქვეყნის საქალეთს უყვარდეს!.. იგი  
ჩემია, ჩემი!..

— ვის ელაპარაკები, ნათი?!

მოესმა გუძას ხმა. გამოერკვა, ეგო-  
ნა, რომ ფიჭრობდა და თურმე ხმალ-  
ლა ლაპარაკობდა თავის ფიჭრს. არ და-  
იბნა, არ დაუშალა ძმას.

— ჯონდის ველაპარაკებოდი.

— მერე, სადაა ჯონდი?!

— წავიდა.

— ქვაცი?!

— ქვაციც წავიდა.

— დიდი ხანია აღეჭი?

— ეს-ესაა.

— რა თქვა ჯონდომ, როდის გავვიშვებენ?

— იფუძა, მე არ წამოვალ, — უთხრა მოულოდნელად ნათომ.

— არ წამოხვალ?! — იფუძას გაოცებისგან თვალეები გაუღიღღა.

— არ მინდა შინ წასვლა.

— არ გინდა შინ წასვლა?!

— აქ მინდა დავრჩე.

— ვისთან, ქვაცისთან?

— არა, ჯონდისთან.

— რას ამბობ, ნათი?!

— ჯონდისთან მინდა დავრჩე.

— რა გინდა ჯონდისთან?!

— არ ვიცი.

— აბა, ვინ იცის?!

— არ ვიცი, გუძა.

— რა ვუთხრა, ბაბას, ნათი სად არისო, რომ მკითხავს?

— არ ვიცი.

— გუძა კველაზე ჩამოჯდა.

— მაინც რა ვუთხრა ბაბას?

— ჯონდი ზურციასთან დარჩა-თქო.

— რატომო, რომ მკითხავს!

— გაჩუმდი, იფუძა, — უთხრა და მერე გამოცეცილი ხმით დაუმატა: — მეც არ ვიცი, რატომ.

— ნათი, რა დაგემართა?!

— ის დამემართა, რომ... ჯონდი მიყვარს, — არ უნდოდა ამის თქმა.

— გუძამ არ იცოდა, რას ნიშნავდა ეს, რა უთხრა ნათომ, მაგრამ იგრძნო, რაღაც ცუდი უთხრა.

— ნათის თვალეები ცრემლით აფესო.

— გუძა შესეკვროდა და ელოდა რას ეტყოდა კიდევ, მაგრამ ნათი დუმდა. ცრემლი ლოყაზე ჩამოუგორდა. გუძა შიშით უყურებდა.

— ჯონდი მიყვარს, გუძა.

— ბაბაც ხომ გიყვარს, ნათი?.. დედაც, კოჩოიაც, ძუკუიაც, მეც?

— ყველანი მიყვარხართ, გუძა. თავს

მირჩევენხართ, — ენა დაება, გაჩუმდა.

— მერე?

— ჯონდი ქვეყანას მიტოვებდა, კვლავ დაება ენა.

— რატომ?!

— აღარ გაუბრაზდა. შეეცოდა, ხელი მოკიდა.

— არ ვიცი, ნუ მეკითხები!.. შენ ჯერ პატარა ხარ, ვერ გაიგებ. გესმის?.. მეც არ მესმის, იფუძა, რა ხდება ჩემს თავზე.

— გუძა ცრემლს ძლივს იკავებდა.

— ნუ ტირი, ნათი!

— გუძა...!

— ნუ ტირი, ნათი!

— რა ვქნა, გუძა?

— მეც დავრჩები შენთან. უშენოთ არ წავალ.

— შენ არა, შენ არა, იფუძა! — შესძახა ბევწინით. აკოცა, მოეხვია, — თურქებს რომ გარეკავენ, მერე მე და ჯონდიც ჩამოვალთ... ქორწილს გადავიხდით...

— ქორწილს, — გაიღიმა გუძამ.

— დიდ ქორწილს. უტუღია ნაჭყებიამ რომ გადაიხადა, ისეთს.

— მერე, ჯონდი შენი ქმარი იქნება?

— იქნება, გუძა, იქნება. ჯონდი ჩემი ქმარი იქნება.

— გუძას ღიმილი გაუქრა.

— ჯონდი ტამბაჩას ჩამოგიტანს, ვერცხლით მოჭედელს... სატევეარსაც...

— არ მინდა ტამბაჩა, არც სატევეარი, არც ჯონდი. წამოდი შინ ბაბასთან, მე მარტო არ წავალ, წამოდი შინ!

— თურქებს რომ გარეკავენ, მერე ჩამოვალთ მე და ჯონდი.

— როდის გარეკავენ თურქებს?

— მალე, სულ მალე, გუძა. თურქე დადიანი სევანეთიდან ჯარის ჩამოყვანას ამირებს.

— რა არის სევანეთი, ნათი?

— ქვეყანაა. ჩვენი ოდიშისთანა ქვეყანა. სევანები მთებში ცხოვრობენ, სულ ზევით. აი, იმ თოვლიანი მთების ძირში.

— სევანები...!

— ჩვენისთანა ქალები, კაცები და ბავშვები. ოღონდ იმათ თავისი მთავა-

რი ჰყავთ, დაღუშქელიანი. თურქები სვანების მტრებიცაა და ჩვენიც.

— რა უნდათ ჩვენთან თურქებს, რატომა იმათი მტერიც და ჩვენიც.

— არ ვიცი, გუდა. არ ვიცი, რას გვერჩიან ის წყეულები. რატომ არ გვაყენებენ ჩვენს მიწაზე...

უცებ გააფთრებით აყეფდნენ ძალები.

— ისინია, — წამოიძახა ნათიმ, წამოხტა და გუდა ფაცხაში შეიტაცა, კარი მოხურა.

— რათ შეგეშინდა, ნათი? — ჰკითხა გუდამ.

— არ ვიცი... რა უნდათ, რატომ მოდიან ყოველ დღე, ყოველ ღამე? რა დაყარეს აქ, რას ეძებენ? არ მომწონს, გუდა, ის ხალხი. გული რაღაც ცუდს მიგრძნობს.

ძაღლების ყუფამ მთელი ბანაკი გააღვიძა. ტანისამოსის ჩაცმით გამოდიოდა ქალი და კაცი ფაცხებიდან, შეშინებული, ნაძინარევი.

კარს მიკრული ნათი ღობურიდან უყურებდა შუკას, საიდანაც ძაღლების ყუფა ისმოდა.

გამოჩნდა შუკაში უცხოელ ჩაცმული და შეთოფიარლებული ოთხი კაცი. ისეთი ნაბიჯით მოდიოდნენ, თითქოს მთელი ქვეყანა მათი იყო, მოდიოდნენ ჭიჭურად, ყიფი იერით. უკვე აღარ ერიდებოდათ ტყვეებისა, არ ესალმებოდნენ. მათ კიდევ სხვა ოთხი ახლდა, უფრო გორიზად შემართულები.

ტყვეები მღუმარედ იდგნენ, თვალს არ აშორებდნენ...

შინით, მღელვარებით და მოლოდინით დაღლილ-დაქანცული, მთელი სხეულით მოშვებული ნათი ჯონდის ლოგინზე იწვა და უცდიდა. მისი გონება არ მუშაობდა, გული განაკებდა მის ყოველ მოქმედებას, ამიტომ დაწვა მის საწოლზე, თორემ, რა გააბედვინებდა ჯონდის დილანდელი საქციელის შემდეგ იწვა და უცდიდა.

გარიყრაჟი მოახლოებული იყო. დრო მაინც არ იღეოდა ნათისთვის. ჯონდი არ ჩანდა.

იმ უცხოელ ჩაცმული და შეთოფიარლებული კაცების შინით, ნათიმ უკარი მოხურული ჰქონდა, კვარებიც სახანძროთ. სიტყვ ცეცხლივით ეკიდა ტანზე, ოფლში გაღვრილს, კაბა ტანზე ეწებებოდა.

გუდა მარტოა იქ, როგორ მივატოვე! იქნებ ჭკაციც არ არის მოსული. დაინახა შუკაში მომავალი ის უცხოელ ჩაცმული და შეთოფიარლებული კაცი, დაინახა გორიზად შემართული მათი ყიფი სახე, გაიგონა მათი ნაბიჯის ხმა, გაიგონა ძაღლების გააფთრებული ყუფა. გუდა იქ მარტოა! უნდოდა წამომდგარიყო და გუდასთან გაქცეულიყო. ტანი არ დაეშორჩილა. უნდოდა არ ეფიქრა გუდაზე. არც იმ კაცებზე, არ გაეგონა ძაღლების ყუფა. უნდოდა ჯონდისზე ეფიქრა, მხოლოდ ჯონდისზე. ის დაიფარავდა გუდას, ნათისაც, ტყვეებსაც.

შორს, რომელიღაც დიდმა ფრინველმა იკივლა, გაჰკვეთა ღამის მყუდროება და მიჩუმდა. ამის შემდეგ სიწყნარე უფრო გასაგონი გახდა და ნათი გაინახა, ნელა გადაბრუნდა, ლოყა ჯონდის ბალიშზე დადო, მიეკრა ისე, როგორც წუბელ მის ლოყას ეკვროდა. იგრძნო ჯონდის ტანის სუნის და დამშვიდდა. იწვა და ისვენებდა. თვალი დახუჭა. ბურუსში იწვა და მიფრინავდა, მიფრინავდა მსუბუქად, უსასრულოდ, აღარ სცხელოდა, აღარ ეწებებოდა კაბა, გრილი, საამო ნიაგი ეგებებოდა და ამ ნიაგსაც ბალიშის სუნის ჰქონდა...

თვალი გაახილა. კარი ღია იყო. გარედან ინგირის სივრილე შემოდოდა, გარედან მთვარის შუქი იღვრებოდა. შუქში ჯონდი იდგა. შეხედა ნათიმ. ჯონდი სულ ახლო იდგა. მთვარის შუქი ზურგში სცემდა, სახე ჩრდილში ჰქონდა. ნათი მაინც ხედავდა, რომ ჯონდი დასცქეროდა, მაგრამ არა სახეზე, დასცქეროდა მხრებზე, მკერდზე, მკლავებზე. ნათის უნდოდა რაიმე ეთქვა ჯონდის, თუნდ ერთი სიტყვა, ოღონდ ეთქვა, ჰმა ამოეღო და სულ ერთი იყო, რას იტყოდა.

— ჯონდი, — უთხრა თვითონ ამო  
ლოდინის შემდეგ.

ჯონდომ არ უპასუხა.

— მითხარი რამე, ჯონდი!

ჯონდომ არ უპასუხა. იღგა და დას-  
ცქეროდა მზრებზე, მკერდზე, მკლავებ-  
ზე, შემდეგ დამბაჩები ამოიძრო, ქამა-  
რი და დანა შეიხსნა, სასთუმალთან  
დადო, წელს ზევით გაშიშვლდა. ძიქვას  
საერთოდ არ იხდიდა, ახლა არც წუ-  
ღა-მესტი იგახიდა.

ნათიმ კედლისკენ მიიწია.

ჯონდი ლოგინზე ჩამოჯდა. უნდოდა,  
ნათისთვის ეთქვა, წადი, შენს ნაბადზე  
დაწექიო, მაგრამ გადაიფიქრა და გუ-  
ლადმა გაიშხლართა. არ შეხებია ნათის  
ტანს.

ნათიც გულადმა იწვა. გრძნობდა,  
ჯონდის არ უნდოდა, რომ გვერდით  
ეწვა.

გარედან ინგირის ხათქი და სიგრა-  
ლე შემოდიოდა.

ჩუმად იწვნენ.

მერე სიჩუმე ისევ იმ შემინებულ  
ფრინველის კვილიმა გაკვეთა და მი-  
ჩუმდა.

ნათი წელან არ შეაშინა ამ ხმამ. ახ-  
ლა ელდა ეცა. ჯონდისკენ გადაბრუნ-  
და.

— ჯონდი!..

ჯონდის ეძინა.

— ჯონდი!..

ნათიმ თავქვეშ ამოღო ხელი.

— ჯონდი!.. ჯონდი!.. — ჩურჩულებ-  
და და კოცნიდა სახეზე, თვალბში, —  
მითხარი რამე, ჯონდი!

ჯონდომ ფაილგობდა, მაგრამ თვალი არ  
გახილა, არ უპასუხა კოცნაზე, არ  
უთხრა არაფერი, მისთვის გაუგებარი  
იყო ნათის სიტყვები. ქალს უნდა  
უყვარდეს კაცი. ქალისთვის ესეც საკ-  
მარისია, რომ კაცი წვება მასთან, ქალ-  
მა მეტი არაფერი არ უნდა მოსთხოვოს  
კაცს, მეტი არაფერი ევალება კაცს.  
ასე ფიქრობდა ხურცია ქალზე და ახლა  
ნათის სიტყვები აღიზიანებდა და რომ  
გაეჩუმებია, ხელი ამოსდო წელს ქვეშ  
და ქვეშ მოიქცია.

— ჯონდი!.. ჯონდი!.. — იშორებდა  
ნათი მის ტუჩებს, — ჯონდი!.. —  
სული შეუგებდა...

ძიღში გუძას ძაბილი შეესმა, შორი-  
დან, ძალიან შორიდან. სიზმარი ეგო-  
ნა, მაგრამ გუძა ისეთი განწირული  
ხმით უხმობდა, რომ მაშინვე გაიღვიძა.  
ჯონდი აღარ ეწვა გვერდით, არ იყო  
ფაცხამიც. დამბაჩები, დანა, ქამარი და  
ხალათი სასთუმალთან იდო. ნათი ჯერ  
კიდევ კარგად არ იყო გამოფხიზლებუ-  
ლი, რომ კვლავ შეესმა გუძას ძაბილი.  
დაფეთებული წამოიჭრა, კარს ხელი  
ჰკრა, გარეთ გაეარდა.

მაშინვე დაინახა ინგირის მალალ ნა-  
პირზე მდგარი ჯონდი და ქვაცი. დი-  
ლის მზის შუქი სცემდათ წინიდან და  
ლანდებივით მოჩანდნენ ინგირზე გადა-  
კიდულნი.

ჯონდი მდინარეში ჩამავალ ბილიკს  
ჩაეცქეროდა. ქვაცი მის უკან იღგა.

ნათიმ მიმოიხედა. ტყვეები არც შუ-  
კებში ჩანდნენ და არც ფაცხების აა-  
ვანზე. ქვაცისგან მოშორებით ჯონდის  
კაცები იღგნენ.

ნათი ჯონდისკენ წავიდა. ჩაუარა ქვა-  
ცის, მივიდა ჯონდისთან და მის უკან  
შედგა.

ინგირში ჩამავალ დაკლავნილ, ვიწ-  
რო ბილიკზე ერთიმეორის მიყოლებით  
თავპირახვეული და ხელუბგაჯრული  
ტყვეები ჩაჰყავდათ. სამ ტყვეს, ის  
უცხოდ ჩაცმული და შეთოფიარაღე-  
ბული კაცები მიუძღოდნენ, — ერთი  
წინ, მეორე უკან. ხელში შემართული  
დამბაჩები ეჭირათ და ტყვეებისთვის  
ზურგში ჰქონდათ მიშვერილი.

დროადადრო ტყვეებთაგან რომელი-  
მე შედგებოდა, იქით მიბრუნდებოდა,  
სადაც ზურცია ეგულდებოდა, მაგრამ  
თავპირახვეული ვერ ხედავდა, ვერც  
ხმა ამოსდიოდა ბირიდან. მისი ტანის  
მოძრაობით და ხელების ქნევით იგრძ-  
ნობოდა, რომ წყველა-კრულვას უგ-  
ზავნიდა.

ნათიმ თვალზე ხელი მოისვა. სიზმა-  
რი არ იყო, ლიბრი გადაეხადა თვალი-  
დან. ტყვეები მიჰყავდათ იმ უცხოდ

ჩაცმულ და შეთოფიარალებულ კაცებს. სად მიჰყავთ? გაიფიქრა თავზარდაცემულმა და თითქოს პასუხად, ქვევიდან გუძას ძახილი მოესმა:

— ნა...თიი!

ნათიმ შყის დაინახა ძმა.

ერთ-ერთმა იმ უცხოელ ჩაცმულმა და შეთოფიარალებულმა თავში წაჰკრა გუძას. ბავშვი შებარბაცდა, კინალამ ინგირში გადაიჩეხა.

ნათიმ შეჰკვივლა.

ხურცია გველნაკბენივით მოტრიალდა, რისხვით შეავლო თვალი, მაგრამ უშალ ფერი ეცვალა. ისეთი ზიზღი და საძულველი ეხატა ნათის სახეზე, რომ შეცბა. ვალიმება სცადა, იგრძნო რომ ღიმილის ნაცვლად, სახე დაემანჭა. გაჯავრდა თავის თავზე. დამბაჩისკენ წაუვიდა ხელი. იარაღი არ ესხა. დაინახა, რომ ეს მოძრაობა არ გამოეპარა ნათის და დაცინვის ღიმილით შეეპო ბავკე. ნათი პირველად უყურებდა თვალში და შეძრწუნდა მისი სიცივიტით, ფერით. ლურსმანივით თვალეზიანო, იტყვიან ასეთ თვალეზზე და მართლაც ლურსმანივით ჩხვლეტდნენ ახლა ისანი ნათის.

ხურციას უკან უფსკრული იყო. წინ ნათი იდგა, თვალს არ აშორებდა და ეს თავზეხელაღებული, გულჭკა კაცი შედრკა. ნათი გაოგნებული იყო. რამ დააბრმავა ასე, როგორ შეეძლო წოლილიყო მასთან, ჩახვეოდა მის მკლავებს.

უცებ ხურციას მკლავები ისე გააშალნენ მოსახვევად, როგორც იქ, ჩანჩქერის მტვერში, როგორც ფაცხამი, მთვარის სხივების მტვერში და იმის შიშით, რომ მართლა არ მოხვეოდნენ, მკილი ჰკრა მკერდში.

ხურცია შექანდა. თავი რომ შეეკავებინა, მკლავები აყარა, მაგრამ ამ მოძრაობამ უფრო სწრაფად მოწყვეტა ნაბირს და ინგირში გადაიჩეხა.

ნათიმ მხოლოდ მის თითებს შეასწრო თვალი.

— ჰატ! — გაისმა ქვაცის აღტაცებული შეძახილი.

ნათი ნელა მიბრუნდა მისკენ. ქვაცი სულითა და ზორცით ხურციასი ეგონა. ახლა მკრთალი ღიმილი ეფინა ამ კაცს ჩაღამებულ სახეზე. ერთი ხელი სატევრის კოტაზე ედო, მეორე წელზე, თითის წვერებზე შემდგარი, ასაფრენად მომზადებულ არწივს ჰგავდა.

— ტყაში-მაფა, — ტკივილით უთხრა ნათის.

ნათი ისე იყო გაოგნებული, არ გაუგონია ქვაცის ხმა, ბილიკისკენ გაიქცა.

ქვაცი რამდენიმე ნახტომით დაეწია და გზა გადაუჭრა.

— გვიანაა, ნათი. ისინი უკვე გაღმა არიან.

ცარიელ ბილიკზე ინგირის ტალღები მხლარტუნით ასკდებოდა წინ გაშვერილ კლდის შავ პიტალოს და ზედ ეხეოდა.

— ათს შინ გაუშვებდა, ხუთ იმდენს ყიდიდა.

ქვაცის უკან ხურციას კაცები იდგნენ და ჩუმად შეუყურებდნენ ნათის. შემდეგ ერთბაშად ალაპარაკდნენ. ზოგი აღტაცებული იყო, ზოგი გაოცებული და ზოგიც გაბოროტებული.

ნათი არაფერს ხედავდა, არაფერი ესმოდა, თვალეზი ცრემლით ჰქონდა დაბინდული, მხოლოდ გუძას განწირული ხმა ედგა ყურში, მხოლოდ მისი სახე ედგა თვალწინ.



## უბის წიგნაკირან

• • •

რა უცნაური კაცი ვიყავი,  
ყველა ლერწმისგან სალამურს ვთლიდი,  
ყველა ზღაპარი, ყველა იგავი,  
მე სინამდვილედ ძველად რომ ვთელიდა,  
გამოვიგონე თურმე მე თვითონ  
და მერე დიდხანს მჯეროდა მათი.  
და ეხლაც მჯერა, მჯერა რომ ვითომ  
ვარ უსასრულო და გოლიათი.

## გოგამონაღარ...

...და შენი ჩრდილი  
მანდილივით  
მსუბუქი, სუფთა,  
ჩამივლის გვერდით  
და სივრცეში  
მიიმალევა —  
გაჩნდება ერთი  
სულ პატარა  
ნაოჭი შუბლთან  
და განვლილ მანძილს  
დააჩნდება  
ჩემი თვალები.

## ზაქარია შარაზარიშვილი

### ჩემო უნივერსიტეტო

თანაკურსელებთან შეხვედრის გამო

თეთრი, თეთრი ნათლის სვეტი,  
დერეფნები სიჭაბუკის,  
ჩვენი უნივერსიტეტის  
ეს სითეთრე ვიღას უკვირს.

არ მიუდის შრომა უქმად,  
ძალუმობს და გუგუნებსო,  
მაგრამ გვახსოვს — იდგა მუქად,  
ულონოდ და უგუნებოდ.

ძმებო, თმში დასეტყვილნო,  
სწუხართ დღეებს, გაცდენილებს,  
სწავლის გზები, გაწყვეტილი  
ბევრსა ახლაც აცდენებებს.

დებო, თანაკურსელების  
დამკარგავნო წყება-წყებად,  
დღესაც მათ ნაზ სულს ვვლებით  
და ვერც შესძლებთ დაეიწყებას.

ჩემო თანამერსელებო,  
თქვენზე ფიქრს რომ დამეს ვუთვე,  
თქვენს სიყვარულს ვეაზელი,  
თქვენთან შეყრის ლამაზ წუთებს.

სიხარული, დღეს რომ გვაგზნებს,  
სხვა სიხარულს ყველას მეტობს,  
გაუმარჯოს შენს დარბაზებს,  
ჩვენი უნივერსიტეტო!

### სიყვილ ნუთაბი

კვლავ მეძახიან თოვაში, ქარში,  
თუ მოჩვენება არის განგების?!  
წამოვიჭერი და ღია კარში  
ჩამოდგნენ სკოლის ამხანაგები.

და აღორძინდნენ სიყრმის წუთები,  
მთელი წარსული ახლად მიაშბეს,  
რომელსაც ასე ვესათუთები,  
რომელსაც ასე ვულოლიაებ.

სულის ამოთქმას აღარ მაცლიან,  
ვიგონებთ დღეებს ნათელს, კრიალას,  
ოცნებამ ისევ ყრმებად გვაქცია  
და სკოლის ზარი ააწკრიალა.

კვლავ ყურთასმენას უპირებს გმანვას  
შორს მისაწვდენი მისი ქლარუნი,  
როგორც დაჰფაროს რიონის ბანმა  
ზილი ჯგჯორის, კრინი ღარულის.

ზღვა სიხარულის ეს სინამდვილე  
სერზე გადამდგარ ამ ჩემს ცხოვრებას  
გააფერადებს, გააადვილებს,  
ვემახსოვრები, შემახსოვრება.

ამ მზემ და მიწამ რაც რამ გვაჩუქეს,  
მადლობა გუძღვნათ შოთა, ოთია,  
ეს გაუმარჯოს იმ სირაუქეს,  
ისე მარტივს და ისე შფოთიანს!..

## სიზნუს იქიან



უფასურდება მასთან საესებით  
სრა და სასახლე ნათალ-ნაგები,  
როცა მზვდებიან ღონით საესენი,  
ბოკვერთა ჩემთა ამხანაგები.


არ მამადლიან სალამს ურიგოდ,  
აქვთ მოღერილი ნორჩი ყვლები  
და უნდათ ყველას ჩამოურიგონ  
ღიმილთა თვისთა ცისარტყელები.

მათი სალამის დიდო სალაროვ,  
მათი ღიმილის წმინდა ნათელო,  
თქვენ შე შეძახით, თქვენ შე შავალებთ  
ზრუნვით ვაღამო, ზრუნვით ვათენო.

უფსიზლობ, ფიქრები აღარ მტოვებენ,  
მინდა მოეუხმო აზრს და სიმჭევრეს,  
ჩემთა პირშმოთა თანატოლები  
ჩემს არსებაში სივრცეს იჭერენ.

ამ სიხარულით სუნთქვა მეგვრება,  
რამაც მოკეთე ბევრი შემძინა,  
როდის მეღირსოს შევძლო გარკვევა,  
ცხოვრების სიბრძნე ახლა შემძინა.

ახლა შემძინა, ლამის გამსრისოს  
და გამიჩინოს ცეცხლი უქრობი,  
ჩემი ცხოვრების მერმის-გაისო,  
სხეული რაღაც მემსუბუქება...



## პატივი

• • •

ო, ვიდადი, დააკვირდი ტრიალს კაცთა ბედის,  
დააკვირდი, საით მიჰქრის წუთისოფლის ეტლი!

დააკვირდი ყოვლისშემძლე შემოქმედის ნებას,  
გაუბრაზდა ბოროტმოქმედს თვითონ შემოქმედი!

ტალი ღამით ანათებდა, მაგრამ დილით ჩაქრა,  
გულცივ ტირანს თავს დაატყდა რისხვა მეტის მეტი!

ოქროს გვირგვინს მოაშორეს მბრძანებელი მკაცრი,  
თავი ფეხებს შორის დარჩა, დააკვირდი ერთი!

მე გადავრჩი, გადავურჩი ბედისწერის რისხვას,  
მბრძანებელს ხომ სურდა თავი მოეკვთა ჩემთვის!

მჭედლის ლურსმნით აჭედებენ იმ მბრძანებლის კუბოს,  
ვინაც მოკვლა გადასწყვეტა პატიოსან მჭედლის!

შენ გახსოვდეს მაგალითი აღამამედ ხანის  
და შაჰისა — სისხლიმღვრელის მარად, განუწყვეტლივ!

გაერთიდე აღამიანს, ნუ ენდობი შეილებს,  
არც ძმის გვერდით გაიარო, არც მეგობრის გვერდით!

ვაგიფ, თვალი მოარიდე ღამაზსა და მახინჯს,  
მიუბრუნდი ყოვლისშემძლეს და მის მომხრეს კეთილს.

## სინანული საყვარლის გემო

რა ხანია საყვარელი მენატრება,  
ნეტავ ჩემკენ მომავალი დავინახო,  
გული დაცხრეს, სულმა იგრძინოს ნეტარება  
და ბაღნარი რტომირავალი დავინახო.

გავიხარო, დარდი მივეცე დავიწყებას,  
ვაკოცო და არ დამჭირდეს დაფიცება,



შეუმჩნევლად გადავუსხნა საკინძე და  
 მისი მკერდის მოსავალი დავინახო.

ჩავეხვით და დავკოცნო გამალებით  
 მიმზიდველი ტუჩები და დალალები,  
 ველურსო, თავი ვეღარ დაფანებო,  
 თუნდაც მწერა ონავარი დავინახო.

მაგრამ ბედთან ვერ შევწყვიტე დავა კიდევ,  
 კენესის გული ლამაზმანის გადამკიდე,  
 მინდა ერთი ყურადღებით დავაკვირდე,  
 ჩემი მტერი ხომ არ არის — დავინახო.

არ მასვენებს ვაგიფს ბედი ონავარი,  
 მსურს, ვიხილო გაზაფხული რტომრავალი,  
 დავინახო სატრფო ჩემკენ მომავალი, —  
 ჩემი ტკბილი მომავალი დავინახო.

### ღამაზის აღწერა

მე არ მომწონს ტურფა ლერწმის მინაგვარი,  
 ჩემი ტურფა უნდა საესე გედი იყოს,  
 წელი წვრილი, ტანი ჰქონდეს მინაქარის,  
 თმა შავი და სახე უნდა თეთრი იყოს.

დილით ადგეს, შეიღებოს თვალი სურმით,  
 დაიხვიოს დალალები დანისლული,  
 გამოვიდეს, გაიაროს შარიშურით,  
 გაიცინოს, და მწესავით კენტი იყოს.

მხიარულმა ბალი ისე გადიაროს,  
 თეთრი ვარდი უმაღ დაადარდიანოს  
 ხელოში გრძელი ნაწნავები ატრიალოს,  
 ნაწნავები ორი მსხვილი ღვედი იყოს.

წარბებს ქვემოთ ენთოს ორი ნალვერდალი,  
 თეძოები საესე ჰქონდეს ნამეტანი,  
 შეხებინასა ერხეოდეს საესე ტანი,  
 რბილი იყოს, მოლულუნე მტრედი იყოს.

ანათებდეს ბეჭდიოთა და საყურეთი,  
 ვაგიფს სწავადეს მისი ცეცხლი დაუმრეტი,  
 ან ცამეტის, ან თოთხმეტის, ან თუთხმეტის —  
 არც ნაკლების, არც ამაზე მეტის იყოს.



• • •

თუკი ქალი თავიდანვე კობტაა და ლამაზი,  
ასი წელიც რომ გავიდეს, მას შეაქვებს მგოსანი,  
ფერს არასდროს არ შეიცვლის, როგორც თქრო ხალასი  
და იბრწყინებს მარად, როგორც თვალი პატიოსანი.

• • •

ლამაზმანი სილამაზეს არ დაჰკარგავს არასდროს,  
ტანს აიყრის, დამშვენდება, როგორც ტურფა ყვავილი,  
მისი ერთი შემოხედვა გულს ანაზღად დაათრობს,  
ყველგან ვარდი აყვავდება, სადაც ტურფა გაივლის.

• • •

თუნდ დაბერდეს, თუნდაც გახდეს ასზე არა-ნაკლების,  
დასუსტდეს და მიათრევედეს ფეხებს ძალის-ძალათი,  
ბევრს დასწვავენ მაინც მისი თვალები და წარბები,  
მისი მზერა არ დაინდობს არვის, როგორც ჯალათი.

• • •

მისი მზერა კიდევ მრავალს აღელვებს და აწამებს,  
მას ამშვენებს ძველი ეშხი და წარსულის დიდება,  
გულწრფელ გულებს მახვილივით კვლავ უმიზნებს წამწამებს  
და სიმტკიცეს ვაჟკაცისა მუსრავს დაურიდებლად.

• • •

ვაგიფ, თუ გასურს მშვიდად განვლო ამ ცხოვრების შარაგზა,  
შეიყვარე, ვინაც ტრფობის ფასი იცის ნამდვილი,  
მას კი, ვინაც შეიყვარებს ახალგაზრდა ლამაზმანს,  
არასოდეს მოასვენებს ურჩი ცნობის წადილი.

• • •

მტკვრის ნაპირი სასეირნოდ ლამაზია მარადეჟამს,  
დილიდანვე სალალობოდ გვიხმობს ტკბილი საარი,  
მაგრამ შავი თვალები და დალალები არა ჩანს,  
ჩვენ რომ მოგვწონს, იმისთანა ლამაზმანი არ არი.

• • •

იანვარში გირაგბასანს არ სჯობია ადგილი,  
მთელი ქვეყნის თვალი არი, თვალი არი არანის,  
ზომიერი, მშვენიერი სამოთხეა ნამდვილი, —  
მაგრამ ჩვენ რომ გვენატრება, იმისთანა არ არი.

• • •

ბევრი კობტა დასეირნობს ირგვლივ უმისამართოდ,  
გულებს ლახვრავს ბევრის მზერა, ბევრის ნაწამწამარი,  
მაგრამ მკვირცხლი, ენატკბილი, სულს რომელიც გაათბობს,  
იმისთანა ლამაზმანი, სამწუხაროდ, არ არი.



• • •  
 ამ მხარეში ლხენით გავეხვებ მიწაცა და ჰაერიც,  
 აგიტაცებს, გაგიტაცებს ვნება დაუფარავი,  
 ლამაზ კუთხეს ალამაზებს ტურფა ათასნაირი,  
 მაგრამ ნაზი მოალერსე იმათ შორის არ არი.

• • •  
 თვალს ატყვევებს მათი შავი დალალების თილისმა,  
 მოჭარგული სამოსი და ვერცხლისფერი ქაშარი,  
 თავსაფარი მოუხურავთ ალისფერი, ყირმიზა,  
 ლენაქი კი, სამწუხაროდ, არ არი და არ არი.

• • •  
 ერთს ლოყებზე ხალები აქვს, ნიკაპზედაც ხალები,  
 მაგრამ მკერდზე არ აყრია გიშრისფერი დალალი,  
 ამის გამო მისი ემსხი მკრთალია და ღარიბი,  
 უდალად სილამაზე სრულყოფილი არ არი.

• • •  
 ისე, როგორც შევარდენი, ხარბი და მუხანათი,  
 გითვალთვლებს, რომ გარგუნოს ნალველი და ვარამი,  
 ასე თავის მსხვერპლს უყურებს უღმობელი ჯალათი,  
 მაგრამ მზერა მოსაკლავად საკმარისი არ არი.

• • •  
 მე ამ გზაზე დავიღალე, აღარაფერს დავეძებ,  
 ყველაფერი ამოა, ყველაფერი არამი.  
 ვერცხლის ძვირფას სამაჯურზე, მოჭათჭათე მკლავებზე,  
 სამწუხაროდ, წმინდა ქარვა არ იყო და არ არი.

• • •  
 თმებს ივარცხნის, ვიშრის ნაწნავს ჩამოიშლის ყვლამდე  
 და ტრიალებს სარკეებთან მარად დაუღალავი,  
 დილით წარბებს და წამწამებს სურმით შეიფერადებს,  
 მაგრამ ინით შეღებილი ხელი მაინც არ არი.

• • •  
 დღეს ვაგიფი ღმერთისაგან მოწყალებას მოველი,  
 ვინც აქ შოვა, არ ასცდება მძიმე ლოდი სამარის,  
 ახლა ისევ მახსენდება ჩვენი ტურფა ყოველი,  
 სამწუხაროდ, ჯერჯერობით წამოსვლის დრო არ არი.

## ქართული პარტი

ჩ ა ხ რ ვ ი

ბევრ ჩვენგანს ერთი ცუდი ჩვეულება აქვს — მშვიდ პაპირის კოლოფებზე ორი-სამი სიტყვით ვიწერთ ჩვენს აზრებს, შთაბეჭდილებებსა და ტელეფონის ნომრებს. შერე, როგორც წესი, იმ კოლოფებს ვკარგავთ. დაკარგულ კოლოფებთან ერთად კი ჩვენი ცხოვრების არაერთი დღე ამოიწლება ხოლმე შეხსიერებიდან.

ცხოვრების ერთი დღე არც ისე უბრალო რამ არის და არც ისე ცოტა დროა, როგორც შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს. აბა, სცადეთ და წუთიწუთი მოიგონეთ თქვენი ცხოვრების რომელიმე დღე! გნებავთ: ყველა შეხვედრა, ყველა საუბარი, როდის რა აზრი მოგსვლიათ, სად როგორ მოქცეულხართ, რამდენი რა შემთხვევა განახავთ, როდის რა გუნებაზე ყოფილხართ, თქვენი ამბები მოიგონეთ და სხვისიც. — და უმალ დარწმუნდებით, რომ დროის მთელი ამ ნაკადის აღდგენა იოლი საქმე როდია. ერთი კი არა, ვინ იცის, იქნებ სამი წიგნის დაწერაც გახდეს საქირი.

ერთხელ ჩეხოვის ბიოგრაფმა ა. ა. როსკინმა ყველას შემოგვთავაზა, ვინც ზამთარს იალტის მწერალთა სახლში ვატარებდით, ხელი მოგვეკიდა, როგორც იგი ზემოთით ამბობდა, ამ „პატარა საქმესათვის“.

როსკინის იდეას სიხარულით შეგხვდით. ყველამ ჩვენ-ჩვენი „ერთი დღის წიგნის“ წერა დაიწყეთ, მაგრამ მალე კალამს ხელი ავეშვიტ. „პატარა საქმე“ ძალზე რთული გამოდგა, თვით გამოცდილმა ოსტატებმაც დაყარეს ფარ-ხმალი. შესიერებაც დაეძაბეთ, დროც ბევრი დავხარჯეთ, მაგრამ მაინც არა გამოვივიდა რა, მიუხედავად იმისა, რომ თემა, სიუჟეტი და კომპოზიცია საძებარი არა გვქონია — ყველაფერს თვითონ ცხოვრება გვაწვდიდა.

პაპირის კოლოფებზე რაღაც-რაღაცებს მანდებან მეც ვიწერდი. ვფიქრობდი, შეიქნა-

ნაე, რა ვიცი, რა დროს გამომაღგება-მეთქი, მაგრამ მაშინვე სადღაც დაეკარგავედი ხოლმე.

ამ ჩემს უთავბოლო ჩანაწერებს იმით ვაშართლებდი, რომ თვალწინ ედუარდ ბაგრიცკის მავალითი შედგა — ერთხელ თავის ახალ ლექსს რომ მივითხავდა („თევზებს და ვარსკვლავებს ჩაუვლის კარქაპია...“), ხელში სწორედ პაპირის ძველი კოლოფი გვირა, მგონი, „ქერცოვოვინა ფლორის“ კოლოფი იყო, და წარაშარა ზედ დასცქეროდა.

შართალია, ბევრი დამეკარგა, მაგრამ რამდენიმე კოლოფი მაინც შემომრჩია. ერთ-ერთი კოლოფი დაკავშირებულია ჩეხოვთან და ჩეხოვის სახლთან, იალტაში რომ დგას. შევეცდები აზრი ვუბოვნო ამ კოლოფზე შემორჩენილ ნახევრად წაპილ და მოკლე ჩანაწერებს.

ერთ-ერთ გაზეთს ჩეხოვზე წერილის დაწერას შეეპირდი. მაგრამ, წერაში დაიწყო თუ არა, უმალ დაერწმუნდი, რომ ახლა ჩეხოვზე დასაწერად იმ ქანრის გამოყენება, რასაც სიტყვა „სტატიით“ განვსაზღვრავთ, ძალზე ძნელი და, თუ გნებავთ, შეუძლებელი საქმეა. ყველა ის რუსული სიტყვა, რომელიც კი შეიძლება ჩეხოვზე ითქვას და დააწეროს, მგონი, უკვე თქმული და დაწერილია. ჩეხოვის სიუჟეტურმა ჩვენს ლექსიკურ სიმღიდურს გაუსწრო. როგორც ყოველმა დიდმა სიუჟეტურმა, ამ სიუჟეტურმაც სწრაფად ამოურთა ჩვენი საუკეთესო გამოთქმების შარავი. ერთი სიტყვით, სავუვია, რომ რაიმე არ ვაიმეორრო და შენი ნაწერის ზოგიერთი ადგილი ვადაწერილივით არ დაემსგავსოს სტვისას.

ჩეხოვზე თითქოს ყველაფერია თქმული. მაგრამ ჯერ კიდევ ცოტაა ნათქვამი, თუ რა დატოვა ჩეხოვმა შემყიდრებობად ჩვენს ხასიათში და თავისი არსებობით როგორ განსაზღვრა იმ ადამიანთა დღევანდელი ცხოვრება, ვისთვისაც იგი მჭერფასია.

თითქმის არაფერი არ თქმულა, როგორ

ვერძნობთ ჩებოვს — მუდამ ცოცხალ და საყვარელ ადამიანს, და რა ძალა-მადლია ამ გრძნობაში,

და ამ სიტუაციის დაწერას ვარჩევ ისევე პაპიროსის კოლოფზე შემორჩენილ ჩანაწერებს მივმართო. იქნებ სწორედ აქ სადმეა მიმალული ის „გრძნობა ჩებოვისა“, ვერ ზუსტად რომ ვერ განმისაზღვრავს.

როგორც უკვე ვთქვი, ყველა აზრი მოკლედ მაქვს ჩაინიშნული, აი, მაგალითად, ერთი ჩანაწერი: „1950 წელი. შინ მარტო ვარ. ძირს პატარა ბომბორა ძაღლი იყვლება. ტრადიციის მიხედვით „კაშტანას“ ეძახიან“.

შესიერებამ ოდნავ ბავშვი იგრძნო და ნელ-ნელა მახსენებს გარდასულს.

1950 წლის შემოდგომა იყო. იალტაში ჩავდივით ჩებოვის დის სანახავად. მარია პავლოვნა შინ არ დამიხვდა, მეზობელთან გადასულიყო, დაგრილი და ცლა დაგუწვევ. მოხუცმა მსახურმა ქალმა აიგანზე გამოიყვანა.

იალტაში ჩვეულებრივ მატყუარა და საოცარი შემოდგომა იდგა, როცა ვერ გაიგებ, ვაზადებული მიწერული თუ თვალკამკაშა შემოდგომის პირაა. მოაქართან მუზეუ თეთრად ქათათებდა რომელიღაც ყვავილის ბუჩქი.

პაერისა მარტო მოძრაობა კი არა, უკვე სუნთქვაც სანარკვეად ყვავილის ვილოდ, ის ბუჩქი თეთრით ჩებოვის დარგული ყოფიდა, და ხელის სუხეზისაც კი შეშინოდა, თუმცა ძალიანაც მინდოდა პაეწინა რტო მაინც ჩამომეტეხა სამასხუროდ. ბოლოს გავბედე, ბუჩქს წავეტანე, მაგრამ მაშინვე ხელი გავეშვი, — ბალიდან იმ პატარა ბომბორა ძაღლი შემომწყეფა, კაშტანას რამ ეძახდნენ. კაშტანკა უკანა თათებით მიწას ფხოქნიდა და ზუსტად ისე იყვებოდა, როგორც ეს ჩებოვსა აქვს აღწერილი:

— რღ-რღ-რღ... ბუ-ბუ-ბუ! რღ-რღ-რღ... ბუ-ბუ-ბუ!

უნებურად გამეცინა. ძალი ილაზე დაჭდა, ყურები დაცვიტა და მომაჩერდა. ყუთიელ, კეთილ თვალებში შვე უკუბრუნებდა.

ბრგვლივ სინთზე იდგა, თბილდოდა. ზღვის მხარეს იასფერი კვამლი განიერ ფარდასავით მიიწვედა ცისკენ, და ამ ფარდის შიღმა თბოვების მძლავრი ხმა გასმო.

ოთახიდან მარია პავლოვნას ლაპარაკი შემომესმა, და უცებ ისეთიარად შემეცქმეშა გულბ, ცრემლი ძლივს შევიპარე, რა უღმობეული წუთისაფელი, მარადიულად თუ არა, ხანგრძლივად მაინც აცოცხლოს ზოგიერთი, ვისი სიკვდილიც ვერ წამოგვიდგენია-მეთქი, ვფიქრობდი ყელში გულმობეჭენილი.

მინდოდა აღარ მეფიქრა, მაგრამ ბოლომდე თავისას შერებოდა, გონება ერთს ამბობდა, გული კი — სხვას. ისეთი გრძნობა მქონდა, — ჩემი სიცოცხლის ნახევარს დაეთმოვდი, ოღონდ

კარს უკან წუთით გამეგონა ძალიან დიდა-ხრის წინათ წასული მასპინძლის დიდა ნაბიჯის ხმა. ძალიან დიდი ხნის წინათ! მისი წიგნიდან დიდიან ორმოცდაექვსი წელიწადი. ჩემი გრძნობა. ეს ხანი ერთსა და იმავე დროს უშინაწინელოც მეჩვენებოდა და მეტისმეტად დიდიც.

მოაქართან რომ ყვავილის ბუჩქი იდგა, თანდათან იძარცვებოდა. პაერში მოფარებატე ფერცლებს ეუცქეროდი, არ მინდოდა კარგ-ბისკენ ვამხვებდა — შეშინოდა, ვაი თუ, მარია პავლოვნამ შემომსწროს და აღელვება შემატყოს-მეთქი. კარგა ხანს ვეწველვ, ხან რა ვიფიქრე, ხან რა — თავს ძალით ვიმშვილებდი.

მოვიდა მარია პავლოვნა და სიტყვა ლევიტანზე გამოავლო. მივფარე, თქვა და შეცბა, პატარა ეკოვასავით წამოწიოდა.

ლაპარაკი რომ დაამთავრა, ჩემდა უნებურად ეუთხარა:

— ყველას ალბათ თავისი, «Давно с детства» იქნება! შევად. ვისაც არა ჰყოლია, აუცილებლად ეყოლებდა.

მარია პავლოვნამ ლმობიერად გაიღიმა და არაფერი არ უპასუხნა.

იმ დღის მერე ბევრჯერ მინახავს ჩებოვის სახლი წელიწადის სხვადასხვა დროს. შიგ იშვიათად შევიდიოდი. უმეტესად გარეთ ვიდექი: ხოლმე ცოტა ხანს, კედელს მიყრდნობილი, და ისევე ჩემი გზით მივდიოდი.

განსაკუთრებით ზამთარში იყო ეს სახლი მიწიდიველი. ზღვას წყვდიადი დასწოლოდა. თვალგაუვალ წყვდიადში ოდნავ ატანდა შორეული ხომალდის შუქი, და მეზღვაერთა ნაამბობით ვიცოდი, რომ გემზანიდან ხანდახან დღობინდით ხანდა მწვანეაბაქურჩიანი ლამფით განათებული ჩებოვის სამუშაო ოთახი.

უცნაური იყო იმის ფიქრი, რომ ამ ლამფის შუქი ქვეყნის უდიდურეს მხარეში ენთო და აქ, ზღვასთან თავდებოდა რუსეთი, ხოლო იქით, შორს, მცირე აზიის უბევლესი ქვეყნები გადაიმტოლუყვენ.

კიდევ ერთი ჩანაწერი გავარჩიე: „ზამთარი იალტაში, თოვლი იალტაზე, ამ თოვლის შუქი აუტკაზუ“. სწორია. ზამთარში იალტა თბლად იყო ჩამოთოვლილი. მთვარიან ღამეში თოვლს შუქი ჰქონდა. მთებიდან იალტაში აღწევდა ღამის მღვდარება.

აი ასევე ზედადა ჩებოვი ყოველდღე ამას და ყველაფერი, რაც ვთქვი, ჩვენსავით იცოდა. როგორც მარია პავლოვნა ამბობდა, იგი თურმე ხანდახან ღამფას ჩააქრობდა ხოლმე და დიდხანს მარტო იქდა სიზნელში, ფანჯრიდან გასცქეროდა, როგორ ბრწყინავდა თოვლი.

ხან თურმე ბაღშიც ჩადიოდა, ოღონდ უჩემრად — დედასა და დის ძილი არ დაეუფრო-

1 ჩებოვის ერთ-ერთი მოთხრობის სათაური.

ხოვ. უძილობა სტანჯავდა, და ღამის სიბნელეში ბევრს დადიოდა მარტოდმარტო, თითქმის ყველასაგან მიეჩნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ უკვე მთელ მსოფლიოში სახელმძღვანელო იყო. მაგრამ ძილგამფრთხილს სახელი გულს აღარ უშინებდა.

გვერდით კი თეთრად ჩანდა სახლი, რუსული მწერლობის საინჟინერო რომ იქცა. იქ აღარსად არ იმყოფა ექიმის, გორკის, მამინ-სიბირიანის, სტანილაფსკის, ბუნინის, კოროლენკოს ხმა, მაგრამ გამოძახილი თითქმის ცოცხლობდა. მეჩვენებოდა, რომ სახლი თავის ძველ სტუმრებს ელოდა. ელოდა მასპინძელიც, თავის თეთან განმარტოებული რომ მფოთავდა ხოლმე ღამლაშობით, როცა არავის არ შეეძლო დაენახა, როცა თავისი სატყუარით, კეშინთა და წუხილით ვერაყის ვერ ააღივებდა.

იმ ზღვა შემუდრულ ლიტერატურაში, რაც ჩემოვზე არსებობს, თითქმის ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი, რომ ჩემთვის ოდესმე უტორო.

თუმცა ჩემთვის თვალზე ცრემლი უნახავს, მაგალითად, მწერალ ტიხონოვს (სერგებოვს), როცა „ტრამპლის“ ავტორი სიბა მორაზოვთან ერთად ურალს ჩასულა. ის იყო ყველასაგან დაბრუნებული ცრემლი მარტოვება, სულთ იბოლი და მომავლადე კაცისა.

ჩემოვი კეთილი გულისა და დიდი ვაჟაკური ბუნების კაცი იყო, სულგრძელი იყო და ამიტომ მალედა თავის ცრემლსა თუ ვახას, — არ უნდოდა ახლობლებისათვის სიციხულე გემწარაზება, უსიამოვნების თუნდაც ნატამილი ეგრძნობანებინა.

კიდევ ერთი ჩანაწერი გვაქვს: „რუსეთი მდამი აკლდა“ — და უმალ ის სადამო მომავონდა, მე და პოეტი ლუგოვსკოი ჩემთვის საზღვარო ოთახში ბუბრის წინ რომ ვიდგეთ და ლევიტანის „თივის ზეინებს“ ვუცქერდით.

მოპავონდა ბურუსიანი კაობებზე ჩამოწოლილი ნაკრისფერა მწუხრი და ლანდღეთი წამომდგარი მთავარ, ღალის ძაბილი და თვალგაღიწმენილი ტყეები, იმ ღამეს და მრავალ სხვა ამის ღამესაც ფუქად რომ იდგნენ. ფუქად-მეთვს, ამიტომ ვამბობ, რავე დამნახავი არავინ იყო, როგორ კრობდნენ მწავრის მუქზე არვის ზეთა სველი ფოთლები, და არც ამ ტყეების იდუმალი შარბშერი ესმოდა ვინმეს.

ერთმანეთს მისდევდნენ აღმიაინს შვილთაგან მიტოვებული, უდაბური ტყეები. ღამე მარტოდმარტო და ამაოდ მიწევდა შორეული განთადისაყენ. და ჩემთვის გულს სტიკოდა, რომ ღროს ყარაშიმ კარგავდა, როცა იქ, რუსეთში, ჩადილოეთში უნდა ყოფილიყო და თვალი ედევნებინა, როგორ დასთამაშებდა დაგვიანებული რიერავი ქობის ყვარის, ანდა საყვარლად მიუჩნებულ მშობლიურ ტბებს.

გული რუსეთისაკენ მიუწევდა, ჭარბითა და

ღარღით აღარ იყო, სწყინდა, რომ თავისი თვლით არ ენახა და მხოლოდ გუმანით ზედუბოდა სამშობლო ქვეყნის მთელ სილამაზეს, კარგ მოქმელსა და კარგ გამგონეს ჭრატს — რომ ელოდა.

ისედაც ხანმოკლე და უნაყოფო ცხოვრებამ მხოლოდ ოდნეე გამკრა თავისი სწრაფი ფრთათ, — სინაშელი სტანჯავდა ჩემთვის ამ მუუდროს სასლში.

და არა მარტო ჩემთვის. თითქმის ყოველი აღმიაინი, ვინც ამ სახლის კარს შეღებდა, ტარმდაც თავის ზედ-იბლაზე ჩაფიქრდებოდა ხოლმე. მეტადრე თუ ცხოვრება გამოპარავოდა და ახლავა იყო გონს მოსულა.

როგორც ჩანს, ჩემთვის პარამონიელი და შინახოსიანი ცხოვრება აიძულებდა აღმიაინებს თვალეები გულში ჩაებრუნებინათ და ისე ეფონ-დეწონათ თავიანთი წუთისოფელი.

ჩანაწერმა — „ფოტოგრაფიული სურათების რაკალი“ ერთ-ერთი საღამო გამახსენა, როცა ერთბაშად ჩემთვის ბევრი ფოტოსურათი ვიშოვნე.

სურათები წლების მიხედვით დავლაგე — ვიმნახისდროინდელიდან სულ ბოლო სურათამდე, სიკედლის წინ რომ იყო გადაღებული.

სხვა უფრო ნიშნული არაფერი არ მინახავს. ჩემთვის მიელი გზა — დაწყებული უღარდული ოპოეტულიდან და ლანდლარადან ვიდრე განსაკვიფრებული შინაგანი სილამაზის, კეთილშობილებისა და ეყვაცობის აღმიაინამდე საოცარი სიციხული დამიდგა თვალწინ.

მან თვითონ აღზარდა თავისი თავი და მკაცრ გავეითოდა დაგვიტოვა, როგორ პატიოსნად უნდა ვეპყრობოდეთ აღმიაინებს და საყუთარ მწერლოურ შრომას.

ორი უქანსკნელი ჩანაწერი ძალზე მოკლეა, თითოსიტყვიანი. პირველი ჩანაწერია „გენია“, მეორე — „გულეეთალობა“.

მაგრამ ამ ჩანაწერებში ჩემთვის ბუნდოვანი არაფერია.

უდავოა, რომ ჩემოვი გენიალური მწერალია. უდავოა, მაგრამ ძალზე თავმდაბალი შემოქმედი იყო და, ვისაც კი ოდესმე რაიმე დაუწერია ჩემოვზე, არავის არასოდეს პირდაპირ არ უთქვამს, გენიალურიაო. ამით სწორედ მწერლია განსაკუთრებულ თავმდაბლობას სცემდნენ პატრეს. ის კი არა, ჩემთვის სიკედლის შემდეგაც გვერიდება ამაზე ლამაზაკი, რათა არ ვაეჯავროთ „პატარა ისტორიის“ ავტორი. მან თვითონ აკრძალა ეს სიტყვა.

ჩემთვის თავმდაბალი იყო, როგორც თავმდაბლიც შეიძლება იყოს ნამდვილად დიდი აღმიაინი. ვერ იტანდა ამპარტანობას, ქედმაღლობას, ტრამბას.

იგი წერდა, უნიჭო მწერლის ყველაზე დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ მღვდელმთავარივით იბღინებდა და ქედმაღლობს. თავ-

მდებლობა რუსი ხალხის ერთ-ერთი უდიდესი თვისებაა. თავმდაბალი იყო ყველა უბრალო და შესანიშნავი რუსი ადამიანი. ამ ადამიანთაგან არავის არა სჩვეოდა თავის ქება, სხვათა ქვეყნიდან მოსულის თვალში ამოღება და ეჭვნა — ჩემნაირი არავინ არ არისო.

თავმდაბლობაში ზნეობრივი ძალა და სიწმინდეა ზალხისა. ბავშობის კი — არარაობა და გონებრივი უსუსტრობა.

რაც შეეხება მეორე ჩანაწერს — „გულკეთილობას“, ძალიან ბევრი რამ შეიძლება ითქვას. შეიძლება ვილაპარაკოთ თვითონ ჩეხოვის, როგორც ადამიანის, გულკეთილობაზე, მაგრამ ვიცით რომ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ჩეხოვი კეთილი და ჰუმანური იყო როგორც მწერალი. ჩვენს მწერლობაში, მგონი, არც არის სხვა ვინმე, ესოდენ კეთილად რომ მოპყრობოდა ადამიანებს, მოყვასის გულისათვის რომ დატანჯულიყო და უშალ დახმარების ხელი გაეწოდებინა.

ნამდვილად კეთილი იყო, მაგრამ არც სისასტიკე აქვდა. სიბუნებრივ შეიძლო, ის არ იყო უნიათო მქადაგებელი ყოვლისმიტყევებისა. მან კარგად იცოდა, როგორც უკიჷმა და მწერალმა, ადამიანის მწუხარებისა თუ უბედურე-

ბის ასავალ-დასავალი და მოითხოვდა, ერთმანეთის მიმართ გულმწყალენი იყავითო.

ჩეხოვის გველენა ამ მხრე შეტანილი დღე-ბგეო და დიდზე რჩება. თითქმის მთელნი მწიწმსავე იტალიური კინოზელოვნება ყველა თავისი საუკეთესო ნიმუშით — როგორც არის „რომი 11 საათზე“, „ველოსიკლეების გამბაკებლები“, „მეშაქანე“, „პოლიციელები და ქორღები“, „ოცნებანი გზადაგზა“, ჩეხოვის ჰუმანიზმიდან მოდის.

სწორედ ჩეხოვის გულკეთილობა და მკაცრი ჰუმანიზმი აქვდა ჩვენი მწერლობის ზოგიერთ ნაწარმოებს. ეს გარემოება დიდად აღიარებებს ჩვენს ნამოღვაწის და ერთ-ერთ მთავარი ძარღვის უშრობს — მითხველის სულზე ზემოქმედების ძალას უქარგავს.

თი რა ფიქრები ამიშალეს ძველ პაპიროსის კოლოფზე ჩანაწერმა სტრაქონებმა, რამელაო წყლობითაც შეეძელი გამეზიარებინა ჩემი ახრი ჩეხოვზე, მომხიბლე ადამიანსა და შესანიშნავ მწერალზე.

ჩეხოვის თვით არსებობა ნიდაფ მოგვეგონებს, რომ შესაძლებელი და მისაწედლობა ამქვეყნიური ნამდვილი ბედნიერება, რის გულისთვისაც ვშრომობთ, ვიბრძვით და ვიმარჯვებთ.

### ალექსანდრე ბლოკი

ძალიან ძნელი ვინმეს უამბო ჩანაირი სენი აქვს მდინარის წყალს ან როგორი სიბუნე იცის მინდორშია. და თანაც ისე უამბო, რომ კაცმა ის სენიც ცხადად იგრძნოს და ის სიბუნე.

როგორ ვამბოვკეთ „ბლოკისებრი“ (ბლოკის გამოთქმით) წყარალი“ პუშკინის ლექსისა, სულ სხვადასხვა ვითარებაში სრულიად უცაბედად რომ წამოგვეგონებოდა ზოლზე.

ძველნად ბევრი შესანიშნავი მოვლენაა, რომელთა გამოსახატავად ქერ ვერც სიტყვა გვიპოვნია და ვერც რაიმე გამოთქმა. რაც უფრო საკვირველი და დიდებულია მოვლენა, მით უფრო ძნელი ვამოხსაყვამია ჩვენი გახვევბული სიტყვებით.

რუსული სინამდვილის ერთ-ერთი ასეთი უმშვენიერესი და არც თუ შოლად გარკვეული მოვლენაა ალექსანდრე ბლოკის პოეზია და ცხოვრება.

რაც უფრო მეტი დრო ვადის ბლოკის ტრაგიკული სიკვდილის დღიდან, მით უფრო ძნელი დასაყვრებელია, რომ ამ გენიალურ ადამიანს ოდესღაც ჩვენ შორის ვხედავდითო.

ბევრი ზვენიანის თვალში ბლოკი გვერდით ამოუღდა სწორბოეარ, უებბო ადამიანებს, აღორძინების ხანის პოეტებს, ზოგადსაკაცობრიო ზღაპრულ გამიბებს. კერძოდ, ჩემს თვალში იგი მხარს უმშვენიებს ნახევრად ლუგენდარულ თუ უკვე ლეგენდარულ ბუნების

შვილთ — უსაყვარლეს ორლანდს, პეტრარკას, აბელიარს, ტრისტანს, ლეოპარდის, შელის და დღემდე ნაკლებად გაგებულ ლერმონტოს — ყმაწვილს, რომელმაც თავის ზამთრულ ცხოვრების მანძილზე მოასწრო სეთქვა, როგორ შემოეხარჯა სულის ცეცხლი ვრცელ უდაბნოში.

ბლოკმა შეცვალა ლერმონტოვი. მან ნაღელიანი და ზუსტი სიტყვები თქვა „ღემონის“ ივტორზე: „ურვა-წებილად ეღუღდა ველში სედა არნახულ გზადაგზის“.

ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ დიდ დანაყარგად მიმანია, რომ ბლოკი არ მინახავს.

არ ვიცი, არ მომხსენია, როგორ კითხულობდა ბლოკი ლექსებს. მაგრამ მჭერა პოეტ პიასტინსა, რომელმაც პატარა გამოკვლევა დაწერა ამხეზე.

ბლოკს მშვიდად, ბუნებით სიკვდილია ლაპარაკი. ლექსს რომ კითხულობდა, ზმა თერმე თითქმის შორიდან მოისმოდა. თანამედროვეებსაც ავი შორიასლოდან ესმოდათ პოეტის ზმა, ჯადოსნური სინივით შეუბოვრად რომ ეღერდა.

ამ ბლოკს, რომელზეც ულაპარაკობ, ფესვი მაგრა აქვს ვადგებელი ჩემს შეგნებასა და ცხოვრებაში, სხვანიარს ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენ. ამ ბლოკთან ერთად ბევრი დამე მოტეხა დღემლით და, ვინ იცის, რამდენჯერ აუნტროლებით ჩემი გული ალაზებდალ წაყითხულ პოეტის აფღერებულ სტრაქონებს. „ვიცი,

შენი ხმა, — გამოვლია გულში. — ამ ხმის იღვწოდ ქვეყნის შევალე ჩემს სიცოცხლესა და მწუხარებას.

აი როგორ პოეტად წარმოვიდგა ბლოკი შორეულ და დუბიტარ სივრცეში, ასეთივეა იგი ჩემთვის ახლაც, როცა ესენინის თქმისა არ იყოს, „ღროთა ავიყარა წარმავალმა გულა-ნაბადი“.

ბლოკის პოეზია არასოდეს „წარმავალი“ არ იქნება. იმიტომ არ იქნება, რომ ამ პოეზიის მადლი საწუთროსა და ბრწყინის კანონებს არ ემორჩილება და მანამ იარსებებს, სანამ ქვეყნად აღმართის შვილი იცოცხლებს, სანამ არ გაქრება „სასწავლო ღვთის სასწაულოთაგან“ — თავისუფალი რუსული სიტყვა.

წუხებარ, ძალიან ვწუხებარ, რომ ბლოკს არ ვიცნობდი. მან თვითონ თქვა — ხშირად ვერც ვამჩნევთ ჩვენს გვერდით თუ რა მშვენიერებაა, ამას მეტისმეტად გვიან შევიგნებთ ხოლმე.

ვისაც გულზე მიწა აყრია, აღარა ეშველება რა. ბლოკს — აღმართის მკვდრებით ვერ აღვადგინო და ვერასოდეს ვერ მოვყრავთ თვალს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. მაგრამ ქვეყნად არის ერთი სასწაულებრივი მოვლენა, ბუნების მკაცრ კანონებს რომ არღუნავს და იმიტომ გავრეგნებებს კიდევ. ეს მოვლენა ხელოვნებაა.

ხელოვნებას შეუძლია ჩვენს ცნობიერებაში შექმნას ყველაფერი და მკვდრებით აღადგინოს ყოველივე! ახა, გადავიკითხეთ „ომი და მშვიდობა“, თავს დაედებ, თუ ცხადად არ ვიიგნოთ თქვენს ზურგს უკან მიმალული ნატაშა რუსტოვის სიცილი. რაკი ხმის გაგაგონებთ, ვიცი, შევიარებთ, როგორც ცოცხალ, რეალურ აღმართს.

დარწმუნებული ვარ — ამდენად გვიყვარს ბლოკი და ამდენს ვფიქრობთ ბლოკზე, რომ აღერ თუ გვიან იგი ხორცს შეისხამს და აღდგება რომელიმე პოემასა თუ მოთხრობაში, როგორც უბერებელი, რთული, მომზიბლელი და თავისი მეორედ დაბადებას სასწაულის მომსწრე პოეტი. დარწმუნებული იმიტომ ვარ, რომ ქვეყნად ნიჭიერი ხალხი არ გამოიღვრა და ვერ არ დამდგარა ის დრო, როცა აღმართის სულის სითვლეს ერთი საზომით მოვლავებამ.

ბოდიშს მოვითხოვ — აქ საყუთარ თავზე ორბოდ სიტყვის თქმა მომიხდება. კარგა ხანა ავტობიოგრაფიული მოთხრობის წერა დავიწყე და უკვე ნახევრამდე მივედი. არ ვგონოთ, რომ მემუარებს ვწერდი. ვერც სწორედ მოთხრობას, სადაც ავტორის უფლება აქვს გვერდი აუაროს ნამდვილად მომხდარ ამბებს. მაგრამ უმთავრესად მაინც ამ ამბების კვალს მივყვები.

ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში, ცხადია, ჩემს ცხოვრებაზე ვწერ, ვიხსენებ რა გზაც გამოვიარე და რაც ვარამხდა. მაგრამ, როგორც

ალბათ ყოველ აღმართს, მეც მაქვს მეორე ცხოვრება, მეორე ბიოგრაფია, დღესაც ჩემს სურვილებსა და წარმოსახვაში ტრამპანტობს.

სწორედ ამ ნაოცნებარ მეორე ცხოვრებაზე მინდა დავწერო. მინდა ისე წარმოვიდგინო ჩემი ცხოვრება, როგორც ის უსათუოდ იქნებოდა, თუკი ჩემს ნებაზე შეექმნა, ყოველგვარი შემთხვევითი ამბებისაგან დამოუკიდებლად.

აი ამ მეორე „ავტობიოგრაფიაში“ შემოქმდია პირისპირ შევხვდები ბლოკს, დავუმგობრდევ კიდევ და, მადლიერებისა და სიყვარულის გრძობით ვამსჯავლავ, ყველაფერი ვთხოვრა, რის თქმასაც დიდი ხანია ვაპირებ. ამით მინდა ერთგვარად გაეახანგრძლივო ბლოკის სიცოცხლე ჩემს არსებაში.

რა გინდა, რა საპირაოთ, სრული უფლება გაქვთ მკითხოთ.

რა საჭიროა და — მინდა ჰარმონიულად დავასრულო წუთისოფელი. თანაც ჩემი ცხოვრების მაგალითით გიჩვენოთ ბლოკის პოეზიის ძალა. ბლოკი არ მინახავს. მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში პეტერბურგიდან შორს ვიყავი. მაგრამ ახლა ვცდილობ ნაწილობრივ მაინც ავიხაზავო ეს დანაყოფი.

ზოგი ალბათ გულუბრველობად ჩამითვლის — მინდა ჩემი თვლით ვნახო, ვინც ან რაც ბლოკთან იყო დაეკვირებული, — აღმართები, გაჩემობანი, პეტერბურგის პეიზაჟი. ეს პეიზაჟი თითქმის არც შეცვლილა პოეტის სიყვდილის შემდეგ.

ქერ კიდევ კარგა ხნის წინათ ამკვირავი ერთი უცნაური სურვილი — წაესულიყავი ლენინგრადში და მეპოვნა ის სახლი, სადაც ცხოვრობდა და ვარდაიცვალა ბლოკი, მაგრამ კითხვა-კითხვით კი არა, შეპოვნა აუცილებლად ჩემით. ვინმეს დაუხმარებლად, ლენინგრადის რუკის გამოუყენებლად. მარტო აზრით ვიცოდა, საით იყო მდინარე პრიპეტა (ამ მდინარის სანაპიროზე ახლანდელი დეკაბრისტების ქუჩის ყუთბუმი ცხოვრობდა ბლოკი). და აი ფეხით წავედი პრიპეტაზე, გზას ვანგებ არავის არ ვეკითხებოდი. შე თვითონ არ ვიცი, რატომ მოვიქციე ასე. დარწმუნებული ვიყავი, რომ გზას გემანათ ეპოვნიდი და სიყვარულის ძალა, როგორც გამყოფი, ზედ ბლოკის სახლის კართან მიმიყვანდა.

პირველად ვერ მივედი პრიპეტამდე. წყალი აღდებულყოფი და ხიდები ჩაეკეტათ.

გათოშინდა-გაყინულმა კარგა ხანს თვალი ვერ მოვაშორე ასპიდისფერ სიბნელეში ჩაყურსულ ნათკალეს. უბრალო იმ მხარეს იყო. იქიდან დასივთ ქარი პრიპეტაზე, ქანდი მოქონდა და ამ ქანდში, როგორც ქარიშხალში ქვის ხოხალდები, უზარმაზარი შენობები ილანდებოდნენ.

ვიცოდი, რომ ბლოკის სახლი ზღვის პირას იდგა. ბალტიურ ქარიშხალს. მეკრძნს ალბათ

პირველი ის ახვედრებდა-მეთქი, ვფიქრობდი.

და მხოლოდ მეორედ წასულმა მივალწვი პრიაციისპირა სახლამდე. მარტო აღარ ვიყავი. ჩემთან ერთად იყო ჩემი ცხრამეტი წლის ქალიშვილი, უმაწვილი ქალი, ბლოკის სახლის ძებნით გართულს ნაღველნარევი სიხარული რომ უკრთოდა სახეზე.

წვევის სანამირთაი მივდიოდით და მთელი გზა რატომღაც უჩვეულა სიციხლით დამამახსოვრდა.

ოქტომბრის ჯანდიანი დღე იყო, ქარს ფოთლები პარში ატყავდა. ამნაირ ამინდში ადამიანს იჩვევება, რომ თხელი ნისლი კარგა ხნით ჩამოწე და დამიწახე. ვინცლავს. ნისლის ნაცრემლი გულს ახალისებს, კიბხლივით ედება თუჩის შესრებას.

ბლოკს აქვს ერთი გამოთქმა: „შემოდგომის დღეთა ჩრდილი“. აი ამ ჩრდილში — ბინდისფერი და გრილ ჩრდილში იყო გახვეული ის დღე. უსიციხლოდ ბრწყინავდნენ ბლოკადის დროს ქუჩების ნამსხვრევებით თვალბდათბარი შენობების შინები. ირგვლივ ქვანახშირის სუნი იდგა, — ქარს აღმათ ნავსადგურიდან თუ მოპქონდა.

ნელი ნაბიჯით მივდიოდით, ხშირ-ხშირად ვჩერდებოდით, რაც კი რამ გარშემო ჩანდა, ყველაფერს გულდაგულ ვუცქეროდით. რატომღაც მჭეროდა, რომ ბლოკი სწორედ ამ გზით ბრუნდებოდა ხოლმე შინ, და არა ოფიცერთა დაღვრემლით ქეჩით.

პარში ლიამპისა და ნახეჩხის სუნი გამაჯდაიყო. იქვე, წვევის ნაპირის იმ უკაწრიელ ადგილას ვილაც ჩაფთონული ვოგოები მრგვალი ხეჩხით არყის ხის შუშის ხერხავდნენ. ნახერხი შადრევანივით აღიოდა პარში, მაგრამ ხერხს ჩვეულებრივ გულს გამაწერიალებული ზრიალი არ გაქვინდა, თითქოსდა ჩემად ლინდებდა.

ჩამავებულ არხს იქით — პრიაციის ვაღმა, თვლი კარგად არჩვედა გემთსაშენებელი ქარხნების სტაპელებს, მიღებს, ცადაჭრილ ბოლს, ფანჩრეების ქვატრლანს კორპუსებს.

იცოდოდ, რომ ბლოკის სახლს ფანჩრები დასაველეთით ჰქონდა. ის ფანჩრები ქარხნის ამ პეიჯეს, ზღვისპირს გადაყურებდნენ.

მალე ზედ მივადექით პრიაციას და დაბალი ქვის სახლების გადასწვრივ მყისვე დიდ იგურის სახლს მოვკარი თვალი. ის სახლი ბლოკის სახლი იყო.

უკვე მივსვლვართ-მეთქი, ვუთხარი ჩემს ქალიშვილს.

ნაბიჯი აღარ გადაუდგამს. თვალბში სიხარულის შუქი ჩაუდგა, მაგრამ ამ შუქში უმაღლესი აუციმციმდა. თავი რომ ვეღარ შეიშვარა, ცრემლიანი სახე მხარზე დამაღო.

ბლოკისეული სახლის ფანჩრებში ლენინგრაძული უმაღლესი სინათლე ბრწყინავდა. მაგრამ ეს ადგილიც და ეს სინათლეც ორივეს წმიდათა

წმიდად გვეჩვენებოდა.

რა ბედნიერია პოეტო, ვისაც სიყმაწვილე თავის პირველ მოყრიალებულ და შედგენილ-ყვირულს უძღვნის-მეთქი, ვფიქრობდი. მწველის ცრემლის შემეურე, სიყმაწვილემ გული გადაუშალა უმაწვილ პოეტს. ბლოკი ჩვენს წარმოდგენაში ხომ მუდამ უმაწვილი იყო და მაკრად უმაწვილკაცად დარჩება. ასეთია ხვედრი ყველა პოეტისა, ვისაც ტრაგიკულად უცხოვრია და ტრაგიკულადვე დაღუპულა.

ბლოკი ახალგაზრდად გამოიყურებოდა სიციხლის უკანასკნელ წლებშიც კი, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, როცა გულს გავმხეულეთ შინაგანი დარდი უღრდნიდა.

აქ პატარა წიაღსვლას მოვიშველიებ.

ფართოდ ცნობილია, რომ არიან მწერლები და პოეტები, რომლებიც თავიანთი შემოქმედების ძალით შუენ კალამს აგაღებინებენ, მუშაობის ხალისზე მოგოვენანენ.

ამისთანა მწერლისა თუ პოეტის ნაწარმოებს რომ წაიკითხავ, უმაღლესი აფორიაქებები, ათასი აზრი, ფიქრი და სახე შემოგოვსევა, ერთი სული გაქვს, სანამ დაქდები და რაიმეს დაწერ.

ამ თვალსაზრისით ბლოკმა, თქმა არ უნდა, ზემოქმედება იქონია ბევრ მწერალსა და პოეტზე. მარტო ლექსებით კი არა, ბლოკი თავისი ცხოვრების ამბებითაც ახდენდა ზეგავლენას. აქ ერთ მგალობს მოგოვენან. შეიძლება ძალიან დამახასიათებელი არ იყოს, მაგრამ უცებ გახსენდება.

მწერალ ალექსანდრე გრინს აქვს ერთი რომანი „უჯადრისა“, რომელიც მწერლის სიკვდილის შემდგომ იბოვნეს და ქერაც არ გამოქვეყნებულა. ამ რომანის მასალა და ბევრი წერილიანი ზუსტად ემთხვევა ბლოკის მონაწილს — ბეტიანში, პატარა ნავსადგურ აბერჯავში რომ ცხოვრობდა; ბლოკი წერილებს უგზავნიდა ხოლმე დედას და იქაურ ამბებს უყვებოდა.

იქ პირველად ეზიარა იგი საზღვაო ცხოვრებას, რამაც ბავშვივით აღაფრთოვანა. თავი ზღაპარში ეგონა.

ბლოკი დედას სწერდა: „სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, გარშემო უმარავი საზღვაო ნიშანია. მთავარი შუქურა ყოველ ხუთ წამში ერთხელ ინიება და ჩვენს სახლის კედლებს აშუქებს. ნავსადგურში დღის 20-იანი წლების (გასული საუკუნის) განაზრადებული ფრეგატი, რომელსაც მექსიკის ომში უბრძოლია, ახლა კი დუხა-ჩაშვებული ისვენებს. ფრეგატს „პელოპონა“ ჰქვია. ქიზზე დამატებულია ზღვისკენ მიტყვარალი თეთრი ქანდაკება“.

აი ამ წერილის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნაწევრები: „ამას წინათ ერთ-ერთ მბრუნავ შუქურაზე უცებ გარდაიცვალა ძველი დარჩა, ვეღარ მოასწრო საწყალმა მანქანას მოგზადება საღამოსათვის. რაც კი კარ აღარ იყო, დარჩაის ცოლმა მანქანა თავის ორ პატარა ბიჭს

ხელით ატრიალებინა მთელი ლამე. ამისათვის ქალს საპატიო ლეგიონის ორდენი მისცეს.

„ვეფხობა, — წერს ბლოკი, — რუსები ამანვე გააკეთებდნენ“.

ამერკაიის შახლობად კენძულზე განლაგებული იყო ძველი ციხე-სიმაგრე საიზონი. ვინაიდან აღარც რაიმედ ვარგოდა და აღარც სიარდებოდათ, საფრანგეთის მთავრობა საიზონს ძალზე იაფად ჰყიდოდა.

როგორც ჩანს, ბლოკს ძალიან უნდოდა იმ ციხე-სიმაგრის ყიდვა. ის კი არა, დაიანჯარიშა კიდეც — სულ 25000 ფრანკი დაუფლებოდა, მიწაც რომ დაემუშავებინა, ბლიც გაეშენებინა და თანაც შეეკეთებინა.

ძველ ციხე-სიმაგრეში ყველაფერს რომანტიკული ელფერი ელთა ნახევრად დანგრეულ ასაწეუ ზიდებსაც, ქაზემატებსაც, ღენთის სარდაფებსაც და ძველთაძველ ზარბაზნებსაც.

ნათესაებმა ბლოკს ხელი ააღებინეს ყიდვაზე. მაგრამ ოცნება ეგრე ადვილად არ ინებდა თავს — იგი მერტვ უყუებოდა ხოლმე თავის ნაცნობ-მეგობრებს საიზონის ციხე-სიმაგრის ამბავს.

გრძინა ყური მოჰყრა ამ ნაამბობს და დაწერა რომანი, სადაც შივანი ბერიაცი, რომლის მშეთნახეუ ქალიშვილს „უეადრისას“ ეძახიან, მთავრობისაგან ძველ ციხე-სიმაგრეს ყიდულობს და სულ მალე იქაურობას წალკოტად აქცევს.

რომანში ღმერთმა უწყის რაღა არა ხდება. მტრად დასამახსოვრებლად არის დახატული თეთრონ ციხე-სიმაგრე, — ურისხელი (დიდი ხნის წინათ განიარაღებულა), მყუდრო და რომანტიკული. ბრწყინვალედ არის აღწერილი აგრეთვე წალკოტი — ყოველი ზე, ზუჩქი და ყვაელი.

უნდა ვეღიარო, რომ ბლოკის ზოგიერთმა ლექსმა მეც დამიბადა ვრთი შეხედვით უცნაური აზრი — დამწერა ამ ლექსებთან საერთო განწყობილებით დაკავშირებული რამდენიმე მოთხრობა.

ეს აზრი არც ახლა მისვენებს. ჯერჯერობით კი დაწერე მოთხრობა „წვიმანიც განთიადის“, რომელიც მთლიანად ბლოკის „რუსეთმა“ დამწერინა.

და არაფერი გამიძნულდება, გზასაც ღიღინით გავივლი ხელად, როს გული ტრფობით ამიძგერდება, უცხო ასულის დამიპყრობს მზერია.

არ მინდა და არც შემძლია ბლოკის ცხოვრებისა და პოეზიის ახსნა-განმარტებამ შეუდგე. მაინცდამაინც კარვად არ მესმის მისი წინასწარმეტყველური და მისტერიული შიში რუსეთისა და კაცობრიობის მომავალი განსაცდელის წინაშე; ჩემთვის უცხოა ბლოკისეული საბედისწერო სიმარტოვის შეგრძნება, თავდაუღწველი კვება და კატასტროფული

ხელაქმნეულობა, რეველუციის ისე შეტრმეტად ვართულებული აღქმა, როგორც მან აღიქვა.

ბლოკი უწინარეს ყოვლისა მზიხლდას და მზიხლავს თავისი დაღვინებული ლექსებისა და ცხოვრების კონკრეტული პოეზიით. სიმბოლოზის უსახური და უსისხლობოცო ბუნდოვანება მხოლოდ გაჭანურებული გიმნაზიური გატაცება იყო.

ხანდახან ვფიქრობ, რომ ბევრი რამ ბლოკში ვადგებარია ბოლოდროინდელი თაობის ადამიანებისათვის, ახალი ახალგაზრდობისათვის.

ვაუგებარია, მავალითად, მისი სოფერული ლატაი რუსეთისაში. დღევანდელ ახალგაზრდებს ვერც კი წარმოუდგენიათ, როგორ შეიღებოდა ადამიანს ჰყვარებოდა ის ქვეყანა, სადაც „სიღარბეში სული სძერება უთვალავ სოფელს“...

ამის ვავება ახალგაზრდობისათვის ძნელი იმიტომ არის, რომ ამგვარი რუსეთი აღარ არსებობს. აღარ არსებობს იმ სახით, როგორსაც ბლოკი იცნობდა და როგორიც უყვარდა. თუკი სადმე ჯერ კიდეც ვხედვით მივარდნილ სოფლებს, წყნლობოვრებს, უღრან ადგილებს, სამაგიეროდ ამ სოფლებსა და უღრან ადგილებში ადამიანი უკვე სულ სხვაა. ერთმა თაობამ მგორი შეცვალა, შველიშვილებს აღარ ესმით ჰაპებისა, ზოგჯერ კი შვილებიც ვეღარ უგებენ მამებს.

შვილიშვილებს არ ესმით და არც უნდა ვავიგონ სილატაე, მწარე სიმღერებთ დატირებული, მოკაშმული ადამიანებისათა და ზღამრებით, უნარ, მორცხვი ჰაეშეების ცქრიალა თვალეებით, გულაფრიალებული ქალიშვილების კრძალვით; სილატაე, აფორიაქებული ყარითთა და საყარითა ნამბობით, ნილაგ იქვე, გვერდით — ტყეებში, კაობებში, დაფურტოვებულ კოღებში, დედაბერთა მოთქმა-ტორილიშ, კარაქედილ ქობხაებში — ჩაბუდებული გულისწამლები საიდუმლოთი და ასევე ნილაგ სანწაულის მოხდენის მოლოდინით. „თველემ, თვალემს მიღმა საიდუმლოა, და ამ თვლებშიში ხარ შენც, რუსეთო“.

დიდად ამტანი გული უნდა ჰქონოდა პოეტს და უსახლეროდ ჰყვარებოდა თავისი ხალხი, რომ ეს ქობხაებები, გლოვა-გოდება, ნიცრისა და შამნაჩის სული შეჰყვარებოდა და მიეღ ამ სიმწარეში დაენახა უღრანი ტყეებით გარშემორტყმული რუსეთის ფერმხდილი სიღამაზე, რომელსაც ბლოკის ბევრი წინამორბედიც ხედავდა. მაგრამ ძველ რუსეთს დიდი დღე აღარ ეწერა, ბლოკმა დაიტირა იგი და წესი აუგო:

შენ არა წყებარს მდიდრულ კუბოში, ფინურ რუსეთის ლატაეო მზარევი!

ახალი რუსეთი, „ახალი ამერია“ ბლოკს სამხრეთ ტრამალეებში ესახებოდა:

იქ შავად ჩანან ქაჩხის მიღები,  
იქ ფაბრიკების კვანძის საყვირო.

უფროსი თაობის აღმამაწმინდათა თითქმის  
თანხადად ნაენობია ძველია და ახალი რუ-  
სეთიც. რუსეთის ასეთ დიდ ცოდნაში ამ თა-  
ობის სელიფრი სიმდიდრე.

არ შეიძლება იცოდვე ახალი რუსეთი, თუ მკე-  
ლი არ იცი მთელი თავისი აუკარგით, თუ არ  
იცი მაშინდელი სოფელი, თუ არ იცნობ ქა-  
ლაქაქალაქ და სოფელ-სოფელ შავალ ჯადო-  
ნაქაქარ ყარობ ხალხს, თუ არ ვინახავს სია-  
ხლისფერის დასი ელვაციის ველზე.

ბლოკის სატრფიალო ლექსები ნამდვილი  
ჯადოსნობაა. როგორც ყოველი ჯადოსნობა,  
თავითველი ის ლექსიც თავსამტკრევე და მტან-  
ჯველია. ბლოკის ლექსებზე თითქმის შეუძლე-  
ბელია ლაპარაკი. ისინი რამდენჯერმე უნდა  
გადაიკითხო, გულის ძვარით იმეორე, სუნთ-  
ქვაშეკრული აყვე გულისწამლებ ჰანჯებს,  
მეხსიერებაში უცაბედად და სამუდამოდ  
აღიბეჭდებიან.

ამ ლექსებში, მტადრე „უცნობ ბანოეანსა“  
და „რესტორანში“, პოეტური ოსტატობა იმ-  
დენად სრულყოფილია, რომ გვაფრთხობს კი-  
დეც, მიიწუნდომელი გვეჩვენება. ალბათ ამ  
ლექსებზე თუ ფიქრობდა ბლოკი, რაცა თა-  
ვის მუხას მიმართავდა: ჩრდილოეთის დამებუ  
ვერაგი, ფრანგულ ლეიონზე მათრობელა და  
ბოშეტი სიყვარულზე ხანმოკლე იყო შენი სა-  
მინელი აღერსით...

ღრო კიდევ უფრო აღონიერებს ბლოკის  
სატრფიალო ლექსებს, თავიანთი მხატვრული  
სახეებით რომ გვთენთავენ, ერთხანად რომ  
აღუგვევენ სიყვარულში ვამოცდილ და ვამო-  
ცდილ გულს.

რალაე „იღუმალა ძალამ“ ბლოკის ლექსე-

ბი აქცია მარტო პოეზიად კი არა, ყოველ  
აღამიანის გულთან შეხმატბილებულ პოეზიის,  
მუსიკისა და აზრის ორგანულ ნაქროსად...  
ხელისფერის იმ მოკლენად, რომლის...  
რამდენადმე ზუსტად ჯერ არავის არ განუ-  
სახლვარავს.

საკმარისია წაიკითხოთ ცნობილი ლექსა  
„რესტორანში“, რომ ჩემი ნათქვამი ირწმუ-  
ნით.

ბლოკმა თავის ლექსებსა და პროზაში რუ-  
სეთის ისტორიის დიდი გზა განვლო 90-იანი  
წლების მძიმე ხანიდან ვიდრე პირველ მსოფ-  
ლიო ომამდე, ფილოსოფიური, პოეტური,  
პოლიტიკური და რელიგიური სკოლების  
ურთულეს გადახლართვამდე, ოქტომბრის  
რევოლუციამდე. ის იყო დამცველი პოეზიისა,  
მისი მენესტრელი, მისი შვიი მუშა და მისი  
გენია.

ბლოკი ამბობდა, გენიოსი დროის უზარ-  
მაზარ სიერეებს აწვდენს შუქსო. ეს სიტყ-  
ვები მთლიანად თვითონ ბლოკზეც ითქმის.  
მისი გავლენა ყოველი ჩვენგანის, მწერლისა  
თუ პოეტის ბედ-იღბალზე, შესაძლოა, ერთ-  
ბაშად შესაძინევი არ იყოს, მაგრამ მნიშვნე-  
ლოვანია.

ჯერ კიდევ ჩემს უმაწილაკობაში გავიგე  
აზრი ბლოკის დიადი სიტყვებისა და, რო-  
გორც იტყვიან, გულის ფიციარზე ამოვიჭერი:

თუ გსურს იხილო ცხოვრების უმბი,  
წაშალე, რაც კი შემთხვევითია...

ვცდილობდი არასოდეს არ შელაღა ბლო-  
კის ამ რჩევისათვის. ავა დიდად მარდღიერი  
ვარ. ჩვენ მისი გენიის სხვამომდინარე შექ-  
ში ეცხოვრობთ, და ამ ზეჟის მადლი ალბათ  
კიდევ უფრო მეტი სიტყვით მიადწევის ჩემი  
ჭვეენის მოშავალ თაობამდე.

### ბი დე მოპასანი

ის თავის ცხოვრებას გვიმალავდა.  
ჩინარბო ნათქვამი მოპასანზე.

მოპასანს რივერბაზე იახტა ჰქონდა. სახე-  
ლად „ლაშაზი მეგობარი“ შეერქმია. ამ იახ-  
ტაზე მან დაწერა ერთ-ერთი ყველაზე ნაღ-  
ლიანი და შემზარავი მოთხრობა — „წყალზე“.

„ლაშაზი მეგობარზე“ მოპასანს ორი მატრო-  
სი ჰქავდა. უფროსს ზერნარბი ერქვა.

მატროსები წუხილს არ იმჩნევდნენ, მოპა-  
სანმა არ შეგვატყოსო, თუმცა კარგად ხედავ-  
დნენ, რომ „მატრონა“ ბოლო დროს რალაე-  
მოსდიოდა და შეიძლება კეუბაზე შეშლილ-  
იყო, მოწოლილი აზრებისაგან კი არა, აუტანე-  
ლი თავის ტყვილისაგან.

მოპასანი რომ გარდაიცვალა, მატროსებმა  
პარიზის ერთ-ერთი გაზეთის რედაქციაში მო-

კლე და დაუღაგებელი წერილი გაგზავნეს.  
დიდი მწუხარებით საუბ. ვინ იცის, იქნებ ამ  
ორი ვაყის მეტმა არაინ არც იცოდა, რა  
მორცხვი და ბავშვითი ველი ჰქონდა მო-  
პასანს, რომელზეც ათას რამეს ლაპარაკობ-  
ნენ.

მატროსებს რა შეეძლოთ? რით ეცათ პატი-  
ვი მოპასანის სლოვისათვის? მხოლოდ ერთი  
რამ — ემცდელათ, რომ მისი საყვარელი  
იახტა ვინმე გულგრილ კაცს არ ჩაყარდნოდა  
ხელში.

ცდილობდნენ კიდევ. უჭირდათ, წლებზე  
ფებს იღამდნენ და მაინც აჭიანურებდნენ  
გაყიდვას.

მოპასანის შეგობრებასაც მიმართეს, საფრანგეთის მწერლებსაც, მაგრამ ამოდ. იახტას მადარა და უქნარა გრაფი ბერტელეში დეპუტატონა.

სიკვდილის წინ ბერნარმა ვარშემომყოფთ უთხრა: მგონი, ცუდი შეხლევათი არა ვყოფილვარო.

შეუძლებელია კაცმა უფრო მეტი სისადავით გამოთქვას ახრი ვანვლილი ცხოვრების კეთილშობილებასზე. სამწუხაროდ ძალიან ცოტა ვინმეს თუ შეუძლია სრული უფლებით თქვას ანგვარი სიტყვები თავის თავზე.

ეს სიტყვები ანდერძია, მატროსის პირით რომ დავგიტოვა მოპასანმა.

მან საოცარი სისწრაფით ვანვლო სამწერლო გზა. „შე ლიტერატურულ ცხოვრებაში მეტერიოიეთ შევიჭრა, — ამბობდა იგი, — და ვიცი, ვლესავით გავეცლები“.

ადამიანის ბილწ საქმეთა უღმრთელი მოთვალვალე, ანატომი, რომელიც ამბობდა, ცხოვრება კლინკა მწერლებსათვის, სიკვდილად ცოტა ხნით აღზე საწმინდეს მიეძალა, სიყვარულის განდიდებაზე დაიწყო ფიქრი.

უკანასკნელ წუთებშიც კი, როცა ეგონა, ტენიში შხამიანი მარული მიყრა და ისა მხრათა, სასოწარკვეთით ფიქრობდა გულითად სიყვარულზე, ათასჯერ რომ უარყო თავის მოსწრაფებულ და მომქანცველ სიცოცხლეს.

სითყვე უხმობდა? სით მიჰყავდა ადამიანები? რას პირდებოდა? გაუწოდა თუ არა დასახმარებლად თავისი ძლიერი ხელები, შეინიშნის და მწერლის ხელები?

რაც არ უქნია, არ უქნია. ისიც კარგად ესმოდა, რომ თავისი ნაწერების მამხილებელ ძალს ადამიანის სიბრალულის მადლი დააკლო. ასე რომ არ ყოფილიყო, სიკვდილის გენიად შერჩებოდა კაცობრიულ ხსოვნას.

ისე კარგად მახსოვს ჩვენი ლოყა. იმ დროს ბენუარის ლოყები ხომ ცალ-ცალკე იფიქრობოდა, ოთხ ადგილიანი იყო. მართალია, ვიქტორს, როგორც შინაურ კაცს თეატრში, თვითონ შემოქონდა დამატებით ორი, სამი სკამი. ვიქტორი ყოველთვის მერვე ლოყის იღებდა. ეს იყო შუა გასაუღიდან მეორე ლოყა. ვიქტორი ზღმრობით იტყოდა ხოლმე: „ეშმაკი ვარ, მეშვიდე ლოყა რომ აიღო, ვერასოდეს ვერ დაქვდები. გასასვლელში მუდამ დგანან დავგვიანებულები. უნდა მიიპატიეო, მერვე ეს დალოცვილები, ყველა შენზე უფროსია, ან ქალია. დაუთმე სკამი და იღევი ფეხზე. მერვე კი გასასვლელიდან მოკლებულია, იფიქრე შენთვის არხეინად. თუ ვინმე მეგობარს ან ძალიან პატივსაცემს დინახავ, გადი და მიიპატიეო. აი, როგორი ეშმაკი ვარ, ეს მე მოვიფიქრე...“

ჩვენს ლოყაში ვისხედით მე, დედა, ჩემი ძმა ვასო და თვითონ ვიქტორი, რომელიც მარტო მოქმედების დაწყების შემდეგ შემოდიოდა ლოყაში, ხოლო მოქმედების ბოლოს ისევ სცენაზე გარბოდა. ვიქტორმა აგრეთვე მოიპატივა რამდენიმე სტუმარი. მახსოვს ახოვინი, წარმოსადგეი პროფ. ს. ვირსალაძე. შენანიშნავი მკურნალი, ძალიან ახლო იყო ჩვენს ოჯახთან. თვითონ ვიქტორი მისი მუღმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. დედა მარჯვნივ პირველ სკამზე იჯდა, ძალიან ღელავდა, თუმცა ამას მარტო მე თუ ვატყობდი. ისეთი ლამაზი იყო თავის სადარბაზო გრძელ შავ კაბაში, ჩვეულებრივზე ცოტა უფრო გაფითრებული. შუაზე გაყოფილი და სადად გადავარცხნილი წაბლსფერი თმა, ოდნავ, სულ ოდნავ შევერცხლილი ყვრიმალები. იგი დინჯად იჯდა, სცენისკენ სახემპყრობილი, მაგრამ რა ხდებოდა მის გულში, ვინ იცოდა.

### სსოვრების უზაგულში

სერგო კლდიაშვილის სიყრძისა და სიკაბუ-  
კის წლები დაეძახა ჩვენი ქვეყნის ისტორიის  
მეტად შფოთიან და მღელვარე ეპოქას. მის  
თვალწინ ჩაიარა პირველმა რევოლუციამ, შემ-  
დემა, რეაქციის მძიმე წლებმა; ბათუმში, სა-  
დაც მისი ოჯახი ცხოვრობდა, ის იყო თვით-  
მხილველი და მოწმე თუ როგორ სამკედრო-  
სასიცოცხლოდ შეეტაკენ ერთმანეთს ხალხისა  
და რეაქციის ძალები; პირველი მსოფლიო  
ომის ბოლო წლებში, უკვე ქაბუჯი სერგო  
კლდიაშვილი თან ახლდა მამას თურქეთის  
ჯრონტზე (როგორც ცნობილია, დავით კლდი-  
აშვილი სამხედრო პირი იყო, პოლკოვნიკის  
ჩინი ჰქონდა); იმ წლებს შთაბეჭდილებათა-  
გან სერგო კლდიაშვილმა ბევრი რამ აღდ-  
გინა შემდგომში თავისი რომანის „ფერდის“  
პირველ წიგნში და ცალკეულ მოთხრობებშიც.  
პირველი ომის მომდევნო წლებში სერგო  
კლდიაშვილი რუსეთშია, სწავლობს მოსკოვის  
უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე; აქ  
მოუსწრო მას თებერვლის რევოლუციამ; მო-  
დევნო თვეების მანძილზე, როცა რევოლუ-  
ციური მოსკოვი დღღდა და ბომბტრობდა, ქა-  
რთველი სტუდენტი ამ მოკლენიანა შეაგულში  
იყო. გასულ წელს, ოქტომბრის ნახევარსაუკუ-  
ნოვანი იუბილეს დღეებში, სერგო კლდიაშვი-  
ლმა გამოაქვეყნა დოკუმენტური მოთხრობები,  
რომლებიც ამ დღეების მოსკოვს გვიხატავენ;  
წინათქმეში ავტორი აღნიშნავდა, რომ „აქ არ-  
აფერის გამოგონილი ამ შეღამაზებული. დან-  
ტაზიის დაძაბავა არ დამჭირდა, ვინაიდან მოს-  
კოვის იმ დღეების სინამდვილე ყოველგვარ  
ფანტასტიურზე ბევრად უფრო ფანტასტიური  
იყო“. ამ მოთხრობებში („პრეიატ-დოცენტი“,  
„პუშკინის ძველანა“, „უენინილა და კოტი“) მ-  
ეტად ხელშესახებდალ და თვალსაზრად იგრი-  
ნობა როგორ ახლოდებდა ოქტომბრის ქარიშ-

ხალის გუგუნი; ეხდავთ იმ დღეების მღღ-  
ვარე მოსკოვს, ეხდავთ ქუჩაში საბრძოლ-  
ველად გამოსულ ხალხსაც და რეაქციის ძალებ-  
საც; ძუნწი შტრიხებით, კალმის ორიოდ  
მოსმით აჩიან დახატულნი მებრძოლი მუშები,  
ფრონტიდან ჩამოსტლი ქარისკაცები, ომის  
დამთავრება რომ ენატრებათ, მოსკოვის უნი-  
ვერსიტეტის პრეიატ-დოცენტი, ბარკადებზე  
რომ კვდება, შეიარაღებული სტუდენტები,  
ეკრესკა და კორნილოვი — ყუენილია და კო-  
ტი, ზელოხელ გაყრილი რომ შედიან ყოველ  
გენერალ-გუბერნატორის სამშაათველოს შენო-  
ბაში, სადაც შემდგეში მოსკოვის საბჭომ დაი-  
დო ბინა. ერთი სიტყვით, აქ უკეთ იგრძნობა  
გარიერაჟი, რომელიც ენ-ესაა უნდა გაბრწყინ-  
დეს და დაიწყოს ახალი ეპოქა კაცობრიობის  
ისტორიაში.

ახლაგზრდა მწერალი საქართველოში ბრუნ-  
დება უკვე იმ წლებში, როცა მთელ რუსეთში  
სამოქალაქო ომი მძენივარებას.

ამრიგად, სერგო კლდიაშვილი, როგორც  
მწერალი, რევოლუციის წიაღში დაიბადა. ქარ-  
თელი საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის პირ-  
ველიეა წლები აღინიშნა უაღრესად საინტე-  
რესო, თეომაყოფი ტალანტების გამოჩენით;  
გამოხატადენენ რა ეპოქის საერთო ვითარებას,  
ყოველ მათგანს თავისებური მხატვრული ხილ-  
ვა ჰქონდა, თავისებური ხედვა სამყაროსი. სე-  
რგო კლდიაშვილმაც ამ მხრავ თავიდანვე მოიწ-  
ცია როგორც ლიტერატურული სასოვადო-  
ბრიობის, ისე მკითხველთა ფართო მასების  
ყურადღება. პირველი მოთხრობებიდანვე იგი  
წარმოსდგება ჩვენს წინაშე როგორც ნოველის  
შესანიშნავი ოსტატი, რომელსაც შეუძლია სა-  
დად, ნათელი და მკაფიო სახეებით გადმოს-  
ცეს დიდი სათქმელი, დაინახოს ღრმა შინაარ-  
სი ერთი შეხედვით უბრალო ამბავში. როგორც

ყველა ეანრმა, ნოველამაც თავისი ბუნებრივი ევოლუცია განიცადა; მას რაღაც მიუძღავს 35-20 საუკუნემ, ახალმა ეპოქამ, მიუძღავს მარტო მისთვის დამახასიათებელი, ახალი, თავისებური, და იმავე დროს, მეტად მნიშვნელოვანი, რა იყო ეს ახალი? რა თქმა უნდა, არა მხატვრული ხერხების სფეროში მომხდარი რადიკალური გარდატეხა, არა მთლიანი დარღვევა ოდითგან განმტკიცებელი ფორმებისა. საერთოდ, ტრადიციულად დამკვიდრებული ფორმები იოლად არ იცლებიან, ვინაიდან წინა ეპოქების ოსტატებმა მეტად კვიანურად, ბრძნულად გამოუძენეს ფორმა შერჩევის სათქმელს. ეს ფორმა ძირითადად შემორჩა რომანსაც და ნოველსაც, მაგრამ ცხადია, ლიტერატურას, პირველ რიგში მხატვრულ პროზას, არ შეეძლო არ გამოეხატა დიდი მსოფლიო გარდაქმნანი, რომლებიც ოქტომბრის საუკუნემ მოიტანა და რომლებიც მარტო სოციალ-პოლიტიკურ სფეროს კი არ შეეხებენ, არამედ ადამიანის სულიერი სამყაროსაც. მოვიდნენ ახალი გმირები, ახალი ფორმაციის ადამიანები, რომელთაც სულ სხვაგვარად შეჰხედდეს სამყაროს. სერგო კლდიაშვილი ერთი პირველთაგანი იყო მათ შორის, ვინც ეს ადამიანები დაიანახა, იგრძნო მათი შინაგანი სიმართლე, სინამდვილის მხატვრული გადმოცემის დიდ ძალასთან ერთად, ამ ცხოვრებას ეუღლა აქტუალრობამ. ამ ახლის გრძნობამ დაემკვიდრა სერგო კლდიაშვილს სახელი ნოველის დიდი ოსტატისა, ასე იქცნენ მისი ნოველები ახალი ქართული პროზის საუკეთესო ნიმუშებად.

ახალი ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორია სრულიად ბუნებრივი გაგრძელება და განვითარებაა კლასიკური რეალიზმისა, ერაველია მისი მაღალი პემანიზმისა, მისი წმიდა სინდისის, მისი იდეალების დაცვა და განვითარებაა. ცხადია, ეს ასეც უნდა იყოს, აქ არ შეიძლება მოწყდეს ფესვებს. ჩვენი ლიტერატურა მუდამ ხალხური იყო, მაგრამ ახალ საბჭოთა ლიტერატურა ახლებურად ხალხურია, ვინაიდან თვითონ ხალხია ახალი, ის თავისუფალი შემოქმედია ისტორიისა; ჩვენი აზრით, აქედან იღებს სათავეს, აქ ვლინდება ჩვენი დროის რეალიზმის სიახლე და თავისებურება. აქ, ახალში, ყოფიერება გავებულა როგორც ემედობა, როგორც შემოქმედება. ადამიანის სული მუდამ ესწრაფვოდა ამას, ესწრაფვოდა ყოფილიყო შემოქმედი სილამაზისა და სიკეთისა, მაგრამ მას წინ ედობებოდა ძველი სამყაროს ყველა ბოროტი ძალა; აქ კი, რევოლუციის შემდეგ, მან შესწრო შრომა ცნება შემოქმედებად და შერყობამაც ცხოვრების კვალდაკვალ, ათთვისა და თავის მრწამსსა მიიღო სიცოცხლის დამამკვიდრებელი ესთეტიკური იდეალები. აქედან მოდის მისი ოპტიმიზმი და ხალხობრება.

სერგო კლდიაშვილი მღელვარე, დღევანდის პროცესში მყოფი დღევანდულობის, თანამედროვეობის მწერალია; მან დღესაც, მარტოც დავად იმისა, რომ შეიძინა თუელ წესი ცხოვრებისა უკან მოიტოვა, შეინარჩუნა სულის ის ცხოველი ენთუზიზმი, ის ინტერესი ახლისადმი, ურთმლისოდაც დიდი შემოქმედება არ არსებობს; სულ ახლახანს გამოაქვეყნა მან ხარკვევი «გადახედვა მომავლისაკენ». აქ იგი ერთი სოფლის კოლმეურნეობაზე მოგვითხრობს, მაგრამ სინამდვილეში ეს არის მოთხრობა ჩვენი სოფლის ზეალინდელ დღეზე, ყველაზე საქართველო საკითხებზე, იმაზე თუ კოლმეურნეობის გამოცდილმა და კვიანმა თავმჯდომარემ, თავის მისწრაფებებში, თავის პატარა უბნებზე როგორ შეაჩარხა სოფლის ახალგაზრდობის მთავარი ქალაქისაკენ, და ბოლოს, ეს არის შერჩეული და თავმჯდომარის მეტად გულწრფელი დიალოგი, ფიქრი იმაზე, თუ რა გააკეთონ ზეალი, რომ უფრო წინ წაივდეს ქვეყნა, უფრო ლამაზი, უფრო ღრმამზინაარსიანი გახდეს სოფლის ცხოვრება, რომ ახალგაზრდას თვალა აღარ მიუბრუნდეს ქალაქისაკენ. სხვა ამბებთან ერთად, აქ ერთი საინტერესო ამბავია მოთხრობილი: ესაა კონფლიქტი თავმჯდომარესა და ერთერთ კოლმეურნეს შორის. საქმე შემდეგნაირად: საქართველოს ტყეებში შემორჩენილია უმწვენიერესი რეაქტორი ხე — ძელქვა, იგი აქაოთ ვეხედება. ამ ხის გამო ლეონიდ ლეონოვი წერდა, რომ «ძელქვა რიონის ველადან გადასახლდა ხალხურ მთქმელთა სიმღერებში», ე. ი. ის აღარ არსებობსო, არა, ჯერ მთლად არ გადასახლებულა ძელქვა თქმულებებში, ჯერ კიდევ დგას ის რიონის ტყეებშიც და იქაურ სოფლებშიც. და ამ სოფელ სიმონურის ერთმა კოლმეურნემ გადაწყვიტა თავის ეზოში მოეკარა ძელქვა; თავმჯდომარემ აუკრძალა კოლმეურნეს ამ ხის მოკრა; კოლმეურნემ მას ჯერ რაიონში უჩივლა, მერე თბილისში, და როცა აქაც არაფერი გაუვიდა, მოსკოვში გაგზავნა განცხადება; და აი, თავმჯდომარემაც თავისი გულისტკივლი შეწარალა გაუზიარა «მართალი, აფერკაღე. ჯერ ერთი კანონით აკრძალულია ძელქვის მოკრა, მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ეს ცხოვრება ჩვენი თვედება, თუ როგორია? ეზოს პატრონის შემდეგ დაე, მომავალში თაობებმა შეავლენ თვალა ბუნების ამ მადლს. ხომ გაახარებთ მისი დანახვა? სანამ ცოცხალი ვარ, ნაყახს არ მივაკარებინებ, მიწივლის მისმა პატრონმა სადაც უნდა».

ეს ამბავი იმიტომ გავიხსენეთ, რომ იგი ბევრ რამეს ხსნის მწერლის შემოქმედებით სამყაროში; ვიტყვით მეტად, სერგო კლდიაშვილის შემოქმედების გავგზობათვის მას ერთგვარი სიმბოლური მნიშვნელობა ეკუთვნის — წარსულს, შემკვიდრებობის თუ არ გაუფრთხილდი, მომავალზე ზრუნვა ამაო იქნება; ძველი

ძელზე უმჯობედ უნდა იღვწე მიწაზე, როგორც დგას ბელათი და სევიტაცხოველი; პირველი ბუნების ქმნილებაა, მეორე და მესამე — აღამიანის გენიოსი; და ყველაფერი ეს — უბრალო პეიზაჟი კი არ არის, უფრო მეტია. მათში ხალხის სულია უხილავად გადასული.

მწერლის უტრადღების ცენტრში დგას ადამიანი-შემოქმედი, ადამიანი — პატარანი ქვეყნისა, პატაროტი საშობლონი, ადამიანი, რომელიც უსუსი ახრი ისტორიისა, იცის რისთვის არის მოსული ამ მიწაზე; ასეთი შემოქმედი ხსენებულ ნარკვევში კოლმეურნეობის თავმჯდომარე სულამინიძე. ეს ჩვენი დროის ადამიანია, და მწერალი თავის მოთხოვნებში არაერთგნის უბრუნდება ამ სახეს, გვიყვანებს მას სულ სხვადასხვა ენაზე, სულ სხვადასხვა ასაკა თუ ვითარებაში, სხვადასხვა ასპექტში. ამ ახალ ხასიათებს განეკუთვნება ინჟინერი ქალიშვილი მადეა მოთხრობიდან „გორგასალის თასი“. აქაც, როგორც ზემოხსენებულ ნარკვევში, აღბრუნდა საკითხი ახალგაზრდობის მიგრაციისა სოფლიდან ქალაქად; მედია სოფლიდან წასული სამეზაოდ, ელსადურს აწუნებს, მას უკვე მოუტეზნია თავისი ადგილი ცხოვრებაში, უკვე შინაური და ყველასათვის საყვარელი გამხდარა სოფლად, და აი, ერთ დღეს სოფელში ჩამოდის მედეას დეიდა ოლიმპიადა, რომელიც ფიქრობს, რომ ასეთი ქვეიანი და ლამაზი ქალიშვილი არ შეიძლება ამ დათვის ბუნაგში დატოვო. მაგრამ მედეასთვის ეს დათვის ბუნაგი კი არ არის; ეს საშობლოა, ეს საქართველოა, რომელსაც უწინ ხელით აშენებ და ილაშქრებ. ეგვიპტის სულით გამსჭვალული დიდის თვალსაზრისით მედეა კარიკას იფუჭებს, მწერლისა და მისი გმირის თვალსაზრისით კი, არ არის უფრო მაღალი თანამდებობა, უფრო დიდი კარიერა, ვიდრე ხვედრი შემოქმედისა და ქვეყნის პატრიოტისა, ვიდრე ხვედრი ამ ლამაზი ქალიშვილისა, რომელიც თითქოს ვანუერელია პეიზაჟისაგანაც კი, ისე ორგანულად არის შერწყმული მთელ სინამდვილეს. დედას კი ყველაფერი უკვე მოუქაზარებია, მედეას ქალაქად გადაყვანილი ოფიციალურადაც გაუფორმებია, მაგრამ მთელი მისი ამ მდებლობიდან აზარტერი არ გამოდის. ამ კიდევ ერთი რამ არის საინტერესო სერგო კლდიაშვილის მხატვრული სტილის თავისებურებათა ამოცნობის თვალსაზრისით: როგორც კი სიუჟეტში ეს სახრთხობილია, დეიდა ოლიმპიადა გამოჩნდება, მწერალი, აქამდე ლირიკულად რომ იყო განწყობილი, უცებ სატირიკოსად იქცევა, თხოების მშვიდი ტონი ირღვევა და მწერლის ხმაში ის მის საკაცატელი ინტონაცია, ოლიმპიადა კი არ ლაპარაკობს, კრიტიკებს, როგორც კარის დაჯანგული ანჟამა, ანდა ლურსმანი, რომელსაც ძველი ფიცირიდან გაზით ამრბენ; საერთოდ, მთელი მისი ფიგურა ნატალინიდან ამოღე-

ბულს ჰგავს; მაგრამ მწერლის ტალანტი ამ მხარეზე, მის სატირულ კილოზე შემდეგ ვილაპარაკებთ.

საქონელო

ახლის შემოქმედთა ცხოვრების შესახებ უნდა აღსაზრისით მეტად საინტერესოა სერგო კლდიაშვილის მოთხრობა დიალოგებად „მარტოობა“. ამ ქალაქის მშენებლების ძიებასა და სულიერ სამყაროზე მოგვიხირობს მწერალი. მოგვიხირობს იმაზე, თუ როგორ მალად მორალურ სიწმინდეს მოითხოვს შემოქმედება ადამიანისაგან, და როგორ მარცხდება ის, ვინც ამას უღუღუღებულყოფს.



თავისი თხზულებების ორტომეული, რომელიც ამასწინათ გამოვიდა ქართულ ენაზე, სერგო კლდიაშვილმა გახსნა სულ პატარა მოთხრობით, რომელსაც „ქინკა ბიჭები“ ეწოდა. საუბარი იმაზე, თუ როგორ აისახა ხალხის ცხოვრება მწერლის შემოქმედებაში, აქედან მინდა დავიყო.

მეტად უბრალოა ეს მოთხრობა, უშუალო და მართალი. აღბათ, ამიტომ არის, რომ ამ უშალ პირველივე სტრიქონებიდანვე იგრძნობა ცოცხალი ცხოვრების მაგისცემა, ადამიანის ცოცხალი გულის ფეთქვა, მისი სულის სინაზეც და სიფიქზეც და, იმავე დროს, სიმტკიცე და გუტუტუტობა; ამ ყველაფერი უბრალოა, როგორც ცხოვრება და იმავე დროს, რთულია, მძაფრი და დამამატრნებით აღსაქვე, როგორც ცხოვრება; ამ ბევრი რამ სატირალია, მშინე ფიქრისა და დარღის აღმძვრელი; ეს პატარა მოთხრობაა, და ამ არ შეიძლება და მხატვრულია სოციალურ და პოლიტიკურ ძალთა ის ისტორიული შეჯახებაში, მსოფლიოს რომ აზანზარებდნენ. მაგრამ ამ არის გამოძახილი, სოციალურ ზუსტად მიგნებული შტრიხებით ველმოცემული გამოძახილი იმ ბრძოლისა, რომელიც კეთილსა და ბოროტ საწყისებს შორის წარმოებს ქვეყანაზე. ამ ჩანს, როგორ მღერიე ტალღისავით გადავტოვო, ვინ მოსოვლის, რამედენ უბედურებას პატარა სოფლის თავზე, მაგრამ ადამიანის ძალას შინაც ვერ შორევი. ამ არის დიდი რწმენა ადამიანისადმი, მისი ძლიერი და კეთილი გულისადმი. ამ არის დიდი მშვენიერებით აღსაქვე ცხოვრება ხალხისა. ამ, უბრალოდ, სტრიქონებს შორის, ყოველგვარი ფერადოვანი ფრაზების გარეშე, იგრძნობა ღონიერი მდინარეება ხალხის ცხოვრებისა, ის იღვწილი დვრიტა, რაც უბრალო თვალთ არ დაინახება, მაგრამ უიმისოდ კაცთა-მოღგმა, დიდი ხანია აღარ იქნებოდა ქვეყანაზე. ვუწოდოთ მას თუნდ ბოლოფიგურა, თუნდ სოციალური და ეროვნული საწყისი. მნელია ამ ზუსტი ტერმინის გამოძებნა, მაგრამ ის კი ნათელია, რომ სწორედ ეს საწყისი აძლევს ძალას ადამიანთა თათბებს, მოაწყონ დიდი საზოგადოებრივი გარდაქმნები,

აშენონ ქალაქები, ივრანონ თავიანთი თავი ამ ცისა და მიწის პატრონებად.

ხალხი უკვდავია და ძლიერა, ის შეუცარებელი შემოქმედია სიცოცხლისა, მთელი ცხოვრებისა ასეთია დედამისი მწერლის ამ პატარა მოთხრობისა; მისი გმირები არიან პატარა ბიჭუნები, წყაროზე რომ ჰყუჟალობენ და კიდევ — მთელი საქართველო, ეს ბიჭუნები, მივარდნილა ქართული სოფლის გზაზე რომ დაუნახავს მწერალს, ჩინან როგორც ხალხის უკვდავების მადუნებელნი, როგორც ახლად ამოყრდილი ქორუა ტოტები ნამეხარი და ნახანძრალი ხის ეგება სხედუბე. ქვესათურად ამ მოთხრობას აწერია „ერთი უბნის მატანე“, მაგრამ ეს საქართველოს ცხოვრების მატანეა და მას თავისი ფილოსოფიური აზრით აქვს — ვერასოდეს ვერ მოერგვა სიყვდილი სიცოცხლეს; სამშლიონნახებრანმა საქართველომ სამშობლოს დასაცავად ნახევარ მილიონზე მეტი ჩარისკაცი გაგზავნა სამშელო ომის ფრონტზე. ეს ოფიციალური ცნობა, არაერთგზის გამოქვეყნებულ გაზეთებში; აქედან ნახევარზე მეტი ვერა მიბრუნდა შინ. ახლა, საქართველოს ტერიტორიებს, სოფლებს გვერდით, ხშირად წაწყდებით ახლად გამწებულ ტყეებს, სადაც ხეებს პატარა ფირფიტები აქვთ მიკრული და ზედ კაცის სახელი და გვარი აწერია; ეს ტყეები — ოში დაღუპულთა ძეგლებია. ეს ტყეები ის პატარაონებია, საქართველომ ბრძოლის ველზე რომ გაგზავნა, ხშირად ამ ტყეებში ერთი-მეორის გვერდით დგანან ხეები, რომლებსაც მამის სახელი და გვარი ერთი აქვთ; ძნელი მისახვედრი არ არის, რას ნიშნავს ეს: ორი, სამი, ხშირად ოთხი და უფრო მეტი ძმაც ერთად წაიხდენ ფრონტზე.

ასე მოხდა აბესაძეების უბანშიც, გვაუწყებს მწერალი თავის მოთხრობაში.

და აი, ომი ახალი დამთავრებულა. სოფლის გზაზე მგზავრი გამოჩნდება, მიდის და ათვლიერებს იქაურობას. მას ადრეც უნახავს აბესაძეების უბანი; ეხოებში სიჩუმეა, ირგვლივ კი ბროწისფლის ყვავილების ცეცხლი მოსდებია გარემოს, უბეხებში შაშვი და ასმის კრაჭინების დაუცხრომელი საჯალობელი, მზე დაღვრილა მთელ გარემოზე და საცოცხლე ზეიმობს თავის მარადიულობას. ეს ძველი კრაჭინობლები არიან და ბროწისფლის ყვავილებიც ძველია, თუმცა დღეს დილით გაიფრტყნენ, ასეთი წლების წინ ჰყოფდნენ და ისევ ჰყვებიან; აგერ პატარა ბიჭუნებიც, დოქები რომ აუესიათ სოფლის წყაროზე და შინისაკენ მიიქვთ, ეს თანინ არიან, ოდესღაც რომ დასახლდნენ აქ, მრავალი ომი რომ გადაიხადეს, სულ ბოლოს კი, აგერ ზუსტიოდ წლის წინ, ყველაზე დიდ ომში წავიდნენ. ვინა სტეპა, ველარ შობრუნდენო! ძველი სამყარო და თან ნორჩია, ქორეფა ამ ბროწისფლის ყვავილებით და ამ ბიჭუნებით; და

უცებ აღტაცების ყოყინა აღმოხდება გზად მიმავალ მგზავრს:

„— ეგეი, კინა-ბიჭებო, ეგეი! ამ მოფრებების წამოახილში, ამ აღერაში იათითი ტრულია ცხოვრებისადმი, სიცოცხლისადმი, სამშობლოსადმი, რომ არ შეიძლება მან მკითხველის სული ძლიერად არ შეარხიოს.

ამ პატარა მოთხრობაშივე ძველი ომებიც არის ნახსენები, ამ პატარა ბიჭებში — მათი წინაპრებიც ჩინან; გავა დრო და ეს პატარები თითონ იქცევიან წინაპრებად; და მერე ისევ მოვლენ კვლავ პატარა ბიჭები, როგორც ეს ბროწისფლის ყვავილები გაშლილან. ეს არის ვანკერტა და გამოსახვა ხალხის ცხოვრებისა, მისი წარსულისა, აწმყოსი და მომავლისა. ცალკალკე გამოყოფილად, დამოუკიდებლად არც ერთი მთავანი არ არსებობს. კაცობრიობის ისტორია — ეს არის მთლიანი პრატევის განვითარებისა და წინსვლის მოძრაობისა დაბალი ფორმებიდან მაღალი და სრულყოფილი ფორმებისკენ. ეს ზოგადად, ცხადია, ასეა ყურძნად, ერის ისტორიაც ამიტომ მწერალს, რომელიც ცდილობს სისასით გადმოსცეს თავისი სათქმელი, წარსულს აწმყოსთან ველარასოდეს ვერ მოსწყვეტს, ვერ დაშორებს; სერგო კლდიაშვილი წერს თავისი ხალხის წარსულზეც და აწმყოსზეც, და ეს წარსული არასოდეს მისთვის მვედარი არ არის, ეს არ არის მიცვლადების რაღაც ნაწალადეგად გაღვანისებული მოძრაობანი, არამედ ცოცხალი სიცოცხლის სუნთქვაა. მის მოთხრობაში წარსულიც ცოცხალია და თანამედროვეობაც, უამისოდ წარსული — საინტერესო არ არის; ეს არის ის ახლებური გაგება წარსულისა, რომელიც ქართული საბჭოთა პროზის თავისებურებას წარმოადგენს. ეს ნიშნები ახლებურად გაგებული ისტორიისა მკაფიოდ გამოჩნდა სერგო კლდიაშვილის მოთხრობაში „სერადიტა“.

ომისშემდგომ წლებში ქართველი არქეოლოგები მცხეთაში, გათხრების დროს, წააწყდნენ უძველეს, ჰენი წელთაღრიცხვის პირველი თე მეორე საუკუნის დროინდელ საფლავს, რომლის სტელაზე წარწერილი იყო:

„მე ვარ სერადიტა, ასული ფარსმან მედის მეორე პიტაბზის ზეგასისა, ცოლი იოდმანგან — ძღვეამისილის მხედართუფროსისა... ვაი, ვაი შენ, რომელიც იყავ ახლგაზრდა და იმდენად კარგი და მშენიერი იყო, რომ არავენ იყო მისი მსგავსი სალამაზითა, და გაარდაიცვალა სიცოცხლის ოცდამეერთე წელსა.“

ზეთებმა მკითხველს ეს ამბავი აუწყეს. რატომ მოხდა ეს, რატომ შეძრა ადამიანის გული ამ ცნობამ ათასეული წლების მერე? იმიტომ, რომ საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში ახლა ეინ მონათლის რამდენი სერაფიტა დადის და ქვეყნის სიღამაზე, ქვეყნის სიცოცხლე, მისი აწმყო და მომავალი მათში განსაზღვრებული. სერაფიტა-ახალგაზრდა ქალიშვილია, ახალგაზრდა დედა, დაეშვებელი წყარო სიცოცხლისა.

ამ თემას მივღვენა სერგო კლდიაშვილმა თავისი მოთხრობა „სერაფიტა“, დიდად საუკურადღებო და პრინციპული მნიშვნელობის შრომე ნაწარმოები ახალი რეალიზმის ლიტერატურისათვის, ვინაიდან ამ შორეული წარსულის ამბავი იქცა თანამედროვეობის უაღრესად აქტუალურ თემად.

რაიონის საგანმცხოვროს მოთავრ ექვში ქალაქიდან დიდი ხნის უნახველი მეგობარია ეწვია; ეს შეხვედრა მით უფრო სასიამოვნო გამოდგა, რომ სტუმარი არქეოლოგი იყო, და ძველ მეგობარს მან თავისი პრაქტიკიდან მრავალი რამ უამბო ისეთი, რამაც ექვში — ცნობისმოყვარე და რომანტიკული ბუნების ადამიანი, განცვიფრებულა მოიხდენა. ამ საღამოს ექვშია ძლივს დაიძინა — ფიქრში სულ სერაფიტას ამბავი უღელდა, ამ ახალგაზრდა ქალის სიღამაზე უთვალავ საუკუნეთა მანძილზე შეენახა საზარხში ნაპოვნი სტელას; ოცნების თვლით ექვში ხედავდა იმ უცხო ქალს და ხიზლავდა მისი გამჭარლი, მაგრამ მაინც უქვნიბო მწვენიერება.

შემოგარენი იმ სოფლისა, სადაც ექვში ცხოვრობს, საესეა ძველი ციხე-კოშკებისა და ტაძრების ნანგრევებით. ექვში წინასწარ ოცნებობს, რომ მისმა მეგობარმა არქეოლოგმა, ეინ იცის, აქაც იპოვნოს მეორე სერაფიტა... ერთბაშად გახსინდებდა რაიონის სახელი... ამ ფიქრში ჩაეძინება. მეორე დილით, საგანმცხოვროში მას შორეული სოფლიდან ჩამოსული, ეკუთა შესახედობის ვაყაყი დაადგება თავს; ერთი წლის წინ დაბრუნებულა ფრანტიდან, სიკვდილის წინაშე არაერთხელ პირისპირ მდგარა, ახლა კი ეს მამაკაცო ბავშვითა შემკრთალი და თაყზარდაცემულია; ცოლი ჰყავს მისივე ავად, წუხანდელს აქვთ ცნობაზე აღარ არის და უკანასკნელი იმედი ახლა ამ ექვშია.

„ვიღებები და მიშველ“, ევადრება გლეხკაცი ექვში; ექვში ცდილობს რაღაც მოიპოვებოს, უხალისოდ პასუხობს, რომ იმ სოფელს თავისი ექვში ჰყავს, მაგრამ საბოლოოდ წასვლაზე უფროსი თქმის ვერ ბედავს; მისი სორათელი სოფლისაყენ და თან თავისი სტუმარიც მიჰყავს; გზაში ჩაუვლიან დიდებულ ტაძარს, წარსულის ძველს, და ექვშიც და არქეოლოგიც გატაცებით საუბრობენ გარდასულ დროზე, აწმყოზე, ერთს ვენიშნენ, ამ ძველებში რომ აღბეჭდილა. მაგრამ აა, მოვიდნენ სოფელში. ხუთი დღის წინ ახალგაზრდა ქალს მშობიარობა ვადანტანია, ბებიობა სოფელ

ექვშიაშ-ღედებურს გაუწვია და აა, ახალგაზრდა, ჟან-ლონით საესე ქალი უკვე სიკვდილის პირას არის. „ეინ იფიქრებდა ამ უბედურებას, — მისიქვამს ღედამთილი, — აქედან უფროსი არ ისტკინენია ჩემ რამალს მაგ რომ გაიცინებდა, სოფლის ვადამა ისმოდა მისი ხმა...“ ზის შეწუხებული ექვში, სინანულით დასცქერის მომავლადის უკვე მიმკრთალებულ მწვენიერ სახეს, მის უკვე სხვიანჭირალ ღედრონ თვალებს და უნებურად თითქმის ვიღაც მასძახებს სახელს — „სერაფიტა“. მეზობელ ოთახიდან ახლადდაბადებულის ტირილი ისმის, მეზობლის ღედაკაცი მას ძუძუს აძლევს, აქ კი, ამ ოთახში, სიკვდილი თავის საქმეს ამთავრებს.

ექვში და არქეოლოგი შინ ბრუნდებიან, ამკურადაც იმ ძველი ტაძრის გვერდით უნდა გამოიაროს; „რა მაღალი ფიქრი, რა ფიქრი ოსტატობა! და ისიც ყურ კიდევ მეუბრთმეტე საუკუნეში!“ — აღტაცებით გაიძიხის არქეოლოგი, მაგრამ ექვმის თვალში იმ ტაძარს თავისი მუღმივი მომხიბვლელობა დაუკარგავს. „რა ძუნწადაა ქვაზე ხეუღლები, მაგრამ რა სინატიფე, რა დახვეწილი გემოვნება!“ — არ ცხრება არქეოლოგი; „რამდენს უბედობს“, უკმაყოფილოდ გაიფიქრებს გულამღვრული ექვში; „უსუდავია ხალხი“, — მღუღარედ განაგრძობს არქეოლოგი, ექვმს კი ისევ მომავლადეა ქალი უღვას თვალწინ. სიკვდილი უღვას თვალწინ, რომელსაც ის ვერ მოგრაია. ამიტომ უღვას სერაფიტაც დაეარება ფასი მის თვალში, ცოცხალი იყო და ახლა აღარ არის, შუნა ხელთ იყო მისი სიცოცხლე და ვერ მოუარე. მამსადაამე, დაეარე უღვება აღტაცებისა ამ ღედებული ტაძრით და იმ ქალის მწვენიერებით, რომლის მაღლი და შუქი მუგენია ამ ქვეყანას.

აქაც, ამ მოთხრობაშიც და საერთოდ მწერლის მთელ შემოქმედებაში საოცარი ძალით არის შეწონასწორებული პატრიოტიზმისა და ჰუმანიზმის გრძნობები; საშობლო—ეს განეყენებული ცნება არ არის, საშობლო—ეს ცოცხალი ქვეყანა, და მისღამი სიყვარული განიზომება იმ მონაწილეობით, რომელიც ადამიანი მასში ღებულობს. ასეთი აქტიური საწყისი, ცხოვრების დამამყიდრებელი პათოსი აქვს იმ ჰუმანიზმს, რომელსაც ჩვენი ლიტერატურა ემსახურება.

ამე მუდამ ცოცხალია წარსული სერგო კლდიაშვილის მოთხრობებში; არაერთგზის უბრუნდება მწერალი ჩვენი ხალხის ისტორიას და მუდამ ამ ასპექტში იღებს იგი ამ თემას.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ წარსულიდან მწერალი იღებს იმას, რაც მარადული იყო მასში და ცოცხალი დარჩა დღემდე; მინიატურულ მოთხრობაში „სოკოა უედამნიდან გავცქირა“ სრულად არის გადმოხეული ასეთი თვისებური განკვერტა ისტორიისა; ზედაზენი არც ისე მაღალი მთაა საქართველოს ძველსა და

ახალ დედაქალაქებს — მცხეთასა და თბილისს შორის, აქედან მართლაც შეიძლება ვადახედო საქართველოს არა იმდენად სივრცის, რამდენადაც დროს თვალსაზრისით, ე. ა. თვალი გამოადევნო წარსულიდან დღევანდლამაკენ; აქედან ჩანს ის გზა, საიდანაც საქართველოს დედაქალაქს პომპეუსის ლეგიონები მოაწოდნენ, მაგრამ მათი სახსენებელი აღარსად დარჩენილა, ქარსი და წვიმის წურჭეტავს მათი ნაკვალევი... ასევე მტკრად ქცეულან მათს შემდეგ მოსული დამპყრობელნი—არაბები თუ ირანელები, სელჩუკები თუ მონღოლები... ხოლო ათეყრ თუ მტკვარ დამწვარი სვეტიცხოველი ისევ დგას, ისევ ჰყვარან ქართლის ბაღები, მიწის წიაღი უმწვენიერეს სურათობებს სწინავთ, ხოლო ცოცხალი სურათებმა დადიან გახარებულ მიწაზე და ახალი ხერონი ფოლადის ქალაქებს აშენებენ. „უღაზუნის ამ სიმაღლიდან სული უკვდავებს ეზიარება და თვალი მარადისობას ვასცქერის“.

აქ შემთხვევით როდია ერთ პეიზაჟში ჩაქოსივლი ერთი მხრით სვეტიცხოველი და მეორე მხრით, ფოლადის ქალაქები, რომელთაც ახალი ხერონი, ახალი სოციალისტური საქართველოს ისტატები აშენებენ. ეს გადასახება ეპოქათა შორის — ძალზე დამახასიათებელი თავისებურებაა სერგო კლდიაშვილის შემოქმედებისათვის, და ამის გარეშე მის მსოფლშეგარანე სურათულ წარმოდგენა არ გვექნება.

„ღირბელი მოყმის ამბავს“ მე-14 საუკუნის საქართველოში გადავყავართ; თვით უეიდურესად ფრთხილი და პედანტი ისტორიკოსიც ვერ იტყვის, რომ მწერალი აქ არ იცავდეს ეპოქის კლორტიკას, არ გადმოგვცემს იმ დროის ყოფილსა თუ პოლიტიკური ვითარების აღმოსაფრხვან, მაგრამ, ისევე დროს, ეს ხომ ჰქმნია ადამიანის სულის სიღამაზისადმი; მთელი გატაცებით უყვარდათ ერთმანეთი ახალგაზრდა ქალ-ვაჟს — რუსუდანსა და ვოჩას, და ასეთივე სიყვარული გაიდრძობდა მათს შოამომავალთა გულში ათასი წლის შემდეგაც; შინაგან გოგამ „ვეფხისტყაოსნის“ ვადამწეროდა და როგორც სიყვარულის აღსარებას, როგორც სატრფიალო წერაღს, ისე უგზავნის ცეცხლისაგან გადარჩენილ „ვეფხისტყაოსანს“ ბატონის უღამაზეს ასულს — რუსულანს. ყველაფერს, რითაც სულდგმულობს ადამიანი — სიყვარული, ვერობა, მეგობრობა — რაც ამაღლებს მის სულს და ვოჩებს — შეწყვარებულ ქალი ამ წინში პოევებდა. „ლექსის თვითივლი სიტყვა ცოცხლობდა ადამიანისადმი და ჭეყუნისადმი სიყვარულით. ყოველი სიტყვა თვით იყო მზე, მიწის უვადლობა, კვირტების საიდუმლო გაცოცხლება, ნუთფის ტბილი წყინი. ეს წიგნი ადამიანმა თითქმის თან მოიტანა ვაჩენის პირველი დღიდან და მის მარად თანამგზავრად უნდა დარჩენილიყო...“

ჩვენ მოვიყვანეთ ეს ამონაწერი კიდევ იმით, რომ აქ დასახლებულია სერგო კლდია-

შვილის შემოქმედების ყველა ძირითადი მთავარი, ყველა თემა, მისი ყველა მისწრაფება, მისი ესთეტიკური და მორალური მრწამსი; ყველაფერი, რითაც სულდგმულობს აღქმულ ქალაქს ამაღლებს მის სულს; აი რაზე წერს მწერალი, რა გრძნობას აღვივებს ის მკითხველში, რა ინტერესებს მას წარსულშიც და აწუხებშიც. მწერალი კარგად იცნობს სახლს სულს, შებენარის და შესტრფის მის რაინდობას, მის კეთილშობილურ იდეალებს, მის სიღამაზეს.

• • •

სერგო კლდიაშვილის როგორც მწერლის კიდევ ერთი თავისებურება ის არის, რომ ადამიანის სულის რომანტიკული მღვლეარების გადმოცემა ესოდენ ისტატურად არის მწერსმული მის ნაწარმოებებში მძაფრ სატირულ ფერებთან. ლატერატურის ისტორიისათვის ეს უცხო არ არის; გავისწავლოთ, რომ ყველაზე დიდი ლირიკოსები იმავე დროს უმძაფრესი სატირის გრძნობით იყვნენ აღტურდნი. ასეთივე სატირული სახეა კოლეჯის ასესორი გერმან შტუბე, ჰინის და წარჩინების საშოვნელად კავკასიაში ჩამოხეტებული ავანტურისტი, რომელიც ოცნებობს პეტერბურგის სამეფო კარზე აღზევებასა და დანაშაულებზე და უკვე ზმინებით წარმოიდგენს როგორც მინაბტურებს მას იმპერატორი ფინჯან ყავაზე და მადლობას მიუძღვნის ჭანყისა და კრამოლას სულისცევათების აღმოფხვრისათვის; შტუბე — ნამდვილი არაბობა, გამოფიტული სულის ხუჩვა არსება და მინც მის გულში გაუღვიძრია სიყვარულს მთის თავისუფალი ასულის — სვანი ქალიშვილის გვაშაყანისადმი; მოთხრობას მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის მიწურულში გადავყავართ, როცა მთავრდებოდა დუცბროშელი მთიელების, კერძოდ, სვანების დამორჩილება; შესანიშნავად არის აქ დახატული იმ დროის ქუთაისი, მთებლეთა წივი, მაიორ ბელოუსოვის მუხლზე კენჭევივა, მთელი ხროვა გუბერნატორის ირგვლივ თავმოყრილი მოხლეებისა, რომელთაც ამ „ველურ აზამში“ სხვა არაფერი აინტერესებთ, ვარდა იმისა, რომ თითო საფეხურით წაიწიონ წინ იერატვილ კიბეზე. სსა-ცილოა თვითონ მთავარი გმირი — ასესორი შტუბე, შტუბე ამ მოთხრობას მარტო ინტორის შემეცნების, შნიშენლობა როდი ექვს, არა, მას უღრო ღრმა და ზოგადი მნიშვნელობა ენიჭება; აქ ავტორი მწარე, გამანადგურებელი სატირით დასცინის მათ, ვინც ადამიანთა უთანასწორობას არა სოციალურ, არამედ ბიოლოგიკურ კატეგორიად მიიჩნევს. მწერალი ვრცელად მოგვითხრობს ასესორ შტუბეს პროკეპტზე, რომლის მიხედვით ყოველ ახალშობილს, დაბლებსთანავე, სპეციალურად შერჩეულ ყალიბში მოუთავსებენ თავს, რათა მის ტვინში არ შეადწიოს არავითარმა აზრმა, არავითარმა

ედემ, ვარდა იმპერატორის ერთგულებისა; ამისათვის შტუბეს სპეციალური ყალიბები შეუქმნია.

ასესორი შტუბე შორს სცილდება იმ ქრონოლოგიურ ფარგლებს, რომლებშიც აქ მოქმედება ვითარდება. ეს რასიული გონებაშეზღუდულობა კვლავ გამოჩნდება ისტორიაში, და არა მარტო მე-19 საუკუნეში; გაივლის წლები და შტუბეს თანამემამულენი სისხლის ზღვებს დააყენებენ ამ ბოღვითი მათხოვრული იდეის სახელით. და მწერლის გამაჩრვება იმაშია, რომ მან გვიჩვენა, თუ როდენი სიბილწია ეს, რაოდენი გონებრივი სიბნელე! შტუბე — ზოგადად სახეა, ესაა შესანიშნავი შემკრებლობითი სახე რეაქციული სიბნელის, გონებაშეზღუდულობის, ვეწლა იმათი სახეა, ვინც ქადაგებს ერთა თუ ადამიანთა უთანასწორობას... და ეს შტუბედ აქტიუდურია დღეს, ვინაიდან შტუბეებიც ცოცხალი იყვნენ არა მარტო მეორე მსოფლიო ომის დროს, არამედ დღესაც, როცა მსოფლიოში ჯერ არ აღვევითადა რასობრივი დისკრიმინაციის რეციდივები.

ამრიგად, ამბავი ამოზარდა ქრონოლოგიური ჩარხიდან; ვასცილდა მას და მეცხრამეტე საუკუნეში ბედის საძებნელად ჩამოხეტებული ივანტროსიტის გროტესკული სახე იქცა საერთოდ რასობრივი რწმუნის თეორეტიკოსთა და პრაქტიკოსთა მძაფრ მხილვად.

ეს შერწყმა და შეთავსება გულის უდიდესი სითბოსი სატირის მწარე სამსალსთან, ეს შეთავსება ლირიზმისა მძაფრ ირონიასა და დაჯენეასთან — ლიტერატურის ისტორიაში — ძალი არ არის; ყველა ერის ლიტერატურაში მან მკვლად თავისი დიდი ოსტატები; ასევე ითქმის ქართულ ლიტერატურაზეც. აქ დავასახელებთ თუნდაც მარტო აკაკი წერეთელს — ეს იყო მეცხრამეტე საუკუნისა და მეოცე საუკუნის პირველი წლები ყველაზე უნაზესი ლირიკოსი და, იმავე დროს, ყველაზე მძაფრი სატირიკოსი, ყველაზე დიდი მამხილებელი.

ამ სატირულ თბობას ლიტერატურის ისტორიაში თავისი სპეციფიკური მხატვრული ფორმა აქვს. ეს ხან ზღაპრულ-გროტესკული მოთხრობაა, ხან ფილოსოფიურ-გროტესკული, სადაც გარეგნულად დონჭო, სერიოზული თბობა თითქმის ჰეარავს მძაფრ ირონიას და სარკეზმს. აქ მოთხრობა თუ რომანი ოსტატური იმიტაციით ხან ფილოსოფიური ტრაქტიკისა, ხან ძველი მატიაზისა, ხან ისტორიული რომანისა; მსოფლიო ლიტერატურაში ეს ენარი თავის საწყისებს იღებს რაბელ გენიალურ „გარგანტუასა და პანტაგრუელში“, სადაც ეთოიმად ძველ ზღაპრებში მწერალმა გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა კათოლიკურ ტრაქტიკას, ხალხის ამწიოყებლებს, ომის ამტებებს. ამ გზას აგრძელებს ევალტერი თავის მოთხრობაში „ზადი-ვი ანუ ბედო“ („ალმოსველერი ისტორია“), მაგ-

რამ ყველამ იცოდა, რომ ალმოსველერის ამ მოთხრობას არაფერი საერთო არ ჰქონდა და მასში მხილვული იყო შარისხარე მადლამ-გენა, ვერსალის დიდებული წრე; პრესტონდის ლიტერატორიდან ამ ენარის სანიშნუში ნაწარმოებებზე უნდა ჩათვალოს პუშკინის „სოფელ გორკინ-ხინოს ისტორია“ და საალტაიკო-მჩიდრინის „ერთი ქალაქის ისტორია“; ჩვენი დროის მსოფლიო ლიტერატურაში ამ ენარის ბრწყინვალე ოსტატები იყვნენ მაქსიმ გორკი და ანატოლ ფრანსი; აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს გორკის „იტალიური ზღაპრები“, „რუსული ზღაპრები“, ანატოლ ფრანსის „ანგელოსების აქანყება“ და „პინგვინების კენჭქლა“, სადაც ნაშენს ბაღთან მკერდზე მოაწყებებენ უნაღეს სამხედრო ორდენს, როგორც გამოჩენილ მხედარმოთავარს... განა ცოტა სისხლის ზღვები დააყენეს მე-20 საუკუნეში ადამიანის მსგავსმა მხეცებმა, რომელთაც ვერმადბის მუნდიარტი ეცვამ და მკერდზე ორდენები ვეღარსად ეტეოდათ!

ქართულ მწერლობაში ამ ენარის უბრწყინვალესი ოსტატი იყო ბრძენი სულხან-საბა ორბელიანი; არა მარტო თავის ნოველებს, არამედ მთელ ამ ენარს მან მოუძებნა კლასიკური განსაზღვრა, უწოდა „სობრძნე სიტყვისა“; ნოველებს ეს წიგნი — ლემანზისის ნამდვილი ენციკლოპედიაა, აქა მძინე ყველა წინადაც ადამიანური გრძნობისადმი და გამანადგურებელი ირონია ყოველივე ბნელის, ჩამორჩენილის, რეაქციულის მიმართ, ყოველივე იმის მიმართ, რაც ხელს უშლის ადამიანის წინსვლას.

მაგრამ ეს ჩვენი წიგლის თემა არ არის; ეს ექსკურსი ლიტერატურის ისტორიაში ჩვენ დავგვირდა იმიტომ, რომ გვეჩვენებინა თუ რა ენარს განეკუთვნებოდა სერგო კლდიაშვილის მოთხრობები „გამათყენები საიდუმლო“, „დიდი საჩუკე ბავშვის ოთახში“, „ჯორდანო ბრუნო“, „ადვისი კენჭელი“, „ლაზუნდარელის თევგადანავლია“ და სხვები; ამ მოთხრობებს მწერლის შემოქმედებაში განსაკუთრებული და განცალკევებული ადგილი უჭირავთ.

როგორც ჟანრის, ისე იდეური ჩინაფიქრის მიხედვით აქ შტუბედ დამახასიათებელია „ადვისი კენჭელი“. შორეულ ქვეყანაში, რომელსაც დღეს კენჭელი უწოდებენ და რომელიც ოთახივე მხრობდა ოკეანეთა შემოსაღებელი; ცხოვრობს ერთი ბუნავი კაცი, ღარიბთა-სკოლის მანაწილელები პიტერ პრასის — მუდამ სეველიანი და მწუხარე. სახე მუდამ ჩამოსტრის, სიტყვის სათქმელად რომ პირს გააღებს, ჩვეულებრივი ხმის ნაცვლად ოხერა აღმოხდება; რა აწუხებს პიტერს, რამ დაუკარავა მოსვენება? მისი უბედურების მარჯეზი ის არის, რომ მკარზნობიარე გული აქვს, ადამიანი უყვარს — ირგვლივ კა ადამიანის ჩაგვრის შეტს არაფერს ზედავს; ის მზად არის ყველა უბედურის ტანჯვა თავის თავ-

ზე მიიღოს, მას მასხარად იგდებენ, ქვეყნის კირისფერად ეძახიან, დასცილიან, ბოლოს, იქამდე მიდის საქმე, რომ ბიოგრაფიულ დასწამებენ და ყველა ზურგს შეაქცევენ, მისი სიყვითე არა სურათ, არა სწამთ; ამიტომ იძულებულია წაივდეს თავისი მშობლიური ქალაქიდან, და იგი უცებ ისევ ბრუნდება, პირველი ახლა დიდი კაცია, ქალაქის მთავარ მოედანს სახელებს უცვლან, მის სახელს არქმევენ. რა მოხდა, რამ გამოიწვია ასეთი რადიკალური გარდატეხა? ქალაქგარეთ, ხის ძირში წამოწოლილს, ძილის დროს სატანამ მას ომერაცია ვაუწყებთა და გულ ამოკალა: ამის შემდეგ ის ქვესავით უგრძობელი გახდა, მან აღარ იცოდა, რა იყო სინდისი. ამერიიდან პრინსი ლანარაიკობს „წითელ არდილებზე“, ომის ადგილებლობაზე, ატომურ ბომბებზე; მწერალმა აქ შესანიშნავად დახატა ის მორალური დაცემა და დაქვეითება, მხეცური ინსტანტიების ის მოხდევება, რომელიც უსოდელ დამახასიათებელია იმპერიალიზმის სამყაროსათვის.

ამდე თვალაზრისით, ბევრი საინტერესო მიიზნება „ლახუნდარელის თავგადასავალიც“, „გამოცნობილი საიდუმლოებიც“... აქ ყველგან მწერალი იბრძვის, ჰუმანიზმის, ადამიანის სიყვარულის დამკვიდრებისათვის მთელ მსოფლიოში; მაგრამ რა მიზნით ირჩევს ამ ხერხს დიდი იდეური მიზანსწრაფვის ვადროსაკემად? საქმე ისაა, რომ გროტესკი უკეთ წამოსწევს წინ და პუბლიცისტურად ამხეილება იმ მხარეს, იმ ბნელ ჩრდილებს, რაც ჩვენს პლანეტაზე ჯერ კიდევ ხელს უშლის ადამიანს, ამაში ამ მოთხოვნების წარმატების საიდუმლოც.

• • •

ხალხის ისტორია — თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაა, რაოდენი ბიოგრაფია შეხვედრია ხალხს ამ გზაზე, რამდენი უსამართლობა, ტანჯვა და წამება რამდენჯერ აღმდგარა ის სოციალური და ეროვნული ბოკალების დასამსხვრევად მანამდე, ვიდრე დიდი ოქტომბერი სამუდამოდ დაემკვიდრებდა მას თავისუფალ იხოებას. სერგო კლდიაშვილი ხატავს ხალხს ამ განმათავისუფლებელი მოძრაობის არაერთ საველისხმო ეპიზოდს. კერძოდ, ამ მხარე უფრადლებს იმერეთს მისი სეპარატი მოთხოვნების ცილა.

ამ მოთხოვნებს შორეულ წარსულში გადაეყვართ. აქ პირველ რიგში აღსანიშნავია „ლახუნის ბატონი“. ჯერ თითქმის წამლის ეპოქაზე არ დამდგარა ქართველი მთიელები — სეანების ჯერ ისევ სიყვითლია და შეუბოთ არიან შეიარაღებულნი. ჯერ შუააქედნეობა, მრისხანე და შემზარავი; და ყველაზე შემზარავია ლახუნის ბატონი დევლეთ ყიფიანი.

ის თითქმის ბორცვსხმულ ბიოგრაფიად ქცეულა, ისე გაუტარებია თავისი სიცოცხლე მუ-

დამ წარბშეკრულ დევლეთს, რომ ჯერ არ გავიცინია. პირვანდელი პატრიარქალობის ბეჭედი ახის აქ ყველაფერს. პირველი ცოდნისაგან შესაძლებელია გოგონა რომ ეყოლა ბატონს — მისივე მისივე ბრძანებით დაახრჩეს — მას ხომ შეიძლება სტირდება და არა ქალიშვილები, ხოლო ცოლი უკანვე მიგვარეს მშობლებს; ბატონის მეორე ცოლი, რომელსაც სამ წელს შვილი არ ეყოლა, კვდება უცნაურ ვითარებაში; უნდა ვიფიქროთ, რომ ისიც დევლეთის მხეცური ინსტინქტის მსხვერპლია.

მაგრამ ხალხის გული სუფთაა და კეთილი, მას არ შეუძლია შეურიგდეს მხეცს. რომელიც ადამიანის ნიღბს ატარებს; და აი, ყმები აუჯანყდებიან მრისხანე ბატონს, მთებში მირბის დევლეთი, უკანასკნელ ციხეს შეაფარებს თავს. ხალხი ირგვლივ ეხევეა ამ ციხეს. გორიზი და მრისხანე შემატონე სიყვდილსაც უცნაურს აირჩევს — ციხე-კოშკიდან დაბლა გადმოხტება და მალა აწვდომ შეუბეზე წამოეგება.

მწერალმა იცის ძლიერი ვნებების ძალზე მართალი და უბრალოდ გადმოცემა; ამის გამო მისი სიტყვა თუ სახე კიდევ უფრო დამაჯერებელია: ეს ითქმის კერძოდ მოთხოვნაზე „უშგული“, სადაც ტრავმაში თავის უდიდესს მწერრელს აღწევს. მოთხოვნა საინტერესოა როგორც მანაფიქრით, ისე მხატვრული გადაწყვეტითაც. ჩვენ ზნორად ვამბობთ, რომ ხალხი — ეს ერთი მთლიანი არსებაა, მთლიანი ორგანიზმი; ასეთად გამოხატავს მას ჩვენი მწერლობა, მაგრამ აქ სერგო კლდიაშვილი ძველ თქმულებებსა და ლეგენდებში თუ წააწყდა პირდაპირ ბედნიერად მიგნებულ ფაბულას, სადაც არა მირტო ვადრანითი, არამედ კინაღამ პირდაპირი მნიშვნელობით მთელი ხალხი ერთ კაცად იქცევა, ერთი სული ჩადგმის. თემა აქ ძველია — დაჩაგრულთა ბრძოლა მხატვრულს წინააღმდეგ. სოფელ ბეროს მფლობელი ფეოდალი დაქტლანი სოფელ უშგულს მკვიდრი თავისუფლების ემტყრება, მან ბეგრეჭერ აიყვანა ეს სოფელი, მრავალი დედა ატარა აქ, ბევრი ჩააცვა შავებში, და აი, უშგულელები შურისძიებისათვის ემზადებიან, საოცარ სიკვდილს უმზადებენ ისინი მტარვალს — მის მსაყავე ტყვიას ისე ჩამოსახავენ, თითო მცირე ჩამონათალი თავისი ტყვიიდან ყველა უშგულეს მოაქვს, შეადრებენ ერთად ამ ნაძველებს, ჩასდებენ თოფში და თოფის მსხლეტს ისეთ გრძელ ბაწარს მოაბამენ, რომელსაც მთელი თემის ხალხმა შეიძლება მოჰკიდოს, ხელი, რათა ერთად გამოსწონ. ასეც იქცევიან — ასე ასრულდება ლეოპარდის ნება და განაჩენი მთელი ხალხისა; ეს არის საოცარი მისჯა და მიხლევა სამაგიერობის, ასეთი ლეგენდა მართლაც არის დარჩენილი საქართველოს მთიანეთში, და მწერალმა იგი მარჯვედ გამოიყენა სავესებით რეალისტური ნოველის შესაქმნელად.

მოთხოვნების მთელ ამ ციკლში ჩანს ძლიერი ხალხური სასიათობე, კლასიკან გამომწერწილა რომ გეგონება, აქ ჩანს ხალხის თავისუფლებისმოყვარეობა, მისი სულის მთელი სიბრთველი და სილამაზე. მწერალი საქართველოს მთიანეთში ეგზოტიკური ფერების ძებნამ როდი წაიყვანა; არა, ამ ციკხალი სინამდვილეა გადმოწილი, დანახული რეალისტის თვლით, ძალიან ფხიზელი რეალისტისა, რომელიც არასოდეს, თვით უმძაფრესი ეპიზოდის გადმოცემის დროს, ზმას არ აფშაღლებს, ფერს არ ჩამოქვამს; და, სურათში, სინამდვილემ თითონ იმტყვევლოს. ბევრ ნაწარმოებში დასკვნა მწერალმა იმ გაბრძნულ სტილს, იმ ყაღბ პათოსს, რომელსაც ბევრი რომანტიკელი სტილის ნიშნად მიიჩნევს. სერგო კლდიაშვილი, იმავე დროს, დიდა რომანტიკოსია, მაგრამ ეს რომანტიკული სულის ლტოლვაჲ მის მოთხრობაში მუდამ ადამიანურია, შინაგანად ძლიერი და არა გარეგნული ფერადოვნებით შექმული.

დაეუბრუნდეთ ისევ სეარტის მოთხრობების ციკლს. თავისი იდეური ჩანაფიქრით აქ გამოირჩევა „ხალდე“, სადაც ავტორს უკვე მე-19 საუუუნეში გადმოყვავართ; აქ ერთი-მეორეს უპირისპირდებიან ცივილიზებული პოღპორუჩიკი და „ველური მთელი“; მაგრამ სინამდვილეში, როგორც ამას კარგად აჩვენებს გამოცდილი და კვიეიანი რუსი მთაბრუნებელი, ველურიეით იქცევა სწორედ პოღპორუჩიკი, ხოლო მთელი თამბი რატიანი — რაინდული კეთილშობილების განსახიერება. აქ არ არის დაპირისპირება ცივილიზაციისა და პარველურფილი პატრიარქალბობისა; აქ ისევ მწერლის ძველი თემაა, ძველი კონფლიქტა ხალხსა და მის მხაგრელებს შორის, სათაღსა და ბნელს შორის, კეთილსა და ბორბტს შორის.

ზემოთ ჩვენ უკვე ვახსენეთ მოთხრობა „ასესორ შტუბეს ვენბანი“. მაგრამ არაფერი ვითქვამს მის მთავარ გმირ ქალზე — გვაშაყანზე. იგი შეიბის ასულია და საინტერესო ხალხური ხასიათი. მოქმედება აქაც მე-19 საუუუნეში იშლება. მოთხრობაში ერთი-მეორეს უპირისპირდებიან ბუნების ეს ალალი შვილი. თავისუფლების მოტრფილვე ქალიშვილი და მეორეს მხრივ, მთელი ეს ხბოვა, რომელიც გუბერნატორის სასახლეში ტრიბლებს მათ შორის ნამდვილი უფსკრულია. აქაც ისევ ხალხის ზნეობრივი სიფაქზე უპირისპირდება მალალი ფენების, პატონთა სამყაროს გადაგვარებასა და ზნეობრივ ვახრწნილებას.

ამ ალაღ-მართალ ადამიანებს, ბუნების ლიდ შეიღებს, ამ მხედრებს, ამ რაინდებს ჰყვით თვინათი ფილოსოფოსიც, თავიანთი მხატვარიც. ამ მხრივ ძლიერ საინტერესოა მოთხრობა „წარმართი“. აქაც ადამიანის სულის პარვანდელი, ხელშეუხებელი სიწრფელე და სილამაზეა გადმოცემული.

მწერალმა სეანეთის ისტორიას თვალის გამოადგენა შორეული წარსულიდან დღევანდელ დღემდე. „უფსკრულში“ უკვე სწავნი მხატვრულს. ნები ჩანან, ხალხის თავისუფლებასა და სიბრთვიან სამოქალაქო ომის წლებში; ამ მოთხრობაში უკვე იმ დიდი გარბრყვის დასაწყისია ჩანს, რომელმაც სამუდამოდ მოუღო ბოლო მხაგრელებთა თარეშს და ხალხის სამართლეს ისტორიის დიდი გზა გაუხსნა.



მართლაც დამაფიქრებელი და სულის შემძგრელია ამბავი, რომელსაც მწერალი გადმოცეცემს მოთხრობაში „შემოდგომის წივიზა“; ეს წარსულის ვახსენებაა, ავტორს ეს სურათი გეგმობის წლებში უნახავს და სამუდამოდ ჩარჩენია მესხიერებაში. შემოდგომის დღეა, ქარიანი, წვიმიანი; მოდის ამ ქარში, გაუთავებელ გზაზე მოხუცი მათხოვარი. „მისთვის ქვეყანა, ცხადია, მხოლოდ ერთი დაუსრულეული, სიკარბილეში გაქოფილი გზა იყო და მეტი არაფერი“. არც ქვეყანა არსებობდა მისთვის, არც ის ქვეყნისთვის; მოხუცი მიჭვეული იყო ქირს, უბედურებას, ვაგლასს, ის უბედური კაცი იყო. უკვებ შეიცოდა მათხოვარი მოხუცმა დიდდამ და შეიფარა, ვაიაბო, მოუფერა, სკუმელი მოუტანა, ორი დამე ამ თახზამის თბილ კერასთან გაათეენა დამე, მაგრამ სამუდამოდ ხომ ვერ ჩაისახლებდა შინ? წვიდა მათხოვარი და მალბობაც არ უთქვამს, პირიქით, საყვედურიც უთხრა მოხუც დიდდას. „შენი კარგა ყოფნით, ნეტავი მართლაც არ ვაგუებე“. უსახვედრია, რომ გადაიწვეებული სიბოზს არსებობა ვახსენა. ეს მოთხრობაც მწერლის იმ ნაწარმოებთა ციკლს ეუთვნის, რომელშიც ქემანიზმის პრობლემა ფილოსოფიურ ასპექტშია გააზრებული: აქ ადამიანისადმი დიდი სიყვარულია და ნატვრა იმისი, რომ კაცს, ადამიანს არ აყლდეს კერბის სიბოზი, რომ დაითრფუნოს ყველაფერი, რაც ადამიანს ავიწროეებს და სწავგრავს ამქვეყნად; ადამიანები მშენი და დები არიან; ვაწურედ ხელი, ვინც უნდა იყოს — მოხუცი, სახედაღარული მათხოვარი, თუ ელამაზესი ქალიშვილი; ეს ქვეყანა არ არის ვარდებით მოფენილი გზა, მწელია და ეკლიანი და ამიტომ ადამიანებს უერთმანეთოდ გაძლება არ შეუძლიათ. აი, მეორე მოთხრობა მწერლისა — „მოტრფილი ციალი“. სამოქალაქო ომის წლებში, ჩრდილო კავკასიის ველებზე, იმ ვითარებაში, როცა ქალაქები და სადგურები ზეულიდან ხელში ვადაღიან, ასეთ მწელ ვითარებაში პეტერბურგიდან საშობლობსაყენ ორი სტრუენტი მოემზავრება. მატარებელი მოქირსის როგორც რალე ვაღარეული, ვახდაკარგული არსება და ისეთი შთაბეჭდილებაჲც არც რჩება. თითქოს მას შემანქანე არა ჰყავდეს. სტრუენტივან ერთს პარტატბიანი ტიფი სქირს, სიყვე

დილის აგონიაში; და ამ ეცეხლში, ამ გოჭოხე-  
თში, როგორც მისი შექმა გამოარღვიოს მძი-  
ვებე დრებლები, ისე გამოჩნდება ახალგაზრდა  
ქალიშვილი, ლურჯად გამოანათებენ მისი თვა-  
ლები. იგი ტომით უყარამია, უწყვეტ ქალიშვი-  
ლი, რომელიც შეეფრდებოდა სტუდენტებს, რა-  
თა თავი დაიხსნას თეთრების მიერ დამპყრობილ  
ტერიტორიაზე მოხეტიალე ყაჩაღებისაგან. უწყ-  
ვეთა კიბა, მაგრამ ჭლიერი — ეს სიკეთისა და  
სილამაზის შექმა, უცებ რომ გაერთობა და დაი-  
კარგება საშუალოდ, და თან წაიღებს მოვთენ-  
ბას ყველაზე საინტერესო წუთებზე.

ახლა კიბა ცოცხლობს მხოლოდ ჩემს მო-  
ვლენაში, სრულიად უცეკელი, მარად ახალ-  
გაზრდად დაჩინილი. ვგრძნობ მის თბილ სუნ-  
თვებს ჩემს სახეზე და ოცნებით ვხედავ მის  
თვალბებს, ლურჯად, მინდორზე გაშლილ დილი-  
თად რომ შემომცქერება, — ასე თავდება ეს  
მოთხრობა. ძალზე რეალისტური სურათია, ცხო-  
ვრებისეული და თანაც რომანტიკული, აქ არის  
მარადქალური საწყისის, იმ დიდი სინაზის და  
სიყვარულის უთქმელი აღსარება. რომელიც  
გახდევს ადამიანის სიცოცხლეს შთელ მანძილზე  
და არასოდეს მოკვდება, ვინაიდან ის მარა-  
დიული მშვენიერება ადამიანის სულისა.

ეს სამოქალაქო ომის წლებია; ნახევრად ახლა  
მწველობიანი დღეები, აღწერილი „მინდვრის  
ყვავილში.“ აქ შთაგარი ვამბობი — ტელეგრაფი-  
სტია, სანდრო მინდიაშვილი, ეს არის ზოგადი  
სახე ადამიანისა, რომელიც მონატრებული  
სიცოცხლეს, ზმარს, სიყვარულს, სილამაზეს,  
აქ იგი, საღვთო არგვეთაზე სამინელი მოწყენი-  
ლობა, გულსაყლავად ზუზუნებს ქარი შავთუ-  
ლებში; აქ მარტო ერთი სიხარულია, მინდვრის  
უღამაზესი ყვავილბა გვყვება, ფერდობებში  
რომ იზრდება და იგი, სანდრო მინდიაშვილი სად-  
გურის უფროსს — აგრადინას სახელს გამოუტყ-  
ვლის, გვყვებას უკმაბს.

და შინც მოსაწყენია ცხოვრება, ტელეგრა-  
ფისტი აქედან ვაქცევაზე ოცნებობს.

და იგი, ერთბელ ტელეგრაფისტი სტუმრები  
იწვევენ. მის ღირბულ ვაგონში ღამეს ვაპო-  
ვენ ინჟინრები, ურთი კაცი და მეორე ახალგა-  
ზრდა ქალი — ელენე. ელსადგურის მშენებ-  
ლობა უნდა დაიწყოს. და ამ დღიდან ეს ახალ-  
გაზრდა ქალი ნათელი შექვივით ჩაიჭრება ქა-  
ბეთ ტელეგრაფისტის გულში; ნათლება მთელი  
ვეყვება, ახლა საოცრად ღამაზია არგვეთა, იგ-  
ნება ხმარობს, სიცოცხლი; წუთუ ეს კაცი  
აქედან ვაქცევაზე ამარბება? არავითარ შემთ-  
ხვევაში; აქ არის შეგრძობობა იმ დიდი მადლისა,  
რომელიც სიკეთეს და სილამაზეს შეაქვთ ად-  
მიანის სულში და აყვარებენ მას ცხოვრებას,  
ამღვეენ ძალას, სულის სიმშენებ, ფრთას ახ-  
ხამენ. საღვთო, მიყარულში მცხოვრები ტე-  
ლეგრაფისტი უცებ აქცევა მშფოთარე ცხო-  
ვრების შუაგულში; ფერდობში მინდვრის ყვავი-

ლი რომ მოჩინდა, გაიფურჩქნა და აესტა ახ-  
რით ცხოვრებას, დიდი ცხოვრების მონაწილედ  
ხდის მინამლე მარტოდ მყოფ ვეღვარს, რა  
არის მისთვის ეს ახალგაზრდა ქალიშვილი? არც  
ღია, არც სატრფო, არც ახლობელი. მაგრამ,  
იმავე დროს, მისი სულის გამანათებელია, ახრის  
მიმცემი ცხოვრებისათვის; აქ არის ცხოვრების  
სილამაზე, გადმოცემული მთელი თავისი ვანუ-  
მეორებელი ძალით და მომხიბველობით.

ადამიანებს სჭირდებათ დიდი სიბოგ გული-  
სა, უამრისად ისინი ვერც ბნელთან ბრძოლაში  
გამარჯვებენ და ვერც ქვეყანას ააშენებენ. ეს  
ლექტიმოტივი გადადის მოთხრობიდან მოთხრო-  
ბაში.

სურგო კლდიაშვილი, თვით იმ მოთხრობებ-  
შიც, რომლებსაც ლირიკული პათოსი აქვს,  
მუდამ მებრძოლის პოზიციას იტვირს; ეს არის  
მწერალი, რომელიც ერთი დიდი თემა აქვს —  
ბნელისა და ნათელის ბრძოლა; არ შეიძლება  
შეუარგდე ბნელს, ჩამოჩენილს, იმას, რაც  
დავედოვა კაპიტალიზმში, რომელსაც საშინ-  
ლად დამახინჯა ადამიანის სული ინდივიდუ-  
ალიზმისა და ევოიზმის ბინძური მორალით  
(„უჩინარა“, „მორგეი“ და სხვ.).

ტემპირიტად, მთელი ეს მოთხრობები —  
დაუცხრომელი ფერია, ზრუნვა ადამიანის სუ-  
ლის ამღვებისა და განკარგებისათვის, მისი  
განწმენდისათვის იმ ტუქყდან, რაც საუკუნე-  
ების მანძილზე დაიღვრა მის სულში.

უღრესად ფართო გამომავლება ჰყოვა მწე-  
რლის შემოქმედებაში სამაშელო ოპია. ამ თე-  
მას მან მიფძენა მოთხრობები „დაბრუნება“,  
„ბნელ ღამეში“, „სადღევრებელი“ და სხვ. აქ  
კელვ მთელი ძალით ვაბრწყინა მისი კეთილი  
გულის შექმა; დაუეწყარა, კერძოდ, ომის  
დამთავრების სურათი, აღწერილი მოთხრობაში  
„სადღევრებელი“. თითქმის ხელშეუსახებად  
გრძნობ იმ უღიდეს მყუდროებას, სოფლის  
ორბობები რომ ჩამოდვა, გრძნობ მშვიდობის  
დიდ მადლსა და სიკეთეს შთელ სილიდეს  
იმ გამარჯვებისა, შუა საუკუნეების ბნელუთთან  
ბრძოლაში რომ მოაბოვა ჩვენმა ხალხმა და მი-  
სმა სახელოვანმა არმიამ.

\* \* \*

სურგო კლდიაშვილი იეტოთია ორი რომანისა —  
„მყუდრო საგანე“ და „ფერფლი“, რომლებშიც  
ასახვა ჰყოვა იმ დღემ პრაქტესებში, იმ სო-  
ციალურ-პოლიტიკურმა ძებრებმა, რომლებიც  
ჩვენმა ვეყვანამ განიცადა ბოლო ნახევარი საუ-  
კუნის მანძილზე.

პირველ მთავანს, „მყუდრო საგანეს“ შეიძ-  
ლება ეწოდოს მოთხრობა იმაზე, თუ როგორ  
დაიბადა ახალი, სამჭოთა საქართველო; რომელიც  
იწყება იმ დღეებში აღწერილი, როცა ბობლისის  
თავზე წითელი ღრბისა ადრიალდა და საქართ-  
ველოში დამყარდა სამჭოთა ხელისუფლება. ეს

იყო დიდი გარდატეხა, და არ დარჩენილა არცერთი სოციალური ფენა, რომლის ბედზეც მას თავისი ზეგავლენა არ მოეხდინა: ავტორს თავის გმირთა მოქმედების ასპარეზად — პროვინციული ქალაქი პატარხევი აქვდა, მაგრამ ამ პატარა ქალაქში დიდი სოციალური და ფსიქოლოგიური ვენებები ბობოქრობდნენ. აქ არის უმძაფრესი ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, აქ მოაქვს უკანასკნელი მძაფრი იერიშები კაპიტალსა და ფულის ძალაზე ადამიანურ სიძაბოლეს და თავისუფალ შრომას; რა ბეგრისმეტყველია რომანის მთავარი გმირი ქალის — ირინე თუხარელის ბედი; ცხრაშვიტი წლის ქალიშვილს ისევე შველი სამყაროს ფეტიშისა და სალოცველი კერძის თავიანთსმკვლელობა — შეკარხნე სიმონმა და ქააფშუტა ჰაბუქმა გვიგამ ავრებს ცხოვრების გზა; მაგრამ როგორ ნელ-ნელა ნათდება პორიზონტი, ნათელი ხდება, რომ ძველ ფეტიშს თავისი ძალა დაუკარგავს, რომ წასულა დრო, როცა სიხარბეს, ანგარბებს, მოხვეპის დაფილაველ წყურვილს შევლოთ თავიანთ ნებაზე აებრუნებინათ ცხოვრების ჩარხი; ირველავ ახლის ნგრავები იწყებენ ზრდას, და ჩვენ ვხედავთ, როგორ მყარდება ადამიანთა შორის კეთილი, ადამიანური ურთიერთობა, ვხედავთ სოციალისტური საქართველოს პირველ მშენებლებს, მათს ახლად ჩაყრილ ვენახებს, პირველ ქარხნებს, პირველ ენთუზიასტ ავრონომებსა და ბუროკომოდურებს; ირინეს დრამატულ ბედშიც ჩნდება ხსნის გზა, ის ხალხის წილს უნდა დაუბრუნდეს, როგორც მთელ ნაციონობები, ნათესავები, მეგობრები, ქართველი ინტელექციონა, რომელიც თავიდანვე მხარში ამოუდგა თავის ხალხს.

მეორე რომანი — „ფერფლი“ ქოროლოვიტირად უფრო ვრცელ ეპოქას მოიცავს: ეს არის წიგნი ხალხის ბედზე, დაწყებული პირველი მსოფლიო ომის დღეებამდე და მთავრებული იმ გარდატეხებით, რომელიც საყოლმეურნეო წყობილებამ გამოიწვია ქართული სოფლის სინამდვილეში. საერთოდ, „ფერფლი“ ქართული საბჭოთა კლასიკის ყველაზე სუფთესო ნიმუშთა რიცხვს ეკუთვნის და ის დიდი ხანია აღიარებულია, როგორც მართალი ასახვა და გადმოცემა იმისა, რაც ქართველმა გლეხაკმა განიცადა განვლილ ათეული წლების მანძილზე. აქ მნელია ამ რომანის დაწვრილებით განხილვა. ვიტყვით მხოლოდ, რომ ავტორი არ წასულა იოლი გზით; მან გვიჩვენა ახლის გამარჯვება, გლეხაკის სულში ძველი, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის დაძლევა, მაგრამ ისიც დახატა, თუ რაოდენ რთული იყო ეს გზა. პროცესები, ამბები, მთელი ვითარება, რომელიც აწერილია ამ რომანში, დღეს უკვე ისტორიის წარმოადგენს, უკვე წარსულს ეკუთვნის; ეს გარდატეხა სოფლის ცხოვრებაში, ცხადია, მწერალს იმავე ისტორიულ პერსპექტივაში, იმავე ასპექტში აქვს მოცემული, როგორც ეს საერთოდ მთელ საბჭოთა ლიტერატურაში ასახა, მაგრამ აქ თავისებურია კოლორიტი ქართული სოფლისა და მწერალიც მთელი სიზუსტით გადმოსცემს მას.

როგორც ყველგან, მწერალი აქაც ახლის, პროგრესულის, უოველავე მოწინავეს მხარეზე დგას; მთელი თავისი შემოქმედებით გზას უკაფავს ამ ახალს, რევოლუციურს, რომელიც ყოველ ნაბიჯზე იფურტქნება ჩვენს სამშობლოში.



„ჭ ი უ ვ ი 47“

ოც წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც დასავლეთ გერმანიაში ჩამოყალიბდა მწერლებიანა და ლიტერატორების გაერთიანება, რომელსაც „ქვეფი 47“ ეწოდება. დღიდან ჩამოყალიბებისა ამ ქვეფის ვარშემო ცხარე კამათი მიმდინარეობს. დაიწერა უამრავი წერილები, სტატიები, რეცენზიები; ამ ქვეფის საქმიანობას მიეძღვნა სპექტაკლიანი წიგნები და პატარა-პატარა პროშერები, რომლებშიც განხილულია არა მხოლოდ ამ ქვეფის წარმომადგენლების შემოქმედება, არამედ ლაბარიათა ამ გაერთიანების როლსა და გავლენაზე თანამედროვე ლიტერატურულ სამყაროზე.<sup>1</sup>

ლებს ტირანების სახით წარმოგვიდგენს:

**Уже давно узнал наказ  
в своих союзниках тиранов...**

გრ. ორბელიანი მოხერხებულად იყენებს უკ-  
რაინის დამპყრობთა ასეთ დაბასათებას და  
გვახვენებს არა მარტო თავისი ქვეყნის მთავ-  
რულთა ბორცებას, არამედ დიდი შწუხარე-  
ბით დასძენს, რომ საესეებით განადგურდა მისი  
სამშობლო:

აჲ გესლოვანთა მუხთლოურებ ჩვენ შორის  
მსოუბუს მტერობა:  
კავშირი შეწყდა და მახთან იყერთა  
კეთილდღობა.

გრ. ორბელიანი ცუცხლი აგრეთვე რილევის  
მიერ ჩამოთვლილი უკრაინელთა მტრების და-  
სახელებას: Жид, уннат, литвин, поляк  
და მათ მაგიერ წარმოგვიდგენს ლეკს, ოსმალსა  
და სპარსს, რითაც კვლავ ქართული სინამდვი-  
ლე შეაქვს თარგმანში. აქ, სადაც რილევი  
გვეხებება: Давно закон в Варшаве дрем-  
лет, გრ. ორბელიანი ვარშავის ნაცვლად მცხე-  
თას ასახელებს. Пора убрать врагов Украи-  
ны, ამბობს რილევი, ხოლო გრ. ორბელიანი  
კვლავ მოუწოდებს ქართველ მკითხველს: ეამი  
არს მტერი მამულს მიეცეთ მახვილსა ლესულსა.

ნადივაციოს გულმზერგავე სიტყვები საშ-  
ობლოსათვის თავგანწირვის შესახებ, ასევე  
უდღვესი ექსპრესით გადმოაქვს ჩვენს პოეტს.

ცბადია, გრ. ორბელიანის ეს თარგმანი 1832  
წლის შეთქმულთა სურვილისა და ერთგული  
გულსტყვილის გამოხატული აღსარებაა,  
ამიტომ შემოთხვეითი არ იყო ის გაჩემოება,  
რომ ამ თარგმანს გიორგი ერისთავმა „გვი-  
მილახვრის აღსარება“ უწოდა.

რილევის პოემის ეს ნაწევები გრ. ორბელიანმა დროულად და მოხდენილად შეარჩია თავისი წარსული პატრიოტული იდეების გადმოსაცემად. უწორედ ამ პატრიოტული იდეების გამო წაუყენეს მას ბრალდება „ნაღვლიანობის“ თარგმან 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებისათვის.

გრ. ორბელიანმა რილევის პოემის ნაწევები კიდევ უფრო განავრცო და იმ საკუთარ სტრატეგიებში, რომლებშიც ამ ლექსს აღუმატა, უდიდესი პატრიოტული ფიცი ჩაქსოვა სამშობლოსადმი.

მისი ხაზელი კაცებოთა მარადის იხსენებოდეს.  
ვინცა საღმრთოთა ხიყვარულს მამულისადმი არ პგანძობდეს;

და ვინცა მისა ტყვეობას გულ-სივრდილითა პხედავდეს,

და მის დახსნისთვის უზრუნველ თვის

სიცოცხლსეც პზოგავდეს!

ცხადია, ორიგინალის ასეთი „შესწორება“ ჩვენი თანამედროვე მთარგმნელობითი საქმიანობისათვის მიუღებელია, მაგრამ გრ. ორბელიანის ემოქაში, როდესაც მთელი ჩვენი ერი სამშობლოს ტყვეობას მძიმედ განიცდიდა და იბრძოდა მისი თავისუფლებისათვის, იგი საუკუნითი კონსერვაციული და აუცილებელი მოვლენა იყო.

სათარგმნი თხზულების შეტყვევების პრინციპში გრ. ორბელიანის მთარგმნელობითი პრაქტიკაში მარტო მწერლის ემოქის ეროვნულ-სოციალური ინტერესებიდან არ გამოდინარეობს. მას განამარტობებს თვით გრ. ორბელიანის მსოფლმხედველობა, მისი რომანტიული თვალთახედვა და პოეტური გემოვნება. ამიტომ მის ნათარგმნო შორის გვხვდება ექოყოსის სევდიოთა და მწუხარებით აღსავსე ისეთი ლექსები, როგორცაა „მეი სოფელი“, „მას უბაროდეს“, პუშკინის წითლისოფლისადმი სამღერაის განამარტველი „სიცოცხლსეც ფუქო“, ლერმონტოვის „მთანი მალანი“, რომელიც საუცხოოდ აღწერს დამეველი ბუნების რომანტიულ სურათს. ამ ლექსებს გრ. ორბელიანი მებრალ თავისებურად აღიქვამს და საკუთარი მსოფლმხედვარების საბურველში ახვევს თვითულ მათვანს.

უნდა შეენიშნოთ, რომ პუშკინის ლექსს (სიცოცხლსეც ფუქო) თვით გრ. ორბელიანი „მიბაძებს“ უწოდებს იმ დროს, როდესაც ლერმონტოვისა და ექოყოსის დასახლებულ ლექსებს თარგმანად იხსენიებს. დედანთან სიზუსტის თვალსაზრისით კი პუშკინის ლექსი უფრო ახლოს დგას ორიგინალთან, ვიდრე ექოყოსისა და ლერმონტოვის ლექსები. იმისათვის, რომ პუშკინის ჩანადიქტი უკლებლივ წარმოედგინოს ქართველ მკითხველს, გრ. ორბელიანი თორმეტი ტეპის ნაცვლად თექვსმეტ ტეპიან ლექსს პქმნის. ე. ი. თავის მხრივ ოთხ ტეპს უმატებს, რომელშიც ისევ

პუშკინის აზრს იმეორებს. ამ ტეპების დამატებით მთარგმნელი არღვევს დედნის არქიტექტონიკას. ასევე ემცევა გრ. ორბელიანი იმ ლექსებისაც, რომლებსაც „თარგმანებს“ უწოდებს. ე. კუმბურთე და ა. გვირგულია ორბელიანის ამ თარგმანს პუშკინის ლექსის „თავისებურ, გვირგული ლირიკულ აღსარებად“ თვლიან, რომელშიც „ლექსის მეორე ნახევარი სრულიად დამოუკიდებელი ნაწარმოებია“.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გრ. ორბელიანის „სიცოცხლსეც ფუქო“ რომანტიკოსთათვის დამახასიათებელი თარგმანია. სამართლიანად შენიშნავდა ა. გრიშაშვილი: „ზოგიერთი პოეტი თავის თარგმანს უწოდებდა უბრალოდ „მიბაძვა პუშკინისადმი“. ასეთი მიბაძვები აქვთ გრ. ორბელიანს და ე. ორბელიანს“<sup>2</sup> არაფერს ეტყვიეთ ე. ორბელიანის მიბაძვათა შესახებ, რომლებშიც პუშკინის ლექსს საქმოდ დეკარგული აქვს დედნის კოლორიტი და მწერლის ჩანადიქტი, მაგრამ გრ. ორბელიანის მიბაძვებით, მათ შორის დასახლებული ლექსი და პუშკინის „ლხინი“, შეიძლება თარგმანად ჩაითვალოს (აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ ს. რაზმაძის მიერ პუშკინიდან თარგმნილი „ლხინი“, რომელიც აღიარებულია თარგმანად თვით მთარგმნელისა და შემდეგ მკვლევრების მიერ, უფრო ნაკლებ სიახლოვეს ამქლავებს დედანთან, ვიდრე გრ. ორბელიანის „მიბაძვა“). პრაფ. ან ნიკოლაძე გრ. ორბელიანის ორივე დასახლებულ ლექსს თარგმანად მიიჩნევს: „გრ. ორბელიანს პუშკინიდან უთარგმნია „Дар напрасный, дар случайный“, „Веселый пир““<sup>3</sup>

იმისათვის, რომ ჩვენი აზრი გრ. ორბელიანის „სიცოცხლსეც ფუქო“ თარგმანობის შესახებ ცხადი გახდეს, შევადართო იგი ორიგინალს და მასთან ერთად ვაჩვიხილოთ ის ლექსებიც, რომელთაც თვით ჩვენი პოეტი „თარგმანებს“ უწოდებს.

სიცოცხლსეც ფუქო — ეს ლექსი პუშკინმა 1828 წელს დაწერა, თავის დაბადების დღეს, 26 მაისს, ამიტომ პუშკინის ლექსთა ზოგ კრებულში მას „1828 წლის 26 მაისი“ ეწოდება, ზოგან კი უსათაურო ლექსია და სამი ეარსკვლავით არის აღნიშნული. ლექსი პირველად დაიბეჭდა 1830 წელს თურნალ „სვეერნიცეტიში“.

გრ. ორბელიანმა ეს ლექსი თარგმან 1841 წელს ქ. თემირ-ხან-შერასში (დაღესტნის ახლანდელ ქალაქ ბუინაქსკში), სადაც იგი 1843-1857

1. გრ. ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, 1959 წ. გვ. 452-453.

2. კრებულა „პუშკინი საქართველოში“, 1938 წ. გვ. 141.

3. ა. ნიკოლაძე, „რუსი კლასიკოსები და ქართული კულტურა“. 1961 წ. გვ. 103.

წლებში მასხრობდა. გრ. ორბელიანის თარგმანი პირველად დაიბეჭდა 1865 წლის ეურნალ „სტრასის“ მეორე ნომერში, საათურით „პუშკინის მიზანზე“.

### პუშკინი

Дар напрасный, дар случайный,  
Жизнь, зачем ты мне дана,  
Иль зачем судьбою тайной  
Ты на назнь осуждена?!

### გრ. ორბელიანი

სიცოცხლე ფუტო, უბრალო ნიჟო,  
რად მოუციხარ ჩემთვის ზენასა?  
და თუ მიწოდა არსით სოფლადა  
რასათვის მიმცა მსხვერპლად ტანჯვასა.

როგორც ვხედავთ, ამ სტროფებში თარგმანისა და ორიგინალის ძირითადი აზრი ერთიანად დაცულია: პოეტი გაწირულია ცხოვრებისაგან მიყენებულ ტანჯვისათვის და ამიტომ კიცხავს სიცოცხლეს, როგორც ამა და შემთხვევით გილდოს, რაც ორივე სტროფის პირველ ორ ტაქტში თანაბრი მხატვრული სახითა და სიზუსტით არის გადმოცემული. მაგრამ თარგმანის ბოლო ორი ტაქტი დედნისაგან განსხვავდება იმით, რომ პუშკინი თვით სიცოცხლეს მიმართავს, ხოლო გრ. ორბელიანი ამ მიმართვის გადმოგვეცემს, როგორც ნიჟის ბედსაღმა მკითხველის წინაშე. თარგმანის მეორე სტროფში გრ. ორბელიანი კვლავ არ სცილდება პუშკინის ლექსის სათანადო სტროფის იდეას, მაგრამ მას თავისებური ნიჟისათი გადმოგვეცემს:

### პუშკინი

Кто меня враждебной властью  
Из ничтожества воззвал,  
Душу мне наполнил страстью  
Ум сомненьем взволновал?

### გრ. ორბელიანი

რად მომცა სული ენებით აღვსილი,  
ვინება ექვით შემფოთებულა,  
და აწმყო — არად, წარსული — სიზმრად  
და მადღუნებლად თვით მომავალი?.

ამ სტროფშიც დარღვეულია მიმართვის ის ფორმა, რომელიც პუშკინის ლექსს თავიდაცვე აბასიათებს. როგორც დაფინახო, პუშკინი მიმართავს ცხოვრებას ლექსის პირველადე სტროფებში და მასვე ეკითხება — ვინ ამოიყვანა იგი თავისი ბოროტი ძალით არარაობიდან, ვინ აფესო სული ენებით და ვინ შეუფოთა ექ-

ვით ვინება. გრ. ორბელიანმა კი იცის ვინც არის მისი ტანჯვის მიზეზი, მაგრამ ანტიტრესებს ვაიფის რატომ ტანჯავს იგი მას (რის სათქვამს მიმცა მსხვერპლად ტანჯვასა, რად მომცა სული ენებით აღვსილი?).

პუშკინის მიმართვის ასეთი ფორმით გადმოტანა, ცხადია, შთარგმნელის სუბიექტივობით არის ნაყარნახევი, ხოლო ამ სუბიექტივობის ნიადაგი აღორძინების ხანის მწერლობამ შეუზღადა. თეიმურაზ პირველიდან დაწყებული „სოფლის“ მომღერავი ქართველი პოეტები გარკვევით მიუთითებდნენ მკითხველებს, რომ აღამიანის ცხოვრების ვამეგებელი არის ღმერთი: კაცმან უნდა თვისი საქმე ყველაღვით ითა მთავგვაროსან — წერდა ვახტანგ მეექვსე.

საწუთროს სოფლის ეამთა ცელოლობა,  
ღღეს შერიგება, ზელ აწილობა,  
გლახობა, მეფობა, სიძვირბედობა,  
ღვთით არს, არ ბედით.

ასევე ილაღ. გურამიშვილი, ამიტომ „გლახბედისაგან ესრეთ დასჩილებს“ ანტიტრესებდათ, თუ რატომ გაურისხდათ მათ ცხოვრება, რატომ დასაჯა სწორედ ისინი განსაკუთრებით:

რად, სოფელი, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე  
მქენ დასადაგე?!

ეკითხებოდა თუაზურაზ პირველი ცხოვრებას და ამ კითხვას ამოკრებდა არჩილი:

სოფელი, მედამ ტრელობით, მიცივის არ  
ცხრები რად არა?!

მაგრამ ამ „რატომს“ მრავალი პასუხი ჰქონდა: სამშობლოდან გადსხვეწილი ვახტანგ მეექვსე საკუთარ უტუნდრებას აბრალებდა თავის ტანჯვას:

რას ვაბრალებ საწუთროსა, ვამბობ, მიყო  
ამან ესო?

რაც მე შეესვი შესასმელი, ესე ზელსა ვისცა  
ესო?

ვარდი მედვა ბაღსა ჩემსა, არ-თუ სამე ნარა  
ესო,

მე აღმოვფხვარ, სხვას ვის ეძლო, მისთვის  
რამე მარსა ესო?!

ცხოვრებასაგან განაწამებმა მევე არჩილმა ხალხის პირით ვვაუწყა თავისი დანაშაული, რომელმაც მისი ტანჯვა გამოიწვია:

ღვთის ბრანებებს ვარდავილა, მტერს  
უსმინა ის მოსწონდა...!

1 აღ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან ტ. II, 1940 წ. გვ. 448.

2 იქვე, გვ. 323.

3 იქვე, გვ. 154.

4 იქვე, გვ. 204.

5 იქვე, 447.

6 იქვე, გვ. 207.

გრ. ორბელიანის წინაპრები სწორედ აღმინებენ ადამიანულად იმაში რომ ეს უკანასკნელი ბოროტად იყენებდნენ ცხოველებისაგან მინიჭებულ ჯალსს (ეს ვარაუბობა საუცხოოდ მოხანს აგრეთვე ალ. ჯავახიშვილის მიერ რაც ახსულდებაში: „ახლოთ განხარეილი კაცი“, „ვაჰ სოფელსა ამს“... „სხედასხვა დროსათვის კაცისა“ და სხვ.). ადამიანები აწარმოებდნენ ღმერთის თაიანთა მოქმედებით და მათი სასჯელიც მებრუნებდნენ შეატრი იყო დანაშაულის მიხედვით, ამიტომ კითხვობდნენ ისანი რად? და არა ვინ? გრ. ორბელიანი იმ ლიტერატურულ სკოლას ეკუთვნოდა, რომელმაც უშუალოდ განაგრძო აღორძინების ხანის შერაღობა სოფლის სამღურავის მანგი და ორგანულად დაუკავშირა იგი თავის თანამედროვეობას. სწორედ სოფლის სამღურავისათვის დამახასიათებელი ხაწუთრობს გმობა და ღვთისგან მიწებებული სახელების მიწევის გარკვევა ტრადიციულად ვადმოვიდა მის პოეტურ აზროვნებაში და თვით თარგმანშიც პირა გამოხატულება.

რაც შეეხება თარგმანის მეორე სტრაფის ორ უკანასკნელ ტაეპს. იგი უკით გრ. ორბელიანის მიერ დამატებული სტრაფონებია. რომელიც კიდევ უფრო აღრმავებს და ახუსტებს პოეტის ტანჯვის მიზეზს და რომელიც მთარგმნელის ლიტერატურული მიმართულებით არის შეპირბრებული: აწმეცოლს აარაობა, წარსულის გახსენება (იდეალიზაცია), მომავლის გაურკვეველი სტრატეგიისაყენ ღტოღვა, ქართული პროგრესული რომანტიზმის ძირითადი მოტივები იყო და სწორედ ამ მოტივებმა იწარწნ თავი გრ. ორბელიანის თარგმანში.

მართალია, ქართული ლექსის შესაძვე სტრაფიყ არ წარმოადგენს პუშკინის ლექსის შესაბამისი სტრაფონების სტრუქტურული თარგმანს, მიგრამ იგი ცხადად ვადმოგვიყენს დღიო რუსი პოეტის იდეას და ჩანაფერს. თარგმანს და ორბელიანი აქარად გამოხატაყენ ბუღით უმკაცოფილო ადამიანის უმიზნობას, მისი გულისა და გონების აქოუბას:

პუშკინი

Цели нет передо мною:  
Сердце пусто, празден ум,  
И томит меня тоскою  
Однозвучный жизни шум.

გრ. ორბელიანი

ანუ საგანი, რა არს, ეერ ცსკინი,  
ამა სოფლადა ჩემისა მოსვლის?  
და გულ ეგრძნობთ, ესასობით,  
ვალ დაბრმავებით გზასა  
სიცოცხლის.

ქართულ თარგმანში უცვლელად არის გადმოტანილი პუშკინის სტრაფის პირველი ორი ტაეპის აზრი, რომელსაც გრ. ორბელიანი უკანის საყუთარ ორ სტრაფონს უმეტესს უკანასოფლადა ჩემისა მოსვლის“ და ვალ დაბრმავებით გზასა სიცოცხლის“. რაც შეეხება ორბელიანის ორ უკანასკნელ პუქარს, მათა აზრი გრ. ორბელიანის თავის მიერ დამატებულ შეთახვე სტრაფონ ვადაქეს:

პუშკინი

И томит меня тоскою  
Однозвучный жизни шум.

გრ. ორბელიანი

მამ რად არ შეტქმის, რად ვშეტქ ჩემი დღის  
ეგრედ უმადლოდ, ერაფვარ დენსა?  
ლექსის დასასრულს, როგორც ჩანს, გრ. ორბელიანი მოერადა ახალი აზრის დამატების და გაიმეორა პუშკინისული დასაწყისი: სიცოცხლევ უმეო, უბრალო ნიეო, რად მოუციხარ ჩემთვის ზენსა.

გრ. ორბელიანის „სიცოცხლევ უმეო“ ანუ „მიზაძვა პუშკინისა“ რომანტიკოსათვის დამახასიათებელი სუბიექტური ხანასათის თარგმანია. იგი სწორად ვადმოგვიყენს ღედნის მთლიან იდეას, მთარგმნელის „მე“-ს წინა პლანზე წამოწევიო; ვადმოგვიყენს ისე, როგორც გრ. ორბელიანი იტყოდა ქართულად რომ დეერწრა. აღსანიშნავია ისიც, რომ გრ. ორბელიანის თარგმანი ფორმით, დენამიურობით და შინაგანი რატომი ხაკომად აბლის ღვას ღედანონ, რაც იშვიათი მოვლენა იყო რომანტიკოსთა მთარგმნელობით პრაქტიკაში.

უკუოყვიდამ: ეს ლექსი წარმოადგენს ვადმოკეთებას ე. უეკოვისკის მიერ 1808 წელს გერმანული პოეზიის მიზამიოთ დაწერილი ლექსის სიმედრა (Песня). უეკოვისკის ლექსა პირველად 1809 წელს დაიბეკდა ეურნალ „ვესტნიე ეერონის“ მე-18 ნომერში და მას ქვესათაურად ეწერა Подражание немецкому (მიზამე გერმანულსა). ლექსის გერმანული ორიგინალი ცნობილი არ არის. ეს ლექსი გრ. ორბელიანის 1832 წლის 22 თებერვალის ეთარგმანია ე. პეტერბურგში. გრ. ორბელიანის თხულებათა კრებულეში, ვარდა 1948 და 1959 წლებს ვამოკეებმისა, ამ ლექსის ქვესათაურია „ღეიოს“. ე. ჭუმბურიძისა და ა. გაყერეილოს აზრით, ლექსი მიძენილი უნდა იყოს დავით უორღანსუილისადმი.

გრ. ორბელიანის ლექსი პირველად დაიბეკდა 1861 წლის ეურნალ „ცოცხლის“ მე-3 ნომერში, სათაურით „უეკოვისკიად“. პროფ. ა. გაყერეილას ორბელიანის ეს ლექსი ეუ-

კოვსკის თხზულების „თავისუფალ გამმოკეთებელ“ მიხედვით: „მას უხაროდეს... თავისუფალი გამმოკეთება ეუკოვსკის ელგეურთა ლექსისა Песня (подражание немецкому)“.

ეუკოვსკის ლექსი 32 ტაბეზიანი ნაწარმოებია, გრ. ორბელიანს კი იგი 24 პეწარში გადმოაქვს. მას სურთოდ არ უთარგმნია ორიგინალის ორი უკანასკნელი სტროფი. ღედინისა და ორიგინალის შედარება აშკარად ვეჩიენებს, რომ გრ. ორბელიანის ლექსი უფრო გადმოკეთებია, ვიდრე თარგმანი, მიუხედავად იმისა, რომ თვით ჩვენი პოეტი მას „თარგმანს“ (ეუკოვსკიად) უწოდებს:

### ეუკოვსკი

Счастлив тот, кому забавы,  
Игры, майские цветы,  
Соловей в тени дубравы  
И весенних лет мечты,  
В наслажденье как и прежде,  
Кто на радость лишь глядит,  
Кто вверился в надежде  
Птичкой вслед за ней летит<sup>2</sup>.

### გრ. ორბელიანი

მას უხაროდეს ვისაცა ღბინი  
მისის ვარდი, ზმა იაღონის  
და ეშუი, დღეთა ჩვენთა მაშვენნი,  
ვათარცა უწინ, აწუ იამების;  
იმელა ჭერ ვინც არ უდღენის,  
ვისა სიხარულს დასცქერის ოდენ,  
ვის გული ტრფობით არ დასცქრობივს  
და ოხვრა, ვენესა, მას არა მსენობენ.

გრ. ორბელიანის სუბიექტივიზმით არის შეზღუდული თარგმანის ის ადგილი, სადაც ჩვენი პოეტი ლაბარაკობს ტრფობით გულის დაქენობას და ოხვრა-ვენესაზე. იგივე შეიძლება ითქვას ლექსის შესამე — შეოთხე სტროფებზე:

### ეუკოვსკი

Так виляет по цветочкам  
Златокрылый мотыльк,  
Лишь к цветку-прильнул к листочкам,  
Полетел — забыл цветок.  
Сорвана его лилея —  
Он летит на анемон;  
Что его-то и милее,  
Грусть забвеньем лечит он.

<sup>1</sup> გრ. ორბელიანი, თხზულებანი, 1959 წ. ბბ. 50.

<sup>2</sup> В. А. Жуковский. Стихотворения и поэмы, 1958 г. Москва, стр. 102.

### გრ. ორბელიანი

ვითა პეგელა ყვავილს დაფრინავს,  
მარად მზარულ, დაუდგრომელი,  
იფიწყებს იას, როს მსუნავს ზამზამს,  
და მსავს სიტკობსა ტყვედ წამსა ქმნილი.  
ვგრედ ნეტარ მას, გულისა გმუნვა  
დავიწყებთა ვინც განაჯარვა;  
ვინც ოხრავს დღესა, იცინის ზვადე  
და მისი ესრედ მარბის ხიოცხლედ.

ეუკოვსკისაგან განსხვავებით გრ. ორბელიანს არ წარმოგვიდგენს პეგელას ოქროსფრთვიან არსებად, არამედ გვაძლევს მის დსიქოლოგიურ პორტრეტს (მარად მზიარულ, დაუდგრომელი) და რუსი პოეტის იმ სტრაქონებს, რომელშიაც ხაზგასმულა პეგელის გრძობათა წამიერება მისივე მოქმედების საფუძველზე, გრ. ორბელიანი საკუთარი გრძობის გამომხატველი ტაბეზით ცვლის. ამ ტაბეზიანთა აშკარად მოჩანს ჩვენი შეწერლის დამოკიდებულება წამიერი გრძობების აშკარად აღმანიანსადმი. საესენით ბუნებრივია, რომ ღბინისა და ბეჯიანა შეკრვალის ებიერეისტული გრძობების მომღერალი პოეტი უზრუნველად პეგელის ებიერეისტულ სახეს უფრო გააღრმავებდა და, როგორც რომანტიკოსი, საკუთარ დამოკიდებულებასაც გამოამქვავებდა ამ სახისადმი. უკითხულობთ ამ სტრაქონებს და უნებლიეთ გვახსენდება მისი ბეჯიანა შეკრვალის აღსარება: ნუ გწყინს, ვარდო, ყვავილთ მუღვემ რომ ზოგჯერ იასაც ესუნავ.

ანდა:

რა ჯენა, გულს ვერ მტრევი უარს,  
ვარდიც მიუვარს, იაც მიუვარს.  
მთარგმნელის სუბიექტივიზმი ეტყობა ლექსის V-VI სტროფებსაც:

### ეუკოვსკი

Беден тот, кому забавы,  
Игры, майские цветы,  
Соловей в тени дубравы,  
И весенних лет мечты  
Не в веселье — так, как прежде.  
Кто улыбку позабыл;  
Кто сказав: «прости», надежде,  
Взор ко гробу устремил.

### გრ. ორბელიანი

მაგრამ ვაი მას, ვისაცა ღბინი,  
მისის ვარდი, ზმა იაღონის  
და ეშუი, დღეთა ჩვენთა მაშვენნი,  
უწინდელივით არ იამების;  
ვისაც ვინეკრო ზაგეთ ღბინი,  
ვინც უთხრა ოხვრით იმელს: „მშვიდობით“  
ტრფობისთვის ვისაც დეგნო გულო  
და მზერს სამარეს სიამოვნებით.

თუ ეუკოვსი აღმართა ერთ-ერთ სიამოვნებელ ყმაველობის ოცნებას (весенних лет мечты), წარმოვიდგენს, გრ. ორბელიანი ამ აღვილს თავისებურად აღიქვამს და ყმაველობის ოცნებათა ნაცვლად აღმართის ცხოვრების დამამშვენებელ „ეშეს“ გვიხატავს (და ეშვი დღეთა ჩვენთა მამშენი). სტროფის ბოლოს ერთხელ კიდევ იწმის თავს ქართველი პოეტის სუბიექტივობის: ეუკოვსისგან განსხვავებით იგი გვეუბნება — საბარლოა ის, ტრფობისთვის ვისაც დუხნო გულოო. შესაძლოა ეს სტრიქონი თეთი ჩვენი პოეტის სოფიო ორბელიანისადმი სიყვარულში დამარცხებას გამოხატავდეს. ეს ტაბი თითქოს ცელის ეუკოვსის მომდევნო ორ სტროფს, რომელშიც იქნებ გადმოცემულია რუსი პოეტის გაცრუებულ სიყვარული მარია პროტასოვსადმი: ეს ორი უკანასკნელი სტროფი გრ. ორბელიანს არ გადმოუღია:

Для души моей плененной,  
Здесь один и был цветок,  
ароматный, несравненный.  
Я сорвать.. Но что же Рок?  
Не тебе им насладиться,  
Не твоим ему доцвесть,  
Ах, жестокий! Чем же льститься?  
Где подобный в мире есть?

როგორც დავინახეთ, გრ. ორბელიანმა ეუკოვსიდან გადმოღებული ლექსის მთელი აქცენტი „დღეთა მამშენი ეშვის“ დაკნობაზე და „ტრფობისთვის გულის დახშობაზე“ გააძვირდა ორბელიანის უზრუნველი და გრძნობაცვალებადი სუბიექტის სახე თავისებური, ემაკურისტული სახით წარმოგვიდგინა, გადმოგვცა პირადი სულიერი განწყობილება და ამით წინ წამოსწია საკუთარი „მე“. შეიძლება ითქვას, რომ გრ. ორბელიანმა ეუკოვსისაგან მხოლოდ ლექსის იდეა აიღო, თავის საკუთარ პოეტურ ბრძმელში გადააშუშავა და პირადი გრძნობებით, საკუთარი მსოფლგანგებით შეზავებული მშვენიერი ლირიკული დიქსი შექმნა.

მთანი მაღალნი: ლერმონტოვის თავისუფალი თარგმანია გოეთეს ცნობილი ლექსისა „Wanderers nachtlieden“ (მგზავრის ღამეული სიმღერა). თარგმანი შესრულებულია 1840 წელს და პირველად აჟიე წლის ეფრნალ „ოტმენტეინიე ზაპისკის“ მეშვიდე ნომერში დაიბეჭდა.

გრ. ორბელიანმა ლერმონტოვის ეს ლექსი (Горные вершины) 1864 წელს „თარგმანა“

ხოლო პირველად 1865 წლის ეფრნალ „ოტმენტეინის“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა სათარგმნოთ: „მთანი მაღალნი... ლერმონტოვი“.

არის თუ არა გრ. ორბელიანის ლექსი სიყვარულში? თუ თეთი ჩვენი პოეტის ჭეკასათურს დაეყვარნობით ლექსი ლერმონტოვიდანაა გადმოღებული, მითუმეტეს, რომ ორივე ლექსი გადმოგვეცმს ღამეული ზენების პეიზაჟს და სულერი არსებობისადმი ერთნაირი შინაარსის მიმართვას, მაგრამ ორივე ლექსის (თარგმანისა და დედნის) წაკითხვისას თვალში გვეცემა მათი გარკვეული განსხვავება: ლერმონტოვის ლექსი რვა ტაბიანია, გრ. ორბელიანისა კი — თერამტრი. ამი ტაბის დამატებით გრ. ორბელიანი საგრძნობლად ცელის ლერმონტოვის ლექსის არტიკულაციასა და შინაარსს:

ლერმონტოვი

Горные вершины  
Спят во тьме ночной,  
Тихие долины  
Полны свежей мглой!

გრ. ორბელიანი

მთანი მაღალნი,  
მომშვიდებულნი,  
ღამისა ზნელში მიეცნენ ძილსა;  
მუდრონი ველნი  
ტუბილსაყნოსელნი,  
გულს უგრილებენ შრომით  
ძღველსა!

როგორც ვხედავთ, გრ. ორბელიანის პირველივე სტროფი მნიშვნელოვნად განსხვავდება ლერმონტოვის სათანადო სტროფისაგან. ქართველ პოეტს თავის მხრივ შეუტანია ლექსში ისეთი პოეტური სახეები, როგორცაა: მიმშვიდებულნი მთები, ტუბილსაყნოსელი ველები, შრომით ძღვეული არსება, რომელსაც „ველნი“ გულს უგრილებენ.

გრ. ორბელიანის მთარგმნელობითი პრინციპი თავისუფალი თარგმანის პრინციპია. პოეტი მხოლოდ უკილოვის იგავ-არაკების გადმოღებისას იცავს „სიზუსტეს“, მაგრამ იქ, სადაც გასაქანი ეძლევა მის პოეტურ ფანტაზიას, ორბელიანი, როგორც რომანტიკოსი მწერალი, შეტად სუბიექტურად, თავისებურად და საკუთარი პოეტური სახეებით გადმოგვეცმს დედნის აეტორის ჩანაფიქრს.

1 М. Ю. Лермонтов, Собрание сочинений, т. I, 1957 г. Москва, стр. 51.

## ბრძოლა უმაღლესი განათლებისათვის რევოლუციამდე საქართველოში

ქართველ ხალხს უმაღლესი განათლების ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა ფაზისში (IV საუკუნე), გელათის, იფალონისა და გრემის აკადემიები (მე-12 საუკუნე) სწვევებზე ჩვენი დიდი ელტურული წარსულის ბრწყინვალე ფურცლებს.

მე-13 საუკუნიდან, მოსალაგეთა განუწყობებელი თარეშის შედეგად, დაცვა უმაღლესი სკოლა და, საერთოდ, დაქვეითდა ჩვენი ხალხის ელტურისა და განათლების დონე. მაგრამ გამოჩენილ ქართველ მამულიშვილებს ყოველთვის აღუდგებდა უმაღლესი განათლების კერების აღდგენისა და ქართველი ახალგაზრდობის სწავლა-განათლების გაუმჯობესების საქათბი. მიუხედავად განუწყობებელი ომებისა, მე-18 საუკუნეში მაინც მოხერხდა უმაღლესი სასწავლებლის ტიპის ორი სემინარიის (თბილისისა და თელავში) დაარსება. მაგრამ სემინარია მაინც არ იყო ისეთი სრულყოფილი უმაღლესი სკოლა, როგორც შეიძლება ყოფილიყო უნივერსიტეტი და მათი დაარსების ფაქტი ვერ ახდენდა უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლებისათვის შრომას, რამაც განსაუთრებთ ფართო ხასიათი მე-19 საუკუნეში მიიღო.

1832 წლის შეთქმულები დემოკრატიული ძალები აყენებდნენ ქართველ ხალხს ელტურული წინსვლის ერთგვარ პირობაში, რომელშიც მოთავსი ადგილი სწავლა-განათლების საკითხს ჰქონდა დაამოზილი.

1832 წ. შეთქმულების მონაწილეთა ჩვენებაში ლაპარაკია ქართველთა მიერ უმაღლესი განათლების მიღებაში არსებულ სიძინელებსა და თბილისში უმაღლესი განათლების ცენტრის დაარსების მოთხოვნაზე. ამ შეთქმულების დემოკრატიული ფრთის ხელმძღვანელმა სოლომონ დოღამიძემ ასევე: „თ. აბაზოვმა მართალია მოწივი ჩემს სახლში ყველა ეს პირი. ყველა

ესენი ლაპარაკობდნენ თუ რა მოგვინათ კეთილი საქმე საქართველოსათვის. მე შევიტანე წინადადება შევეყვარებინა შემოწირულობა და ამ შეკრებილი ფულთ გვეყიდა ბიბლიოთეკა, სტამბა და დაგეზმარებოდათ გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეებს... ვამზობდიო აგრეთვე ნიჭიერი მოწაფეები გავეგზავნა უნივერსიტეტში და დავგვენიშნა მათთვის სტიპენდია“. შეთქმულების მონაწილეთა რომ ნამდვილად განიხილავდნენ რუსეთისა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა გავზავნისა და თბილისში უნივერსიტეტის გახსნის საკითხს, დასტურდება აგრეთვე, პედაგოგ ზაალ ავთანდილაშვილის ჩვენებით.

ამასთანვე უნდა აღინიშნოს ის, რომ 30-იან წლებამდე საქართველოში ცუდად იყო დაცული უმაღლესი სკოლისათვის კონტინენტის მომზადების საქმე. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელს არ ჰქონდა უნივერსიტეტისათვის კონტინენტის მომზადების იურიდიული უფლებამოსილება. მისი სასწავლო გეგმები მნიშვნელოვანად განსხვავდებოდა გიმნაზიების სასწავლო გეგმებისაგან და სწავლების ხანგრძლივობის მხრივაც ჩამორჩებოდა მათ.

ერთაერთი სამუშაო სასწავლებელი, რომლის კურსის დამთავრება იძლეოდა უნივერსიტეტში შესვლის უფლებას, იყო თბილისის სასულიერო სემინარია, რომელიც 1817 წელს დაარსდა. ამას დამატება ისიც, რომ 1829 წელს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი ეფთხა გიმნაზიად გადაკეთდა. ასე რომ, 30-იან წლებში საქართველოში უმაღლესი განათლების კურსს დაარსების მოთხოვნის გარკვეული საფუძველი ჰქონდა.

შეთქმულების მონაწილეთა მოთხოვნას პრაქტიკულად ამ შედეგი მოყვა, რომ 1835 წლიდან

დაიწყო რუსეთის უნივერსიტეტებში ყოველწლიურად ხუთი ახალგაზრდის გაგზავნა სახელმწიფო ხარჯზე. 1835 წელს მიღებული სამოსწავლო დებულების ბოლო მუხლი ასე იყო ფორმულიაბუნელი: „რუსეთის უნივერსიტეტებში ყოველწლიურად იგზავნება თბილისის გიმნაზიის უკრძალვითარებული ხუთი ახალგაზრდა, ადგილობრივი მეცნიერებათა თუ რუს მთხზულთა შეილება, რომლებმაც შესაძლეს ადგილობრივი ენების შეთვისება და სახაზინო ხარჯზე იზრდებოდნენ იმ პირობით, რომ ისინი უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, არანაკლებ ექვსი წლისა, იმუშავებდნენ მასწავლებლებად ან იყვნენ კავკასიის სასწავლებლებში“.

ქართული ინტელაგენციის დაყენებით მოთხოვნით 1839 წელს მთავარმხარებელი გოლოვინი იმპერატორს წინამე შედის უნივერსიტეტის მსგავსი უმაღლესი სკოლის გახსნის შეუძლებლობით, მაგრამ პეტერბურგში მას მხარი არ დაუჭირეს. ამავე დროს თვით მეფის ხელსუფლებისათვის საჭირო იყო უმაღლესი განათლების მქონე პირები ამიერკავკასიის საბოლოო კოლონიაციისა და რუსთაფიკატორული პოლიტიკის განხორციელებისათვის. 1843 წლიდან რუსეთის უმაღლესი სასწავლებლებში სახაზინო ხარჯით გაგზავნი კონტინგენტი გაზარდეს ათი კაცით. ცხადია, კონტინგენტი უნდა შერტყულიყო თავდაზნაურთა წრიდან. 1844-46 წლებში რუსეთის უმაღლესი სასწავლებლებში გასაგზავნი ნორმები ორ-სამეგრე ვადიდდა. 1846 წლიდან გაუქმდა კონტინგენტის წოდებრივი ნიშნით შერჩევის პრინციპი. რუსეთის განათლების სამინისტროს მტკიცებით კავკასიელი სტუდენტები ენის უყოღნიარობის გამო სათანადო წარბაქტებს ვერ იჩენდნენ. 1847 წელს რუსეთის განათლების მინისტრი ს. უეკროვი კავკასიის მეფისინაცვალს 2. გორონკოვს სპეციალურად უგზავნის წერილს კავკასიელი სტუდენტების სუსტი მოზადების შესახებ. „თბილისის გიმნაზია, მინისტრის მიტყვიით, შორს არის იმისაგან, რომ მის მოწოდებებს შეეძლოა უნივერსიტეტში პირდაპირ შესვლა“.

1848 წელს შეიქმნა კავკასიის სასწავლო ოლქი, რომელმაც ერთ ადმინისტრაციულ მთლიანობაში მოაქცია ვეღლ ტიპის ოფიციალური საერო სასწავლებელი. ოლქის დაბუღების პრაქტიკში გათვალისწინებული იყო უნივერსიტეტის დაარტება თბილისში, მაგრამ მინისტრის შემოსენებული წერილის გამო, ეს მუხლი ამოღებულ იქნა. სამეგრეოდ კავკასიის მეფისინაცვალმა შეუძღვამლობა აღიარა მეფის წინამე რუსეთის უნივერსიტეტში კავკასიელი სტუდენტებისათვის ერთი წლით სწავლების გიხანგრძლივების თაობაზე. ეს თხოვნა დაიმყოფილებულ იქნა. კავკასიელი სტუდენტები ამიერიდან ოთხი წლის ნაცვლად ხუთ წლიწინდ სწავლობდნენ უნივერსიტეტში ხაზინის ხარჯზე. უნივერსიტეტებისათვის კონტინგენტის მოზნა-

დება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქუთაისში მეორე გიმნაზიის გახსნის (1848 წელს) შემდეგ. ორივე გიმნაზია დაწყებითი კლასების მასწავლებლების მოზადებასთან ერთად, სწავლებულა ახალგაზრდობის მოზადებაც უმაღლესი განათლების მისაღებად.

ქართული სამოციანელები თავიანთ სამოქმედო პროგრამაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად ქართული უნივერსიტეტის გახსნას ისახავდნენ და დასაბუღებულ არგუმენტებს აყენებდნენ. ამავე დროს ქართველი თავდაზნაურობის მოწინავე ნაწილი დაყენებით მოითხოვდა უმაღლესი სკოლის დაარტებას თბილისში.

ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოზარტენი ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელი შეეწყობა ქართული ახალგაზრდებისათვის, რომლებიც უმაღლესი განათლებას იღებდნენ რუსეთისა და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში. უმაღლესი განათლების მიღების დღი სურვილი, ილიას თქმით, არა ერთსა და ორს ჩვენს ყმაწვილკაცს გაიტაცებს ხოლმე თავგამეტებით თავის საყვარელის სამშობლოდ, რომ იქ შორს, შორს სადმე დაეწინაურებოს უმაღლესის ცოდნის ანკარა წყაროსა, რადგანაც ახლო იგი წყარო ნეტარებისა ვერ არა ჩქეფს.“<sup>1</sup> ილია წებს შორის სტუდენტი ახალგაზრდობის ბედისადმი ქართველი საზოგადოების გულგრილობის გამო, „ჩენილა სამწუხაროდ იმას კი არ ვეთხოვლობთ, არა დღემს ართან ჩვენი მშენი, ჩვენი შეილები, მინამ თავის წყურვილს სწავლისას და ცოდნისას მოყვალევენ... ჩვენი საყოდავი ყმაწვილკაცობა ითმუნს და იტამს სწავლისა და ცოდნის გულსათვის. ესე იგი იმ ძვირფასს თესლთა შეკრებისათვის, რომელიც მშობელ ქვეყანად უნდა მოჰხდოდნ ერთი ათადად მოსამკლავ და, მამსადამე ჩვენსა სამბედნიეროდ.“<sup>2</sup>

კიდევ უფრო მძიმე სურათს წარმოგივლენს ნიკო ნიკოლაძე რუსეთისა და უცხოეთში მოსწავლე სტუდენტი ახალგაზრდობის შესახებ. ყოველწლიურად იმ პირობაგან, რომლებიც წარმატებით ამთარებენ მეცნიერების უკრას საშუალო სასწავლებლებში, ორი-სამი პროცენტი კი ვერ მოუღობს საბარტებს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად. უმაღლესი სასწავლებლის სიმოზრგე, მოზარდილი თანხის წინამწარ დავაროება, რაც მათ სჭირდება გზაში და იმისათვის, რომ სწავლის დროს შიმშილით არ მოყვდეს, ახალგაზრდობას იბუღებულს ხდის ან გადამწერლობა და კანკულარიის მოხელეობა. დაიწყოს ანდა უსაქმოდ იბუღილას... მაგრამ იმ ბედნიერთა შორისაც კი, რომელთაც მოახერხეს სტამენდობის მიღება, ან იშოვებს ფული უმაღლეს სასწავლებლებში წასაყვლელად, სახეგარტე მეტი ხელმოყვების. შორეული ჩრდილოეთის კლიმატის, ქუექის, დაუ-

1. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. IV, გვ. 336.  
2. იქვე, გვ. 337.

ძღურობის, გამოფიტვის მსხვერპლი ხდება... ამიტომ თბილისში რომ არსებობდეს უნივერსიტეტი, მაშინ ბევრ ახალგაზრდას, რომლებიც ახლა იღუპებიან, შესაძლებლობა ექნებოდა მიეღო უმაღლესი განათლება და არ განეცადა ჩვენს მიერ აღწერილი ბედმოყვობა<sup>1</sup>.

მოწინავე ქართველ ინტელიგენციას კარგად ესმოდა უმაღლესი განათლების მნიშვნელობა ერის კულტურისა და ზნეობრივი სრულყოფის საქმეში. ნ. ნიკოლაძე წერდა: „თუ გვსურს კავკასიაში მტკიცე მშვიდობის დამყარება, თუ მართლა გვინდა ჩვენი შხარის „ცივილიზირება“, თუ გვსურს, რომ მზად ვიყოთ წინ აღუდგეთ სხვათა შეშინებებს, მაშინ აი ესაა პირველი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადავდგათ, რაც შეიძლება ბევრი საშუალებელი, მაგრამ არა ფორმალური, არამედ ჰუმანიტარულ პედაგოგიური, რაც შეიძლება მეტი გიმნაზიები, რომლებიც თავისუფალი იქნებიან ვიწრო ეგოისტების მომყვანილებული გაფლენისაგან, და რომელთაც უნდა შევქმნიდეთ კვანძობის საშუალებები ადამიანები, და ბოლოს უნივერსიტეტი, რომელიც შექმნის საბოლოო განათლების ვაჟი-ხლებსა და დავიზრდევებს, — აი საშუალება, რომელსაც დროის დაუკარგავად უნდა მოვიტოვოთ ხელში“.

უნივერსიტეტის გახსნას წინ ელოებოდა მთელი რიგი სიძნელები. ოფიციალური ორგანოები პირველ რიგში ამიერკავკასიაში სათანადო პირობების მოუწესრიგებლობის მიზეზს ასახელებდნენ, შებდგენ კი ფინანსურ დაბრკოლებებს. ქართველი საზოგადოებები ცდილობდნენ მთავრობისათვის დაემტკიცებინათ, რომ უნივერსიტეტის შენახვა უფრო იაფი ჯდება, ვიდრე იმ დევიზიებისა, რომლებიც შეიარაღებული უნდა გვეყვოდეს მანამდე, სანამ არ გამოვზრდით პატიოსანი და კეთილსინდისიერი ახალგაზრდების მთელ კონტინენტს. თბილისში უნივერსიტეტის დაარსება მთელ ზნეობრივ მთავრებულს მოახდენს, რომ შესაძლებლობას მოგვცემს ერთი ფეხისანი დავიზრდა ვაჟანთავისუფლოთ და გავგზავნოთ იგი იმ ადგილს, სადაც ასე ძლიერ იგრძნობა მისი ნაკლებობა<sup>2</sup>.

თბილისის გუბერნიის თავადმზნაურობას, მათი მოშლილი მეურნეობის გამო, არ ჰქონდა შესაძლებლობა გაეღო თუნდაც ნაწილი იმ ხარჯებისა, რაც უნივერსიტეტის დაარსებას უნდა მოყოლოდა.

თბილისში ამიერკავკასიის უნივერსიტეტის დაარსებას ატყურობდა მთავრობდნენ, აგრეთვე, მოწინავე სომეხი და აზერბაიჯანელი მწერლები:

ბი; მედიკოსები და საზოგადო მოღვაწეები სწავლადათიან წლებში არ დაჩვენია არც ერთი გაზეთი და თურნად ამიერკავკასიაშიმარა... ეს საკითხი არ აღეძრა და მხარა არ დაეცა... უმაღლეს სკოლის დაარსებისათვის.

ახსანიშნავია, რომ კავკასიის სამედიცინა-ოფიციალური მთავრობები თითქმის შხარის უჭერდნენ ამ იდეას. ასე, მაგალითად: ქუთაისის სამედიცინო სკოლის მმართველი იანოშვილი 1879 წლის ანგარიშში მიუთითებს თბილისში უმაღლესი სასწავლებლის გახსნის საქარობებასა და მიზანშეწონილებას.

იაკობ გოგებაშვილი ამ მოძრაობით აღტაცებული წერდა: „რაცა ზამთრის გასულს გესმის კიკვიცი არა ერთი მერცხლსა, არამედ მთელი გუნდისა, მაშინ დაჩქარებული ხარ, რომ საამერიკი გახაფხული ვაყვს მომდგარი. საზოგადო საქმეებშიაც ასე ვახსოვთ. თუ თითქმის ყოველი უწყებრივ, ყოველი ბანკიდან და ყოველი სალიტერატურა ორგანიზაციდან გესმით ერთი და იგივე მოთხოვნილება, ერთი და იგივე სურვილი, უნდა იცოდეთ, რომ ეს სურვილი მალე აღსრულდება, მოთხოვნილებას მალე ელარსება დაყმა-ყოფილება.“

ახრი კავკასიის უნივერსიტეტზე ღრმად იდგამს ფრენს, ვრცელდება, მწიფდება, მისი სისრულესი მოყვანა, მისი განხორციელება უმკველად მოხდება ახლო მომავალში. მაშინ უმაღლესი სწავლის ღამბარი როდიდა ენთება რომდენიმე ათასი ვერსის სომორზედ, საიდგანაც მხოლოდ მერთალსა და სესტ ნათელს გვიგზავნის. იგი დაიწყებს კამეაშ ჩვენს შხარის, ჩვენ გვერდით, ჩვენი ქვეყნის შეაგულში. სიცხოველი მისი იმატებს ერთი ასად<sup>3</sup>.

მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ერთი თბილისი (ნ. ნიკოლაძე, ვ. გურთაილი, ს. მესხი) მთილისში უნივერსიტეტის გახსნას ყოველგვარი დაყოფების გაგრეგე მოითხოვდა, მეორე ნაწილი (ი. ქაქვაძე, ი. ვოგებაშვილი, ნ. ქუცუდაძე) ამისათვის საჭირო მომზადებას და პირველ რიგში, საშუალო სასწავლებლების ქაენის გაფართოებას თვლიდა აუცილებლად. ეს ჯვედი ანგარიშს უწყედა 70-იანი წლების საქართველოში არსებულ მდგომარეობას. საშუალო სასწავლებლებში სიმცირე და იქ ქართველი ახალგაზრდობის უმნიშვნელო კონტინენტი უმაღლესი განათლების ფართოდ გაგრეგებას ურობს უწყვეტად, ამიერკავკასიის გიმნაზიებსა და სემინარიუმში ქართველი მოსწიფელები ჩამოუვარდობდნენ რიცხვით არა მარტო რუსებს, არამედ სომხებსაც. ილია ქაქვაძემ პირველ რიგში საუნივერსიტეტო კონტინენტს მომზადების აუცილებლობას გრძნობდა. „საშუალო სასწავლებლები საქმარისინ არ არიან, წერდა ილია 1878 წელს, და ამის გამო ჩვე-

1. ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 486.

2. ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 485.

3. იქვე, გვ. 485.

1. ი. ვოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 221-222.

ნა შეიღებინა სასწავლებელს ვარგთ რჩებიან, მამადაც კი საჭიროა გაემართოთ ჩვენი საკუთარი საშუალო სასწავლებელი და მიეცეთ ჩვენს შეიღებულ სწავლას უფრო ფართო და უფრო ერთობა გზა<sup>1</sup>.

ვიმანაზიებისა და მათთან გათანაბრებული სასწავლებლების ქსელი და მათში მოსწავლე ქართველთა რიცხვი მეტად საეკლავლო იყო 70-80-იან წლების საქართველოში. კავკასიის სასწავლო ოლქის 1879 წლის ანგარიშიდან ჩანს, რომ ქართველთა საქართველოს საშუალო სასწავლებლებში აბსოლუტურ უმცირესობას შეადგენდა. კავკასიის ვიმანაზიადამთავრებულთა მეტადედი ნაწილი იყო მხოლოდ ქართველი. ასეთი მდგომარეობა უკარნახებდა იაკობ გოგებაშვილს დაესვა კითხვა: „ამ ვონებით მნათობის (უნივერსიტეტის, ვ. გ.) სპეციეტი ჩვენც მოგვეფინება, თუ ისევ ჩრდილოში დაეყარნენ და მისი შუქი აღამალლებს მართო ჩვენს იღბლიან მეზობლებსა?<sup>2</sup>“

უნივერსიტეტის გახსნისათვის პირობების შემზადება ძირითადად მთავრობაზე იყო დამოკიდებული, რადგან ვიმანაზების შენახვა დიო ხარჯებითან იყო დაეყვინებოდა, დაწყებითი სკოლების შენახვას კი, ასე თუ ისე, ახერხებდნენ ადგილობრივი ორგანიზაციები და შეძლებული პირები. მეფის ზეღისუფლება, ცხადია, ხალხის, მეტადედი ნაციონალური უმცირესობის განათლებით სულაც არ იყო დაინტერესებული. და თუ უნივერსიტეტის გახსნის შესახებ კავკასიის სასწავლო ოლქში ვაისმოდნენ, ხმა, ეს აისხნება იმით, რომ ის იქნებოდა არა კავკასიის, არამედ რუსული შემადგენლობისა და ორიენტაციის უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც, პირველ რიგში, მოამზადებდა რუსიფიკატორ მოხელეებს. გრანობდა რა ამ საშიშროებას, იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ადგილობრივი უნივერსიტეტი მხოლოდ მაშინ არის უჭირფასესი საუნაქე რომელისამე ხალხისათვის, მხოლოდ მაშინ ხდება მისი ამაღლების და გაძლიერების წყაროდ, რადგანაც მას სრული შეპალება აქვს შესწავლეს და დაეყვინოს ამ წყაროთ, რომელსაც უყოველწლივ მისი ახალგაზრდობა დაადამობით გამოდის ვიმანაზიებიდან კერძო შესარებული და უმაღლესი სწავლისათვის მომზადებული“<sup>3</sup>.

ცხადია, აქედან არ გამოდის დიდი ქართველი პედაგოგის უაყოფიოთი დამოკიდებულება უნივერსიტეტის დაარსებისადმი, მაგრამ ის აფრთხილებდა საზოგადოებას სათანადოდ მომზადებულიყო ამ დიდი საქმისათვის.

გასული საუკუნის 80-90-იანი წლები საქართველოში აღინიშნა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის გაძლიერებითა და რევოლუციური ღონისძიებებით სახალხო განათლების დარღვევით და ქართველი საშუალო სკოლების დაკარგვით იყო შემოღობილი ენაზე სწავლების უფლებისათვის რუსიფიკატორ მოხელეებთან ზღვრათული ბრძოლით.

ქართველი ხალხის, მისი ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის სანტყვარი ოცნება — მშობლიური უნივერსიტეტი კვლავ შორეულ და მიუღწევად მიზნად რჩებოდა.

1894 წელს თბილისში ჩამოსულ რუსეთის მიწათმოქმედების მინისტრს ერმოლოვს ქალაქის თვითმმართველობამ სთხოვა თბილისში პოლიტექნიკური ინსტიტუტის გახსნა. ინსტიტუტს ორი განყოფილება (სამეურნეო და სამშენობლო) უნდა ჰქონოდა. თვითმმართველობა ესწრებოდა 200 დესეტინა მიწის ნაკვეთის გამოყოფას და უოველწლიურად 100 ათასი მანეთის გაღებას. ერმოლოვმა წამოაყენა სხვა წინადადება — თბილისში გახსნათ საშუალო ტიპის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი. შეთანხმება ვერ მოხდა და ორველ წინადადება განუხორციელებული დარჩა.

პოლიტექნიკური სასწავლებლის დაარსების საკითხი კვლავ წამოიჭრა 1897 წელს იმასთან დაეყვინებით, რომ ასეთი უმაღლესი სასწავლებლები გაიხსნა კიევსა და ვარშავაში. თბილისის თვითმმართველობა ესწრებოდა ინსტიტუტის შენახვის ხარჯების მისზევნოვან ნაწილს. ვარდა ამისა, ბაქოს, ქუთაისისა და ბათუმის თვითმმართველობები ამ მიზნით გარკვეულ თანხის იღებდნენ, არც კავკასიის, არც პეტერბურგის ზეღისუფლეს არავითარი ინტერესი არ გამოეჩინათ ამ საქმისადმი და უმაღლესი სკოლის გახსნა კვლავ გადაიდო.

1901 წელს სრულდებოდა საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წელი. ქართველთა ინტელიგენციამ სულაც ამ თარიღის გამოყენება და დაიწყო უნივერსიტეტისათვის პირობების მომზადება. პირველ რიგში, საჭირო იყო შესაფერისი შენობის აგება. ეს საქმე მიანდეს ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ნიკო ცხვედაძეს. შენობა დაპროექტებული იყო არქიტექტორ სეიმონ კლდიაშვილის მიერ. „ნიკო ცხვედაძემ წინასწარ დაისახა მიზნად, რომ თბილისის ქართული ვიმანაზის შენობის საფარვეშე სიეთი ბინა აეგო, რომელშიც თავისუფლად მოთავსდებოდა მომავალი ქართული უნივერსიტეტი, რომელსაც იგი უახლოეს დროში მოელოდა“<sup>4</sup>.

იაკობ მანსვეტაშვილი თავის მოგონებებში ვადმოგვცემს ამ დიდი მუშაობის შესახებ. რომელიც ნ. ცხვედაძემ გასწია მომავალი, სამე-

1. ნ. ტუცუავაძე, ტ. IV, გვ. 329-330.

2. ი. გოგებაშვილი, ტ. I, გვ. 222.

3. ი. გოგებაშვილი, ტ. I, გვ. 222-223.

4. ვ. ქაქათა, ნიკო ცხვედაძე, კრებული, სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, 1953, გვ. 176.

ლაშვილი საქმისათვის. ის არწმუნებდა დიდ ბარჯებით შეზინებულ თავადნაჟარობას, რომ ეს საქმე „საჭირთა მთელი ქართველობისათვის და ხარჯს არ უნდა შევეუშინდეთ, საქმეს არ ელატებო... დავევიკრეთ, არ ინანებთ, მალე მადლობასაც ვვეტყვიო. ავერ ხმები ისმის და იქნებ კიდევ გამოათლდეს, რომ თბილისში უნივერსიტეტის გახსნის ნებას გვაპირვენიო. დეე, შენთან მზად გვკონდეს, იქნება, როდის-მე ქართულ უნივერსიტეტსაც ევლიროთ“<sup>1</sup>.

1900 წელს დაწყებული მშენებლობა ძირითადად დამთავრებულ იქნა 1906 წლისათვის.

1905 წლის მღვდლავრ დღეებში, სხვა მოთხოვნასთან ერთად, ზამალა გაისმოდა ქართული უნივერსიტეტის დაარსებაც. 1905 წლის 19 მარტს სოფელ ლევის (თბილისის მარჯა) სამამასახლოს გლეხობამ მთავრობის საწინააღმდეგო მიტინგი გამართა, რომელზედაც შეიშუშავეს 16 პუნქტისაგან შემდგარი მოთხოვნები, აქედან ერთი (მე-11) სახალხო განათლების საკითხებს ეხებოდა. ამ პუნქტში ვკითხულობთ: „...ვთხოვლობთ დაარსდეს ისეთი სკოლა, სადაც სწავლება უნდა იყოს 16 წლამდე საჯაროდებულო, უფასო და უსათუოდ ქართულ ენაზე და სოფლის სკოლიდან ნება ქონდეთ გადავიდნენ საშუალო, შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში, სადაც აგრეთვე სწავლება ქართულად სწარმოებდეს“<sup>2</sup>. ამავე წლის 24 თებერვალს სოფელ ხიდისთავის (ოზურგეთის მარჯა) გლეხობის კრების წარმომადგენლებმა მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენელს მოთხოვეს „საშუალო და უმაღლესი სწავლა ხელშისაწყდომში იყოს ყველასათვის“<sup>3</sup>. ანალოგიური მოთხოვნები წამოუყვანეს ასეანელმა და ჩოხატაურელმა გლეხებმაც, ფოთელმა მუშებმაც<sup>4</sup>.

1905 წელს სოხუმის ოლქის მცხოვრებლებმა ოფიციალურად წარუდგინეს მეფისნაცვალს მოთხოვნები, სადაც ლაპარაკია უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობაზე გაუმჯობესებაზე.

1906 წლის 18 ოქტომბერს რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილების კრებამ მიიღო გადაწყვეტილება: „გახსნას უმაღლესი სასწავლებელი ფართო სასწავლო გვერდით; სახელდობრ უნივერსიტეტი ტექნიკური განყოფილებით. მაგრამ ასეთი დაწესებულებისათვის ამჟამად თანხების უქმარობის გამო, კრება მიზანშეწონილად თვლის 1907 წლი-

დან გაიხსნას ეკონომიურ-იურიდიული ფაკულტეტი, ხოლო შემდეგ, იმის მიხედვით, თუ როგორ გაიზრდება ფულადი სახსრები“<sup>5</sup>. გაიხსნას აგრეთვე ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტი ტექნიკური განყოფილებით“<sup>6</sup>.

ამ წინადადებას ოფიციალურად დაუპირა მხარი კავკასიის სასწავლო ოლქის მხრუნველმა რუდოლფმა. გამოინგარიშეს უნივერსიტეტის შენახვის ხარჯებიც, რომელიც ყოველწლიურად 174,300 მანეთს შეადგენდა. ერთდროულად ხარჯები ნავარაუდევო იყო 300 ათასი მანეთი. მიითითებულ იყო შემოსავლის წყაროებიც<sup>7</sup>.

კავკასიის უნივერსიტეტის გახსნის საკითხს აქტიურად გამოეხმაურა ახალდაარსებულ ბოლშევიკური გაზეთი „პრავდა“, რომელშიც ამ საკითხზე ვ. შ. მოლოტოვის წერილი დაიბეჭდა.

როგორც ვხედავთ, საქმე პრაქტიკულად წინ არ მიიწევედა და სულ უფრო აშკარა ხდებოდა მეფის ხელისუფლების განზრახვა, კავკასიელი ხალხი კვლავ სიბნელეში ჰყოლოდა.

უფრო მეტიც, ამ პერიოდში ამიერკავკასიაში უმაღლესი სასწავლებლის კი არა, საშუალო სკოლების შემცირების საკითხი დააყენა მეფისნაცვალმა ეორონიკოვ-დაშკოვმა. ის კავკასიის სასწავლო ოლქის მხრუნველის რუდოლფისადმი 1912 წლის 25 დეკემბერს გაგზავნილ მიმართავში წინადადება იძლევა შემცირდეს მოსწავლეთა რაოდენობა კლასებსა და, საერთოდ, საშუალო სასწავლებლებში არასამედიკოპირთა გარდაცხვისა და კერძო სასწავლებლებში ერთი ნაწილის გადაყენის გზით. ამავე წერილში მეფისნაცვალს მოითხოვეს საშუალო სკოლები განწმენდილ იქნას იდურად შეუფერებელი მოსწავლენებისაგან<sup>8</sup>. ამ პერიოდში ოფიციალური ორგანოები ყოველ ღონეს ზმარობდნენ „დაეცეთ“ გიმნაზიები და მასთან გათანაბრებული საშუალო სასწავლებლები მღელვარე სტუდენტობის ზეგავლენისა და რევოლუციური იდეებისაგან.

1914 წლის პირველ ივლისს მეფის ხელისუფლებამ კერძო სასწავლებლების მიმართ მიიღო კანონი, რომლის მიხედვით ცალკეულ პირებსა და ორგანიზაციებს ეძლეოდათ უფლება გაეხსნათ უმაღლესი სასწავლებლები. ქართველი საზოგადო მოღვაწეები უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბძილის საფუძვლად სწორედ ამ კანონს იყენებდნენ<sup>9</sup>.

<sup>1</sup> სცია, ფ. 422, საქმე 9663, ფ. 13.

<sup>2</sup> დაწერილებით იხ. ტრ. ზუნდაძე, სწავლალბრების ისტორია საქართველოში, მასალათა კრებული, 1937, გვ. 186-190.

<sup>3</sup> Уш. Оболадзе, Очерки по истории общеобразовательной школы в дореволюционной Грузии, 1957, გვ. 125-126.

<sup>4</sup> ს. ჭობანაძე, უნივერსიტეტის ისტორიიდან, თსუ შრომები, ტ. 119, 1967, გვ. 208.

<sup>5</sup> ა. მანსვეტაშვილი, მოგონებები, 1936, გვ. 220.

<sup>6</sup> „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2809.

<sup>7</sup> ფურ. „მოგზაური“, 1905, 6, მარტი, გვ. 115.

<sup>8</sup> ს. სიგუა, ნარკვევები სახალხო განათლებისა და პედაგოგიურ იდეათა განვითარების ისტორიიდან საქართველოში, 1959, გვ. 38-39.

მეგრამ საქმეს არც ამან უშველა. დიდ იმედებს იმედგაცრუება მოჰყვა.

ქართული უნივერსიტეტისათვის ბრძოლა არც პირველი მსოფლიო ომის დროს შენელებულა. ამ დროიდან პირველ პლანზე დიდი ქართველი მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი დგება.

ივ. ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის დაარსებისათვის ზრუნვა ჯერ კიდევ მეტრისტურების უნივერსიტეტის პრეზიდენტად მუშაობის პერიოდში დაიწყო. ის ხელმძღვანელობდა ქართულ სამეცნიერო წრეს\*, რომელიც, სამეცნიერო მუშაობასთან ერთად, ცრებდა ცნობებს ქართველ სტუდენტთა რაოდენობის, განაწილებისა და სპეციალობათა შესახებ. ეს საჭირო იყო ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის. წრემ ანექტების შეწყობით დაახუსტა ქართველ სტუდენტთა რაოდენობა და სხვა საჭირო მონაცემები. გარდა ამისა, იდგა საკითხი იმის შესახებ, „ათ რამდენად იქნებოდა მოსაზრებელი სათანადო მეცნიერული კვალიფიკაციის მქონე პირების მოწყვეტა ქართულ უნივერსიტეტში, როდესაც ამის განხორციელების მომენტი დიდგებოდა. ივ. ჯავახიშვილს ამ მხრივაც ქონდა დაქვერილი თადარიგი. მას შეეკრებოდა ქონდა ცნობები, თუ სად, რომელ ქალაქში და რა სპეციალობის ქართველი პროფესორი, დოცენტი და ასისტენტი მუშაობდა. ზოგ მათგანს პირადად იცნობდა და იმედი ჰქონდა საჭირო შემთხვევაში ისინი სამშობლოს მიამშრებდნენ“<sup>1</sup>.

1917 წლის აპრილში ივ. ჯავახიშვილი ჩამოდის თბილისში და აქტიურ მუშაობას აჩვენებს.

1917 წლის ოქტომბერში არსდება „საუნივერსიტეტო საზოგადოება“, რომლის შემადგენლობაში არიან ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, ი. ლორთქიფანიძე, ვ. ყიფიანი, კ. აფხაზი, მ. ჯამბაქო-ორბელიანი, ვ. რციხაძე და სხვ. ეს საზოგადოება აარსებს ორ კომისიას — ფინანსურსა და აკადემიურს. ფინანსური კომისიის მოვალეობა იყო სასტრუბის შეგროვება და, საერთოდ, სასწავლო მატერიალური ბაზის შექმნა, ხოლო აკადემიურ კომისიას პროფესორ-მასწავლებელთა კაღვივის მოწყვეტისა და სასწავლო პროცესის საქმე უნდა მოეგვარებინა. ფინანსურ კომისიაში შედიოდნენ ი. ლორთქიფანიძე, ვ. ჯერული, ნ. წვერავა, ვ. ბერგლაშვილი, კ. კვიციანიძე, და სხვ. კომისიის აზრით, უნივერსიტეტი უნდა გახსნილიყო თბილისის სათავაზნაურო გიმნაზიის შენობაში, რომელიც იყო როგორც ეთქვით, უნივერსიტეტისათვის იყო

გათვალისწინებული. უნივერსიტეტის შენახვის ხარჯები უნდა შეეგროვებინათ ამ საზოგადოების წევრთა საწევრო ანარიტების, სტუდენტთა, ქირის და თბილისის საადგილობრივლ-მწვერვალ-მეცნიერებთაგან აგრეთვე, ქიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოსა და ეგრძე პირთა შემოწირულებისაგან. როგორც ვხედავთ, ქართული უნივერსიტეტი პირველად სახელმწიფოს მიერ არ ფინანსდებოდა. მხოლოდ დაარსებიდან ექვსი თვის შემდეგ მენშევიკებმა მთავრობამ გამოუყო მას უმინიმუმო თანხა.

აკადემიური კომისია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ გამოჩენილი მეცნიერები და პედაგოგები — ივ. ჯავახიშვილი, ი. ყიფიანი, ე. თაყაიშვილი, ა. შანიძე, კ. კვიციანიძე, ვ. აფხაზი, დ. უზნაძე, შ. ნუცუბიძე და სხვ. დიდ მუშაობას ატარებდა სასწავლო პროცესის ორგანიზაციის დარგში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ქონდა ფაქულტეტებისა და სპეციალობების სწორი განსაზღვრას, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შედგენას. „საუნივერსიტეტო საზოგადოება“ მართავს კრებებს თბილისისა და ქუთაისში, სადაც მოხსენებებით გამოდის ივ. ჯავახიშვილი. ქუთაისში იქმნება ამ საქმის ხელისშემწყობი კომისია — ი. ოცხელის, ი. პურადაშვილის, მ. თაქთაქიშვილის, ს. ხუნდაძის და სხვათა შემადგენლობით.

1917 წ. სექტემბრისათვის მომზადებული იქნა სათანადო პირობები. რამდენიმე ქართველი მეცნიერი დაეთხოვა რუსეთის ქალაქებში ოფიციალურ სამსახურს და ჩამოვიდა საქართველოში. პეტროგრადში ოფიციალურად დაამტკიცეს ქართული უნივერსიტეტის წესდება.

1917 წლის 26 ნოემბერს ე. თაყაიშვილის ბიზნეს შეიკრიბნენ ი. ჯავახიშვილი, დ. უზნაძე, ა. შანიძე, ფ. გოგობაშვილი, კ. კვიციანიძე და სხვ. გადაწყვედა, რომ პირველად გაეხსნათ სიბერისმეცნიერების ფაქულტეტი, რომელსაც სამი განყოფილება ექნებოდა (მემატიკურული, საბუნებისმეტყველო და მათემატიკური). ამ სხდომას მოყვა რამდენიმე სხდომა, სადაც ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყდა<sup>2</sup>.

ქართული უნივერსიტეტი საბოლოოდ გაიხსნა 1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით 8 თებერვალს) თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში.

ეს დიდი მოვლენა, ახალი ეტაპი იყო ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვანი ევლტურის ისტორიაში.

1 ა. შანიძე, თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ისტორიიდან, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1958, № 17, 18/II.

1 იხ. ა. შანიძე, თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ისტორიიდან, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1958, № 17, 8/II.

მანანა ასათიანი

## იოსებ თბილელის ბიოგრაფიისათვის

იოსებ თბილელის შესახებ მეტად მწირო ბიოგრაფიული ცნობები მოგვემოუვება. პირველი ცნობა იოსებ თბილელის შესახებ გვხვდება იოანე ბატონიშვილის ნაშრომში: „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“: „გარნა მეფესა ლუარსაბს არა უქორწინია ქალსა მას ზედა და არცა სხვებრ შეხებია იგი, ვითარცა სწერს სამეცხთა ისტორიკოსი კაცი სარწმუნო არაქილ ვართამეტი, ხოლო ბიძაი გიორგი სააკაძისა, ტფილელი იოსებ, სწერს ქორწინებასა მიმდები მისწულსათვის“<sup>1</sup>.

პირველი მკვლევარი, რომელიც შეენიერებლი თვალსაზრისით მივდგა იოსებ თბილელის ბიოგრაფიის შესწავლას იყო პლატონ იოსელიანი. 1851 წელს მან გამოსცა იოსებ თბილელის ბოემა „დიდმოურავიანი“, ამ გამოცემას პლატონ იოსელიანმა წარუძმდგარა გამოკვლევა, რომელშიც ის შეეცადა გაცრკვია თბილელის ბიოგრაფიის საკითხები: „მწერალი ლეჰსად წიგნისა ამის იოსებ თფილელი — მატროპოლიტი გვირით სააკაძე იყო ძირაქ დიდისა მოურავისა“<sup>2</sup>. ამასვე იხიორებს ის თავის წიგნში «Жизнь Великого Моурава ниязя Георгия Саакадзе»: «Тоже самое пишет и Иосиф Митрополит Тифлисский, правнук князя Георгия Саакадзе»<sup>3</sup>.

1885 წელს დავით ზუბინაშვილი აღნიშნავდა: „სიხორება, დიდის მოურავის გიორგი სააკაძისა არს ლეჰსად აღწერილი მისი შეილისშვილის თბილისის მატროპოლიტის იოსებისაგან

<sup>1</sup> იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, 1943, გვ. 45.

<sup>2</sup> დიდმოურავიანი, თქმული სააკაძისაძის იოსებ თფილელისაგან დამატებით სხვათაიკა მისთა თხზულებათა, 1851.

<sup>3</sup> Пл. Иоселиани, Жизнь Великого Моурава, князя Георгия Саакадзе, 1848, 33-58.

ეს თხზულება დაწერილია მიღგომილობით, დაბეჭდილია თბილისში 1851 წელს“<sup>4</sup>.

1897 წელს გამოვიდა „დიდმოურავიანის“ მეორე გამოცემა იოსებ იმედაშვილისა და სპირიდონ ტელიძის რედაქციით. ამ გამოცემაში ბიოგრაფიული ცნობები უცვლელად არის გადმოტანილი პლატონ იოსელიანისაგან. შემდეგ პლატონ იოსელიანის ამ ცნობას ეყრდნობიან ზაქარია ჭიჭინაძე<sup>5</sup>, ანტონ ფურცელაძე<sup>6</sup>, მოსე ჟანაშვილი<sup>7</sup>, ექვთიმე თაყაიშვილი<sup>8</sup>, ალ. ხახანაშვილი<sup>9</sup>, და ივანე ჯავახიშვილი<sup>10</sup>.

1904 წელს მ. ტყეშელაშვილმა გამოსცა წიგნი: «Тифлисский Сионский кафедральный собор», რომელშიც ის იძლევა ცნობებს თბილელის შესახებ. Иосиф III (1662—1688), из рода князей Тархановых, потомок Великого моурава, был первоначально епископом Дманисским. Написал историю родоначальника своего в стихах, весьма полезную для эпохи разорения Грузии Шах-Абасом в. Он жил при царе Вахтанге или Шах-Навазе. Он открыл при

<sup>4</sup> დ. ზუბინაშვილი, ცნობანი ქართულ ენაზე დაწერილი ისტორიულ თხზულებათა შესახებ, ივერია, 1885, № XI, გვ. 104.

<sup>5</sup> ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა XVII საუკუნეში, 1888, გვ. 25.

<sup>6</sup> ანტ. ფურცელაძე, ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესავრთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო, 1911, გვ. 422.

<sup>7</sup> მ. ჟანაშვილი, საქართველოს ისტორია, 1897, გვ. 347.

<sup>8</sup> Е. Такашвили, Хроника Ериставского Анафиста, 1901, стр. 8.

<sup>9</sup> ალ. ხახანაშვილი, გურჯები, 1891, გვ. 3, სიტყვიერების ისტორია, 1913, გვ. 501.

<sup>10</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1959, V, გვ. 10.

Синодском соборе школы и библиотеку. Участвовал в сражении на полях Базалетских при селении Сабурдиано. Здесь и убит и погребен в Синодском соборе. Он с каким-то архимандритом грузинским присутствовал на Московском соборе (1666), бывшем под председательством патриархов: Александрийского Пайсия и Антиохийского Макария, по определению которого осужден Всероссийский патриарх Никон<sup>1</sup>.

კ. კეკელიძის აზრით: „დაბეჭდებით თქმა იმისა, რომ იოსებ თბილელი არის ძისძე გიორგი სააკაძისა, შეილი სიჯუშისა ძნელია. დიდ მოურავს ისტორიული დოკუმენტებით ჰყავდა შემადგეი ძენი: პატა — სპარსეთში დასჯელი, ავთანდილი — მამასთან ერთად დაღუპული ოსმალეთში, ზურაბი მარამდის გვირი, რომელსაც 1643 წლის ბანებში როსტომ მეფემ დალატისათვის თვალები დათხარა, ივანე — იმავე საქმის გამო კახეთს გადახვეწილი და როსტომ მეფის მიერ ქონებამიღებელი ორბანი, დიდი ერთგული როსტომ მეფისა, რომელსაც მას თახჩხონა უბოძა — აწაიდან არა ჩანს, რომ დიდმოურავს ჰყოლოდეს კიდევ შეილი სიჯუში.

ასე, რომ დანამდვილებით არ ვიცით ძისძე იუს თუ ძისძე იოსებ დიდმოურავისა, მაგრამ მას, რომ სათესაობითი კვებითი უშეკლად ჰქონდა დიდმოურავთან და სააკაძისთან გვიარს ევთენოდა ამას თვითონაც აღსატურებს<sup>2</sup>.

1939 წელს გიორგი ლეონიძემ გამოსცა იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“ გამოცემა. ჯ. ლეონიძემ წარმოდგინა არცელი გამოცემა, რომელშიც წერდა: „აწაიდან, ჩვენი მიხედვით იოსებ ტფილელი მძინწული უნდა ყოფილიყო დიდი მოურავის გიორგი სააკაძისა. 1629 წელს სააკაძე დამარცხდა ბაზალეთში და აქედან მთელი თავისი ოჯახით, ნათესაელებით და თანამგზავნობლებით გადაიხვეწა ოსმალეთში, რადგან ბაზალეთის ომის შემდეგ მათ ქართლში აღარ ედგომებოდათ. ცხადია, მათთან იქნებოდა მამც მისივე ანუ სიჯუში თავისი შეილით, დიდმოურავის მომავალი ავტორით, იოსები-თურთ, რომელსაც ჭერ კიდევ ბავშვს (ტფილელის დამადებელ ჩვენ ვფებთ 1620-თან წლებს) დიდებულ ბიძასთან ერთად უნდა გაეზიარებინა ემიგრაციის დღეები<sup>3</sup>.

1958 წელს კეკელიძე ძირითადად იმეორებს

<sup>1</sup> М. Ткемаладзе, Тифлисский Синодский кафедральный собор, 1904, стр. 146.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1941, გვ. 476.

<sup>3</sup> იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გ. ლეონიძის გამოცემა, 1939, გვ. XXII.

იგივე აზრს, რომელიც ჰქონდა გამოტყვევლ 1941 წ. „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომში, მხოლოდ აქ კიდევ უფრო მეტად ემზარება იმ აზრს, რომ „იოსები“ იუს ძისძეს ძე დიდი მოურავისა<sup>4</sup>.

მოგვიანებით ამ საკითხს შეეხო სარგის ციციშვილი: „გიორგი ლეონიძის ზემოაღნიშნული გამოცველების შედეგად ნათელია, რომ იოსებ არ არის ძის ძე, მაგრამ არც აბალი მოსაზრება (იოსებ მოურავის ძისძეილი) არის საბოლოოდ დამტკიცებული. საქმეს ართულებს თუნდაც ის, რომ გარდა ჭახოსროსი ჩვენ არ ვიცით გიორგი სააკაძის ძის სახელები და საერთოდ, ჰყავდა თუ არა მას სხვა ძეები<sup>5</sup>.

საკაძეები წარმოშობით შიდა ქართლიდან, ტანს ხეობიდან იყვნენ ისინი თავიდანვე აზნაურთა სოციალურ წრეს ევთენოდნენ: „რომ სააკაძე გლეხი არ ყოფილა, არც თვითონ და არც შთამომავლობით, არამედ უკვე ერთი სუცუნის უწინარეს მისი წინარები აზნაური-შვილებად ითვლებოდნენ, ამას 1523 წ. ბარათაინ გაყრდობის წლებს ამტკიცებს. ამ საბუთიდანა ჩანს, რომ სააკაძეი მამინ ბარათა-შვილების აზნაურებად ითვლებოდნენ, და ამასთანვე კარგ აზნაური-შვილებად<sup>6</sup>.

იოსებ თბილელის აზრითაც:

„ქართლში უფროსნი ვინც იყვნენ, ითქმევდნენ თავადობასა, ყველა მოყვრად მყვეს, ბრძანებულს ჩემს მეგობრობა-ცნობასა, მეცა მივდედვი, მომდედვის, ვეჭმოდით კარგე მშობასა“.

ანტონ ფერეცელაძის აზრით, გიორგი სააკაძე იუს უბრალო კაციშვილი<sup>7</sup>, ფერეცელაძის ეს მტკიცება არ უნდა იყოს სწორი. სააკაძე თავიდანვე აზნაურთა გვირის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო: „ჩამომავლობით სააკაძე თავიდაცა წრეს არ ეკუთვნოდა, მაგრამ გიორგის მამა-ბიძები უკვე სიმონ მეფის დროს ძალიან დაწინაურებული იყვნენ და სამეფო კარზე მათ მაღალი თანამდებობანი ეჭირათ<sup>8</sup>. შესაძლოა ამ დროისათვის სააკაძეები უკვე თავადებად

<sup>1</sup> იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 525.

<sup>2</sup> კ. ციციშვილი, დიდმოურავიანი, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 419.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, V, 1959, გვ. 10.

<sup>4</sup> ანტ. ფერეცელაძე, ბოროლა საქართველოს მოსახლობად და საქართველოს შესაერთებლად, ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო, 1911, გვ. 422.

<sup>5</sup> ივ. ჯავახიშვილი, ნ. ხუბენიშვილი, ს. ანანია, საქართველოს ისტორია, I, გვ. 331.

იწოდებოდნენ. სააკაეები ჯერ კიდევ გიორგი სააკაემდე ყოფილან დამწინებულ როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ სარბიელზე. სააკაეებს რამდენიმე აზნაური და მსახური ჰყავდათ. გიორგი სააკაის შაჰის ოთხი ვაჟი მყოლია: ზურაბი, ზემთელი, ივანე და სიაუში. გიორგი სააკაის მამა სიაუში, იგივე შიოში, დაბლოკებული ყოფილა სიმონ I კართან. სიმონ I საქართველოს გაერთიანებისათვის იბრძოდა. სააკაეები სიმონ დიდის იდეების გამზიარებლები იყვნენ.

გიორგი სააკაის ბიძა ზურაბი დიდი გავლენით სარგებლობდა სიმონ დიდის კარზე. 1590 წელს სიმონ I წყალობის წიგნს აძლევს სახლთუხუცესს ზურაბს. ამ სიგელში გიორგი სააკაის მამა ჭიათური იხსენიება მოურავად.<sup>1</sup>

XVI საუკუნის 90-იან წლებში სააკაეებთან მოურაობის არ ერიდებოდნენ ისეთი ცნობილი თავადები, როგორც იყვნენ ჭავჭავაძეები.<sup>2</sup> ზურაბ და სიაუში იხსენიებიან საამისშვილებად. საამისშვილი არის სააკაის ერთი შტოს სახელწოდება, ისე, როგორც მეორე ასეთივე შტო ფრიდონისშვილებად ყოფილა ცნობილი.

არ არის ცნობილი როდის ვარდაციკლად გიორგი სააკაის მამა სიაუში, სარგის კაცობაზე დიქრობს, რომ გიორგი სააკაის მამა 1594 წელს უკვე არ არის ცოცხალი, ვინაიდან ამ წელს სემიონ მეფე წყალობის წიგნს აძლევს გიორგი სააკაეს.<sup>3</sup> „დიდმოურავიანიდან“ კი ვტყუბილობთ, რომ სიაუში 1606 წელსაც ცოცხალია. „ოცი წლის მამამ მიმართა ეს იყო ცამეტებამდის“ — აქვეყნიებებს თბილელი დიდ მოურავს გიორგი სააკაეს. აქ დაპარაკია მეფე ლუარსაბ II-ზე, ლუარსაბი კი 13 წლის იყო 1605 წელს.

გიორგის ღუდას თამარი ბქმევი. თამარი 1620 წელსაც ცოცხალია, ვინაიდან იგი მოხსენებულია ქაიხოსრო ჭავჭავაძისა და გიორგი სააკაის ვენიწების წიგნში. „სიაუშისა და თამარს შამი ვეი და ერთი ქალი მყოლიათ. ამათგან ჩვენ ვიცით მხოლოდ ორის სახელი. მარშო გიორგი და ქაიხოსრო. არ ვიცით მესამე ვაჟის სახელი და არც თვით ქალისა, რომელიც შემდეგ მეფე ლუარსაბ II ცოლი და ქართლის დედოფალი გახდა“ — წერს ვეი ჭამბურია.<sup>4</sup>

გიორგი ლეონიძე თავის გამოკვლევაში აღნიშნავს, რომ ქაიხოსრო მოკლულ იქნა 1614 წელს ბაღდადის აღებისას. ამ ცნობას მხარს უჭერს იოსებ თბილელი, მაგრამ სულ სხვაგვარად არის საქმე ისტორიოგრაფიაში: „ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქაიხოსრო დაიღუპა ირანში, ბაღდადის აღების დროს, რომელშიც იგი გიორგი სააკაესთან ერთად მონაწილეობდა, მაგრამ ეს ვარაუდი სწორი არ უნდა იყოს, რადგან ქაიხოსრო მოხსენებულია ფარსადან ციციშვილისა და გიორგი სააკაის შერიგების წიგნში. ეს წიგნი, მართალია უთარილია, მაგრამ დაწერილი უნდა იყოს 1620—1625 წლებში, როცა გიორგი სააკაე ურავდება თავის მტრებს — დიდ თავადებს ჭავჭავაძეებს და ციციშვილებს. 1620 წელს სასამართლოს ოქმიდან გიორგი ფარსადანთან შერიგებული არ ჩანს. მათი შერიგება უფრო მოგვიანებით უნდა მომხდარიყო. ქაიხოსრო მოხსენებულია იმერთა მეფის საფიცრის წიგნში გიორგი სააკაისადმი. ეს საბუთიც უთარილია, მაგრამ დაბეჭდილებით შეიძლება ითქვას, რომ იგი დაწერილია 1626 წლის დასაწყისში, როცა გიორგი სააკაემ დასავლეთ საქართველოში იმჯესურა. ქაიხოსრო მოხსენებულია „დიდმოურავიანიში“ სააკაისა და თეიმურაზ მეფის კონფლიქტის პერიოდში (ე. ი. 1626 წელს). იოსებ თბილელი გიორგის აქმეყიანებს: „მეფე (იგიულისხმება თეიმურაზი) ზომ არას მიწყობდა არც მოყვრის, არც ძმანთისა. აქ სახელი არ არის მოხსენებული, მაგრამ ცხადია, ის ქაიხოსროა, რადგან მეორე მამა ამ დროს უკვე გარდაცვლილია. ჩვენ არ ვიცით, როდის გარდაიცვალა ქაიხოსრო. 1626 წლის შემდეგ მისი ხსენება აღარ გვხვდება“.<sup>5</sup>

ჩვენ შევისწავლეთ აღნიშნული ორი საბუთი Hd 14632<sup>6</sup> — Hd 1442 და ვფიქრობთ, რომ ჭამბურიას ეს მოსაზრება საკვებით სამართლიანია. ქაიხოსრო 1626 წელსაც ცოცხალია თვითონ იოსებ თბილელიც აღნიშნავს პოემის ეპილოგში.

„ნათესავ მოღვამ გვარ ტომის მისამან ეს ვიწუე წერებად“

გიორგი ლეონიძე იშველებდა „მოღვამ“ სიტყვის მნიშვნელობას და ასკენიდა, „მაშასადამე, რაკი ტფილელი თავის თავს დიდი მოურავის მოღვამად ასახლებს ნათესავ-გვარ-ტომთან ერთად, ვფიქრობ, რომ იგი ჰგულისხმობს

<sup>1</sup> იოსებ თბილელი, დიდმოურავიანი, გ. ლეონიძის რედაქციით, 1939 წ. სტრ. 163.

<sup>2</sup> გ. ჭამბურია, გიორგი სააკაე, 1964, გვ. 26-27.

<sup>3</sup> Hd 14632 გამოკვლეულია ი. შ. ბურჯანაძე, ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770 წწ.) წიგნი I, 1959, გვ. 24.

<sup>1</sup> საქართველოს სიძველენი, II, 1909, გვ. 47, სიგელი, 35, სააკაეებისათვის სიმონ I შიუცია ჭავჭავაძეების თვრამი მამულად.

<sup>2</sup> საქართველოს სიძველენი, II, 1909, გვ. 48, სიგ. 36.

<sup>3</sup> საქართველოს სიძველენი, 1909, გვ. 49, სიგ. 37.

<sup>4</sup> ს. კაცობაძე, საისტორიო კრებული, IV, 1929, გვ. 73.

<sup>5</sup> საქართველოს სიძველენი, II, 1909, გვ. 51, სიგ. 41.

<sup>6</sup> გ. ჭამბურია, გიორგი სააკაე, 1964, გვ. 26,

თავს გიორგი სააკაძის ოქახის მონაწილედ სწორედ მოდებოდა, მომდგამობით და არა პირდაპირი ხაზით — შეიღწევილობით. ვ. ი. ქაიხოსრო 1626 წელსაც ცოცხალია, 1614 წელს ბაღდადში მოკლული იქნა მეორე ძმა გიორგი სააკაძისა, რომლის სახელი ისტორიამ არ შემოგვინახა. საფიქრებელია, რომ გიორგი სააკაძის მეორე ძმა თავიდანვე სპარსეთში იმყოფებოდა ადვილი შესაძლებელია, რომ მას რაიმე უთანხმოება მოუვიდა ქართლის სამეფო კართან და სპარსეთს შეაფარა თავი. იქნებ სწორედ ამიტომაც გადაწყვიტა სპარსეთს წასვლა ლტოლვილმა სააკაძემ. აი, სწორედ ეს ძმა მოუკლავთ 1614 წელს ბაღდადის აღების დროს. ამის შესახებ ჩვენ „დიდმოურავიანში“ ვკითხულობთ:

ბაღდადს წაბრძანდა, თან ვახლი, აღება ბრძანა  
ციხისა,  
ძმა მყავდა გულსრულა, მამაცი, ხმის ამომღები  
ჩიხისა,  
მან ერთი კაცი საბრძოლად ადვილად არ  
შეიხისა, —  
და ის იქ მომიკლეს ომშიგან, კაცება შექმნეს  
თიხისა!  
(163)

ქაიხოსრო ხშირად იხსენიება ქართულ დოკუმენტებში გიორგი სააკაძესთან ერთად. პირველად მისი ხსენება გვხვდება 1607 წ. სააკაძეთა ნასყიდობის წიგნში, ამის შემდეგ ის ხშირად იხსენიება სააკაძის გვერდით. ქაიხოსრო რომ 1626 წელსაც ცოცხალია, ამას თბილელის პოემაც მიუთითებს. 1626 წელს, თეიმურაზსა და დიდ მოურავს შორის მომხდარი კონფლიქტისას, გაკვირვებული მოურავი კითხულობს: მეფე ხომ არას მიწყრება, არც მოყვრის, არცა ამისათვის? (სტრ. 8). ამრიგად, არსებული სამი სახელთის (Hd-14.632, Hd-14.442 და „დიდმოურავიანი“). მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქაიხოსრო 1626 წელსაც ცოცხალია. სწორედ ამ ქაიხოსროს შეიღი უნდა იყოს იოსებ თბილელი. გ. სააკაძის ერთგულმა ძმამ ბოლომდის გაიზიარა დიდი მოურავის მწერე ბედი.

არ არის ცნობილი, სად მიიღო სააკაძემ სწავლა-აზრდა. „დიდმოურავიანიდან“ ვიცით, რომ სააკაძე „რიტორთ“ კაცთა ზრდილი უყოფილამ.

ანტონ I აზრით:

„...გონება მისი ქვემდებარებდა  
თავისუფალ ცნობათა, რომელთაცა,

1 იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გ. ლეონიძის გამოცემა, 1939, გვ. XXI.

2 საქართველოს სიძველენი.

3 იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, 1939, გვ. 3, სტრ. 2.

იოსებ კვადლა გამოცდილი იყო, სრულად, პოეტისათა ხელოვნებათა შემსრულებელი.

ასეთივე აზრისაა იოსებ თბილელზე იაკობ შემოქმედელი-ლუმბაძე.

„თუთ მცნობსა ცნობა გუმბრძანა, რას გვადრებ  
შე უცნობელი“<sup>2</sup>

ანტონ I, მართალია, „მალაი აზრის გახლდათ იოსების განათლებაზე, მაგრამ იმავე „წყობილიტიკეობაში“ იგი გულსტიციელით აცხადებდა: „იოსებ თემცა დაპყრო ამოთათვის“-ო. „ამათი დაპყრობა“-ს ანტონი საერო ამბის გალქმავის უწოდებდა. იოსები თეთიონაც უსაყვედურებდა თავის თავს „დიდმოურავიანის“ ეპილოგში: „სოფლისა ზღაპრის თქმისათვის შეიქვენ დამნაშავე“-ო: მითუშეტეს, რომ იოსები იყო სიონის კათედრის ეპისკოპოსი, საეკლესიო პიროვნება.

პლატონ ოსელიანის ცნობით, იოსები ქვათახევიმ აღკვეცილა ბერად და შემდეგ იმერეთში წასულა. იმერეთიდან ის რაჭაში გადასულა და იქ, ნიკორწმინდაში უყურთხევათ ეპისკოპოსად. იოსების ბერად აღკვეცა უნდა მომხდარიყო სააკაძეების ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ. 1643 წელს როსტომ მეფე წყალობის წიგნს აძლევს დიდი მოურავის შვილს იორამ სააკაძეს. სააკაძეები საქართველოდან დაბრუნდნენ შაჰ-აბას II-ის თანხმობით. შაჰ-აბას II გამეფდა 1642 წელს.

რაჭიდან, პლ. ოსელიანის ცნობით, იოსებ „გარდმოვიდა ქართლს და წარგზავნეს საათაბაგოს, რათა აღედგინათ აწყურის თურქთაგან გაქმეზებული ეპარქია“<sup>4</sup>.

პლატონ ოსელიანის ამ ცნობაში გიორგი ლონიძე ხედავს შეესაბამება ისტორიულ სინამდვილესთან. ლეონიძის აზრით: ა) როსტომ მეფე სრულიადაც არ იყო მზრუნველი ჭრისტიანობისა და კერძოდ მისა დაცვის მებრძოლი მესხეთში. პირიქით, ის იყო ენერგიული მაჰმადიანი, სპარსეთში მაჰმადიანობაში აღზრდილი. როსტომ მეფის ასეთ შეფასებაში გიორგი ლეონიძეს ვერ დავეთანხმებით. ჩვენ ვიცით, რომ როსტომმა დიდად შეუწყო ხელი საქართველოში ეკლესია-მონასტრების აღდგენას. მისი

1 ანტონ I, წყობილიტიკეობა, 1853, გვ. 226.

2 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია II, 1958, გვ. 527.

3 საქართველოს სიძველენი, II, 1909, გვ. 68, სტვ. 49.

4 იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, 1851 წლის გამოცემის წინასიტყვიობა.

5 იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, 1939 გ. ლეონიძის გამოცემა, გვ. XXIV.

მეფელე მარიაში კი უღიღეს მეცენატობის იტენ-  
და ქართული ეკლტრის აყვავების საქმეში.  
დღემდე შემონახულია მრავალი წიგნი მარია-  
მის თხოვნით, თუ დავეთთი გადაწერალი, არა  
გვერნია, როსტომ მეფისათვის უცნობი ყოფი-  
ლყო მეფელის ეს საქმიანობა. „გადიოღ,  
წლები. როსტომის პოლიტიკა შეუთავსებელი  
ყო ირანის პოლიტიკასთან. მართალია, როს-  
ტომი შაჰის ვალი იყო, მაგრამ მისი საქმიანობა  
ქართველებს საწინააღმდეგო არ იყო. ის ირან-  
ის პოლიტიკას ქართველებს გაეზიილაშეგბას,  
არა მარტო არ არქებებდა, არამედ ზელსაც  
უშლიდა. ირანი სულ უფრო და უფრო რწმუნე-  
დებოდა იმში, რომ როსტომი სარწმუნოებით,  
მართალია მამპდიანია, მაგრამ სისხლი ქართვე-  
ლისა აქვს<sup>1</sup>. როდესაც არსენ სუბანოვი იზოგ-  
ზაურა საქართველოში, მას საქართველოს კათო-  
ლიკოს-პატრიარქი არწმუნებდა: «Хан де наш  
еще и бусурман, а к нам де милостивъ,  
от него к нам никакой обиды нет. Если  
бы де государь изволил нашу землю  
взять, а хан бы наш рад был тому»<sup>2</sup>.

გიორგი ლეონიძის აზრით, ა) „თეთი როსტომ  
ფაშა, ვისაც იგი ვითომ შეეცვლა, მძევინებრე  
მამპდიანი იყო. მ შესაძლებელია, როსტომ ფა-  
შა ნამდვილად იყო მძევინებრე მამპდიანი, მაგ-  
რამ სამცხესათაბაგოში უფკველად იქნებოდ-  
ნენ ისეთი ქართველები, რომელთა დიდი დაზ-  
მარების იმედი ჰქონდა იოსებს. უფრო მოგვი-  
ანებთ ამ ქართველებმა გათავისუფლეს ახალ-  
ციხეში. დატყვევებული, საქართველოს გაერ-  
თიანებისათვის მებრძოლი მეფე გიორგი XI.

1658 წელს გარდაიცვალა როსტომ მეფე.  
როსტომის შვილი არ ჰყავდა ამიტომ მან ქართ-  
ლის ტახტზე ვახტანგ მუხრანბატონი გააშეფა.

ვახტანგ V მიხნად ისახავდა დემყარებინა  
შვილობა საქართველოს ცალკეულ სამთავ-  
როებს შორის და თუ ამისა საშუალება იქნე-  
ბოდა გაეერთიანებინა საქართველო ერთი სკიპ-  
ტრის ქვეშ.

ვახტანგ მხოლოდ გარეგნულად იყო მამპ-  
დიანი, ზოლო ნამდვილად კი ქრისტიანობდა და  
ქრისტიანთ დიდად სწვალობდა. იგი იყო მხნე  
და დუღალავი კაცი. «Князь хотя по ре-  
лигии магометанин, старается чтобы в  
епархии было достаточно духовенства и  
на духовых должностях назначает обык-  
новенно своих родных»<sup>3</sup>.

<sup>1</sup> დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართვე-  
ლოს ისტორიიდან, II, 1965, გვ. 399.

<sup>2</sup> ი. ცინცაძე, კრებ. რუსეთ-საქართველოს  
ურთიერთობის წარსულიდან, V, 1955, გვ. 266.

<sup>3</sup> იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გ. ლე-  
ონიძის რედაქციით, 1939, გვ. XXIV.

<sup>4</sup> Шарден, Путешествие по Закавказью в 1672-1672, 1902, стр. 200.

ვახტანგ V შანავეზში კათალიკოსად დასვა  
თავისი ბიძაშვილი დიდმეტე „ქაქვი/ტარსა“ და  
განათლებული“. ზოლო სიონის კათედრის ქვის  
კოშკისად ახლო ნათესავი იოსებ სააკაძე. ვახ-  
ტანგ V შანავეზის დედა გიორგი სააკაძის ქალი  
იყო.

იოსებ სააკაძის სიონის კათედრაზე დანიშნა  
უნდა მომხდარიყო 1660 წელს. 1658 წელს სი-  
ონის კათედრაზე ისევე ელისე თბილელი ჩანს.  
გიორგი ლეონიძის აზრით, იოსები თბილისის  
კათედრაზე ჩანს 1650-1688 წლებში<sup>2</sup>.

კ. კეკელიძის აზრით, „როგორც უნდა იყოს  
„დიდმოურავიანი“-ს ავტორად უნდა ჩაითვალოს  
ის იოსები, რომელსაც თბილისის კათედრაზე  
უხედავთ 1661-1688 წლებში და რომელიც მოყ-  
ლული იქნა 1688 წელს, როდესაც გიორგი XI  
დუმეთს იღებდა»<sup>3</sup>.

ბიძინა ქიქოძე ფიქრობს, რომ იოსები სიო-  
ნის კათედრას განაგებდა 1681-1688 წლებში<sup>4</sup>.  
ქიქოძის ეს ცნობა არ უნდა იყოს სწორი,  
ვინაიდან 1661 წელს თბილისის სიონის კათედ-  
რაზე უკვე იოსებ თბილელიან. თ. ეორდანიანი  
„ქრონიკებში“ ვკითხულობთ ასეთ ცნობას:  
ქვასა 1660 წ. დაქდა შანაოზ მეფე ბატონად,  
ბოშქერი იმის ბიძაშვილი კათალიკოსად“.  
ჩვენ ვფიქრობთ, რომ დაახლოებით ამ პერი-  
ოდში მოხდებოდა იოსების დანიშნვა თბილი-  
სის სიონის კათედრაზე. შარდენი თავის მოგ-  
ზაურბაში აღწერს სიონის ტაძარს „რომელიც  
ამ დროს უშთაფრესი ყოფილა თბილისში.

ვახტანგ V საქართველოს გაერთიანებისათვის  
იბრძოდა. ამ მიზნით მან გააშეფა იმერეთში თა-  
ვისი უფროსი შვილი არჩილი. არჩილისა და  
ვახტანგის მეფობა ქმნიდა ხელსაყრელ პირო-  
ბებს საქართველოს გაერთიანებისათვის. მაგ-  
რამ შინაფეოდალურმა შეღღმა ჩაშალა ვახტან-  
გის გეგმები.

იოსებ თბილელი დიდი ერთგული იყო მუხ-  
რანბატონებისა. ის სულთთა და გულთთ იზია-  
რებდა ვახტანგის იდეებს. იოსებ თბილელი,  
როგორც სიონის კათედრის ეპისკოპოსი, ეკლე-  
სიურ ცხოვრებაშიც მონაწილეობდა ცენტრ-

<sup>1</sup> თ. ეორდანიანი, ქართლ-კახეთის მონასტრე-  
ბის და ეკლესიების ისტორიული საბუთები,  
1903, გვ. 211, სიგ. 11.

<sup>2</sup> ი. ტფილელი, დიდმოურავიანი, 1939, გ.  
ლეონიძის გამოცემა, გვ. XXV.

<sup>3</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ის-  
ტორია, II, 1958, გვ. 526.

<sup>4</sup> ბ. ქიქოძე, ისტორიული პოემა ძველ ქარ-  
თულში.

<sup>5</sup> თ. ეორდანიანი, ქართლ-კახეთის მონასტრე-  
ბისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები,  
1903, გვ. 222 № 56, Пурцеладзе, Грузинские  
церковные гуджары, стр. 133.

ღერი ხელისუფლების განსამტკიცებლად. აღ-  
ვერდელი მიტროპოლიტი ნიკოლოზ ანდრონი-  
კაშვილი იოსებს სთხოვს კათალიკოსთან შეამ-  
დგომლობას და პატივებს მის მიერ გვირგვინის  
დადგენისათვის კათალიკოსის უნებართვით.  
„მოწინავე, გუდენიან პირს მხურვალე მონა-  
წილეობა მიუღია სახელმწიფო საქმეებში“<sup>2</sup>.

იოსებ თბილელი გუგუზავნია ვახტანგ V შარ-  
დენის შესახებდრად<sup>3</sup>.

თბილისში შემოსულ კახელებსაც თბილელი  
შეხვედრია: „მითი, (ე. ი. კახელების) აქ შე-  
პოვების დრო არა ჩანს, უნდა ყოფილიყო  
1662 წლის დამლევი ან 1663 წლის დამდევი.  
პირველში იგინი მიუღია ქართველ ეპისკოპოსს  
თბილელს და კი პატივითაც მოაპრობია“<sup>4</sup>.

თბილელი რომ დიდი პატივისცემით სარგებ-  
ლობდა იმდროინდელ ქართლში, ამას ამტკი-  
ციებს შანავაზ მეფის განჩინების წიგნი. წიგნი  
შედგენილია 1670 წელს — სარჩელი და საჩი-  
ვარი ბარათაშვილებსა და ვიარაღმწოდებს  
შორის. ამ საჩივარს ესწრებოდა იოსებ თბი-  
ლელი.

იოსებ თბილელი რომ ახლო ურთიერთობა-  
ში იყო ვახტანგ V საშუალო კართან, ამას ამტკი-  
ციებს ერთი მინაწერი. 978 წელს არის გაღა-  
წერილი ეფთვიძის მიერ „დავითანი“ (H 1346).  
ამ ხელნაწერს შემოუნახავს იოსებ სააკაძისა  
და არჩილ მეფის მინაწერი.

იოსებ თბილელი შანავაზის კაპის მწიგნო-  
პირიც ყოფილა. მისი შედგენილია შანავაზის  
ეპისტოლე პაპის კლიმენტ X-ისადმი — 1657  
წ. ზაფხულში ანტონ I იოსებ თბილელს შესა-  
ხებ აღნიშნავდა: „საყუარელი იყო ერთაცა ყო-  
ველაგან“<sup>5</sup>.

ვახტანგ V ვერ შესძლო თავისი მიზნების გან-  
ხორციელება. შინაფეოდალური შუღლი ვახდა  
მიზეზი ვახტანგის მიზნების დამხსენებისა.  
მისი გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა  
გიორგი XI.

<sup>1</sup> იხ. თ. ეორდანი, ქართლ-კახეთის მონა-  
ტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები,  
1903, გვ. 205.

<sup>2</sup> იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, 1939,  
გ. ლეონიძის გამოცემა, გვ. XXV.

<sup>3</sup> Шарден, Путешествие по Закавказью в 1672-73 гг., 1902, стр. 226—227.

<sup>4</sup> მ. თამარაშვილი, ისტორია კათალიკოსისა  
ქართველთა შორის წამდგომის საბუთების შე-  
მოტანილია და განმარტებით XIII საუკუნისდგან  
ვირეუ XX საუკუნემდე, 1902, გვ. 223.

<sup>5</sup> საქ. სიძველენი, 1909, II, გვ. 132-133-134,  
სიგელი 107.

ქართლის მეფის გიორგი XI მთელი საქმი-  
ანობა თავისი შინაარსით შაპის საწინააღმდეგო  
ხასიათისა იყო. „ერაზისადმი მორბილობას ი-  
ს უფრო ნაყვებდა იმშენდა, ვიდრე მამა შისხ  
და აფანეებისთვის საიდუმლოდ ემზადებოდა“<sup>1</sup>.

გიორგი უფრო აშკარად დაადგა საქართვე-  
ლოს გავრთიანებისათვის ბრძოლის გზას. იგი  
არ შეუშინდა მტრის რისხვას და რენეგატ თა-  
ვადთა წინააღმდეგ სასტიკი ზომები მიიღო.  
სომხეთის მეღალი თოვით მოაყვლევინა, ერეკ-  
ლე მუხრანბატონი და შანაბელი ციხეში გამო-  
კეტა, ისინი ერისთავს კაცები მიუჩინა და საბ-  
ლით მოახრბობინა, გიორგი ამასაც არ დაჯერ-  
და. კახეთი განაწის ხანს ჰქონდა სამშართვე-  
ლოდ გიორგი კახელ ფეოდალებს შეუთანხმდ-  
და წინადადება მისცა ქართლ-კახეთი ერთ სა-  
მეფოდ გაეერთიანებინათ, თავალებმა აქაც  
ულაღატეს გიორგის. თამაზ ორბელიანი (ვი-  
ორგის დედის ძმა) უმუხბოლა მეფე გიორგი  
XI-ს.

თამაზ სარდლის დაღატის შემდეგ აფანევა  
განწირული აღმოჩნდა. გიორგის ძალები იმითაც  
შემეორდა, რომ „მოკვდარაიყო მისძე მეფისა  
მუხრანბატონი თეიმურაზ, რომელი იყო კაც  
დიდშემძლე საქმისა, ერთველი მეფის და რი-  
ლომდენ ყოველი“<sup>2</sup>.

გიორგი მინეც არ კარგავდა მზნობას და  
ურჩ ფეოდალთა წინააღმდეგ მდგრად იბრძო-  
და. „მ დროს, საშინელი ფეოდალური აღრე-  
ვისა, შფოთისა და განდგომილების დროს,  
იოსები დიდ ერთველებას იგნს ტახტისადა.  
იგი საიმედო და თავდადებული კარისკაცია  
შამ-ნავაზის, არჩილის და შემდეგში გიორგი  
XI-ისა“<sup>3</sup>.

გიორგი ურჩი ფეოდალების აღავშვას სწი-  
რავდა მთელ ძალასა და ღონეს. ერთ-ერთი დი-  
დი ფეოდალის არაგვის ერისთავთან ბრძოლაში  
დაიღუბა მუხრანბატონების ერთველი, სიონის  
კათედრის ეპისკოპოსი იოსებ სააკაძე-თბილელი,  
„შეუშვენეს სტვა დროშანი და უმეტეს უწყეს მე-  
ფის დროშასა სროლა, მტკლეს თბილელი იო-  
სებ, ქაიხოსრო ციციშვილი და სტვანი მრავალ-  
ნი“<sup>4</sup>. ეს მოხდა 1688 წლის გაზაფხულზე.

<sup>1</sup> ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება 1469-  
1800 წლამდე, 1913, გვ. 68.

<sup>2</sup> ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება 1469-  
1800 წლამდე, 1913, გვ. 96.

<sup>3</sup> იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, 1939,  
გ. ლეონიძის გამოცემა, გვ. XXVIII.

<sup>4</sup> ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება 1469-  
1800 წლამდე, 1913, გვ. 90.



# ლია წერილი გამოცხადება „განათლებას“ ლირაქორს ახვ. ნ. ბერუავეს

ამხანაგო ხუტა!

კარგი ხანია, საქმეში ჩახედულ მწერალთა შორის სამართლიან გავეჩვენებას, გულისწყრომას, ლომილს და სხვა მსგავს რეაქციებს იწვევს საზოგადოებრივ ასპარეზზე თქვენი მუშაობის ზოგიერთი მხარე და საქციელი. ასე რომ, წერილი, რომელსაც ქვემოთ წაიკითხავთ, წლებით არის შემზადებული.

სხვადასხვა მხედვის გამო მე აქ მარტო თქვენს საგამომცემლო მოღვაწეობას შევეხები და მხოლოდ გავკრიტიკებ მოგზისხეობით, როგორც პოეტს.

მაშ, დავიწყეთ!

იქნებ ამ წერილის დაწერა კიდევ გადადებულიყო, წიგნის ბაზარზე რომ არ გვეხილა ვიდრე ერთი ახალი დადასტურება გამოცემლობის ხელმძღვანელობის თქვენეული სტილისა. ეს გახლავთ საშუალო სკოლისათვის განკუთვნილი ისტორიის ორი სახელმძღვანელო, ერთიცა და მეორეც გამოცემლობა „განათლებამ“, რომლის დირექტორიც თქვენ ბრძანდებით, მიმდინარე წელს გამოსცა. ამ წერილს პრეტენზია არა აქვს მიმოიხილოს საქართველოს ისტორიის როგორც ერთი, ისე მეორე სახელმძღვანელოს ავტორი. ეს უთუოდ სპეციალისტ-ისტორიკოსთა საქმეა. მე მხოლოდ ე. წ. „ლიტერატურის ნაწილის“ განხილვით შემოვიფარებლები. ამ საკითხის განხილვა, ევონებ, არც თქვენთვის იქნება ინტერესსმოკლებული. გარდა იმისა, რომ გამოცემლობის დირექტორი ხართ, თქვენ ხომ პოეტურ ბრძანდებით. სხვათაშორის, ერთ დროს საქმოდ ენერჯიულ, აქტიურ პოეტად გვევლინებოდით. შემდეგ საგამომცემლო მუშაობა წავართეთეთ ბევრი დრო და ცოტა ხელი შეგვეშალათ. ამის გახსენებით მე ეცდილობ ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ თქვენ მშვენივრად იცით, ხად დაბალი და სად მაღალი თარია და სად რა დევი ნახევარსაუკუნოვანი ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის თარობებზე. მით უფრო გასაოცარია, რომ დაწესებულებაში, სადაც თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობენ და სადაც, თქვენი მუშაობის სტილი რომ ვიცით, უთქვენოდ მიიქვს წერტილით ვერავინ შეცვლის სწორედ ასეთ დაწესებულებაში დასაბუთ ჩვენი ქართული მწერლობის ინტერესები, გამოდის წიგნები, რომლებშიაც განუკითხავად მახინჯდება მისი ნამდვილი სახე.

წერილი რომ არ გავვიგრიქვდეს, ხომ არ ჯობდა, თვით წიგნებზე ვეცხადებრა? მსჯელობის გასაადვილებლად, მოდიეთ, შ. მესხიას და ე. გუბუას წიგნს პირველი სახელმძღვანელო

ვეწოდეთ, ლ. ციხისთავის, შ. ცერცვაიის და ი. მახარაძისას კი — მეორე სახელმძღვანელო.

მაშ ასე: პირველი სახელმძღვანელო ამა წლის 26 ივნისს გახლავთ ხელმოწერილი დასაბუქდად, მეორე კი 27 ივნისს. ახლა ეს არა ბრძანოთ, წაიკითხული არა მაქვს, არც დაბეჭდვამდე წაიკითხავს, არც დაბეჭდვისასო.

მაინც, ასეთი რა სწერია იმ სახელმძღვანელოებში? გადავხალთ პირველი მთვანი. იქ შავით თეთრზე სწერია, რომ თქვენ, პატრიცულუო დირექტორო, დიდი დამსახურება მიგიძღვით ქართული ლიტერატურის წინაშე და როგორც პოეტი „განსაკუთრებით აღსანიშნავი“ ბრძანდებით ერის ისტორიაში (გვ. 302). ამავე დროს, „ისტორიამ“ უსიტყუოდ ვეუბნებება, რომ ისეთ პოეტებს, როგორც იყვენ ლადო ასათიანი და შირზა გელოვანი, აღექვსანდრე საჭაია და სევერიან ისიანი, როგორებიც არიან აღექვსანდრე გომიანივილი და ვაბრიელ ჯაბუშანიური, ალექო შენგელა და ლადო სულაბერიძე, თოარ ჭელიძე და ჯანსუღ ნარეკიანი, თემურაზ ჯანგულაშვილი და შოთა ნიშინიანიძე, თოარ ჭილაძე და ბევერი სხვა, არც რაიმე დამსახურება მიუძღვით მშობლიური ლიტერატურის წინაშე და არც, რასაკვირველია, რითიმე „აღსანიშნავი არიან“. უფრო მეტიც: ისინი საერთოდ არ არსებობენ! თუ თქვენი „ისტორიის“ მიხედვით ვიმსჯელებთ, ამხ. დირექტორო, იყვენ ეული, ზომილეთელი და არას ბერუავე, არ ყოფილან ნიკო ლორთქიფანიძე, და წარმოიდგინეთ მიხეილ ჯავახიშვილიც კი.

გადავწყვედეთ წინა საუკუნეებსაც? ენებეთ! ნეტავი რა დააშავა ჩვენმა სწორუპოვარმა პიანოგრადიამ, რომ თქვენს „ისტორიაში“ შეტანის დირსი ვერ გახდა? ნეტ რა ცოდვები მიუძღვით მთელ პლავდას რუსთაველის წინამორბედი პოეტების — იოანე მინქნსა, იოანე შტებვარს, ბრწყინელო ვიქნ მონტეკილს?

უფუფუნებას ვინ მოითხოვს, მაგრამ ერთი მარტივი გაფრცობელი წინადადებათ მაინც გვეთქვამ, რომ ჯერ კიდევ მე-9 მე-10 საუკუნეებში უკვე გვექონდა დირსეული პოეზია, ხოლო თავი შეგვეცაკებინა, ზოგიერთი თანამედროვე პოეტის უსუსური ლექსების არაფრისმთქმელი მართობისაგან.

როგორც ჰველი, ისე ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის მიმოხილვიდან საესეებით ამოვადებელია ლიტერატურის ორი დიდი დარგი — თარგმანი და კრიტიკა. არ გაგხსენებიათ თვით ივანე მაჩაბელი, დიდი ქართუ-

ლი საზოგადო მოღვაწე და შექსპირის გადმო-  
ქართულბული. რაკი ამ გზას დაადექით, ცხადია,  
ველარ შეჩერდებით ვახტანგ კელდის, გივი  
ვახტანგის, გრიგოლ აბაშიძის და სხვათა  
აუფლებლ...

უკეთეს მდგომარეობაში ვერც ჩვენი კრიტი-  
კოსები და ლიტერატურისმკვლევები აღმოჩნ-  
დნენ. თქვენივე, მაგალითად, ეტყობა, ადგილი  
წარმოადგენია ქართული მწერლობა კიბა აბა-  
შიძის, პაველ ინგოროვას, ბესარიონ ელენის,  
ლევროსი კალანდაის, დიმიტრი ბენაშვილის,  
ვიორჯი ჩიხლაძის სახელების მოუხსენებლად.

სამაგიეროდ, ამხანაგო ხუტა, ომისმემღვოში  
ლიტერატურისადმი მიძღვნილ ნაწილში ხელახ-  
ლა იხსენიება თქვენი გეარო (გვ. 320). დიდებულ  
კონტრეტში ბრძანდებით, მშვენიერი პოეტების  
გარემოცავში. ჩვენთვის გასაგებია, რომ ლიტერ-  
ატურისა და ხელოვნების ყველა მოღვაწე ვერ  
მოიპოვებს ადგილს ერის ისტორიაში, გასაგე-  
ბია, რომ ადგილის, ამ სიტყვის პირდაპირი და  
ვადატანოთი გავებით, ეკონომიის ეწოდოთ, და-  
საზოგადო იყო ყოველი სტრუქტურა, ყოველი სასტამ-  
ბო ნიშანი, მაგრამ ხომ არ აქონებდა უარი  
ვეთქვით საერთო სახელის განმეორებითს  
რეკლამაზე და ის ერთი თუ ორი სტრუქტურა  
დაგეგმით რეკლამაზე, ვიორჯი შატბერა-  
შვილის, თათარ ჩხეიძის, თამაზ კილაძის, ნოდარ  
დუმბაძის, ოტია იოსელიანის, ედიშერ ყიფიან-  
ის, ზევაზ ინანიშვილის ცნობილი, მშობელი  
ხალხში, მეთხვეულთა ფართო მასებში ფეხ-  
გადგმული რომანებისა და მოთხრობებისათვის,  
ან, ეთქვით, პოლივარზე კაპაბაძის „უკუყვარე  
თუთახერისათვის“, რომელიც ქართული დრამა-  
ტურგიის მშვენიერს და ნამდვილ მარგალიტს  
წარმოადგენს?

როგორც დეტრობთ, პატრიკემულ ამხანაგო,  
ხომ არ მოიგებდა მოზარდი თაობისათვის გან-  
კუთვნილი ისტორიის სახელმძღვანელო, ასე რომ  
მოქცეულიყავით.

სწორედ გასაკვირია, მეტი რომ არა ეთქვით,  
საიდან მოდის თქვენი ამხელა თეთნებობა და  
ვაშბედაობა!

\*\*\*

თქვენ, ალბათ, უკვე ფიქრობთ ამ წერილის  
ავტორის მისამართით — რას ამხივებია, ნეთუ  
არ იცის, რომ დირექტორი, ვისაც გამოცემ-  
ლობის მრავალფეროვანი მუშაობა აწევს კის-  
რად, მისი რომელიმე რედაქციის სარედაქციო  
მუშაო არ არის? მართალია, დირექტორი კი  
ინაწილებს თავისი დაწესებულების მუშაობის  
ყოღვაძარალს, მაგრამ ნეთუ ის მოვალეა, ყო-  
ველ მის შიღის გამოცემულ წიგნს პირფესვიანად  
იკონტრეს? ასე რომ, უფეთუდ გავკვირებული  
ბრძანდებით, რა უფლებით მოგმართავთ ღია  
წერილით პირადად თქვენ და არა სახელმძღვანე-

ნელის ავტორებს ანდა საქართველოს სსრ-  
განათლების სამინისტროს კოლეგიას.

ღიაზე, სწორედ ამაზე ვაპირებ მოგახსენოთ,  
ის ამბავი, რომ წერილი თქვენდაქვეა წიგნმარ-  
თელი, სრულიადაც არ ხსენს ძირითად პასუ-  
ხისმგებლობას ავტორთა კოლეკტივებს. ჩვენს  
დროში ბავშვმაც კი იცის, რომ ჩვენ-ჩვენს უსუ-  
სურ ლექსებზე, პირველ ყოვლის, მე და თქვენ,  
ლუბანზე ან ბერულავა ვაგებთ პასუხს და შემ-  
დეგ გამოცემლები. მაგრამ მოგმართავთ თქვენ  
და არა ავტორებს იმის ვაშო, რომ, სადაც არ  
უნდა მასხობობდეთ თქვენ, რაკილა მწერალთა  
კავშირის წევრია ბრძანდებით, ქართული მწერ-  
ლობის წარმომადგენლად მიგვიჩნევიხართ და  
მისი ინტერესების დამცველად გესურს გვეგუ-  
ლებოდეთ. ეს დიდი პატივი უნდა იყოს თქვენ-  
თვის და ბევრს უნდა ვავალბდეთ.

ჩვენი ლიტერატურის ისტორიის ასეთმა და-  
მახინჯვებამ, უნებლიემ თუ ნებისმიერმა, ვერ  
დაგვიმალავთ, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.  
გეხსომებთ, ამ საქმის თაობაზე თქვენ სხვადა-  
სხვა დროს რამდენიმე აღმფრთხილებლმა ქარ-  
თველმა მწერალმა ვაგვიზიარათ თავისი კანონიერ-  
ი გულისწყერიობა. პირველი თქვენი პასუხი სწო-  
რედ ისეთი იყო, ზემოთ რომ მოგახსენეთ:

„სად? როდის? სახელმძღვანელო ვერ კიდევ  
აღქმსანდრე გომიაშვილის დირექტორობის  
დროს იქნა წარმოებაში ჩაშვებული, თვლი ვერ  
მოვადგენე, გამოშრბა, არ წამიკითხავსო“.

საქართველოს ისტორიის სრულყოფილი სა-  
ხელმძღვანელო შექმნა ჩვენი ისტორიკოსების  
სადღესის და გადაუდებელი ამოცანაა. აი, რო-  
გორც იქნა, შეიქმნა ორი სხვადასხვა სახელმძღვანე-  
ნელო და მისი გამოცემა თქვენს გამოცემლობას  
დაევალა. ნეთუ თქვენ იმდენად გულგრილი  
აღმოჩნდით ამ უმნიშვნელოვანეს საქმის ში-  
მართ, რომ მთელი წლის განმავლობაში, სანამ  
ერთიც და მეორეც გამოსაცემად მზადდებოდა,  
სახელმძღვანელოები ცალი თვალის ვადაკრი-  
თაც არ წიკითხეთ. ნეთუ თქვენ ფიქრობთ,  
რომ წაუკითხობის არასერიოზული მომხიზვება  
ჯობს სინამდვილის გულგრილად აღიარებას?

ეთქვით, მართლაც ასე მოხდა: არ განახავთ  
და არ იცით...

გამოდის, რომ ყველამ, ვინც სახელმძღვანელო  
დაწერა, ვინც ის გამოცემლობაში დასაბეჭდად  
მოამზადა და ასოთამწერობაზე მიიყვანა, დირექ-  
ტორ ალექსანდრე გომიაშვილს უგულვებელყო-  
ფა გუბებდა, პოეტ ბერულავას უღაგო დამსახუ-  
რებას ქართველი ერის წინაშე კი ვერსად  
გაქცეა. და ეს მოხდა გომიაშვილის დირექტო-  
რობის დროს, გომიაშვილისა, რომელსაც სჯერა  
და არც თუ უსაფეთლოდ, რომ თავისი ადგილი  
აქვს ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში!

თქვენ მაშინ თავის დაძვრენის სხვა ფანდიც  
იხმარეთ: ხსენებელი სახელმძღვანელოები ვა-

მარჯველუ გამოვიდნენ განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსზე და გამოცემლობაში ჩვენ წერტილ-შიმის გასწორების უფლებაც კი არ გვემონდა, სახელმძღვანელოები უცვლელად, ვოველგვარი შესწორების გარეშე უნდა დაგვებეჭდათ.

ეს როგორ გვეკადრებთ! განათლების სამინისტრო მხოლოდ შიდაობას ეტყოდა გამომცემლობის მუშავეს თუ ისინი თავიანთ მოვალეობას პირნათლად შეასრულებდნენ და სამინისტროს და ავტორთა ქვეფს აშკარა უზუსტობა გასწორებასა და სახელმძღვანელოთა შემადგომ სრულყოფაში დაეხმარებოდნენ. მე თქვენ გაბუღებულ და ამასთან ერთად იოლად შესამდგომელ კორექტივებზე გელაპარაკებოთ. ხელს არ გაძლევდათ თუ გიკრძალავდათ ეინმე? ვყოთხით სამინისტრუს მუშავეს, შორს არ არიან!

განათლების სამინისტროს სათანადო ვანყოფილებაში ჩვენ ვერ მივყავლით შ. მესხიას და ვ. ვურუას წიგნის დედას. კონკურსში გამარჯვებული წიგნის პირველსახე გევიანტერესებდა და თქვენთვის მისახვედრად, რისთვის და რა მიზნით. პატარავთ დირექტორო, ცოდეა გამხვლეული ჯობს და, არსებობს პიპოთება, რომ „უცვლელი“ ტექსტის ჩასწორება მაინც მოხდა. პიპოთება იმას ნიშნავს, რომ აქ გამოჩატებული არ არის შეცდომა, მაგრამ, მგონი, ისეთი შეცდომისათვის არ ჩამოგვებრიონ. არ ეცოც, სად, როდის და ვისი ხელით, ისეთი შთაბეჭდილება გერჩება, რომ ჩასწორება მოხდა და მოხდა იგი სწორედ გამომცემლობის დირექტორის სისარგებლოდ.

ამას ვაკვირებინებს აბჯაი სახელმძღვანელოში, სადაც ვანუერელი იოსებ ნონეშვილი და რევაზ მარგინაი ბერულავითაა გასამებული. ეს დავიდასტურა თქვენმავე განცხადებაში: დიხა, ასე შწამს და სახელმძღვანელოში ყველგვარი სწორად სწორიაო.

დასასრულ ნოთიერი საბუთიც იწებეთ! უახლოესი წინაპარი თქვენ მიერ გამოცემული სახელმძღვანელოები; ამავე ავტორების „საქართველოს ისტორია“ VII-VIII კლასებისათვის განკუთვნილი და თქვენამდე, 1961-62-63-64 წლებში ოთხჯერ გამოცემული. არცერთ გამოცემაში ჩვენს ისტორიკოსებს ბერულავა არ განხილვებიათ და ბუნებრივიაა — მაშინ თქვენ ხელთ არ იყო გამომცემლობა „განათლება“, დირექტორი აწ განსვენებული შ. ბუაჩიძე გახლდათ.

\*\*\*

თქვენ „გწამთ“, ამხანაგო დირექტორო! რწმენა დიდი რომ არის, თუ იგი გააზრებული, ინტელექტუალური რწმენაა.

თქვენ „გწამთ“!  
რა გწამთ, ამნ. ხუტა? თქვენ გწამთ, რომ ქართულმა ერმა პანტელეიმონ ჩხიკვაძის სახე-

ლი უნდა შემოინახოს, ხოლო მიხედვით ჩაეხიზნოს და იფიქრებს მისცეს?

თქვენ გწამთ, რომ საქართველოს ისტორიის უნდა იხსენიებოდეს თითო-ორიოჯი უწიფიანი პოეტური თხზულების ავტორი, ხოლო უფულგებელყოფილი იქნეს გრავოლ ორბელიანი, რომლის არმოხსენიებით ქართული პოეზია ამქარად ღარიბდება.

„ომის წლებში ქართულ მხატვრულ ლიტერატურას ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტი და მწერალი შეემატა. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია პოეტები რ. მარგინაი, ი. ნონეშვილი, და ხ. ბერულავა“ (იხ. ხსენებული სახელმძღვანელო გვ. 302).

ეს ომის წლებში!  
„ომისშემდგომ წლებში ქართული ლიტერატურა ახალი შემოქმედებითი ნიმუშებით გაამდიდრეს ახალგაზრდა ნიჭიერმა პოეტებმა და მწერლებმა ხ. ბერულავამ...“ (გვ. 320).

ეს უკვე ომისშემდგომ წლებში!  
თქვენ „გწამთ“! მართლა აძლენი გწამთ? თქვენ გწამთ, რომ იქ ზემო აბჯაიში კანონიერად ხართ მიმატებული, ხოლო აბჯაი, ქვემო აბჯაიში, კანონიერად წინ უძვლით მოქალაქეებს? გულის აპუოლიხართ და ამას რწმენას ეძახით!

ფაქტებით ვისაუბროთ, ამნ. ხუტა. ვერ ერთი, ქართულ ლიტერატურას მარგინაი და ნონეშვილი ომის წლებში არ შემატებიან. ისინი ოცდაათიანი წლების მეორე ხელწვეულში გერჩნა „ჩვენი თოთბის“ ირგვლივ თავმოყრილი მრავალრიცხოვანი თაობის საუკეთესო წარმომადგენლები არიან. თქვენს სახელმძღვანელოში საესებით უგულვებელყოფილ ლაღო ანათობთან, მირჩა გელოვანთან, ალექსანდრე საჯიისთან, ვაბრიელ ჯაბუშანიურთან, ალექო შენგელაისთან, ლაღო სულაბერიძესთან, შალვა ამისულაშვილთან ერთად. მოხდა ისე, რომ ჩვენი რესპუბლიკის ყოფილი ხელმძღვანელმა ომისშემდგომ წლებში ერთ-ერთ თავის მოხსენებაში მარგინაი და ნონეშვილი ერთად მოიხსენია, რაც შემდგომ ტრადიციად იქცა. თქვენ სარგებლობთ ქალაქით, სტამბით, საგამომცემლო გუგების მდგენის, წიგნის გამოცემის უფლებით, რაც რატომღაც ერთთავად თქვენს ხელთ არის, და მესამე კაცად ეტმანენებით შათ.

სამაგიტროდ, ამნ. დირექტორო, თქვენ პირველი ბრძანდებით დიდი სამამულო ომის შემდგომ წლებში...

ომის წინა წელწიდან 4-5 წლის მუშაობა პოეზიაში რევაზ მარგინაის, იოსებ ნონეშვილის, ლაღო ანათობა და ალექსანდრე საჯაიის თაყვანით პირველ საუკეთესო წიგნებში შეაქაბეს. ისინი უკვე ცნობილი პოეტები იყვნენ. მე და თქვენ მაშინ საშუალო სასწავლებელს ვამთიერებდით და როგორც მწერლები ვერ ეთდევ არ

ვარსებობდით. მალე ომი დაიწყო და ჩვენც და-  
ვიშალენით — ვინ „ქორწილის“ გზას ვაუღვამ და  
ვინ „წისქვილისას“.

თქვენი წავიდნენ რვეთ ჯაფარიძე, თვითმუშა  
ჯანგულაშვილი, ვახტანგ გორგენელი. საბედნიერ-  
ადა, ეს ხალხი ვადარაოთ ომს, მაგრამ მარჯიანი-  
მა და წინაშეშედიან დასჯარგებს თავიანთი თანა-  
ტოლები და ვანუყრელი მეგობრები — ღაღა  
ასათიანი და შირაზა გელაშვილი. სინდისმა როგორ  
არ შეგაწუხათ, როცა ღაღასა და შირაზას ად-  
გილს იკავებდით ამ ხალხის გვერდით?

ბოლოს და ბოლოს იმისთვის ხომ არ ზიხართ  
ერთთავედ დირექტორის სკამზე — საკუთარ  
პერსონას რანგი წაუმართო, შესანიშნავი მწერ-  
ლები ჩრდილში დააყენოთ და ასე ამგვარად შთა-  
შომავლობას ცრუ სურათი დაეტოვოთ სამო-  
ციანი წლების ჩვენი ლიტერატურისა.

• • •

კიდევ უფრო პრინციპული ხასიათის შენიშე-  
ნები გვაქვს მეორე სახელმძღვანელოს მისამარ-  
თით.

საქმე ის არის, ამხ. დირექტორი, რომ ავ-  
ტორია ამ კოლექტივის სიფხიზლისა და წინდახე-  
დულების მაქსიმუმი გამოეჩინა საქმის საზა-  
რადო: უახლესი ჩვენი ქართული საბჭოთა ლი-  
ტერატურის ორმოცდაათი წელი ორ ნაწილად  
გაუყვია: 1938 წლამდე და ამ წლიდან დღემდე.  
წიგნი საგვებთ უგულვებელყოფილია 1938  
წლიდან, ესე იგი მთელი ოცდაათი წლის გან-  
მავლობაში მომხდარი ძვრები ჩვენი ლიტერატურ-  
ის ფრანტზე. გამოდის, რომ საბჭოთა პერსონა-  
ლის უმეტესი მონაცემები, მთელი ოცდაათწლია-  
ნი ეპოქის მაქსიმუმზე, არც დირექტორი მწერლე-  
ბი შემატებია ჩვენს ლიტერატურას და არც  
საყურადღებო მათგან აღზევებანი.

შესაძლოა, უწინაშე 30 წელიწადი მართ-  
ლაც არ იყოს ქვეული ისტორიად?

შესაძლოა, ჩვენი ლიტერატურის უახლესი სი-  
დიდებებში ვაკილებით ძნელი იყოს გარკვევა და  
მართლაც „წინდახედულება“ სჭირდეს?

არ ვიცი, შე პირადად მიმანიია, რომ იოლი  
გზა არჩეული, სურათი ღარიბად არის წარმოდ-  
გენილი, ხოლო თქვენი, ამხ. დირექტორი, შენიშ-  
ნებ რა, ავტორთა ორი კოლექტივის ორი გან-  
სხვავებული მიდგომა ჩვენი ლიტერატურისად-  
მი, — ხაიუბი უანგაროდ უნდა გადაგვეწვიტათ.

რაც შეეხება თქვენი პიროვნების, თქვენი  
ღვაწლის პრაქტიკის საკითხს ამ მეორე სა-  
ხელმძღვანელოში, ჩვენ განვიფრებულნი დავრ-  
ჩით, რადგან „ლიტერატურის ნაწილში“ აქ ვერ  
გობილეთ ვალაქტიონ ტაბიძის, ტიციან ტაბიძის,  
გორგი ლეონიძის, პაოლო იაშვილის გვერდით.  
ჩვენი განვიფრება ის იყო ავტორებისადმი პა-  
ტივისკომი ვადაზარდის აბიურბა, რომ, უცხად,  
„თვალმოთარებულ“ სტავ სათაურით შენიღბულ

ქვეთავენი აღმოგანიწყო: „ქართული ინტელაგენ-  
ცია ომის პერიოდში“ — ასე ეწოდება ქვეთავე-  
ნი წიგნი.

„სამამულო ომის წლებში საბჭოთა ინტელაგენ-  
ცია და ლიტერატურა“ ფაქტობრივად წყლი-  
შეიტანა მტრზე გამარჯვების საქმეში — ეკო-  
ნომიკური პირველ ანბანში. „მწერლებმა, პოე-  
ტებმა და ლიტერატორებმა... ა. ბელაშვილმა,  
ხ. ბერულავამ, ე. გამსახურდიამ... შექმნეს მა-  
ღალმატრული ნაწარმოებები“, — ეკონომიკური  
მეორე სვეტი.

აქ უკვე ისეთ აბსურდთან გვჯვრის საქმე, ცოლ-  
შვილი რომ ცოლშვილია, დამჯერე და კეთილ-  
განწყობილი, იმის მოიმდურებ ვაჟი. პატრიცულ-  
ლო ხეტა, თუ თქვენს ავტობიოგრაფიას ვერ-  
მუნებთ, თქვენ 1924 წელს დაბადებულხართ;  
თმი რომ დაწყებულა 17 წლის პრინციპულ-  
ხართ, რომ დამთავრებულა — 21-ისა გამხდარ-  
ხართ. ახლა გვეკითხებით, ამხანაგო დირექტორო,  
ცოტა უხერხულად ხომ არ გრწმობთ თვენს ავად-  
ბელაშვილსა და კონსტანტინე გამსახურდიას  
შორის 17-18 წლის ყმაწვილი ხეტა ბერულავა,  
პროვინციიდან დედაქალაქში პირველი ლიტე-  
რატურული ცდებითა და ლიტერატურული მიზ-  
ნებით მოკრძალებით ჩამოსული? არა, ლიტე-  
რატურის ისტორია იცნობს მავალითებს, დაქ-  
ტებს, როცა კვანძმა პოეტებმა გენიალური შე-  
ღევრები შექმნეს. მაგრამ ვეჭვობ, თქვენ პოეტე-  
ბის ასეთ კატეგორიას ეკუთვნოდეთ. პოდა, გე-  
კითხებით, პატ. ხეტა, განმეორებით გვეკითხებით  
და დამეორებით გზობო, პასუხი გამცეთ; გახ-  
სოვდით, სახსნუხო ბარათს არაფრად ჩავთვ-  
ლით, თუ ამ კითხვებზე პასუხი არ გამეციეთ; სა-  
მამულო ომი რომ დაიწყო და თქვენ, 17-18 წლის  
ყმაწვილი, ლეგენბს წერდით, მაშინვე „უახლეს-  
დებელი წვლილი შევაჩინათ მტრზე გამარჯვებ-  
ბის საქმეში“, ავად ბელაშვილთან და გამსა-  
ხურდიასთან ერთად მაშინვე „მაღალმატრულ  
ნაწარმოებებს“ ქმნიდით თუ ტუფილია, რასაც  
მეორე სახელმძღვანელოს ავტორები მოაწუ-  
რენ?

• • •

ამხ. დირექტორი, ვამთავრებ წერის.

საოცარია, მაგრამ თქვენ ვევეთ ტაშისდამკ-  
რენი. ტაშის, მოგვხსენებთ, ორგანიზაციის  
ხერხდება. თქვენ ვაქვე ამისი ნიჭი, მინი შეე-  
ვევა ყოველივე ზემოთქმულმა სერიოზულად არ  
დააფიქროს ტაშისდამკრენი.

რა შეიძლება ეწოდოს ასეთ ნეშობის? ანგა-  
რება და, სკობს ყველაფერს თავისი სახელი და-  
ვარქვით, საკუთარი პერსონის განსაზღვრულად  
თანამდებობის ბოროტად გამოყენება.

მოუთმენლად ველი გამოხმარებას.

ღრმა პატივისცემით — შურმან ლეხანიძე.

## სტამბაში მინაწერა:

„ნიტმა“ აშბავი მოვიტანათ, ამხანაგო დირექტორო! რაო, მაინც რა აშბავაო? უსიამოვნო წერილს გწერენ, აბა შენ იცი, რას იღონებო?

იძულებული ხარტ, საჩქაროდ ინტერვიუ მოიწყოთ და ვაზეთ „სახალხო განათლებას“ კორესპონდენტთან აღიაროთ, რომ თქვენ, „როგორც მკითხველს, ძალზე სქემატური“ გგონიათ „ორივე წიგნის ის განყოფილებები, სადაც განხილულია საბჭოთა პერიოდის „ქართული მკვიდრება, ხელოვნება, ლიტერატურა...“

ახლაა გგონიათ, ამხანაგო დირექტორო, „ძალზე სქემატური“ და ისიც „როგორც მკითხველს“ გგონიათ? თქვენ მკითხველი ხარტ, ამხანაგო ხეტა, ამ სახელმძღვანელოების? უმანკო მკითხველი?! გამომცემელი ვინლაა?!

თანაც ყველაფერს განათლების სამინისტროს აბრალებთ: „მართლაც მივიღეთ წერილები, რომლებშიც განხილულია“ ორივე წიგნა: „თვითველ მოსაზრებასა თუ შენიშვნას უფრადლებით განიხილავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია“...

დიდი შელავითია! 60-ათასიანი ტრაკით ქართული მწერლობის დამახინჯებელი სერაითი საქართველოს მოპდინეთ და ახლა, რა გუჩქარებათ, „სთხოვთ პედაგოგიური დრონტის მუშაყებს“, ვაცნობონ თავიანთი მოსაზრებანი და შენშვნები, ხოლო თვითონ ქართულ მწერლობას, საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდენტს არც სთხოვთ და არც თავის დროზე ვითხოვიათ; როცა უმჭობესი იყო ვეთხოვათ, ერთი თვალი მაინც გადავვლო ლიტერატურის ნაწილისათვის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში.

თქვენ იძულებული იყავით ზერხისათვის მიგეშართათ, დაგესწროთ და პროფილაქტიკური მოსაზრებებით ამ წერილის გამოქვეყნებამდე დაგებუდათ თქვენი ინტერვიუ, სადაც ცდილობთ შენიღბოთ საქმის არსი. მეც იძულებული ვარ, სტამბაში მოვიდე და საზოგადოება რომ შეცდომაში არ შეიყვანოთ, ეს აზნაცები მივწერო ღია წერილს.

კარგად ბრძანდებოდეთ!

მ. ლ.

0 02/190

8360 80 433.

ИНДЕКС

76128

ОБРАЗОВАНИЕ  
И НАУКА

**«М Н А Т О Б И»**

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

**ИЗДАТЕЛЬСТВО «ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»**